K269.040
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია
ჭავჭავაძე

ჭაბუნური ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ორბელიშვილი

ჭაბუკური ლექსები

„მერანი“. თბილისი. 1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

902. 7 (с41)
902·7 (47.922) + 398 .2 (47 . 922)
ბ 545

წიგნის პირველ და მეორე განყოფილებაში შესულია მოგზაურობის დღიური და გვაცნობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს ბუნების მოვლენებზე, ჩვენს მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ადათ-ჩვეულებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ძეგლებს.

მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია ლექსები, რომლებსაც საფუძვლად ჯავახური ლეგენდები დაედო.

K 269.040
3

© გამომცემლობა „მერანი“, 1978

ბ 70303—63 / М 604(08)—78 9—78

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ლ ი ა ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი
(1853–1921)

ილია ალხაზიშვილი ეკუთვნოდა რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის იმ პლეადას, რომელიც დაუღალავად და უმწიკვლოდ იღვწოდა სამშობლო ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის, უანგაროდ ემსახურებოდა თავისი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს, გარკვეული წვლილი შეჰქონდა მშობლიური კულტურის განვითარებაში.

ილია ალხაზიშვილის მიზანი იყო ახალგაზრდობაში გაევრცელებინა და დაენერგა მეცნიერების, განსაკუთრებით, ბუნებისმეტყველების მონაპოვარი.

ი. გრიშაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ი. ალხაზიშვილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იმედიანად შეჰყურებდა მომავალს და თავისი უანგარო წვლილი გულწრფელად შეჰქონდა ქართული კულტურის განვითარების საქმეში“. ილია ალხაზიშვილი, აღზრდილი ილია ჭავჭავაძის იდეურ ტრადიციებზე, დღენიადაგ ხალხში ტრიალებდა, უყვარდა მშობლიური ხალხი, „პატიოსანი ოფლის მღვრელი მუშაკი“, ხოლო ის, ვინც ყოვლად უშრომლად სხვის ოფლსა სჭამს, სხვას იმსახურებს, მუქთახორად, პარაზიტად ჩაითვლებაო, — ამბობდა ის.

ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი დაიბადა 1853 წლის 16 ნოემბერს სოფ. ზიარში, კახეთში. მამამისი, სოლომონი, დაღესტნის სამხედრო უფროსის, გენერალ-მაიორ სიმონ შალიკაშვილის ყმა იყო. 6 თვის ილიას მამა გარდაეცვალა, დედამისი მეორედ გათხოვდა გურჯაანში, სადაც პატარა ილიკო მიაბარეს ოჰანესა დალაქის ცოლს, რომელმაც ცნობისმოყვარე და ნიჭიერ ყმაწვილს ასწავლა ანბანი, საღვთო სჯულიდან ზოგიერთი ლოცვა და ქვაბის მურით ხარის ბეჭზე წერა. 6 წლის ილია ბიძამისმა გადაიყვანა ზაქათალაში, სადაც სიმონ შალიკაშვილი ცხოვრობდა და მიაბარა სამ-

ხედრო ფერშალს, რომელმაც ბავშვს რუსული ანბანი შეასწავლა. გენერალ-მაიორმა შემთხვევით დაინახა ეზოში მოთამაშე ილია, მოეწონა მისი გონივრული და მოსწრებული სიტყვა-პასუხი, შემდეგ მასწავლებლები მიუჩინა და თავს იდვა გონებაგახსნილი ბავშვის სწავლა-აღზრდა. 9 წლის ილია უკვე მზად იყო გიმნაზიის პირველი კლასისათვის, მაგრამ, რაკი იგი ყმა გლეხის შვილად ითვლებოდა, სკოლაში შესვლის უფლება არ ჰქონდა. 1862 წლის აპრილში შალიკაშვილმა მეფის ნაცვლის კანცელარიის უფროსს აცნობა, რომ ილია ალხაზიშვილი ჩემს მიერ ყმობისაგან განთავისუფლებულია და შეიძლება მივიღოთ გიმნაზიაში, ყოველგვარ ხარჯს მე ვკისრულობო. მალე დაღესტანი აჯანყდა, გენერალ-მაიორი ამბოხების ჩასაქრობად გაიწვიეს და სისხლისმღვრელ შეტაკებაში დაიღუპა (მისი უშუალო უფროსი იყო სარდალი გრიგოლ ორბელიანი, ჩვენი დიდი პოეტი). დარჩა უმწეოდ და ღვთის ანაბარა პატარა ილია. რა ექნა, სწავლის წყურვილი ჰქონდა, დაფლეთილი წიგნით დაეხეტებოდა ველ-მინდვრებში და აძოვებდა ერთი მღვდლის სახედარსა და ცხენს. კახეთის სოფლებში ხეტიალს უქმად არ ჩაუვლია, ცნობისმოყვარე ბავშვი ხარბად ეწაფებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების თვალშეუდგამ ნიმუშებს, აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, აქ გაუღვივდა ბუნებისმეტყველური ინტერესები, რამაც განსაზღვრა მომავალი მოღვაწის მსოფლმხედველობა.

აი რას გვიამბობს ილია ალხაზიშვილი ბალღობისდროინდელი შთაბეჭდილებების შესახებ: „ხალხის შვილი ვარ და ცხოვლად დამახსოვდა — კახეთში გოგო-ბიჭობა რომ გაზაფხულზე დავგროვდებოდით კალათებით და ტყეს რომ ჟივილ-ხივილით, კიჟინით შევესეოდით. არჯაკელი, სვინტრი, სატაცური, ღანძილი, ბალბა, ჭინჭარი, მხალი, ქამა და ნიყვა სოკო, სურნელი მარწყვი და კიდევ რა ვიცი, რა არ ახარებდა ჩვენს გულს. ახლა ხილი ბრძანეთ, გურჯაანიდან დედა ხშირად მგზავნიდა დიდედასთან ჩემს სამშობლო ზიარში. გზა ტყეს მისდევდა, ტყე უნდა გამევლო და რაღაც 7-10 ვერსის მანძილს მთელი დღე ვუნდებოდი. თვალს იტაცებდა შვინდი, ტყემალი, ზღმარტლი, კუნელი, ყურძენი (კრიკინა და მასზე უტკბესიც), წიფელი, ჟოლო, მაყვალი, პანტა, მაჟალო, თხილი, კაკალი, ბალღოჯი, თაფლი და ათასი სხვა რამ“ (ჟურნ. „განათლება“, 1913, № 7, გვ. 499).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა დრო და ილია მოხვდა თბილისში კახელ მევენახეთა სარდაფში. მალე იგი, კეთილი ადამიანების შემწეობით, მიიღეს გორის აფთიაქში მოწაფედ. აქ მან გულმოდგინედ შეისწავლა წამლების დამზადება. შემდეგ აფთიაქში სამსახურის შოვნასაც დაბრკოლებები გადაეღობა (სამაზრო სასწავლებლის დამთავრების ცნობა არ ჰქონდა). ილია აფთიაქს ჩამოშორდა. ორი წლის თავაუღებელი მეცადინეობის შედეგად 1872 წელს გამოცდები ჩააბარა თბილისის საავადმყოფოში, ფერშლობა რომ შეესწავლა. იმავე წელს 19 წლის ჭაბუკი ახალქალაქში გაამწესეს ფერშლად. მალე მან პატარა აფთიაქი შეიძინა და აფთიაქში მუშაობის უფლების მისაღებად 1883 წელს გამოცდები ჩააბარა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

1889 წელს ილია ალხაზიშვილი შედის ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად. 1891 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და მიენიჭა პროვიზორის წოდება. შემდეგ ბრუნდება ახალქალაქშივე და იქ მოღვაწეობს 1918 წლამდე.

ფართოდ განსწავლული და მამულიშვილური ინტერესებით აღტყინებული ილია ალხაზიშვილი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში და თავი გამოიჩინა, როგორც მრავალი საზოგადო საქმის წამომწყებმა და მეთაურმა. ხალხის გათვითცნობიერებას მან განუზომელი ამაგი დასდო. ილია ალხაზიშვილი მხურვალედ მონაწილეობდა ჯავახეთის რამდენიმე სოფელში სკოლების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნაში, ახალქალაქში ქართული გიმნაზიის დაარსებაში. წლების მანძილზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული იყო ჯავახეთში. ილია ალხაზიშვილის მიერ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი კორესპონდენციები, ამსახველი სამხრეთ საქართველოს იმდროინდელი ცხოვრებისა, მშვენიერი მოწმობაა საქართველოს განაპირა რაიონებში თავდადებული და განათლებული ქართველი კაცის უანგარო და ვაჟკაცური მოღვაწეობისა.

გარდა კორესპონდენციებისა და ცალკე გამოცემული წიგნებისა, ილია ალხაზიშვილს გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სხვადასხვა სტატია.

ილია ალხაზიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ

ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან. არქივში დაცული მისი მიმოწერა ილია ჭავჭავაძესთან, გიორგი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან და სხვებთან. მისთვის „ერთი უზენაესი მოვალეობათაგანი“ იყო „სამშობლოს სიყვარული და მისი ერთგულება“.

ილია ალხაზიშვილი ზედმიწევნით ფლობდა ქართულ ენას, ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას; გარდა რუსულისა, იცოდა ფრანგული, ლათინური, სომხური და თურქული ენები.

ილია ალხაზიშვილი სისტემატურად მოგზაურობდა მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში და გულმოდგინედ სწავლობდა ამ მხარეს. მან შეაგროვა ფასდაუდებელი ფოლკლორული მასალა, რომელიც შუქს ჰფენს სამხრეთ საქართველოს მდიდარ ზეპირსიტყვიერებას, ამ კუთხის მშრომელთა შეუპოვარ ბრძოლებს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ილია ალხაზიშვილის მიერ ფიქსირებული მრავალი ხალხური ქმნილება შესულია ქართული პოეტური ფოლკლორის საუნჯეში. იგი შესანიშნავ დამკვირვებლობას იჩენს ეთნოგრაფიული სინამდვილისადმი.

მის ნაწერებში გაბნეულია ძვირფასი მასალა, ამსახველი მესხ-ჯავახთა ხალხური წეს-ჩვეულების დეტალებისა, ყოფითი რეალიებისა.

ილია ალხაზიშვილის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქცეული ხუროთმოძღვრული ძეგლებიც. მათი აღწერილობანი უხვად არის ჩართული ავტორის სხვადასხვა ნაშრომში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომა „ვარძიის მონასტერი“.

ჯავახეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესასწავლ მასალას უხვად იპოვის მკვლევარი ილია ალხაზიშვილის ცნობილ წიგნში „ბუნება და ცხოვრება“ (1897 წ.), სადაც მგზავრის დღიურების სახით გადმოშლილია საქართველოს ამ ძირეული ქვეყნის ძნელბედობა ისტორიულ წარსულში, მისი ყოფა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. აი როგორ ახასიათებს ამ წიგნს ლუარსაბ ბოცვაძის ჟურნალი „განათლება“: „ეს წიგნი ბევრს საყურადღებო, საჭირო სამეცნიერო და საეთნოგრაფიო ცნობებს შეიცავს. ყველა ცნობები, ბუნების მეტყველებას შეეხება იგი თუ ასტრონომიას, საქართველოს რომელიმე კუთხის ხალხის ცხოვრე-

ბის აღწერას თუ ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტებას, მარტივად, ყველასათვის გასაგებად და კარგის ენით არის გადმოცემული მოთხრობის კილოთი. ამისთანა მშვენიერი წიგნი უნდა მოიპოვებოდეს ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებში, ყველა სკოლის ბიბლიოთეკებში ერთი კი არა, რამდენიმე ცალი. ის უნდა შეადგენდეს ჩვენებურ სახალხო მასწავლებელთათვის სახელმძღვანელო წიგნს, რომელშიაც ბევრს საყურადღებო ცნობებს ამოიკითხავს ყველა მასწავლებელი და ცოცხალი სიტყვით თვალსაჩინოდ გადასცემს საჭირო ცნობებს, როგორც თავის მოწაფეებს, აგრეთვე ხალხსაც" („განათლება", 1909, № 1, გვ. 122).

ამავე ნაშრომის გეგმით არის დაწერილი ილია ალხაზიშვილის „რაჭა-ლეჩხუმი, მისი ბუნება და ხალხის ცხოვრება". დიდად საყურადღებოა, ამასთანავე, ნარკვევი „მტკვარი, ჭოროხი და რიონი".

საგულისხმოა მეფის ცენზურის მიერ აკრძალული 1893 წლის 25 ოქტომბრის „ივერიის" მეთაური წერილი „თფილისი, 25 ოქტომბერი", რომლის ავტორია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრონელი, აქ სწერია: „ბატონი ილია ალხაზიშვილი დარბაისლად, ვით ძველი დროის ეპიკოსი, მოგვითხრობს ჯავახეთის სამწუხარო ამბებს. აქ ოდესმე სიცოცხლე სდუღდა, ქართველი კაცის მაჯა ღონივრად სცემდა და მისი ხმის გრგვინვა შორს გაისმოდაო. დღეს ყველაფერს ფერი უცვლია, ქართველების ნიშანწყალიც აღარ მოსჩანს ზამბარელი თათარსავით ღორის თავს კი არ გვედავებიან, თვით ქვეყანას, თვით ჩვენი არსებობისათვის გამოუცხადებიათ სასტიკი ბრძოლა. ეჭვი არ უნდაო, ამბობს ბატონი ალხაზიშვილი, გავლენ დრონი, ჟამნი და ეს დიდებული ნაშთნი (ეკლესია-მონასტრები), მდუმარე მოწმენი ქართველების ამ მხარეში გაძლიერებული ცხოვრებისა, წვიმისა და ქარიშხლისაგან მოისპობიან და არც კაცის ხელი დაერიდება ამ წმიდათა წმიდის შეხებასო..." (სცსსა, ფონდი 481, პუბლიკაცია შ. გოზალიშვილისა: „ლიტერატურული საქართველო". 1966, № 6).

ილია ალხაზიშვილი ხალხში ავრცელებდა ბუნებისმეტყველურ ცოდნას, უმთავრესად ამ ასპექტითაა დაწერილი მისი წიგნები და მრავალრიცხოვანი წერილები. ამ მხრივ ილია ალხაზიშვილს ჩვენში იშვიათად თუ ვინმე შეედრება. დიდად საყურადღებოა ილია ალხაზიშვილის სამედიცინო ხასიათის წერილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული ამაგი დასდო ილია ალხაზიშვილმა ქართულ მეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეს. მისი გულისყური უმთავრესად მიპყრობილი იყო საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის დადგენისაკენ (როგორც ვიცით, ალხაზიშვილმა საუნივერსიტეტო განათლება ბუნებისმეტყველების განხრით მიიღო).

ჟურნ. „განათლებაში", 1914 წელს, ილია ალხაზიშვილი წერდა: „საზოგადოდ შენიშნულია: ვინც კი ქართულს სამეცნიერო ლიტერატურას შეახებს ხელს, თუ გინდ მჯღაბნავიც იყოს, ყველა დავით აღმაშენებლობას ჩემულობს. ეს კი სულ იმის ბრალია, რომ კრიტიკა არ გაგვაჩნია. ჩვენში მეტისმეტად ეზარებათ, ემძიმებათ კრიტიკის წერა — ეჰ! აუტკივარი თავი რად ავიტკიო, რად მოვიძულო ავტორიო... პატარა ოჯახი ვართ (მწერლები), ყოველდღე ერთმანეთს ვხედავთ და რაღაც უხერხულობას გრძნობ კაცი, თუ გინდ ცათამდე მართალი იყო".

ილია ალხაზიშვილი ხარბად ეტანებოდა ძველ ლიტერატურულ ძეგლებს და ეძებდა სამეცნიერო ტერმინებს, ამავე დროს, მზის სინათლეზე გამოჰქონდა ხალხური მეტყველებიდან ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოდგებოდა სპეციალური ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

„მართლაცდა, თუკი გვინდა და ვცდილობთ კულტურასან ხალხთა შორის ჩაგვრიცხონ, — დასძენდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოჭირნახულე, — უნდა კიდეც ვიშრომოთ, ვიშრომოთ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინება-განვითარებისათვის. დიაღ, ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობა გვავალებს ამ პრობლემის შევსებას... საქმეს აფერხებს ქართულ ენაზე სამეცნიერო ტერმინების უქონლობა" (ჟურნ. „განათლება", 1915, № 3).

ილია ალხაზიშვილი სატერმინოლოგიო ძიებებში ეყრდნობოდა ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ დებულებას. „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს". იგი არა ერთგან აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყური მივუგდოთ ხალხს, საფუძვლიანად შევისწავლოთ დიალექტები და იქიდან ამოვკრიბოთ ჩვენთვის საჭირო ტერმინებიო.

ილია ალხაზიშვილს ლინგვისტური ალღო არ ღალატობდა, როდესაც სამეცნიერო ტერმინების დადგენის დროს ანგარიშს უწევდა ქართული ენის შინაგან კანონზომიერებას, — მხოლოდ

ქართული ბიბლიოთეკა

ისეთი ტერმინი დამკვიდრდება ენაში, რომელიც გამომუშავებულია ქართული ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით. — ამბობს ის.

ალხაზიშვილის მოღვაწეობის დროს ასეთმა მავნე ტენდენციამ იჩინა თავი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში: ყოველი ტერმინი უნდა გავაქართულოთ, სამეცნიერო მწერლობაში არავითარი უცხოური სახელწოდება არ უნდა დავნერგოთ! აცხადებდნენ ჩვენში პურისტული განწყობილებების ავტორები. ილია ალხაზიშვილი შეებრძოლა ამ შეხედულებას; მან კარგად იცოდა, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგია შეუძლებელია ასცდეს ინტერნაციონალურ, საყოველთაოდ მიღებულ ტერმინოლოგიურ ტრადიციებს. მიდუსმინოთ მას: „ბუნებისმეტყველებას თავისი საკუთარი ანბანი და ლექსიკონი აქვს. მაშასადამე, ძალიანაც ნუ გეუცხოვებათ, ნუ გაიკვირვებთ, უკეთუ ხშირად შეხვდებით ამ ჩვენს შრომაში უცხო სახელებს. ამ გარემოებას ვერც ერთმა ჩვენზე უაღრესად განათლებულმა ერმა ვერ აუქცია მხარი და ვერც ჩვენ ავიცილებთ თავიდან, და არცთუ საჭიროა“.

ასე მაგალითად, იყო ცდა „გაზის“ შესატყვისად დაემკვიდრებინათ ტერმინი „ჰაერგვარი“. ილია ალხაზიშვილი კი აღნიშნავდა, რომ „გაზი“ უცვლელად უნდა გამეფდეს ქართულ ლიტერატურაში ისე, როგორც მთელს განათლებულს კაცობრიობას აქვს უცვლელად მიღებულიო“. (იხ. წერილი „სამეცნიერო სახელები და ტერმინები“, ჟურნ. „განათლება“, 1916, № 4).

ამასთანავე ილია ალხაზიშვილი არ უარყოფდა, გარკვეულ შემთხვევებში, — თუკი ამის შესაძლებლობა ენას აქვს, — რომელიმე უცხოური ტერმინისათვის ქართული შესატყვისის მისადაგებას. ქართული ტერმინის შემუშავებისას სიფრთხილე გვმართებს, ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ თვითონ სხეულის ქიმიური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური თვისება, ამასთანავე „ზედმიწევნით უნდა ვიცოდეთ ბ უ ნ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს, უნდა ვიცოდეთ წმინდა ქართული: ხალხური და მეცნიერული, ძველი და ახალი, სხვა გზით ფონს ვერ გავალთ ვერას დროს“, — დასძენდა ილია ალხაზიშვილი.

ეს თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიის უტყუარი და საყოველთაოდ მიღებული დებულებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიმოწმოთ ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი.

რუსული ტერმინის Кислота-ს შესაბამისად სცადეს შემოეღოთ ტერმინი „მჟავე“. ილია ალხაზიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს ქიმიური ტერმინი შეუფერებელია და უნდა გავაბატონოთ „მჟავა“. მოვუსმინოთ ავტორს: „ჯერ ერთი, რომ მჟავე რუსულად არის „кислый“, მეორეც ისაა, ვისაც ჩემოდენად უმუშავნია ქიმიური ტერმინების თარგმანში, ყველა დამეთანხმება, რომ ქიმიური რთული სხეულის აღსანიშნავად აუცილებელი საჭიროებაა ვიხმაროთ ტერმინი „მჟავა“. ეს ტერმინი ქართული ენის ბუნებასაც ეთანხმება (მაგალითად: ფერა-ფერა, ჭიაფერა, ჩიტისთვალა, ვაშლ-ატამა, მჭადა, რძიანა და სხვ.) და სხეულის ქიმიურ ბუნებასაც. მაგალითად, ჩვენ ვიტყოდით: გოგირდმჟავა მარილები, ნახშირმჟავა მარილები, ფოსფორმჟავა მარილები და სხვ. (ჟურნ. „განათლება“, 1914, № 5, გვ. 400).

როგორც ვხედავთ, ილია ალხაზიშვილი „მჟავას“ შემოტანას ასაბუთებს, ჯერ ერთი იმით, რომ სიტყვის წარმოება ქართულისებურია და, მეორეც: კომპოზიტურ შეხამებაში ადვილად ხერხდება მისი გამოყენება ადიექტივის ფორმით.

იმდროინდელ სახელმძღვანელოებში წერდნენ, რომ „თევზს აქვს კუდი“, „ფრინველს აქვს კუდი“. ილია ალხაზიშვილი აღნიშნავდა: „ახლა მიდგა საქმე კუდზე. თქვენ გიწერიათ: თევზის კუდი(!), მამლის კუდი (!), ფარშევანგის კუდი (!) და სხვ... ბატონებო! ნუთუ არ გაგიგონიათ ფრინველების სახელი: ბოლობეჭედა, ბოლოკარვაზი, ბოლოქანქარა, ბოლოშავა, ბოლოცეცხლა და სხვ. მაშ საიდან მოჭორეთ ეგ თქვენი კუდი?“ — ასე მიმართავდა ალხაზიშვილი იმ ავტორებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ ქართული ენის თავისებურებას. დამოწმებულია დიდი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც: „ხოლო რომელთა კუდი ფრთოსანი აქვთ, ვითარ მფრინველთა და ფარფლოსანთა, ვითარცთა თევზთა, ესრა ითქმის კუდათ, არამედ ბოლოდ“. ანდაზაც კი არსებობს ასეთი: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

ილია ალხაზიშვილი ასაბუთებდა აგრეთვე ქიმიური ტერმინის „ჟანგბადის“ უპირატესობას „მჟავბადთან“ შეპირისპირებით (მხარს უჭერდა პროფ. პეტრიაშვილს). დღეს ეს ტერმინი დაკანონებულია.

ილია ალხაზიშვილი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვებდა ფასდაუდებელ მასალას ფარმაცევტული ლექსიკონის შესადგენად. მას დარჩა გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ფარმაცევტული ტერმინები ანუ ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა“, რომელიც შეიცავს 2178 ტერმინს. აქ მოცემულია ცნობები ბოტანიკიდან, ქიმიიდან, მედიცინიდან, ზოოლოგიიდან. მასვე შეუდგენია „ბუნების ლექსიკონი“ ბრემის სისტემის მიხედვით.

„ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ ნორჩ მკითხველებს ილია ალხაზიშვილი აწვდიდა ძვირფას ცნობებს ბუნებისმეტყველებიდან, ასწავლიდა სათანადო მეცნიერულ ტერმინოლოგიას, ფართო მკითხველს მოუწოდებდა ქართული ენის ბუნებისათვის შესაფერისი ზუსტი საბუნებისმეტყველო სახელწოდებების შეგროვებასა და გავრცელებას.

„გაიცანით, შეისწავლეთ, დაუახლოვდით ბუნებას, შეაჩვიეთ თავი მის კვლევა-ძიებას, — მიმართავდა დიდი მამულიშვილი ახალგაზრდობას, — ...აღანთეთ ცეცხლი ბუნების სიყვარულისა, შეისწავლეთ მისი უცთომელი და უცვლელი კანონები, დაუახლოვდით ცხოველმყოფელ ბუნებას, დაეწაფეთ ამ უკვდავების წყაროს და იმდენ ულეველ საინტერესო ფაქტებს გაიგებთ, რომ სიცოცხლის ინტერესი ერთი-ათასად აღგეძვრებათ და ძიება-კვლევით სამოთხისნაირად დატკბებით. მაგრამ რას ვამბობ, ბუნების ცოდნა მარტო გართობაა? განა მთლად ჩვენი კეთილდღეობა ბუნების ცოდნაზე არ არის დამოკიდებული? (ჟურნ. „კვალი“ 1895, № 8).

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი ვერ მოესწრო იმ დროს, როდესაც სინამდვილედ იქცა ხალხის საქმისათვის თავდადებული ადამიანის ოცნებანი. ილია ალხაზიშვილისთანა მუშაკების სანუკვარი საქმე — კერძოდ, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოწესრიგება, — დღეს სახელმწიფოს მზრუნველობის საგანია და, ამდენად, მის განვითარებას მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი.

წინამდებარე წიგნით ქართველი მკითხველი გაეცნობა ილია ალხაზიშვილის ნაწერების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით ზოგი რამ აქ მოძველებულია და განვლილი ეტაპების ამსახველი, მაგრამ ამგვარი მასალის გაცნობაც საგულისხმოა, რამდენადაც საშუალება გვეძ-

ლევა თვალი გავადევნოთ ჩვენი ძველი მოღვაწეების ნაფიქრალსა და ნაცნებარს და გავითვალისწინოთ, თუ რა დონეზე იდგა რევოლუციამდელ საქართველოში მეცნიერული ცოდნის გავრცელება მოსახლეობის ფართო ფენებში.

ილია ალხაზიშვილის რჩეული ნაწერები იყოფა სამ განყოფილებად:

I განყოფილებაში მოთავსებულია „ბუნება და ცხოვრება (მგზავრის დღიურიდან)", რომელიც შეიცავს შემდეგ ნაწილებს: „მოგზაურთა განთიადი", „ტაბაწყურის ტბა", „ერთი კუთხე ჯავახეთისა", „თრიალეთის მთა და ცხვარი", „წალკა და რეხა".

ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა 1897 წელს.

II განყოფილებაში მოთავსებულია „მტკვრის სათავეებთან (მგზავრის დღიურიდან. უწინდელი ზემოქართლი და მტკვრის სათავე)".

არსებითად ეს გაგრძელებაა წინა ნაშრომისა და ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა „ჯეჯილში" (1912, 1913 და 1914 წლებში).

III განყოფილებაში მოთავსებულია „ჯავახური ლეგენდები", დაბეჭდილი სხვადასხვა დროს „ჯეჯილსა" (1908, № 1, 4) და „განათლებაში" (1916, № 49).

ილია ალხაზიშვილის ნაწერები იბეჭდება მცირეოდენი ცვლილებებით; ტექსტში ალაგ-ალაგ შეტანილია უმნიშვნელო ორთოგრაფიული ხასიათის შესწორებანი თანამედროვე ნორმების კვალობაზე.

წინამდებარე რჩეული ნაწერები შეადგინა ილია ალხაზიშვილის შვილმა, მწერალმა შალვა ალხაზიშვილმა.

ზოთა ძიძიგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნება და ცხოვრება

(მგზავრის დღიურიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K269.040
3

ნაწილი პირველი

მოგზაურთა განთიადი

I

ზაფხულის მზის ცეცხლებრ სხივებმა ჩვენც გაგვითბო გული და აღგვეძრა სურვილი მოგზაურობისა. „ზამთარში ბარი, ზაფხულში მთაო"... ამ ბუნებრივ კანონს სიამოვნებით დავემორჩილეთ და ბარიდან მთისკენ გავწიეთ, იმ მთისკენ, რომელიც წელიწადში ცხრა თვეს სთვლემს, სამ თვეს — ცოცხლობს.

ხალხის გმირი ქოროღლი უმღერის ამ თრიალეთის მთებს:

...სამ თვეს პატარძლად მორთულნო,
მთანო, ცხრა თვეს დათოვლილნო...

8/X

მგზავრობა ღამის სიგრილით ვარჩიეთ და უფრო კი იმ აზრით, რომ დავსწრებოდით დიდებულ მოვლენას განთიადის ბნელეთზე გამარჯვებისას.

მართლაცდა მთელს ჩვენს სიცოცხლეს ზოგნი სე ვატარებთ და ისე ვესალმებით ამ წუთისოფელს,რომ ძნელად თუ ვინმე — მეცნიერებზე არ მოგახსენებთ — განგებ დაჰკვირვებია განთიადის სანახაობას და მისი დიად წესრიგს, თითქოს ბუნების შვილი არ ვიყოთ და მის ნაწილს არ შევადგენდეთ.

რას ბრძანებთ! აბა, მის უკეთესს რას იგრძნობ კაცი, როცა სოფლად ხარ, მშობელი ბუნების მკერდს ეხუტები და მასთან ერთად იღვიძებ! ცის მნათობთა სიდიადე-სიმშვენიერით, ზესთა-ზენამდე აღფრთოვანებული სული ხარობს, გული-გონება გინათლდება, გისპეტაკდება და ჰგონებ, რომ ცხოვრების ვარამით გაცვეთილი ნერვები, ამომავალი მზის ცხოველმყოფელის სხივებით გეკურნება, გიხალისდება. ყვავილოვანი ბუნების ცქერით და სოფ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური სადა ცხოვრებით სასიამოვნოდ მოხიბლული გულ[illegible]
ნებას ეძლევა; უკვდავების ჰაერით თავისუფლად, ხარბად სუნთქავ
და ახლად შეკრებილი სიცხოველით გულის ძგერა, სიცოცხლის ხა-
ლისი გიძლიერდება.

ნაშუალამევს, გაუთენებლივ, შევსხედით ცხენებზე და გზას გავუ-
დექით.

მოწმენდილი ცა კაშკაშა ვარსკვლავებით იყო გაჩირაღდნებუ-
ლი, ახლად დაბადებული ღამის გუშაგი, თანამავალი დედამიწისა,
არსად სჩანდა, მისძინებოდა.

მდუმარე სოფელს კარგად რომ გავცილდით, მამლებმა შექმნეს
პირველი რიგის ყივილი. ამბობენ, კარგი მამალი ღამის პირველ
საათს არ გადააცდენსო. მართლაც, პირველის შესრულებას სამი
წამი აკლდა. მამლის მტკიცე ჩვეულება ანდაზად გადაქცეულა:
მამალი რომ უდროო დროს დაიყივლებს, თავს მოსჭრიანო.

ხალხში ჯერ აქამდე ის ცრუ რწმენაა გავრცელებული, ვითომ
პირველ მამლის ყივილამდე მთელი ქვეყანა და ზესკნელი ღამე
ათასნაირი მავნეთი და არაწმინდა სულით ბრის სავსეო და რაწამს
მამალი იყივლებს, ყველა წყეული ქვესკნელს მიდისო.

კიდეც ამიტომ ჩვენი მეჯინიბე ზაქრო განგებ აგვიანებდა ცხე-
ნებს, თანაც რაღაცას თავდაღუნული პირჯვრის წერით ბუტბუ-
ტებდა. თურმე, ნუ ბრძანებთ, იწყევლებოდა: დასწყევლოს სამას
სამოცდასამმა წმიდა გიორგიმაო. ახლა კი, მამლის ყივილის უმალ;
ჩვენი ზაქრო გამხნევდა, გამხიარულდა, თითქოს წისქვილის ქვა
ზურგს ეკიდა და უკუაგდოო.

ამგვარი ცრუმორწმუნეობისათვის ზაქროს ბევრმა დაუწყო
სუმრობა. ბოლოს ყველამ ჩამოვთვალეთ, ბავშვობისას რაც გაგ-
ვეგონა — ალი, მავნე სულები და მკვდრების ოინები.

გზის ნაპირას სოფლის სასაფლაო გვქონდა გასავლელი. ჩვენმა
ახალგაზრდა თანამგზავრმა ცხენი გაქუსლა, გზას გადაუხვია, ღა-
მის სიბნელეს არ დაერიდა, წინ გაგვისწრო. ცოტა ხნის შემდეგ
სასაფლაოდან შორით სიმღერის ხმა შემოგვესმა:

ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო,
არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა,
რაზომსაცა გზასა ვლიდე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა,
ღამით მავნე განმარიდე,
თუღა დავრჩე, გმსახურებდე,
შენდა მსხვერპლსა შევწირვიდე.

ღამის პირველი საათია. სამი ათასამდე ბრჭყვიალა ვარსკვლავით მოჭედილი ცა მკრთალ სინათლეს ჰფენს დუმილით მოცულ არემარეს. ცის კალთებზე ალაგ-ალაგ გაფანტულან მძიმე ღრუბელნი, ხოლო გუმბათი უმთვარო ღამეში საამოდ კრიალებს.

აგერ ჯგუფი შვიდი ვარსკვლავისა; დათუნა, ჩრდილო კიდის ვარსკვლავედი, ცის კალთაზე ჩრდილოეთით დაშვებულა, ყალყზე დგას, თითქოს კუდზე დაბჯენილაო. ამ სამიოდ საათის წინ კი, კუდაშვერილი, ცის გუმბათზე იყო გამოჭიმული.

ახლა მივიხედოთ აღმოსავლეთისაკენ. აგერ ხომლი — ჯგუფი ექვსი ვარსკვლავისა, თანავარსკვლავედი კუროსი — ძლიერ მაღლა, ცის გუმბათის შუამდე ამოსულა და სამხრეთისაკენ გადახრილა.

ზაფხულის პირზე, როცა საქონელი საძოვრად გაჰყავთ, ხალხი ძლიერ არიდებს საქონელს ხომლის ამოსვლას — ხომლი დაჰკრავსო. ამიტომაც გამოცდილნი მწყემსნი ხომლის ამოსვლის წინ სადმე ღელეში ჩარეკენ ცხვარს, რომ გორას მოაფარონ, ხომლს მოარიდონ.

როგორც ჯავახელმა მწყემსებმა ამიხსნეს, მხოლოდ სამი დღე არის საშიში — თიბათვის 7, 8, 9. ამ რიცხვებში ხომლი აბულის მთასთან ამოდის და უეცრად ცეცხლის ალივით ამოვარდება ხოლმეო. ამ დროს საქონელს თუ სხივები დაჰკრა — გააფუჭებსო. საკმაოა ორი-სამი საათით ცხვარი თუ სხვა საქონელი მოარიდოთ პირველ ამოსვლას და მერე, რაკი ხომლი მაღლა და მაღლა წავა, საშიში აღარ არისო. თუ თქვენს ახორს (თავლას) სანათური აღმოსავლეთისაკენ აქვს, საჭიროა ცხენიც მოარიდოთო. ხომლდაკრული ცხვარი ჯანზე ვეღარ მოდის, რაღაცნაირ მუწუკებს აყრის ტანზე, ჯანდაკდება და მატყლიც ცუდი აქვსო. როცა ვაჭარი მატყლს იწუნებს, ამბობს, „ხომლის ნაკრავიაო“. ხომლნაკრავ ცხენსაც ბუგრი ეხვევა და ცხვირ-პირზე რაღაც ხაზები დააჩნდება ხოლმეო.

ერთმა ჯავახელმა ბერიკაცმა მითხრა: როცა გაზაფხულის პირ-

ზე, მწუხრისას, ხომლი დასავლეთზე გამოჩნდება, გუთანი ერთ-ლისხმე — სახნის-საკვეთი გაწკიპეო.

ავიხედოთ ცის გუმბათისაკენ, — აგერ ხარის ნავალი და ირმის ნახტომი, წუხელ საათის ათზე ჩრდილო-აღმოსავლეთით წამოსული, სამხრეთ-დასავლეთისკენ იყო გადაშვებული. ეხლა კი მობრუნებულა და ცის გუმბათს სარტყელივით გაჰკვრია, რომლის ერთი ბოლო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა ჩაშვებული, მეორე — ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამ ვარსკვლავთა ჯგუფის შესახებ, რომელიც, ვინ იცის, რამდენ მილიონ წვრილმან ვარსკვლავთაგან შესდგება და რომელსაც მეცნიერნი რ ძ ი ს კ ვ ა ლ ს ეძახიან, ჩვენ ხალხში შემდეგი თქმულება სუფევს.

ღმერთმა გადმოიხედა და ბრძანა: ადამიანს საშინელი ჯაფა ადგია, ამდენს გაჭირვებას ვერ აიტანსო. მოუხმო ცხოველთ და უბრძანა: აბა, ვის ძალგიძსთ შრომის უღელი გაუწიოთ გლეხკაცსაო? გადმოხტა წინ ირემი და დაიქადნა: მე მიკისრნია კაცის შრომაო. დალოცეს და გამოისტუმრეს.

ირემმა იხტუნა, იხტუნა და დედამიწამდე მანძილს ვერ უწია, შუა გზაზე გასკდა.

ადამიანის შენახვა ვერავინ იდვა თავზედა:
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალზედა,
ხარმა სთქვა, პირმა ნათელმა, მე დავიწერავ თავზედა.
მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა;
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა:
— წადი, ხარო, იმუშავე, ერთგულად მთა და ბარზედა,
ექვსი დღე უღელში ებმი, მეშვიდეს დაწექ მხარზედა,
ვინც კვირა-უქმით შეგაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა.

ხარმა დინჯი ნაბიჯით გამოსწია და მშვიდობიანად ჩამოვიდა ქვეყნად. მას აქეთაა, ერთგული მეუღლე გაუხდა შრომის შვილს, გლეხკაცსა.

აი, ცას ალაგ-ალაგ რო ხალებივით ატყვია, ეგ ირმის ნახტომია და თეთრად რო დიდი ზოლი მისდევს, ეგ ხარის ნავალი გზა არისო.

ბაშვობისას, პირველად რომ ეს ლეგენდა მიამბეს, მახსოვს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მაგრამ, რამდენიც შევხედავდი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მიკვირდა, ეჭვი მტანჯავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, არა მჯეროდა, რომ ცის იმ სიმაღლიდან ხარი მანძილს გაეცალიდა და ქვეყნად ჩამოვიდოდა. მერე ბებიაჩემმა ამიხსნა: შვილო, გენაცვალე, უწინ ხომ ცა ასე არ იყო ჩვენგან დაშორებულიო! ადამიანმა რომ ღმერთი დაივიწყა და ცოდო-მადლი აღარსად იყო, ღმერთიც იმიტომ გაგვიწყრა, თორემ უწინ ცა ისე ახლო იყო, რომ იალბუზის მთიდან ხალხი ცაში ადიოდაო. ერთხელ პატარძალი პურს აცხობდა გარეთ, ეზოში, იქვე, თონის ახლოს, ბავშვი იდგა ჭოჭინით. ბავშვმა წაიხდინა, პატარძალმაც ცომიანი ხელებით აიღო და ბავშვი თბილი ლავაშით გაწმინდა. ამაზედ განრისხდა ღმერთი და აგერ ცა ასლა ჩვენზედ რამსიმაღლეზედ არისო!..

II

დაიწყო ნაშუაღამევის მეორე საათი. ჩვენმა ცხენებმა, ღამის სიგრილით წახალისებულებმა, სიარულს მოუმატეს, მაგრამ არ ვჩქარობდით — გზა ვიღას ახსოვდა.

აგერ, შორით, შავად მოჩანს ირგვლივ გაბმული უზარმაზარი მთების აჩრდილი. მთათა სერ-ქედის ოღროჩოღრო მუხლები ვარსკვლავთა მკრთალ შუქზე ბუნდოვან სივრცეში იხატებიან — ზღვარს ავლებენ!

მდინარეთა შხივილი და ჩანჩქერთა ჩხრიალი მოგვესმა — ნიავმა მოგვიტანა.

კანტიკუნტად ძაღლების ზარმაცი ყეფაც ისმის.

ჩვენი ყურადღება მთლად აღმოსავლეთმა მიიქცია — განთიადს ველით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გვსურს დავესწროთ იმ დიდებულ წუთს, როდესაც დედამიწა ამ ბნელეთის სივრცეს გაივლის, შემოგვატრიალებს და ისევ მზეს მოგვაცხუნებს.

აგერ ერთი ვარსკვლავი, თითქოს ცას მოსწყდაო, ჩამოვარდა, ისარივით წავიდა და ჰაერშივე ცეცხლისფრად გაწყალდა.

— კიდევ ერთი კაცი მოკვდა, — წაიდუდუნა ჩვენმა ზაქრომ...

აღმოსავლეთით, აბულის მთის იქიდან, ნაკვერჩხალივით ბრჭყვიალა, მშვენიერი ვარსკვლავი ამოციმციმდა და მაღლა-მაღლა გასწია. სიდიდით ყველა ვარსკვლავს სჭარბობს, ხან ბნდება, ხან ძალზე ღადღადებს — ყვითლად, ლურჯად ენთება.

ამ ვარსკვლავს რომ შევხარodით, იშვიათი რამ სანახავი ვნა-

ხეთ. სამხრეთი უეცრად აენთო, სხივნი მოჰფინა და მსოფლიოს ჩაქრა. მოულოდნელმა სანახაობამ ყველანი გაგვაოცა და მეტად მშვენიერმა სურათმა საამოდ აღგვიტაცა.

ბუნების ამგვარ მოვლენას ციალი ეწოდება. ციალი მეტად ძლიერი იყო და მისმა სხივებმა მეტად დიდი სივრცე მოჰფინა ბნელ სამეფოში. ჩრდილოეთის ნათებას ემსგავსებოდა. ზაქრომ სთქვა: თევზმა შეითამაშა და იმან გაანათაო... ხოლო ფიზიკიდან ვიცით, რომ შორს, სამხრეთით, საცაღა, ელვა-ქუხილი ყოფილა და იქაურმა ელვამ თავისი შუქი სივრცეში გასტყორცნა, სხივნი გაჰფანტა. ქუხილი კი იმიტომ არ მოგვესმა, რომ 25 ვერსის სიშორეზე ქუხილის ხმა აღარ ისმის.

კიდევ ჩამოვარდა ვარსკვლავი, სივრცეში ცეცხლის ზოლი გაავლო და ჩაქრა. ხალხში ის ცრუმორწმუნეობა არის გავრცელებული, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი ბედის ვარსკვლავი ჰყავსო, — რა აღმატებული აზრისაა კაცი თავის თავზე! — და როცა კაცი კვდება, მისი ვარსკვლავი ქრებაო.

ჩემს ბავშვობაში კი მახსოვს, ზაქათალაში, ერთ ზაფხულს, მოსწავლენი გარეთ, აივანზე, ძილს ვაპირებდით. ამ დროს „მოწყდა“ ერთი ვარსკვლავი, ნაკვერცხალივით წამოვიდა და მეზობლის ეზოში ჩავარდა. მეორე დღეს გავიგეთ, რომ იმ მეზობლის რძალს ვაჟი მისცემოდა.

ვისაც გსურთ ვარსკვლავთა ცვენა ნახოთ და ამ სანახაობით გაერთოთ, შეხედეთ ცას უღრუბლო ღამეში მკათათვის 28, 29, 30; ღვინობისთვის 31 და გიორგობისთვის 1, 2 რიცხვებში. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ოცზე მეტი ვარსკვლავი ჩამოცვივა.

შეიძლება ზოგ მკითხველს ეგონოს, მართლაცდა ვარსკვლავები ცვიოდეს ციდან!

ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნება, რადგან ცა მართლა ლაჟვარდი გუმბათი ხომ არ არის და მასზე ვარსკვლავები ჭრაქებივით ჩამოკიდულნი კი არ არიან, ან დედამიწა ბოძებზე ხომ არ არის დამყარებული, რომ მთელ მსოფლიოს საძირკვლად გაუხდეს!

საკმაოა გავიხსენოთ, რომ თითოეული ვარსკვლავი იგივე მზე არის, თავისად ანათებს და ზოგი ვარსკვლავი კი ჩვენს მზეზედაც უდიდესია! ხოლო ჩვენი მზე ისეთი რამ უშველებელი ცეცხლის

ბურთია, რომ დედამიწის ოდენა ერთ მილიონ-ნახევარი გამოიჭერება. შეიძლება ასეც შევადაროთ: ცალ მხრივ დადეთ ერთი მარცვალი ხორბლისა და მეორე მხრივ დააგროვეთ ერთი ტომარა იგივე ხორბალი. ამგვარი შედარებით აშკარად წარმოიდგენთ მზის სიდიდეს და სივრცეს დედამიწის წინაშე.

ჰოდა, კაი ხეირიც დაეყრება ჩვენს დედამიწას, თუ ამოდენა ვარსკვლავი (მზე) წამოვიდა და ზედ დაეცა!

თუ ვიკითხავთ, მაშ რად ჩანან ვარსკვლავები მაგრე პატარებიო, აი, რა პასუხს მოგვცემს მეცნიერება: მაგის მიზეზი ის არის, რომ როგორადაც მზე, აგრეთვე ვარსკვლავებიც, ძლიერ დაშორებულნი არიან, ისე შორს არიან ჩვენზე, რომ ადამიანის გონებას ვერც კი შეუძლია წარმოიდგინოს. უკვე გამოანგარიშებულია, რომ ჩვენი დედამიწიდან მის სატრფიალო მზემდე 140 მილიონი ვერსია! აქედან რომ მზეს ზარბაზანი ვესროლოთ, ზარბაზნის ყუმბარას ათი წელიწადი დასჭირდება, ვიდრე მზემდე ააღწევდეს. დედამიწიდან მზემდე ტელეფონი რომ იყოს გამართული, მზეზე ნათქვამი სიტყვის ხმას დედამიწაზე 13 წლის შემდეგ გავიგონებდით. რკინიგზა რომ იყოს მზემდე გამართული, რომელიც დღე და ღამე დაუყოვნებლივ მიგვაფრენდეს მზისკენ, მაშინ ჩვენი მგზავრობა სამას წელიწადზე მეტს გასტანს და თუ უკანვე დავბრუნდებით, ექვს საუკუნეზე მეტს მოვუნდებით. ესე იგი, თამარ მეფეს რომ რუსთაველი მზესთან გაეგზავნა მოსაკითხად, დღესაც გზაში იქნებოდა. ან იქნება თავისი უკვდავი პოემის შვიდასი წლის იუბილესათვის სამი წლის შემდეგ (1900 წ.) მზის პასუხით ჩამოგვისწროს?

დიაღ, აი ასე შორს არის მზე და, მაშასადამე, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა შეუბრალებლად, რამსიშორეს გასტყორცნა მზემ თავისი ანაგლეჯი, ჩვენი დედამიწა.

მზე ხომ ასე შორს არის ჩვენზე, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი სისწრაფით ჩამოდის ჩვენამდე მისი შუქ-სინათლე!.. თითო წამში თექვსმეტ მილიონ ვერსს მოფრინავს მზის სინათლე და დედამიწამდე რვაწამნახევარში ჩამოდის!

ვარსკვლავთ შუქი იმავე სისწრაფით მოფრინავს ჩვენკენ, მაგრამ ყველაზე უახლოესი ვარსკვლავი, რომლის ბრჭყვიალებითაც ასე ვსიამოვნებთ, ისეთ სიშორეზეა, რომ ვიდრე იმისი შუქი დედამიწამდე უწევს, სამ წელიწად-ნახევარს უნდება.

ზოგი ვარსკვლავი კი, რომლის ბუუტვასაც ძლივს ვამჩნევ, ისეთ საშინელ მანძილზეა ჩვენგან დაშორებული, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი წარმოდგენა. ვიდრე ამგვარი შორეული ვარსკვლავის შუქი ჩვენამდე მოაღწევს, 3500 წელიწადს უნდება ამ მანძილის გავლას. აგერ იმ ვარსკვლავის შუქი, ძლივს რომ ბუუტავს, მოსე წინასწარმეტყველი რომ დაიბადა, მას აქეთ წამოსულა და დღეს ძლივს ჩამოვიდა ჩვენამდე და გამოგვიცხადა თავისი ვინაობა.

ამ ამბების გამგონი აშკარად ვხედავთ, შედარებით რა ნამცეცა რამ ყოფილა ჩვენი დედამიწა. დიაღ, ჩვენს დედამიწას იმოდენა ალაგი უჭირავს მთელი მსოფლიოს არემარეში, ანუ სივრცეში, რამოდენა ალაგიც ერთ წვეთ წყალს ზღვა-ოკეანეში.

მაგრამ, მართლაცდა არც ისე მასხრად ასაგდებია ჩვენი დედამიწა, როგორც არქიმედმა დაიქადნა: მომეცით აზარმაცის დასაყრდენი წერტილი და მთელ დედამიწას ბურთივით ამოვატრიალებო.

კაი დაგემართოს, მარა ამ აზარმაცს, ანუ ბერკეტს რამოდენა ხელის მოსაჭიდი ტარი უნდა ჰქონდეს, რომ დედამიწას ბერა უყოს! მეცნიერთა გამოანგარიშებით, სინათლეს, რომელიც წამში 16 მილიონ ვერსს მიფრინავს, ექვს-ნახევარი მილიონი წელიწადი დასჭირდებოდა, რომ ამ ბერკეტის სიგრძე ბოლომდე გაერბინა!

ახლა ისევ „მცვივანა“ ვარსკვლავებზე ვიბაასოთ.

ის, რაც ციდან ჩამოვარდება ხოლმე, ჩვენ რომ ვარსკვლავი გვგონია, შეგიძლიათ თქვენი თვალით ნახოთ ზოგიერთ მუზეუმში, მგონი თბილისის მუზეუმშიაც მოიპოვებოდეს. ზოგი ქვის ნატეხს წარმოადგენს, ზოგიც ნამდვილ რკინის ნატეხს. ასე რომ, შეგიძლიათ მჭედელს მისცეთ და დანა გააკეთებინოთ. მაგრამ აფსუსია... სჯობს სამაჯური გავაკეთებინოთ სახსოვრად რომელიმე ვარსკვლავისა. განა რომ სასურველი იქნება ა რ ა ა მ ქ ვ ე ყ ნ ი ს ნივთი?!

ხსენებული ნატეხები რომელიმე ვარსკვლავის ანაგლეჯის ნამსხვრევებია, რომელნიც პლანეტთა შორის, ცარიელს სივრცეში ტრიალებენ, სრიალებენ. როგორც ძერას აედევნებიან პატარა ჩი-

ტები, ისე ეს ვარსკვლავთ ნამტვრევებიც დაედევნებიან ხოლმე დედამიწას ტრიალის დროს, ზოგჯერაც ისეთი საშინელი სიჩქარით და ძალით წამოვლენ ხოლმე დედამიწისკენ, რომ მეტისმეტი გლესით ჰაერში ენთებიან,, იწვიან, ცეცხლის ზოლს ავლებენ და ჰაერშივე ისპობიან. ზოგი კი ისეთი დიდი ნატეხია, რომ ნაკვერცხალივით გახურებული დედამიწამდე უწევს.

გამოცდილებით ვიცით, როდესაც ზარბაზნის ტყვია ჰაერში მიფრინავს, გლესისგან ჰაერშივე იქამდე ცხელდება, რომ მჭედლის ქურაში გახურებულ რკინასებრ ვარვარებს. ჰოდა, თუკი ზარბაზნის ყუმბარა 7—8 ვერსის გავლით ასე საშინლად ცხელდება, მაშ რაღა გასაკვირია ვარსკვლავის ნატეხი, რომელმაც რამდენიმე მილიონი ვერსი უნდა გაიაროს, ისე გახურდეს, გაელვარდეს, როგორც ჩვენ გვეჩვენება ხოლმე ცის სივრცეში?! სწორედ ეს ფიზიკური კანონია იმის მიზეზი, რომ ზოგი ნატეხი ვარსკვლავისა ჰაერშივე იწვის, ჰაერშივე ქრება და ჩვენამდე ვეღარ ჩამოდის, უფრო კი ნამსხვრევთა მტვერი ვერ უწევს ხოლმე დედამიწამდე და ჰაერშივე იწვის გლესის გამო.

ყოფილა არაერთი მაგალითიც, რომ ციდან ჩამოვარდნილა უშველებელი ნატეხი, ვეებერთელა კლდე ათასი ფუთი წონისა. პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაშიც ინახება ერთი ამისთანა მეტეორი (ჰაერის ქვა) 50 ფუთი წონისა, რომელიც ციმბირში ჩამოვარდა განვლილ საუკუნეში. ეს ნატეხი თითქმის ხალასი რკინაა, მხოლოდ 10% ნიკელი ურევია.

III

დილის ორი საათი შესრულდა, ერთი პირი ჩამობნელდა — ბუნებას ჩასთვლიმა, თითქოს წყალმაც კი ჩაიძინაო.

ცისა გახსნას შევესწრები,
ქვეყნების დამყარებასა,
შენს გამარჯვებას ვისურვი,
სამშობლოს აჰყვავებასა.

აბულთან ცა გაიხსნა — აღმოსავლეთმა გამოაშუქა. ხალხს სწამს, რომ ცის გახსნის უმალ რასაც ინატრებ, აგისრულდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს დიდებული წუთი ისე უეცრად მოხდა, რომ ჩვენ ვერ
რომ ვერც კი მოასწრო სამჯერ ეთქვა:

ღმერთო! მამე ცხოვრება,
ქონება და ცხონება...

ის ჩვენი სატრფო — ღადღადა ვარსკვლავი თრთოლვით, ციმციმით ძლიერ მაღლა-მაღლა ავიდა, მერე მისუსტდა, მიილია.

ახლა ალიონის ნახვას ველით, ცას შევცქერით. ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა თქვა: საცაა მზე უნდა ამოვიდესო.

უეცრივ, მოულოდნელად თვალი მოვკარით უუმშვენიერეს დიდ ვარსკვლავს, რომელიც აღმოსავლეთით, მთის იქიდან, ის-ის არის ამოსულიყო, ამოგვპაროდა. საათს დავხედე და სამის ნახევარი იყო.

ამ მნათობის სიდიად-სიკეკლუცემ და მისმა ნაზმა თ ე თ რ მ ა შუქმა მთლად გაიტაცა გული-გონება.

წარმოიდგინეთ, რარიგ მოვტყუვდით! აბა, რა დროს მზის ამოსვლა იყო. თურმე ნამდვილი ცისკარი ეხლა ამოვიდა და ჩვენ კი მთელი ერთი საათი იმ ყ ვ ი თ ე ლ ვარსკვლავს ვეალერსებოდით, შევხაროდით — ცისკრის ვარსკვლავი გვეგონა, მაგრამ ვაი, სირცხვილო! რა უმეცრები ვყოფილვართ ვარსკვლავთა ცნობაში! თურმე ნუ ბრძანებთ, ის ცბიერი ყვითელი ვარსკვლავი ხ ა რ ი პ ა რ ი ა ყოფილა. ახი კია, ღვთის წინაშე, რომ ამ ყვითელ ვარსკვლავს ხალხმა ავაზაკის სახელი დაანათლა, თათრები ქ ა რ ვ ა ნ ყ რ ა ნ ს უძახიან.

ქართველებმა ხ ა რ ი პ ა რ ი ა იმიტომ უწოდეს ამ ვარსკვლავს, რომ ღამის მეხრენი ბევრჯერ მოტყუებულან, ხარი აუშლიათ, გუთანზე მოურეკავთ და როდის, როდის გათენებულა.

ამასობაში, ცა თუ მოიღრუბლა, მაშინ კუმეტ ბნელაში ხარიც იკარგება.

ხარიპარია ვარსკვლავი — ქარვანყრანი, ბევრ ლექსშია მოხსენებული თათრულ ენაზე. აი ერთი საინტერესო ნიმუში.

ვიღაც ხანის შვილი, სახელად ქიარიმა, სიზმარში ნახავს თავის სატრფო ქალს. მისი სილამაზე ჩარჩება გულში და აშუღად მიდის. აშუღი ქიარიმა დადის თარით და დაეძებს ქალაქსა და დაბებში თავის გულის სატრფოს. ბევრი მოგზაურობისა და ხეტიალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ჰპოვებს ერთ უმშვენიერეს ქალს, რომლის მსგავსი სულ-თანის ჰარამხანაშიაც არ მოიპოვებოდა. ეს ქალიშვილი სომხის მღვდლისა აღმოჩნდა, სახელად ასლი.

ქიარიმას გაუძლიერდა გულში ანთებული სიყვარულის ცეცხლი და დაუწყო განუწყვეტელი ტრფიალი თავის მიჯნურს. ასლისაც ბოლოს და ბოლოს შეუყვარდა ქიარიმა. გაბეზრებული ტერტერა აიყარა და მალულად სხვა ქვეყანაში გადასახლდა.

მაგრამ რა არ შეუძლია ყოვლად ძლიერ სიყვარულს! ქიარიმამ ბევრი ტანჯვა და ვაება გამოიარა, იმედგადაწყვეტილმა კინაღამ თავიც მოიკლა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს — ხელმეორედ იპოვა გულის სატრფო, მშვენიერი ასლი.

ტერტერას ცოლმა თურმე კბილის ექიმობა იცოდა და წესადაც ის ჰქონდა, ვისაც კბილს ამოუღებდა, თავს ასლის კალთაში ჩაადებინებდა, რა არის, ასლის სილამაზემ გაიტაცოს და კბილის ტკივილის სიმწვავე ვეღარ იგრძნოსო.

ამ გარემოებით ისარგებლა ქიარიმამ, მოიავადმყოფა თავი და სხვაფრივ ჩაცმული, სახეშეცვლილი მივიდა ტერტერას სახლში ყბაახვეული. შეეცოდა ტერტერას ცოლს, დაუძახა თავის ქალს ასლის, მოიკეცა ქიარიმა, ოხვრითა და კვნესით წამოწვა და თავი ასლის კალთაში ჩადო.

ასლი გულმტკივნეულად ნუგეშს სცემდა; ტერტერას ცოლმა კბილი უკვე ამოაძრო, მაგრამ ქიარიმა ისეთ ნეტარებაში იყო და ისეთი სამოთხე ჰპოვა ასლის მშვენიერ შავ თვალებში და ისეთ მოსვენებას გრძნობდა მის ხშირ წამწამთა ჩრდილში, რომ არც კი უგრძვნია ტკივილი საღი კბილის ამოგლეჯის დროს. სიყვარულით დამთვრალი, დაბნეული ქიარიმა ძლივს მოიყვანეს გონს, ეგონათ, გული წაუვიდა კბილის სიმწვავითაო. ქიარიმამ ვაი-ვიშით უსაყვედურა: ეგ კბილი შეცდომით ამოგიღია, აი ეს კბილი მტკივაო... მეორე კბილიც ამოუღეს. ქიარიმამ კიდევ შარი მოსდო და, ამგვარად, 32 კბილის ამოგლეჯა ირჩია და ასლის თბილ კალთიდან თავის ამოღება კი, არა. ბოლოს გაუგეს ეშმაკობა, იცნეს ქიარიმა და რის ვაი-ვაგლახით დაითხოვეს სახლიდან.

ქიარიმა უფრო გაგიჟდა. გადაწყვიტა, უსიკვდილოდ მე ასლის თავს ვერ დავანებებო! გადაეკიდა ტერტერას: ვიწვი, შემიბრალე, ასლი მე უნდა მომცეო. ტერტერამ რომ ვეღარას გზით მოიშორა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა: თუ ამ ზამთრის ღამეს დედიშობილა ჩვენს ბანზე გამოეცხადა, ასლი შენთვის მომიციაო.

სიყვარულით აღგზნებული ქიარიმა არც ამ განსაცდელს დაერიდა, თარით ხელში ავიდა ბანზე და ისეთი ტკბილი ხმით უმღერდა თავის სატრფოს, რომ ასლისაც გულმა ვეღარ გაუძლო და სიმღერით ოდიდან პასუხს აძლევდა. ეს სამიჯნურო დუეტი ძლიერი მგრძნობიერობის სიტყვებით არის აღსავსე.

ზამთრის ბუნებამ არ შეიბრალა ტანჯული მიჯნური, ღამის სასტიკმა ყინვამ სიყვარულის ცეცხლი გაანელა და გაუმწარა ქიარიმას ასლისთან ტრფიალი. სიცივისაგან შეწუხებულმა ტანშიშველა ქიარიმამ თრთოლვით, ძაგძაგით შესტირა ქარვანყრანს — ხარიპარია ვარსკვლავს: ამოდი მალე, გათენდეს ჩქარა... დამიხსენ ამ ტანჯვისაგან შენ, ჩემო მოსისხლე მტერო, ლურჯ-ყვითელო მნათობოო. ჩამოჰკრა სიმებს და უმღერა:

ლურჯ-ყვითელო მნათობო,
ჩემო მოსისხლევ ქარვანყრან,
არ გათენდა, მე ვიტანჯვი,
ჩემო მოსისხლე ქარვანყრან!
შენ ქარვანყრანს გეძახიან,
მე დარდიან ქიარიმას,
ასლისათვის სევდიანსა,
ჩემო მოსისხლევ ქარვანყრან!

რა ტანჯვითა და ვაგლახით მაინც გაათენა სულგამწარებულმა ქიარიმამ. ხუცესმა რომ ვეღარა გააწყო რა, დალოცა ქიარიმას და ასლის სიყვარული.

ეხლა კი დაუდგა ქიარიმას ბედნიერი წამი და მიაღწია ტანჯვით ნაპოვნ გულის წადილს, მაგრამ ტერტერას მაინც გულში შური ჩაუვარდა. შეუკერა თავის ქალს თილისმა დარაია (კაბა), რომელიც ასე იყო მოწყობილი დუგმებით: ერთი პირი რომ გაიხსნებოდა, მეორე ისევ იკვრობდა. ტერტერამ ჩააცვა ასლის ეს თილისმა დარაია და უთხრა სიხარულით გაგიჟებულ ქიარიმას. უკანასკნელად უნდა გამოგცადო, რამდენად გიყვარს ჩემი ქალიო: თუ გათენებამდე გაუხსნი ასლის დარაიას, შენია ჩემი ქალიო. ელდა ეცა ოცნებით გატაცებულ ქიარიმას, რომელიც ლამობდა გულაგზნებული და გაელვარებული ტუჩებით ახლა დასწაფოდა ტანჯვით ნაპოვნ უკვდავების წყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვის და იწვის ქიარიმა ასლის სიყვარულით, მაგრამ ვერ ბედს გახდა, ვიდრე სიყვარულის ციებისაგან აკანკალებული ხელებით მეორე დუგმას (ხრიკას) გახსნის, პირველი უკვე იკვრის. ამასობაში, აგერ გათენებამაც მოატანა, — ქარვანყრანი ახლა კი დაუპატიჟებლად თვითონ ამოვიდა.

—„დონ! დონ!“ — დაბრუნდი, დაბრუნდი! შენ ჩემო მოსისხლე მტერო, — შესძახა გონებამიხდილმა ქიარიმამ. მერე ისევ ვარსკვლავებს შესტირა და შეეხვეწა მ უ შ თ ა რ ს, ზ უ ა ლ ს და სხვა მნათობთ: შესდექით, შემიბრალეთ, მოიცათ, თქვენ ჩემი ცოდვით სავსენო, ჯერ ნუ ამოხვალთ, ნუ გაათენებთო.

ბოლოს, როგორც ხალხი ამბობს, ქიარიმა სიყვარულის ცეცხლით იქვე სატრფოს კალთაში დაიწვა.

ასლისაც მოეკიდა გულში ცეცხლი, გულამოსკვნით, ხმამაღლა ატირდა, დაუძახა სწორ-ამხანაგთ, ერთი პირი იმღერა მწვავე სიტყვებით, მერე ჭკუაზე შეიშალა, პირიდან ცეცხლის ალი წასკდა და თვითონაც დაიწვაო... ასე გვიხატავს ამ მიჯნურობის სცენას არაბთა აღგზნებული ფანტაზია.

IV

სიმშვენიერემ ცისკრის ვარსკვლავისამ ისე მოგვაჯადოვა, რომ მთლად ცქერად გადავიქეცით. ცხენებიდან ჩამოვხტით და იქვე ერთ გორაკზე, მწვანე ხალიჩაზე დავისვენეთ...

მთელ არემარეში სრული დუმილია, მხოლოდ ისმის ჩვენი ცხენების ხარბი ხრაშუნი.

უეცრივ ტოროლა აფრთხიალდა, ჰაერში ავიდა, ბუნებას „გიხაროდესო“ უგალობა და მთელს არემარეს ამცნო, ახარა გათენების მოახლოება.

დიდება შენდა, ძალ'ო ბუნებისავ! ეს ერთი წიწკნა ფრინველი თავის დღეში არ შეცდება, რომ განთიადი დროზე არ ამცნოს მთელ ქვეყანას!..

აგერ შორით მოგვესმა ურმის ჭრიალი... სამწუხაროდ, იმ ურმულის ხმას, რომლის სმენითაც სიამოვნებს კაცი ქართლ-კახეთიმერეთში, აქ, ჯავახეთში, ველარ გაიგონებთ, ისე მძიმე იყო ოსმალთა უღელი... მაგრამ ჯერ ქვეყნისათვის არ გვცალია, ისევ ცას შევხედოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერია ხალხი, რომელიც ცისკრის ვარსკვლავის ცქერით ყოველ განთიადისას გული-გონება უნათლდება და ახალ ძალას იკრებს ცხოვრებაში საბრძოლველად.

ჩვენც ხარბად დავეწაფენით ამ უკვდავების წყაროსა და ხანგრძლივ დავტკბით ციურის მშვენებით, მთიების ცქერით.

ეს იყო ნამდვილი მ თ ი ე ბ ი, განთიადის ვარსკვლავი ე რ მ ი, რომელიც სილამაზით, სიკეკლუცით და ბრჭყვიალებით ყველა პლანეტას სჭარბობს — მზისა და მთვარის შემდეგ ერმი ყველა ვარსკვლავზე ძლიერ ანათებს. ჩვენი საყვარელი ცისკრის და მწუხრის ვარსკვლავია — მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთით ბრწყინავს და განთიადის წინ აღმოსავლეთით. ამიტომაც უწინდელ მეცნიერებს ერმი (ვენერა) ორ სხვადასხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ: აღმოსავლეთით გამოჩნდებოდა — ლ ი უ ც ი ფ ე რ ს ეძახდნენ, ე. ი. განთიადის წინამორბედს. დასავლეთით რომ გამოჩნდებოდა — ვ ე ს პ ე რ ს ეძახდნენ, ე. ი. მწუხრის ვარსკვლავს. ბოლოს ძლივს მიხვდნენ, რომ ორი ვარსკვლავი კი არა, ეს ერთი და იგივე პლანეტაა, რომელიც ხან წინ უსწრებს მზის ამოსვლას, ხან თან მისდევს და მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთის ჰორიზონტზე რჩება.

მეცნიერები გვარწმუნებენ, ცისკრის ვარსკვლავი და ჩვენი დედამიწა ერთმანეთს ძლიერ ჰგვანანო: რა ნივთიერებიდანაც ჩვენი დედამიწის სხეული შედგება, იმავე ნივთიერებიდან ვ ე ნ ე რ ა (ცისკრის ვარსკვლავი) შედგებაო; ვენერაზედაც მოიპოვებიან უზარმაზარი მთანი და ღრენი. როგორც დედამიწაზე — იქაც ჰაერია, რომელშიაც ღრუბელნი დაცურავენ და სხვ. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ და შესაძლებელიც ჰგონიათ, რომ იქნება ვენერაზედაც ჩვენისთანა გონიერი არსებანი ცხოვრობენო და იქნება, როგორც ჩვენ ვენერას ვიკვლევთ, ისინი კიდევ ჩვენს პლანეტას, დედამიწას იკვლევენ და ათვალიერებენო.

როგორც დედამიწას არა აქვს თავისი საკუთარი შუქი, ისე ცისკრის ვარსკვლავიც სრულებით შავი და ბნელია. ხოლო მზისაგან მიღებული შუქ-სინათლით ასე ძალზე კაშკაშებს და საამო ბრჭყვიალებას ჩვენკენ გზავნის. დღისით, მეტადრე ზაფხულობით, როცა ჩვენი პლანეტა ძალზე განათებულია მზის გამო, ჩვენი დედამიწა ვენერაზე მცხოვრებთათვისაც ისეთივე კეკლუცი ვარსკვლავი იქნება, როგორც ვენერაა ეხლა ჩვენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ! გვწამს და გვიწამებია მეცნიერთა გამოკვლევანი და მაინც აზრი, მაგრამ მაინც ვინ დაგვიშლის თავი ოცნებას მივცეთ და ამ ლამაზ ვარსკვლავს სრული ილუზიით ვეტრფიალოთ.

ვარსკვლავი ვენერა უფრო იმიტომაა კეკლუცი, რომ არ თრთის, არ ციმციმებს სხვა ვარსკვლავსავით, რის გამოც საამოდ ნაზად, თ ე თ რ ა დ აშუქებს, მეტადრე ახლა უმთვარო ღამეში სრული ძალით და მშვენებით მეფობს.

ეს ის მნათობია, რომელიც არაბულად ო ტ ა რ ი დ ა დ იწოდება და რომელსაც გზად მიმავალი ავთანდილი, ცას რომ შესტირոდა, უმღერდა:

> აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი შვიდნივე მემოწმებიან:
> მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
> მთვარე, ასპიროს, მარიხი მოვლენ დ მოწმად მყვებიან,
> მას გააგონე, რანიცა ცეცხლნიც უშენოდ მდებიან.

აქ არ შეიძლება არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რომ დიდებულ შოთას ზედმიწევნით სცოდნია ასტრონომია (ვარსკვლავთა მრიცხველობა). ზემომოყვანილ ტაეპში უკვდავ პოეტს არა აქვს მოხსენებული მხოლოდ ის ორი ვარსკვლავი — ურანოსი და ნეპტუნუსი, რომელნიც რუსთაველის შემდეგ აღმოაჩინეს.

ურანოსი (Uranos-ბერძნ.) 1781 წელს 13 მარტს ინგლისის ასტრონომმა ვილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა, ხოლო ნეპტუნუსი — (Neptunus-ლათ.) საფრანგეთის ასტრონომმა ლევერიემ.

მეტისმეტად გასაოცარია ამ მეცნიერის ნიჭი. ლევერიემ 1846 წ. 31 აგვისტოს, პარიზის სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა თავისი შესანიშნავი გამოანგარიშება, რომლითაც იგი ამტკიცებდა, რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას, ცაზე უეჭველად უნდა გამოჩნდეს ახალი მნათობი (პლანეტა), რომელიც 36-ჯერ უფრო დაშორებულია მზისგან, ვიდრე ჩვენი პლანეტა დედამიწაო. 4170 მილიონი ვერსია მზისგან ნეპტუნამდეო! ამასთანავე, ახალი პლანეტა სიდიდით 85-ჯერ მეტია დედამიწაზე და მზის გარშემოვლაზე 165 წელიწადს ანდომებსო. თვით პლანეტის (ვარსკვლავის) სხეული შედარებით 24-ჯერ მძიმეა დედამიწის სხეულზეო. პლანეტა ურანოსიც ცოტად თუ ბევრად ამ ახალი პლანეტის (ნეპტუნოსის) ზეგავლენის ქვეშ იმყოფებაო.

27 სექტემბერს, იმავე წლისას, უკვდავმა მეცნიერმა ლევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიემ წერილობით აცნობა ბერლინელ ასტრონომს გალლეს და სთხოვა, ამა და ამ ადგილას მონახეთ ცაზე ჩემს მიერ აღმოჩენილი ახალი ვარსკვლავი, რადგან თქვენი (გერმანული) იარაღები (დურბინდი, ტელესკოპი) უფრო ნამდვილნი არიანო.

გალლემ იმავე საღამოს იპოვა ლევერიეს ახალი მნათობი ნეპტუნოსი და სწორედ იმ ალაგას, რა ალაგზედაც ლევერიემ ცაზე მიუთითა და ანიშნა, თუმცა კი ლევერიეს თვითონ თვალითაც არ ენახა და მხოლოდ გამოანგარიშებით, გონების თვალით მიხვდა გამოჩენილი გენიოსი...

V

რიჟრაჟისას სიცივის სუსხი დიაღაც ვიგრძენით. ისევ შევსხედით ცხენებზე და გზას გავუდექით, სიცივემ ნაბდები მოგვახვევინა. დადგა წამი, როდესაც დედამიწამ, რაც გუშინ დღისით მზისგან სითბო მიეღო, ღამით მთლად დახარჯა, სივრცეში გაჰფანტა. მეტადრე ამისთანა მთა ადგილას (6-7 ათას ფუტის სიმაღლეზე), ჰაერის სითხელის გამო დედამიწა ადვილად ჰკარგავს მზისგან მიღებულ სითბოს.

ცისკრის ვარსკვლავი, მშვენიერი ერმი, ბრჭყვიალ-კაშკაშით ღამის წყვდიადს ელვასებრ მოედო და განთიადის შარავანდედმა უფსკრულს გასტყორცნა კეკლუცი ბუნების ღამის მანდილი. ვარსკვლავებმა მთლად დაკარგეს თავისი ბრწყინვალება. ოციოდე აქაიქ ძლივსღა ბჟუტავს. თვალი ვერც კი შევასწარით, რომ ყველა ვარსკვლავი სანთელივით ჩაქრა. მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავიღა დარჩა მინაზებული.

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერუთვალავს მშვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!

საათის ოთხი სრულდება და იქამდე გათენდა, რომ მსხვილად დასტამბულ სტრიქონებს ვარჩევ. აჰა, თეთრად გათენდა. მიბინდებული ცისკრის ვარსკვლავიც საცაა ჩაქრება. ფარდა აეხადა მძლავრ ბუნებას და თვალწინ წარმოგვიდგა ხელთუქმნელი დეკორაცია თავისი მშვენიერებით.

ვიშ, ამ სიტურფეს, დიდ მშვენიერსა სანახაობას! თავზე ჭეშ-
რავს მოკრიალე ლაჟვარდის ცის გუმბათი და ფერხთ უგია მწვანედ
მობიბინე, ხავერდებრი მინდორ-ველი, დილის ცვარით ნასხურები.

გათენდა, მაგრამ ალიონი კი ჯერ არსად არი.

სოფელმა გაიღვიძა. ნახირი აიშალა. დიდებულ სცენაზე მყუდ-
რო დუმილს მწყობრად მოჰყვა დიდებული კონცერტი: სტვენა-გა-
ლობა, ჟივილ-ხივილი, ჭიკჭიკ-ჭუკჭუკი, ჟივჟივ-ჟღავილი, ბზუილ-
ჭრიჭინი, შხუილ-ჩხრიალი, შრიალ-ბიბინი, ყივილ-კაკანი, ბღა-
ვილ-ბღუილი, ჭრიალ-ღრიალი, ყეფა-კნავილი, ჭყივილ-ჭიხვინი,
ყვირილ-ძახილი, მღერა-ღიღინი, სიცილ-ხარხარი, ერთობ, ერთ
ხორცშესხმული, ერთ ჰარმონიად, ერთ საგალობლად გადაქცეული
მთელ არემარეს მოერთო, სული შთაბერა.

ორ საათზე მეტმა დრომ გაიარა მას აქეთ, რაც ცისკარი ამო-
ვიდა და ალიონი კი მხოლოდ ეხლა გამოჩნდა. აგერ, აღმოსავ-
ლეთს მოეკიდა ალიონის ცეცხლი, დიდი სივრცე მუქად გაწითლდა.

მთის კალთებზე ნამძინარევი ჯანღი მძიმედ, ზლაზვნით აბარგ-
და, მაღლა-მაღლა გასწია, იქ ღრუბლად გარდაიქცა და მთებზე
მძინარე ბუმბერაზი ღრუბელნი მუჯლუგუნით დააღვიძა. ატყდა
ალიაქოთი და ფერხულჩაბმული მთელი გუნდი უშველებელი თეთ-
რი ღრუბლებისა თავშიშველა მთებს სპეტაკ გვირგვინად დაედგა.
მერე, მძიმე-მძიმედ, დარბაისლური ნელი ცურვით ჰაერი განაპეს
და ცის კამარას ფერად-ფერადად მოეფინენ.

აგერ, წავიდ-წამოვიდნენ ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჰაერის ოკეანის
ლურჯ ზვირთებში შეერივნენ და უსაზღვრო სივრცეში სურათოვ-
ნად გაიფანტნენ.

ვერ წარმოიდგენთ, რა სანახაობას შევესწარით!

სად იყვნენ, სად არა, თითქოს უდარაჯესო, უშველებელი,
მძიმე ღრუბლები ერთად დაგროვდნენ, გველეშაპივით მისცვივ-
დნენ აღმოსავლეთს, მზის სხივები მთლად შთანთქეს, ქვეყნად
აღარ გამოუშვეს...

მართლა საშინელი ბრძოლა ატყდა. უზარმაზარ ღრუბელთა
გუნდებს ამომავალი მზის სხივები შეებნენ, დასძლიეს და ამოდენა
გროვა ღრუბლებისა სისხლით შეიღება, გაიჟღინთა.

მშვენიერი ფერადებით დაიხატა ცის კამარა: დედამიწისკენ
მზის სხივებმა რომ ვეღარ გამოატანეს, ცის სივრცეში, მაღლა-მაღ-

ლა გაინაკარდეს, ცეცხლივით მოედვნენ და ცაზე დაფენილ ღრუბელთა ნაპენტებში დაიმსხვრნენ, რის გამოც მთლად ცის გუმბათი შორს დასავლეთამდე ათასფრად, საუცხოოდ აჭრელდა...

ცაში მზე იყო, ქვეყნად კი არა. ასე გასტანა მთელ საათს.

ბოლოს ჩვენკენაც გადმოსჩქეფა სიცოცხლის წყარომ. დღის მნათობმა, აღმოსავლეთის ცეცხლის ბორბალმა, უხვად მოჰფინა სიცოცხლით სავსე შვიდფერა სხივები.

ყოველი არსება, ამომავალი მზის სხივთა ძალით გაცხოველებული, ერთხმად ლხინობდა და სისხლგამთბარი, ძალაშეკრებილი მზის სხივებსავსე შეჰხაროდა, აქებდა და ადიდებდა:

„დიდება შენდა, მზეო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, დიდება შენდა, დიდებულო წყაროვ სითბოსა და სინათლისაო: შენ გვაძლევ დღეს, შენი სითბო აღორთქლავს ზღვა-ოკეანეთა, რათა შეგროვდნენ ღრუბელნი და მოუვლინონ დედამიწას სიცოცხლის მომფენი წვიმა; შენ აღვივებ და აჯეჯილებ დათესილ მარცვალს, შენ ზრდი მცენარეს, აყვავილებ და გამოიწვევ ნაყოფს, ამწიფებ ხილს; შენ ანადგურებ, ადნობ ზამთრის თოვლს, თოვლის ზვინებს და მწვანით მოსავ, ყვავილებით ქარგავ მინდორ-ველთ, ჭალებს. შენ აყვითლებ ოქროსფრად ჩვენს მსაზრდოებელ ყანებს და ამწიფებ გულის მომლხენ ყურძნის მტევნებს; უშენოდ ჩვენ ჩავცვივდებით საუკუნო წყვდიადში და შევიმოსებოდით სიკვდილის მომფენ ყინვა-სიცივით; უშენოდ ყოველივე სიცოცხლე მოისპობოდა, გაქრებოდა; ყოველივე ცხოველი და მცენარე და თვით ჩვენც, „მეფენი ბუნებისა“, გავწყდებოდით, რადგან საცა მზის მადლი, სითბო და სინათლე არ არის, იქ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია“.

მაშ, მზისკენ, ბატონებო, მზისკენ!

მზისკენ შენ, მდიდარო, პალატებში ფუფუნებით გაყვითლებულო!

მზისკენ შენ, ღატაკო, სარდაფებში, მიკრობებით დამპალო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

ტაბაწყურის ტბა

I

უკვე ავცილდით ბაქან-ბაქან სახნავ-სათესად მოკავებულ მთის კალთას და ფერდობს ვეწიეთ, როდესაც შორით მოგვესმა ცისკრის ზარი და ჩვენთან ერთად ყოველი სული აქებდა და მადლობდა ზესთა-ზენას, ცისა და ქვეყნის დამბადებელსა. დიდი მანძილის გავლა აღარ დაგვჭირდა, პატარა ხევი გავიარეთ და ჩამოვხდით ერთ სტუმართმოყვარე მემამულესთან სოფელ კაჭიოში. ჩვენი სახლობა აქ გვიცდიდა, რომ ამავე დილით წავსულიყავით ტაბაწყურის ტბის სანახავად. სოფელ კაჭიოდან, მარიამობისთვის 30-ს, დილაადრიან, ქალები ურმითა და კაცები ცხენებით, შევუდექით შელმართ გზას. გზაზე შეგვხვდა სოფლები: ალათუბანი, ბალანთა, ბეჟანო და ჭიხარულა. აღმოჩნდა, რომ ჭიხარულამდე (მთის ძირასაა) კიდევ შეიძლებოდა რაიმე ეტლით მოგზაურობა, მაგრამ ქალებისათვის ისევ მეფე ერეკლეს ფაეტონი ვარჩიეთ, რადგან ჭიხარულას ზევით საეტლო გზა სრულებით აღარ არის.

ორშაბათი დღე შეგვხვდა. მინდვრებში გაცხარებული მუშაობდნენ, სარჩო-საკვების ჩაკვლევა-დაბინავებას ეშურებოდნენ. ზოგი ყანას თიბავდა, ზოგი ბულულებად დგამდა, ზოგიც საძნე. ურმით შინ მიეზიდებოდა. ჩვენ გასაკვირველს დავრჩით, ზოგი პურის თავთავი ჯერ ისევ მომწვანოდ ბიბინებდა. ხვალ-ზეგ კი ენკენისთვე დგება და ეს ყანა მაშ როდისღა უნდა გათიბონ! აქ, ჯავახეთში ყანის მკა არსად იციან, რადგან ჭირნახულის ღერო, ზრო, ისე მაღალი არ იზრდება, როგორც ქართლ-კახეთ-იმერეთში და ბზე კი ძლიერ საჭიროა.

ყანებს, ანუ ანეულებს ჯავახეთში ასე ამზადებენ: პირველ წელიწადს არსად დათესავენ, ხოლო მკათათვეში ბალახს მოსთიბავენ და მაშინათვე ათი წყვილი ხარით მოხნავენ. მეორე წლის გაზაფხულზე ამ ყანაში დათესავენ პურს ან ქერს, სახნისით ჩახნავენ და ფიჩხის ფარცხით დაფარცხავენ, მესამე წელიწადს ამავე ყანაში კვლავ მოუხნავად დათესავენ, კვლავ სახნისით ჩახნავენ და მერე დაფარცხავენ. მეოთხე წელიწადს კი ისევ თავიდან იწყებენ, ე. ი. ხელახლა მოხნავენ და სხვა.

საკვირველია, ან კი როგორ ასწრებს პური შემოსვლას? შემოდგომით დოლის პურის თესვა აქ იშვიათად იციან (ახლა და ახლა კი უფრო შემოიღეს), ყველანი დიკას და ქერს თესავენ გაზაფხულობით ანეულებში და მაისის ბოლომდე ძლივს ათავებენ. მეტადრე მთის ფერდოებზე ანეულებში ზოგ წელიწადს თოვლი მაისის ბოლომდე ძევს, ასე რომ, შიგადაშიგ ჭრელად თესავენ, რა ალაგსაც თოვლი აღებულია.

მახსოვს, 1896 წელს, გაზაფხულზე თოვლი ძლიერ გვიან წავიდა და მერე განუწყვეტელი წვიმები მოჰყვა. ბარში ძლივსძლიობით თიბათვის ნახევრამდე გაათავეს თესვა, ხოლო მთა ადგილებში ალალ ბედზე თიბათვის ბოლოს გადაყარეს ხორბალი ხნულებში და სრულებით დაკარგულად მიაჩნდათ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ წელს საუკეთესო მოსავალი იყო მთაშიაც და ბარშიაც! ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ შემოდგომით ჩვეულებრივმა ყინვამ ვერ უსწრო, რის გამოც მარცვალი მშვენივრად დასრულდა, დამწიფდა. ამგვარად, ბევრს სანანურად დარჩა: რატომ ღმერთს არ ვანდეთ, რატომ ბევრი არ დავთესეთო!

დიაღ, ღვთის კურთხეული მძლავრი ბუნება თითქოს განგებ ხელს უწყობს მიწის მუშას, გულს უსრულებს და ოფლის დაგვარად აჯილდოვებს.

სოფელ ჭიხარულში გაჩაღებული კალოობა იყო. შემოდგომის მზე საკმაოდ უგზავნიდა მოჭირნახულეს მადლით მსურვალე სხივებს.

ჩვენს ქალებსაც გულმა ვერ გაუძლო — „კალო უნდა დავძლიოთო“ — და ატეხეს ერთი ჟივილ-ხივილი!

ხშირად შეხვდებით ჯავახეთში შემდეგ სურათს: მთები დიდი ხანია ჩამოთოვლილია, კალოზე გაცხარებული მუშაობაა და კალოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარშემოც თოვლის ზოლი შემოვლებია, რომელიც მზის შუქზე ძალზე ბრწყინავს — თვალს ნაპერწკლებს ესვრის.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, სად არის ერთი კარგი სალეწი მანქანა, მთელ ჯავახეთს ერთ თვეზე ჭირნახული გაულეწოს და ხორბალი პატრონს ჩააბაროს? რამდენი მარცვალიც ახლა საძაღლღორედ ხდება, მანქანის ქირას მარტო ეს აუვიდოდა, ეყოფოდა: მაგრამ რას იზამთ, რომ აქაური გლეხებისათვის საქონლის საკვები, ბზე იმდენათვე საჭიროა, რამდენადაც თავის საკვები პური. მანქანა კი ბზეს არ იძლევაო, და თუ იძლევაო, ისიც არ ვარგა, რადგან კევრივით ვერ ლეწავს, ვერ არბილებს, დაჭრილივით გამოჰყავსო.

მაინც შორს არ არის ის დრო, როცა კულტურა თავისას გაიტანს და ამ მიყრუებულ ადგილშიაც ორთქლი ანუ ბუნებრივი მუქთი ძალა, მდინარე წყალი, დაატრიალებს მანქანებს და მით მუშა კაცს შეენახება ძალ-ღონე და ორმო-ბეღელშიაც მეტ სარჩოს ჩაჰკვლევს.

II

გზა ჭისარულიდან აღმართს ასდევს. ქედზე რომ ავედით, ჩრდილოეთიდან ცივმა ნიავმა საამოდ დაუბერა. თუმცა ტბა ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ ეს მისი სიო იყო. ურემი გავაჩერეთ, სერზე გადმოვდექით და გადმოვხედეთ ჯავახეთის დაცემულ უტყეო ვაკეს, ტიტველა მთებით შემოზღუდულს. საქონელმა დაიშოშინა, ფერდის ქარი ამოიღო, მეურმე ფედემ წეკო გვიხრჩოლა და ჩვენც, შესვენებული, მრისხანე ბუნების ცქერით ნასიამოვნები, ისევ გზას გავუდექით.

გზაში დიდი მოძრაობა იყო, თითქმის განუწყვეტლივ გვხვდებოდნენ წინ თივით და ძნით დატვირთული ურმები. საწყალი ჩვენი ურემი რამდენჯერმე კინაღამ არ გაიტანეს. ამ შემთხვევაში ჩვენი თანამგზავრის „ყოვლად შემძლებელმა კოკარდამაც“ კი ვერ გვიშველა. მართლაცდა მოდი, უბრძანე, გზა აუხვიონ, როდესაც მთის გვერდელა ვიწრო გზაზე დალმა მოაქანებენ უშველებელ საძნე ურმებს. ახლა ვითომ რაო?! ანკი რა უფლება გვქონდა ზვიადობა-ყოყოჩობისა?! ხალხი დღე-ღამეს ასწორებს, ჭიანჭველასავით შრომობს,

სარჩოს ჩაკვლევა-ჩაბინავებას ეშურება, რომლითაც ჩვენ უნდა ვეგ-
მოგვკვებოს და ჩვენ კი, უქმ ხალხს, სასეირნოდ მოგვიცლია —
აგვიღია თავი და ჭრიჭინასაებრ საქეიფოდ დავხტით. რაღა სამარ-
თალით უნდა დავუყვიროთ: „ხაბარდა, ჩამოდექით, გზა მოგვეცით,
ხომ ხედავთ, მოვბრძანდებით და თქვენი სარჩოთი დატვირთული
ურმები კი ტბაში გადაყარეთო!..“

კაცი ის არის, ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით, ძლიერით,
დედამიწასა და მის წიაღსა,
ღვთისა მადლობით, მხიარულობით,
აპობს და არღვევს, დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს,
და იმ ტკბილ ნაყოფს ქვრივ-ობერს უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს!..

დიაღ, ბატონებო, ჩვენ გვმართებს მოდრეკა ამაყი ქედისა მი-
წის მუშაკის, მოჭირნახულის წინაშე.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა და ამ აზრებით არ იყო გამსჭვა-
ლული ჩვენი მამაცი „ჩინოსანი“. განრისხებულმა ორიოდჯერ
„ხაბარდაო!“ — დაიჭყივლა და მისმა მათრახმა ძალზე დაიწყო
ჰაერში ზუზუნი — საბრალო მეურმეებს გაუხურა ბეჭები, რატომ
გზა არ მოგვეცითო...

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა „ძმობა, ერთობა“,
და სიყვარულით აღვსილი გულით
დავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება.
ვინც საქმით ქველით, გონებით, სწავლით,
მიახლოვდება მაღალს ღვთაებას;
ვინც სცდილობს მისწვდეს და ჭკუით მიხვდეს
საღმრთო განგების იდუმალ ნებას.

ასე, ჩემო ბატონებო, ჩვენმა „ჩინოსანმა“ მათრახები გადაუ-
ჭირა საბრალო მეურმეებს, რატომ გზა არ მოგვეცითო! ვერ წარ-
მოიდგენ მკითხველო, რა ჩუმი პროტესტი იხატებოდა ამ დროს
გლეხის თვალებში! ერთი კი შემოგვხედა განუსაზღვრელი სიმ-
ძულვარით, მერე აიღო გადაგდებული ქეჩა-ქუდი, გაიბერტყა, დაი-
ხურა და ჩვენი თავი ისევ პირუტყვთ ანაცვალა, ხარ-კამეჩს მიუა-

ლერსა, „ხიო-მოდი-ჰო“-თი ურემი გზას გაუყენა და ნაღვლიანი ღიღინით გასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დიდად შეურაცხყოფილი დავრჩით „ჩინოსანის“ უსამართლო ქცევით, რისთვისაც ცხარე კამათიც მოგვიხდა. ერთმა ქალმა კიდევ ურმიდან უკიჟინა: „ღორს ღმერთმა რქები არ მისცა, თორემ ქვეყანას ამოაგდებდაო“.

ბოლოს და ბოლოს, იმაშიაც კი ვერ დავითანხმეთ, ვერასგზით ვერ დავარწმუნეთ, რომ იგი „ჩინოსანი“ ხალხის, გლეხკაცის მსახური არის. მისი აზრი მოკლედ რომ გადმოგცეთ, გამოდის, რომ ღმერთს ჯერ ჩინოსნები შეუქმნია და მერე მათთვის ხალხი გაუჩენია.

ეჰ, რას იზამთ... შუა საუკუნების ნაანდერძევი იდეები ჯერ გვიან აღმოიფხვრება საქართველოში...

არა, ბატონებო! „კაცი კაცის წამალია“. ცხოვრების ასპარეზზე შრომა განაწილებულია. ჩვენ ყველანი ერთმანეთის მსახურნი ვართ: მღვდელი მსახურია ერისა, ერი მსახურია მღვდლისა. ყველანი ერთ აზრს, არსებობის იდეას ვემსახურებით და არსებობის გასაუმჯობესებლად ვიბრძვით, ვიღვწით. ხოლო ის, ვინც ყოვლად უშრომლად სხვის ოფლსა ჭამს, სხვას იმსახურებს და თვითონ კი სხვას არ ემსახურება, მუქთახორად, პარაზიტად ჩაითვლება.

III

რამდენიც კუს ნაბიჯით ჩვენი ურემი წინ მიჭრიალებდა, იმდენად ტბა უფრო და უფრო გამოჩნდა. მოვედით სოფელ მოლითში, რომელიც ტბის კიდეზე მდებარეობს და გორის მაზრაზეა მიწერილი. საჩივარი რომ ჰქონდეთ, მოლითელები სურამს უნდა წავიდნენ. ამ სოფელშიაც ქართველების ნანგრევებზე არზრუმიდან გადმოსახლებული სომხობა ცხოვრობს, მაგრამ აშკარაა, რომ უწინ ქართველობა ან აქედან გადასულან იმერეთის მოლითში, ან იქიდან აქ. იქ გამძვინვარებულმა ბატონ-ყმობამ და აქ ოსმალთა ძალმომრეობამ განა მარტო ამისთანა საქმენი ჩაიდინა, აქედან მაჰმადის რჯულს გაურბოდნენ და იქიდან აულაგმავ, გამხეცებულ ბატონებს.

მოლითს კარგა რომ გავცილდით, ანკარა, მშვენიერი ლაჟვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისფერი ტბა სრული სივრცით გამოჩნდა, რომლის ზეციერი ზეფიროსი არხევდა-აბიბინებდა. ცელნამგალა თეთრი ფრინველნი მოციმციმე ტბას ეტრფოდნენ, ეცელქებოდნენ, მიწყნარებულ არე-მარეში სიცოცხლეს ჰფენდნენ.

კვლავ შემოგვხვდნენ წინ აუარებელი საძნე ურმები, რომელ-ნიც საკვირველად აქვთ მოწყობილ-მოხერხებული ამ მთა ალა-გებისათვის. ჩვენებურ საძნე ურემზე ბევრად დიდია, დამყარე-ბულია დაბალ ფიცრულ თვლებზე, რომელნიც ღერძზე უძრავად არიან დამაგრებული და ღერძთან ერთად ტრიალებენ. თავდაღ-მართისთვის თავღორა ურმის ხელნები მარჯილის თავებივით არიან მოწყობილ-მოხრილი, აღმართისთვის ბოლოთრია აქვთ მობმული და ისეთ აყუდებულ მთის ფერდობზე აღმა-დაღმა, უგზო-უკვლოდ გაატარებენ ხოლმე, რომ კაცი განცვიფრდება.

„ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო". მოდი და ამათ ახალი რამ სისტემის ურემი ურჩიეთ და ისიც რკინით გა-წყობილი!

ტბის დასავლეთით, მოლითის მთის გვერდზე დავინახეთ სა-ზაფხულო ფარდულები, სადაც ტახტის მემკვიდრე, დიდი მთავარი გიორგი, ზაფხულში რამდენიმე თვით ცხოვრობდა თავისი ამა-ლით. მართლაცდა ეს ზღვისოდენა ცისფერი ტბა, შემოზღუდულ-შემოფარგლული უზარმაზარი მთებით და ეს გრილი, საღი მთის ჰაერი, სურნელი ბალახ-ყვავილების ფშვინვა-სუნოქვით შენელე-ბული, სახარბიელოა ჯანის სიმრთელისათვის.

ჩვენმა ურემმა 15 ვერსზე მეტი იჭრიალა, იჭრიალა, ბევრს ხიფათსაც გადარჩა, მაგრამ მაინც მშვიდობით მოგვიყვანა სოფელ წითელ საყდარში.

ნინო-ღელას[1] მთის კალთა დინგივით შესულა ტბაში, ასე რომ, ნახევარკუნძულს წააგავს. ამ მიწის ნაჭერზე არის ქართველთა ძველი ნასოფლარი, რომელსაც ეწოდება წითელი საყდარი, ანუ თათრულად ყიზილ-ქილისა, როგორც ახლა ეძახიან.

---

1 მთის თავზე არის ეკლესია წმ. ნინოსი, ზაფხულობით ეხლაც მიდიან სა-ლოცავად. აქედან წარმოდგა სახელი ნინო-ღელა.

ქართველების აქ ოდესმე გაძლიერებული ცხოვრების უტყუარი მოწამე ერთადერთი ნაშთია ძველი ეკლესიისა. ჩვენ სრული ბრალდ გვქონდა, რომ ამ ეკლესიის წითელთლილი ქვით ნაშენ კედლებზე რაიმე წარწერას ვიპოვიდით, მაგრამ, როგორც ხალხმა აგვიხსნა, რაც წარწერები იყო, ციციანთ წაიღეს რაღაც დავის დასასაბუთებლადაო, რადგან ბორჯომის მამულის მომიჯნავენი არიან და თავის მიჯნას ამ საყდრის ნახევრამდე ასახელებდნენო. ეხლა კი, საციციანოს საზღვრამდე აქედან ბარე ხუთი ვერსი არისო...

ეკლესიის კედლები თუმცა ჯერ მაგრად დგანან, თაღი კი ნახევრამდე ჩამონგრეულა და მეორე ნახევარიც დღე-დღეზე აპირებს ჩამონგრევას და მით მოისპობა ფაქტიური მოწამე ქართველთა აქ ოდესმე ბატონ-პატრონობისა.

ერთმა ბერიკაცმა მიამბო:

„უწინ საქართველოს აქ მეფობის დროს, თურმე ამ სოფელს სპარსნი დაეცნენ და სწორედ აღდგომა ღამეს, ცისკარზე ეკლესიაში მთლად ამოწყვიტეს ქართველნი. მათი სისხლით ეკლესიის კედლები სრულიად წითლად შეიღება. აღარ დასცალდათ, არ ეღირსათ უბედურებს წითელი კვერცხების გაფცქვნა. მას აქეთ დაერქვა ეკლესიას ყიზილ-ქილისა და სოფელმაც მიიღო სახელად წითელი საყდარიო“.

„ეჰ! არც ჩვენები აკლებდნენ თათრებს: იმათი ბაბრამი რომ მოვიდოდა თურმე, ჩვენებიც, ღვთის წყალობა გაქვსო, სამაგიეროს გადაუხდიდნენ ხოლმე“, — დაუმატა მეორე ბერიკაცმა.

მე კი, ჩემს გულში ვიფიქრე: ღმერთო ჩემო, კაცმა რომ ჩაიხედოს წარსულის ისტორიაში, რამდენი მილიარდი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა რჯულისა და სარწმუნოების სხვადასხვაობამ! ნეტა როდის დადგება ის ნეტარი დრო, მაცხოვრისაგან აღთქმული, რომ ერთი სამწყსო იყოს და ერთი მწყემსი ჰყავდეთ, განაგებდეს ამ აუარებელ მილეთის კაცობრიობას? ნეტა როდის შეწდება სიმძულვარე რჯულის გამო იმ ხალხთა შორის მაინც, რომელნიც ერთსა და იმავე ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებენ.

ეჭვი არ უნდა, დაუდგება კაცობრიობას ეს ნეტარი დროც, მაგრამ დაუდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც განათლება-ცივილიზაციის სხივი დათრგუნავს რელიგიურ ფანატიზმს და სწავლა მეცნიერება კაცობრიობას ერთი აზრით შეაერთებს, ძმობასა და სიყვარულს განუმტკიცებს...

ამჟამად სოფელ წითელ საყდარში 49 კომლი სომხობაა, ერთ-კომლიც ქართველი გამორეულა წამლად. ჩვენი ურემი ბანით დახურულ სომხის ეკლესიასთან გავაჩერეთ, რომლის ეზოშიაც ვაპირებდით დასვენებას, მაგრამ გამოჩნდა ერთი სტუმართმოყვარე კაცი, რომელმაც ძლიერ ითაკილა, იწყინა ჩვენი ამგვარი საქციელი და თვითონ გაგვიმასპინძლდა.

არზრუმიდან გადმოსახლებულ სომხობას ყველგან თავისი შნო მოუტანია; დარწმუნებული ვართ, როცა ამ ნასოფლარზე დასახლდნენ (1828—30 წ. წ.), ორიოდე ხე მაინც იქნებოდა ამ ტბის პირას და, თუმცა ბორჯომის ტყე ახლო აქვთ, მაგრამ წივის „ნაზუქებს" აქაც შეხვდებით ქვაზე გაკრულს, მზეზე გამოსაცხობად, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო...

ტაბაწყურის ტბა ფარვანის ტბაზე ცოტა პატარაა, გარშემო ოცი ვერსი იქნება და უფრო გრძლად არის წასული. ჩვენმა მასპინძელმა გვიამბო, აქ ადრევე ვიღაც „ჩინოვნიკები" მოვიდნენ და ამ ტბის სიღრმე გაზომესო, ზოგ ალაგას 60 საჟენი სიღრმე აღმოჩნდაო.

გაგონილი გვქონდა, ტაბაწყურის ტბა თამარ მეფემ მდ. ქციიდან ადინაო. ჩვენმა მასპინძელმა კი დაგვარწმუნა, ვახტანგ მეფის ნახელოვნარიაო.

უზარმაზარი მთის გადაღმიდან მდ. ქციის წყალი არხით წამოუღიათ და ამ მთათა შუა ვაკე, ჩავარდნილ ალაგას ტბა შექმნილა, რომელიც ჟენევის ტბას ბევრად ჰგავს და მთელ ჯავახეთს დაჰყურებს. მდ. ქცია ტბის გარშემორტყმულ მთათა ქედის უკან მომდინარეობს და წალკისკენ მიდის, ვინც ამ ტბას და მდ. ქციის შუა მდებარე ბუმბერაზ მთებს ნახავს და მანძილსაც ივარაუდებს, მხოლოდ მას შეუძლია წარმოდგენა იქონიოს, რა უნარის პატრონიც ყოფილა ჩვენი ხალხი.

ტბას თვითონაც აქვს ანკარა წყარონი და მეტადრე შავნაბადა მთის კალთიდან ცივ-ცივი ნაკადულები საამოდ გამოჩუხჩუხებენ. ამიტომაც ხალხი ზამთარ-ზაფხულ ტბის გემრიელ წყალს ხმაროობს სასმელად.

ქცია მდინარიდანაც, უეჭველია, წყალი უდენიათ, რადგან არხი, ნარუალი, დღესაც ეტყობა, მაგრამ მე მგონი, უფრო იმ აზრით, რომ ქციის გემრიელი კალმახი ამ ტბაშიც მოშენებულიყო. ჩემმა

ღმერთმა, ძნელია კალმახის მომრავლება, ალაგი კი მოეწონოს. ... ყოველწლივ თითო კალმახი 25 ათასამდე კვერცხს (ქვირითს) აშ-ზადებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს პირის პატივი და გასტრონომიული გემოვნება!

როგორც ჩანს, დიდებული მეფის, დავით აღმაშენებლის ეპიტაფიიდან, ჩვენს მეფეთ დიდად ჰყვარებიათ და სასახელოდაც მიაჩნდათ თევზთა მომრავლება:

> როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
> თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს
> თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
> აწ ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.

IV

ალექსი სანდაძე, ჩვენი მასპინძელი, იქამდე საინტერესო კაცი აღმოჩნდა, რომ არ შემიძლია მკითხველსაც არ გავაცნო. ეს ალექსი — სომეხია და მისი ძმა მოსე — ქართველი.

„პაპაჩვენი ქართველი იყო, — აგვიხსნა ალექსიმ, და ძალიან მიღებული კაციც ყოფილა ოსმალების აქ ბატონობის დროს. ოსმალოს მთავრობისაგან ბევრჯერ იყო თურმე გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან. მერე, პაპაჩვენი რომ დაქვრივებულა, ახალციხეში ერთი სომხის ქალი შეჰყვარებია. ქალს თუმცა საქმრო მოსწონებია, მაგრამ თავისი რჯულისათვის არ უღალატნია, პირობად ის დაუდვია, თუ შვილებს სომხად მონათლავ, შეგირთავ, თუ არა და არაო. ცხონებულიც დათანხმებულა, — მამაჩვენი სომხად მოუნათლავთ. თავისი ახალგაზრდობის შეცდომა პაპაჩვენს გულში ბოღმად დაჰყოლია და ღრმა მოხუცებულობის დროს ეთხოვა თავისი შვილისთვის, მამაჩემისათვის „არ მინდა, შვილო, რომ ჩემი სახსენებელი გაწყდეს და ჩემი სანთელი გაქრესო, შენი სიყრმის შვილი მე მაჩუქე, ქართველად მოვნათლო და გავზარდოო“. მამაჩემსაც ერთი ვაჟიშვილი ცხონებულისათვის დაუთმია, ჩემი ძმა მოსე, ეხლა ჩვენ სომხები ვართ და მოსე — ქართველი“.

„მართალი ხარ, ალექსი“, — უპასუხა ჩვენმა თანამგზავრმა ბ. თმოგველმა, — სომხის ქალებს მე კარგად ვიცნობ, ეგენი ძლიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცენი არიან თავის ეროვნებაზე და რჯულზე და, რაც უნდა ხარბიელო შემთხვევა მიეცეთ ცხოვრებაში, თავის ხალხს, ეროვნებას მის დღეში არ უღალატებენ. ვიცი, რომ ევგენი ყოველთვის მზად არიან მტლედ დაედვან თავის სამშობლოს, მაგრამ ესეც კი უნდა გითხრა, ჩემო ალექსი, რომ თუმცა ეხლა შენ ქრისტეს სარწმუნოება სომეხ გრიგორიანთა ტიბიკონზე გიჭირავს, მაგრამ მაინც ქართველი ხარ და არა სომეხი, ქართველის სისხლი გიცემს მაგ გულში. ქრისტიანები ხომ ყველანი ერთს ჭეშმარიტს ღმერთს ვაღიარებთ, და ერთ სწავლა-მოძღვრებას ვასრულებთ, ქრისტე მაცხოვრისაგან დაწესებულს და მაშასადამე, მარტო ტიბიკონმა და რწმენის ფორმამ განა შეიძლება შესცვალოს ადამიანის ბუნება, ეროვნება, მოდგმა, სახე (ტიპი), ზნე-ხასიათის თავისებურება, ენა და ჩვეულება?! მაგალითად, აი მე ახლა გვარ-ტომობით, ეროვნებით ხომ ქართველი ვარ, ხომ ქართველის სისხლი მიდგია?..

— დიაღ, ქართველი ბრძანდები და...

— მოიცა, მოიცა, ალექსი, ხომ ქართველი ვარ ბუნებით, მაგრამ სარწმუნოებით ქრისტეს აღმასრულებელი ვარ ბერძნის კონდაკზე და ამისათვის მართლმადიდებელს მეძახიან.

— ჰოდა, ქართველი ბრძანდებით!

— კარგი და პატიოსანი. მე რომ ახლა ქრისტიანული წესი, ვთქვათ, კათოლიკე დოღმატით და მათ ტიბიკონზე ვასრულო, მაშინ ვინ ვიქნები?

— ფრანგი...

— რას ამბობ, კაცო! როგორ თუ ფრანგი? სიტყვა ფ რ ა ნ გ ი ხალხის სახელია და არა სარწმუნოებისა... ფრანგებს ხომ ფრანცუზებს ეძახიან, ხომ გაგიგონია საფრანგეთი ანუ ფრანგისტანი (თათრულად)?

— ჰაი, ჰაი, რომ გამიგონია!..

— ჰოდა, ფრანგისტანი ქვეყანაა და ფრანგები ან ფრანცუზები ხალხია, მისი მკვიდრი.

მაშ საკმაო ყოფილა, კაცმა კათოლიკე სარწმუნოება მიიღოს და ის არის და ის, თუგინდ თარაქამა იყოს, თუგინდ ლეკი-ჩერქეზი, მაშინათვე ფრანცუზად, ფრანგად იქცევა?! თუ არადა, შე დალოცვილო, არაბი, ლეკი, ოსმალო, ყიზილბაში, ქურთი და არ ვიცი, კიდევ რამდენი სხვა, ეს ამოდენი მილეთის ხალხი ყველანი მაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადის რჯულს აღიარებენ. მაგრამ ჯიში, გვარ-ტომობა, ხალხობა ნობა კი სხვადასხვა აქვთ. ჰერიჰა! რა ქვეყანაში იტყვით და რა ხალხში გინდათ, რომ მისიონერები კათოლიკე სარწმუნოებას არ ავრცელებდნენ, მაშ აისორები, ჩინელნი, შავკანიანი ზანგნი, ინდოელნი, არაბნი ყველანი ფრანცუზები დახდებიან!.. თუკი არიან სომეხი კათოლიკენი; სომეხი ლოტრანგი და სხვა, რატომ არ უნდა იყოს სომეხი მართლმადიდებელი, ქართველი გრიგორიანი, ქართველი კათოლიკე, ქართველი მაჰმადიანი და სხვ... ჯ ი შ ი, მ ო დ გ მ ა, ი ე რ ი, ე ნ ა, ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა სხ ვ ა ა რ ი ს დ ა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა სხ ვ ა ა. ქართველებმა, რუსებმა და თითქმის მთელმა სლავიანებმა, რომელნიც წინათ კერპთმსახურნი იყვნენ, ყველამ ბერძენთაგან იცნეს ჭეშმარიტი ღმერთი; ბერძენთაგან მიიღეს ქრისტე მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება და ერთსა და იმავე მართლმადიდებელი ეკლესიის ტიბიკონით ასრულებენ სარწმუნოებრივ წესრიგს. მაშ, საცა სამართალია, ჩვენ ქართველნი კი აღარა ვართ და რუსები რუსები კი აღარ არიან, არამედ ბერძნები ვყოფილვართ. დიაღ, როგორ არა! აბა ერთი, თუ თავი მოგძულებია, აფრიკაში მცხოვრებ შავკანიან აბაშელს უჩურჩულე, რადგან მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ, მაშ ქართველი ან რუსი ყოფილხარ-თქო... რუსნი, ბალგარნი, სერბნი და სხვ. ხომ ყველანი მართლმადიდებელნი არიან, ხომ ყველანი სლავიანთა მოდგმათ ეკუთვნიან, მაგრამ სარწმუნოებას ვინ უყურებს, ყველანი სულ იმის ბრძოლაში არიან, მტკიცედ დაიცვან თავიანთი ეროვნული ვინაობა, ნაციონალური თავისებურება, ზნე-ხასიათი, საკუთარი ენა და ჩვეულება. არა, ერთი ეს მიბრძანეთ, ვინ გასცვლით თქვენს მშობელ დედას დედინაცვალზე? ეჰ! რას ამბობ, ალექსი, როცა ხბორები დაერევიან ხოლმე ძროხების ნახირს, ვის გინახავთ, რომ ხბო განურჩევლად მივარდეს რომელიმე ძროხას და თავისი მშობელი დედა არ მონახოს, თუმცა კი ბევრჯერ სხვა ძროხის ჯიქანი (ცური) უფრო გატენილია რძით. აბა ცხვარი ხომ სულელია, უტვინოა, და გინახავთ როდისმე, რომ მთელ ფარა ცხვარში გარეულმა ბატკნობამ თავისი დედა არ მონახოს და სხვის ძუძუს დაუწყოს წოვნა?

— რა ვქნათ, ბატონო, რა რჯულზედაც მამა მდგარა, ჩვენც იმ რჯულზე უნდა გავიაროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ვინ გეუბნება, კაცო, უეჭველად რჯული გამოიცვალეთ, რატომ იმას კი არ ამხელ, რა ეროვნებისაც პაპაჩვენი იყო, ჩვენც იმ ეროვნებას ვეკუთვნითო? რა ვუყოთ, რომ პაპაჩვენი სამი თითით იწერდა და ჩვენ ახლა ხუთი თითით ვიწერთ პირჯვარსო...

— Ну, довольно... Охота тебе... Ведь все равно, ничем не убедишь. Он же не настолько развит, чтоб мог отличить народность от вероисповедания — простой народ о национальности судит по религии, — თმოგველს ჩამოართვა სიტყვა ბატონმა ვარძიელმა და განაგრძო:

— საკვირველია, ღმერთმანი, რად არის მდაბიო ხალხი ასეთი დამახინჯებული აზრისა, რად ურევს რჯულსა და ეროვნებას ერთმანეთში? რად უყურებს ასე ადვილად ადამიანის ბუნების გადაგვარებას! ამ შემთხვევაში პირუტყვები ბევრად მაღლა დგანან პირმეტყველებზე.

აი, რამდენიმე მაგალითი კიდევ ავიღოთ თვით ბუნებიდან და ვნახოთ მოდგმისა და გვარის ანუ, უკეთ ვთქვათ, მსგავსის შესახებ ბუნებას რა კანონი დაუწესებია და რა წესს იცავს.

გუგულისთვის ბუნებას გუგულობა დაუწესებია, კაჭკაჭისთვის — კაჭკაჭობა, თუმცა კი ორივენი ფრინველებად გაუჩენია. გუგული მოგეხსენებათ, მის დღეში ბუდეს არ იშენებს და თავის კვერცხს ათასნაირი ხერხით და მოტყუებით ტყის პატარა ფრინველთა ბუდეებში სდებს. იმათ კვერცხებს ერთ თავისასაც მიუმატებს ხოლმე და გამოჩეკა-გამოზრდასაც ამ გაბრიყვებული პატარა ფრინველის თავში საცემად ხდის. მაგრამ არავის გვინახავს, რომ გუგულის კვერცხიდან გამოჩეკილი ბახალა იმ თავის ამხანაგებს დამსგავსებოდეს, რომლებთანაც ერთსა და იმავე ბუდეში და ერთისა და იმავე დედა ჩიტის მზრუნველობაში იკვებებოდა-იზრდებოდა. გუგულის ბღარტი დაჩრიხვდება თუ არა, ამოფრინდება დედინაცვლის ბუდიდან და მაშინათვე თავისებურად გუ-გუ-გუს გაჰყვირის ჭალატყეში. დაბრიყვებული ჩიტის ბარტყები კიდევ თავიანთებურად, მამა-პაპის ჰანგზე გალობ-ჭიკჭიკობას იწყებენ და დიდად უხარიათ, რომ ის არამკითხე, მუქთახორა სტუმარი თავიდან მოშორდათ.

ავიღოთ თუნდა შინაურ ფრინველთა მაგალითიც. ვინ არ იცის, რომ ქათმისაგან გამოჩეკილი იხვის ჭუჭულები თავის ენას, ზნეჩვეულებას და ხასიათის თავისებურებას არ ჰკარგავენ. მთელ ეზოში თუნდ ერთი იხვიც არ მოიპოვებოდეს, რომლისაგანაც შეეძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ მაგალითის აღება, მაინც ჭუჭულები წყალს ეძებენ საჭეპალაოდ და ქათამ-კრუხი კი კუტკუტით ხმელეთისაკენ უძახის და საშინლად წუხს: ვაიმე, მიშველეთ, ხალხნო, წყალში წიწილები მეხრჩობიანო! კრუხის კუტკუტს, მის მზრუნველობა-გაფრთხილებას მხოლოდ მისი საკუთარი წიწილები ემორჩილებიან, რადგან კრუხის ენა ესმით და დაშინებულნი გარს ეხვევიან — ჭუჭულების მაგალითს არ მისდევენ. ამ დროს იხვი-ჭუჭულები კი წყალში ნავარდობენ, ჭყუმპალაობენ, ყურყუმალაობენ და დასცინიან კრუხს: რას კივი, ჰეი! რამ გამოგაჩერჩეტა შენ; ჩვენო დედინაცვალო? ღმერთმა ბანდიანი თითები იმიტომ მოგვცა, რომ წყალში ვიცურაოთო!..

ეჰ, რომელი ერთი ვთქვათ... ამისთანა მაგალითები ყოველ ცხოველთა შორის მრავალზე უმრავლესია...

ბუნებაში, აი, ასეა გაძლიერებული პრინციპი პიროვნების შენახვისა. ასე მტკიცეა მემკვიდრეობითი, ჩამომავლობითი ძალა და თუ სახე მსგავსისა თანდათანობით უმჯობესდება, ვითარდება და ოდესმე იცვლება, იცვლება შეუმჩნევლად, მიკროსკოპულად და ისიც მხოლოდ ათი ათასი წლობით, ბუნებითი შერჩევისა და არსებობისათვის ბრძოლის გამო.

ადამიანიც იმავე ბუნების შვილია და იმავე ბუნების გარდაუვალ კანონს ემორჩილება, მაშასადამე, ყოვლად შემცდარია ის აზრი, ვითომ ადამიანის გადაგვარება მაგრე ადვილი იყოს. საკვირველია ღმერთმანი, ადამიანი თითქოს ყველა ცხოველზე მაღლა დგას და, მაშ, რაღა დაემართა, რომ ასე ამახინჯებს ბუნების დედააზრს; ასე ადვილად რად უყურებს გადაგვარებას!

ბ. ვარძიელის სიტყვამ ყველანი გულისხმას ჩაგვაგდო. მართლაცდა, აბა გადაათვალიერეთ ჩვენი წარსულის ისტორია. რა იქნა, როგორ დაკარგა საქართველომ ეს ზემო ქართლი, მესხეთ-ჯავახეთიდან მოყოლებული ჰასანყალა-ტრაპიზონამდე?..

პოლიტიკური გარემოება შეიცვლებოდა თუ არა, თითონ ქართველებივე, განსაკუთრებით მაღალი წოდებისანნი, დღეში ათჯერ ფაშასთან გარბოდნენ საზიზღარი ბიზღილით თავიანთ მოძმეზევე, და თვითონვე ეხმარებოდნენ ფაშას ქართველი ხალხის გადარჯულების, გადაგვარების საქმეში. ნაცვლად ამისა, ფაშა, რასაკვირველია, აძლევდა ამ პირთ, სამშობლოს მოღალატე ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, სახელმწიფო სამსახურს, ადგილ-მამულებს, სანჯახანას, აღალარობას და სხვა უპირატესობას.

— ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი არისო, — დაიწყო ისევ თმოგველმა, — მართლაცდა, მოდი და ახლა კურდღელს ბუნება მოუკალ, ციყვად გადააქციე და ციყვს ბუნება მოუკალ, კურდღლად გადააქციე! განა რომ ყოვლად ძლიერ ევოლუციის კანონსაც კი ვერ ძალუძს კურდღელი ხის ტოტზე ახტუნოს და ციყვი კიდევ მინდორზე თავგადაგლეჯილი არბენინოს! თუმცა კი ეს ორი ცხოველი ერთსა და იმავე მღირღნავთა მოდგმას ეკუთვნიან...

ამ დროს ცხელ-ცხელი ახალი კალმახი შემოგვიტანეს, წითელი ხალებით დაწინწკლული და ეს დაღლილ-დამშეული ხალხი ყველანი ჭამად გადავიქეცით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა...

რას იზამთ, მახლას! ცარიელი კუჭით, მოგეხსენებათ, მაღალ ფარდებში ვერ ახვალ და ვერც ფონს გახვალ, რაგინდ სიმართლესაც ღაღადებდე...

V

საფლავის ქვაზე ჩამოვსხედით ტბის პირას, ეკლესიასთან და ისევ აქაური ამბების გამოკითხვა ვარჩიეთ.

აღმოჩნდა, რომ ჩვენს მასპინძელს, ალექსი სანდაძეს, მთელი ეს არემარე ტბისა, რომელიც ბორჯომის (დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის) მამულს ეკუთვნის, იჯარით აქვს აღებული; წელიწადში 12—13 ათას მანეთამდე იხდის იჯარით და სამი ათასამდე დესეტინა საძოვარი და სათიბი ადგილი უჭირავს. ტბაც ალექსი სანდაძეს აქვს იჯარით აღებული წელიწადში 1500 მანეთად. როგორც თვითონ აგვიხსნა და სხვებმაც დაგვარწმუნეს, ალექსი სანდაძეს წელიწადში სამი ათას თუმნამდე აღებ-მიცემობა აქვს.

საძოვრებს ქიზიყელ მეცხვარეებს აძლევს, სათიბებს ახალქალაქის მაზრის სოფლებს ურიგებს. სამი ათასამდე საკუთარი ცხვარი ჰყავს და ჩოდრობს კიდეც: იაფად ნაყიდ საქონელს ასუქებს ამ იალაღებზე და მერე გზავნის გასასყიდად თბილისსა და ქუთაისისაკენ. სამუშაო საქონელსაც მთელ მაზრის გლეხობას ურიგებს იმ პირობით, რომ მთელი ზაფხული ამუშაონ, მერე ზამთარში დაასვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონ, გაასუქონ, ყასბებს მიჰყიდონ და იმ ფულით ისევ სანდაძისგან იალაღზე ნასუქი ხარები იყიდონ. ხვნა-თესვა ცოტათი ეწყობა, რადგან ადგილის მდებარეობა და მთის ჰავა-ამინდი ხელს არ უწყობს, რის გამოც პურს მომეტებული ნაწილი ყიდულობს. ქართლ-კახეთისკენაც მოყვრები ჰყავს და ვენახები აქვს დაგირავებული, საიდანაც სარგებლობს და ღვინო სახლში უკლებლად აქვს. ტბაში მაისიდან დაწყებული დიდძალ კალმახს იჭერს და გზავნის ბორჯომს, აბასთუმანს, ახალციხეს და ახალქალაქს, ფოთს 4 მანეთად ყიდის ზამთარ-ზაფხულ. ზამთარშიაც რკინის კავებით იჭერენ და აქედან პირდაპირ გზავნის თბილისს დიდძალ კალმახს ჩალვადრებით. გზა ამ ტბიდან ერთი საციციანო მთებზე ჩადის პირდაპირ ქარელში და მეორე წალკისკენ გადადის; ეს მეორე გზა თითქმის საურმე გზაა.

მთელ ამ მაზრაში და წალკაში ალექსი სანდაძეს დიდი ნდობა და პატივისცემა აქვს ხალხისაგან დამსახურებული, რადგან ყველას სინდისიერად და პირნათლად ეპყრობა.

ალექსი სანდაძეს ერთი ძმაც ჰყავს, სოლომონი. მხნეობით, მოხერხებით, არ ჩამორჩება ალექსის და აღებ-მიცემობითაც თითქმის მეტოქეობას უწევს. მაგალითად, წელს ტბა სოლომონს აუღია იჯარით და სხვა ამგვარი.

ახლა, რაც შეეხება მოსე სანდაძეს, ქართველს, ამისი ოჯახი ვერ არის ისეთი შეძლებული, როგორც ალექსისა; ქონებრივად დაქვეითებულია, არც აღებ-მიცემობას ეტანება, მაგრამ გამრჯე კაცს ამბობენ, თუმცა 68 წლის არისო. ძმები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და შვილიშვილებით არიან სავსენი.

ალექსის ოჯახშიაც ქართულად ლაპარაკობენ, რადგან ეს სანდაძენი ბარალეთიდან არიან აქ გადმოსახლებულნი.

სანდაძეთა გარდა ბარალეთიდან ოცამდე კომლი სომხობაა აქ ამოსული, რომელთა დედაენა ქართულია. ესენი საქართველოს აქ ბატონობის დროიდან დარჩენილი არიან. ერთ ამგვარ სომეხს, წითელ საყდრელს, ვკითხე: რა ენაზე ლაპარაკობთ შინაურობაშიმეთქი?

— ჩვენ, ბატონო, უფროსები ქართულს ვლაპარაკობთ და ახალმოდის ბიჭობა კი ეხლა და ეხლა უფრო სომხურს ეტანება, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სოფელში 30 კომლზე მეტი არზრუმიდან გადმოსახლებული სომხობა ცხოვრობს.

— შენი სახელი?

— პეტრე ასლანოვი, შენი ჭირიმე...

— მერე რა, მადლიერი არა ხართ, რომ ეხლა თქვენი შვილები თავის დედაენას სწავლობენ? ეს კარგად იცოდე, ჩემო პეტრე, რომ რა კაცსაც თავისი ეროვნება დაკარგული აქვს და თავის დედაენაზე არ ლაპარაკობს, ის კაცი მტრისთვისაც საზიზღარია და მოკეთისთვისაც.

მთელ წითელ საყდარში მარტო მოსე სანდაძის ოჯახია მართლმადიდებელი, რომლისთვისაც მღვდელი ბარალეთიდან ამოდის. აქვე უცხოვრიათ რამდენიმე კომლს ქართველობას — ფოცხვერაშვილებს, რომელნიც ბორჯომის ხეობისკენ გადასახლებულან...

ტბის ნაპირზე ორი ნავი ება. ჩვენ გულმა ვეღარ გაგვიძლო, მასპინძელს ვთხოვეთ ტბაზე გასეირნება. ორმა მეთევზემ ღონიერი მკლავებით მოუსვა საჭეებს და ზღვისოდენა ტბაში არხეინად შეგვაცურა. ტბის წყალი ისეთი ანკარაა, რომ რამდენიმე საჟენის სიღრმეზე ძირის ფერადი კენჭები საამოდ მოჩანან, თითქოს წყალთა ნიმფებს (ალებს) თავისი ნაზი თითებით განგებ მოუქარგავთო. აკი იმიტომაც სავსეა ტბა გემრიელი კალმახით! საკვირველია, რომ კალმახის მეტი აქ სხვა არა თევზი არ გვარობს.

ეკლესიის გასწვრივ, ტბის თითქმის შუაგულში კუნძულია, და, თუმცა ქალებს, პირველი აღტაცების შემდეგ შიშმა მოუარა, ჩვენი ნავი მაინც კუნძულს მიადგა. გარშემო ბლომად დაფრინავდნენ გარეული იხვები. გაზაფხულობით თურმე სავსეა ეს კუნძული იხვთა ბუდეებით, ბევრ კვერცხსაც აგროვებენ მეთევზენი და ერბოკვერცხით იგემრიელებენ პირს. ზაფხულში კიდევ იხვის ჭუჭულებს იჭერენ ჩასახრბად. ბუნების მცხოვრებთა გამრავლების თანასწორობაში ასეთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ადამიანის ღორმუცელობას. ისიც საკვირველია, რომ იხვის მეტი ამ ტბაზე არა ფრინველი არ იცის და იშვიათად, მხოლოდ თეთრი ფრინველი, ცელ-ნამგალა გვხვდებოდა. აქ არც გარიანია (გაგარი), არც ბატი, როგორც სხვა ტბებზე იცის.

ვისაც თვალი უდევნებია ამ იხვთა ცხოვრებისათვის, ბევრი საინტერესო ამბებს მოგვითხრობს. ქართველებში კარგი მონადირე შეიძლება ძლიერ ბევრიც იყოს, მაგრამ იმგვარი კი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრებას თვალყურს ადევნებდეს, ამისთანა მონადირენი ჩვენში არ მეგულებიან. ამიტომ ისევ რუს მწერალს დავუგდოთ ყური. აი, როგორ აგვიწერს იხვთა ცხოვრებას ცნობილი რუსი მწერალი აქსაკოვი, რომელიც თვითონვე გატაცებული მონადირე იყო და თვალყურსაც ადევნებდა ფრინველთა ცხოვრებას.

„მეტად საგულისხმოა, მამალ იხვს რარიგ თავგანწირულად უყვარს თავისი მეუღლე! იმავე დროს კი საშინლად ემტერება თავისივე დედალი იხვის ბუდეს, მის კვერცხებს და ჭუჭულებს. თუ რომ მიაგნო მის ბუდეს, წამსვე მიანგრ-მოანგრევს და ბუდეში რასაც იპოვის, კვერცხი იქნება თუ გამოჩეკილი ჭუჭული, ყველაფერს ანადგურებს: კვერცხებს ამოსრუტავს ხოლმე, ან ნისკარტით დალეწავს და პაწაწინა ჭუჭულებს კი ახრჩობს.

ხომ ასე უსამართლოდ, მტრულად ეპყრობა მამალი იხვი შთამომავლობას, მაგრამ დედალი ისე გაგიჟებით უყვარს, რომ მის დღეში არ მოშორდება; ერთი წამი რა არის, ერთ წამსაც ვერ სძლებს, თუ მეუღლეს არ ეკურკურება, თავს არ ევლება. რაც უნდა გაჭირვება შეემთხვეს, პირველი არ აფრინდება ადგილიდან, ვიდრე დედალი არ დაიძვრება. ხშირად ხდება, რომ დედალი სადმე პატარა გუბეში ჭყუმპალაობს, მამალი იხვი კი განუშორებლად, დარაჯივით ზის იქვე ნაპირას ქვაზე, ანდა ჩირგვზე. ამ დროს თუ მონადირე უახლოვდება, დედალი ვერ ხედავს, ან ვერაფერს ამჩნევს. მამალი კი ტრიალ-ფრთხიალს იწყებს, ყვირის, თითქოს ნიშნეულად ხმას აძლევსო, რადგან ნამდვილად ხედავს მათკენ მომავალ მტერს. მაგრამ შენ არ მომიკვდე, დედალი აინუნშიაც არ აგდებს. აგერ, აშკარად ხედავს მამალი, რომ მონადირემ მას თოფი დაუმიზნა, ნიშანშიც ამოიღო, მაგრამ დედალზე ადრე მაინც არ აფრინდება — სიკვდილს არჩევს და თავისი საყვარელი მეუღლის მოშორებას კი არა. იგრიალა დაუნდობელი მტრის თოფმა და ერთგული მეუღლე იქვე გაგორდა. დედალი იხვი თოფის ხმაზე წამსვე თავს უშველის ხოლმე და ცალი თვალით მაინც, არც კი დახედავს მის მსხვერპლს, მისთვის მოკლულ მეუღლეს.

სულ სხვა სურათია თუ მონადირემ დედალი იხვი მოჰკლა, მაშინ მამლის ცოდვით ქვეყანა იწვის; ჯერ თავს დასტრიალებს მონადირეს, გულსაკლავად დაჰკივის და მერე რამდენიმე დღე განუწყვეტლივ დასტირის იმ ადგილს, სადაც საყვარელი მეუღლე მოუკლეს.

ახლა წარმოიდგინეთ იხვის დედაშვილური სიყვარული, რამდენი სიფრთხილე და ხერხი ჰმართებს დედალ იხვს, რომ თავისთვის ბუდე მოაწყოს და მეუღლის მალულად კვერცხები დასდოს, ჭუჭულები გამოჩეკოს!

ჯერ სადმე იმისთანა მოფარებულ ადგილას იმზადებს ბუდეს, საიდანაც გაჭირვების დროს გაქცევა-დამალვაც შეეძლოს. ამისთანა სახერხო ადგილად კი უფრო გუბის ან ტბის ნაპირებს ირჩევს. აგერ, დაუდგა დრო დედალ იხვს კვერცხის დადებისა და სულ იმის ცდაშია, რაიმე ეშმაკობით გაეპაროს თავის მეტად განუშორებელ მეუღლეს. აქვე ტბის ნაპირს დაჯდება, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს, ვითომ მძინავსო. მამალ იხვს მართალი ჰგონია თავისი მეუღლის ძილი და თვითონ კი ნამდვილ ძილს მიეცემა ხოლმე.

ამ დროს დედალი იხვი ფრთის ქვეშ-ქვეშ მომძინარებული ცალი თვალით უცქერის მამალს და, რაკი დარწმუნდება სძინავსო, წამსვე მიიმალება ჭილ-ბალახებში. ათ ან ოც საჟენზე მეტს ქურდულად გაძვრება-გამოძვრება ჭილსა და ლერწამში, მერე, რომ უფრო უკეთ არიოს გზა და კვალი ცოტათი მაღლა აფრინდება, ჰაერში რამდენჯერმე ირგვლივ შემოუვლის და სრულებით სხვა მხრით ისევ დაეშვება ბალახებში და თავის მზა ბუდისკენ ფარულად მიძვრება. კვერცხს დასდებს თუ არა, ფრთხილად წააყრის ზედ ბალახს და ბუმბულებს, ახლა ისევ სხვა გზით, სრულებით სხვა მხრით ისევ ბალახ-ბალახ გაძვრება, ამოფრინდება, რამდენჯერმე შემოუვლის იმ ადგილს, სადაც მისი მამალი ზის, დაეშვება დედამიწაზე და სრულებით სხვა მხრიდან მოევლინება თავის ერთგულ მეუღლეს. იშვიათია, რომ მამალი იხვი მთელ ამდენ ხანს გაბმულ ძილში იყოს. ზოგჯერ დედალი მთელ სამ საათს იგვიანებს და ამ დროს გამოღვიძებული მამალი იხვი მოუსვენრად უძახის და დაეძებს გაპარულ მეუღლეს. გაფაციცებით ათვალიერებს ყველგან და აჩქარებული დაცურაობს, უვლის ტბის ნაპირებს და დაეძებს მას. მაგრამ არც ძალიან შორს მიდის, იმედს არ კარგავს, ჩქარ-ჩქარა უკან-უკან იხედება, ხომ არ მოდის, ხომ არ მოცურავს ჩემი საყვარელი მეუღლეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგჯერ დედალ იხვს სხვა ეშმაკობაც სჭირია. როცა დახედავს, რომ მამალს ძილი არ მოსდისო, მივა და მიეალერსება, დაუწყებს ნისკარტით ფხანას კისერსა და ზურგზე, მოუხილავს ბუმბულებს და ამასობაში მიაძინებს. ზოგჯერ კი ფხიზელ მამალსაც გაეპარება ხოლმე. რომ დაატყობს, მამალი ძლიერ მადიანად მიირთმევს საუზმესო, ან თუ მამალი სხვა რასმეზე გაერთო, დედალი წამსვე გაქრება, ბალახებში მიიმალება და გასწევს თავისი ბუდისაკენ კვერცხის დასადებად. მაგრამ მამლის ასე მიტყუება ყოველთვის, რასაკვირველია, ძნელია. საწყალ დედალს ზოგჯერ ძვირად დაუჯდება ხოლმე ბუდის და კვერცხების სიყვარული. თუ მამალი მიუხვდა ეშმაკობას, განრისხებული გამოეკიდება დედალს, ჩასჭიდებს ნისკარტს კისერში, გამოათრევს ტბაზე და აქ იმდენს მიარტყამს, ვიდრე ჩვენ მივეშველებით. საწყალ დედალს ნაწიწკნი ბუმბულები პანტასავით სცვივა.

ასე თუ ისე, დედალი იხვი მაინც ახერხებს და მამლის მალულად თორმეტამდე კვერცხს სდებს. ახლა კი სრულებით დაემალება მამალს და კვერცხებზე ჯდება კრუხად. თითქმის მთელი დღე ზის კვერცხებზე და მხოლოდ დღეში ერთხელ გადმოდის ცოტა ხნით, რომ იქვე, ახლომახლო, მალულად შეჭამოს და შესვას რამე.

მთელი სამი კვირა უნდება კვერცხების გამოჩეკვას და ამიტომაც კრუხი ძლიერ გამხდარია. ბოლოს გამოიჩეკებიან იხვის ჭუჭულები მონაცრო-ყვითელი ფერისა და ორიოდე კვერცხიც უეჭველად ლაყე გამოდის, რადგან იხვი-კრუხი თანაბრად ვერ ათბობს ყველა კვერცხს.

გამოიჩეკებიან თუ არა, ჭუჭულები აღარ რჩებიან ბუდეში. რამდენიმე საათის შემდეგ დედას მიჰყავს და იქვე ტბის ანუ გუბის ნაპირთან სადმე ჭილიან, ჩალიან მყუდრო ადგილებში ცურაობენ. წყალში რა ალაგსაც ჭუჭულებს ცურვა უჭირთ, დედა ფრთხილად, ნაზად ჩაავლებს ნისკარტს და გადაიყვანს. ეს ბევრ მონადირეს უნახავს და მეც ჩემი თვალით ვნახეო, ამბობს აქსაკოვი.

რა განუსაზღვრელი დედაშვილური სიყვარული აქვს დედალ იხვს, შემდეგი მაგალითებიდან შევიტყობთ: როდესაც ძაღლი ან კაცი ბუდიდან ააფრთხობს, დედალი იხვი აფრინდება თუ არა, მაშინვე თავს მოიმიზეზებს; ისე ფრინავს, თითქოს ფრენა არ იცისო, ანუ თოფნაკრავია და ფრთაში დაჭრილიო. ასე რომ, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს, იფიქრებს, ადვილი დასაჭერიაო, და მაშინვე გამოეფარ-
გება. დედა იხვსაც ეგ უნდა. ძლიერ იშვიათია, რომ მონადირე
ძაღლი არ მოტყუვდეს. ამასობაში იხვი ძაღლს ტყუებ-ტყუებით
მთელ ვერსზე მეტს ატარებს და ამით თავის ბუდეს გადაარჩენს
განსაცდელისაგან. მაგრამ გამოცდილი მონადირე კი მალე მიხვ-
დება იხვის ეშმაკობას და თუმცა დარწმუნებულია, რომ დედა იხვს
მთელი ბუდე კვერცხები, ვინ იცის, დღე დღეზე გამოსაჩეკი ოხრად
დარჩება, მაინც ავიწყდება ცოდო-მადლი და საწყალ თავგანწირულ
დედას თოფით უღებს ბოლოს.

უფრო ხშირად კი დედალი იხვი თავის ჭუჭულებს შესწირავს
ხოლმე სიცოცხლეს. ახლადგამოჩეკილი ჭუჭულები დედას დაჰ-
ყავს და არხეინად დაცურაობენ ტბაზე, მყუდრო ალაგას, მაგრამ
ნაპირს კი ისე არ შორდებიან, რომ ვინიცობაა, მტრისაგან თავი
შეაფარონ ჩალა-ბულაში. დაინახავენ თუ არა მტერს (მონადირეს),
წამსვე საცოდავად შესწივლებენ ჭუჭულები და შურდულივით გაე-
ქანებიან ბალახებისაკენ და იმალებიან. დედა იხვი კი ტბაზე რჩე-
ბა, ზარდაცემული ყვირის, სცემს ფრთებს და აჭყაპუნებს წყალს.
მერე აფრინდება და მონადირეს ხან წინ ეღობება, ხან თავს დას-
ტრიალებს. ამგვარად, მონადირე უნებლიეთ მთელ ყურადღებას
დედა იხვს აქცევს და იხვი კი ამ დროს სულ იმის ცდაშია, მონადი-
რე სხვა მხარეს გაიტყუოს, ჭუჭულებს მოარიდოს. ადამიანიც, ხომ
მოგეხსენებათ; შეუწყალებელია, უმიზნებს თოფს და შვილებისათ-
ვის თავდადებული დედა გულში ტყვიანაკრავი, მკვდარი დაეცემა
ხოლმე ტბაზე. ცქრიალა ჭუჭულები რაც უნდა პატარები დაობლდ-
ნენ, მაინც ახერხებენ თავისი თავის გამოზრდა-გამოკვებას. ზოგ-
ჯერ სხვა დედა-იხვის ჭუჭულებს შეეკედლებიან და ორი ბუდობა
ერთად დაცურაობენ, მე მინახავს, — წერს აქსაკოვი, — ზოგჯერ
ერთი კრუხი დედა იხვი ოცზე მეტ სხვადასხვა სიდიდის ჭუჭულებს
მიუძღოდაო.

კუნძულზე სეირნობის დროს ერთი მეთევზე შემებაასა:

— ბატონო, ი, გარიანი რო ბრძანეთ, ზოგჯერ ტბაზე გადმოივ-
ლიან ხოლმე, მაგრამ ჩვენი კაცი იმათ ხელს სულ არ ახლებს.

— რატომ?

— იმიტომ, ბატონო, რომ გარიანის მოკვლა დიდი ცოდოა, იმას
ჩვენი კაცი თოფს არ ესვრის. მოხდება კი ხოლმე, როგორ არ

მოხდება, ზოგი კაცი ან თავხედობით, ან უცოდინარობით მოკლავს გარიანს, მაგრამ მოკლულის მეუღლის ცოდვით მთელი სოფელი იწვის — ჯერ მთელი ორი დღე იმ ადგილს დასტრიალებს, სადაც მოუკლეს მეუღლე, ისეთი გულამოსკვნით ყვირის, ადამიანი გეგონება. ხან კი ეძახის, არა სჯერა, რომ მკვდარია. თუმცა კი მოკლული გარიანის ბუმბული აქვე ტბაზე ცურაობს.

— ეგ რა ვუყოთ, ყველა ცხოველი და ადამიანიც მაგრეა. შენ არავინ მოგკვდომია ახლო ნათესავი ან ნაცნობი? თუგინდ შენი ხელითვე დამარხო, აბა კარგად მოიგონე, ჩაუფიქრდი, გჯერა ადამიანის სიკვდილი? გჯერა, რომ ის შენი ნათესავი ანუ ნაცნობი ახლა მკვდარია?

— ეი... აი, დიდება შენდა, ღმერთო! ე, მწიგნობრობა რა კარგი რამ ყოფილა! აბა მაგის პასუხი ჭკვაში საიდან მოგვივა და ის კი უნდა მოგახსენოთ, რომ შარშან ერთი საყვარელი დაი მომიკვდა, მაგრამ მე დღესაც ისე მგონია, საცა წავალ, იმისი სული ჩემთან დაიარებაო. სიზმარში ხომ ხშირად ვხედავ. ჩვენი მოხუცნი ამბობენ — წირვას თხოულობსო. მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, სანთელსაკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, ნათქვამია, და ჩვენც ახალ წლის წირვას ვაპირებთ... მაგრამ, ბატონო, ი, გარიანის ამბავი არ გამათავებინეთ.

— როგორ არა. მე ველი, აბა თქვი, რა უნდა გეთქვა?

— მე ის უნდა მეთქვა, შენი ჭირიმე, რომ გარიანისთანა ცოლქმრული სიყვარული ადამიანებში არც მინახავს და არც გამიგონია. მთელი ორი-სამი დღე დაცალებული გარიანი არც ჭამს, არც სვამს. ბოლოს, იმედს რომ გადაიწვეტს, ავა სადმე ფრიალო კლდეზე, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს და ციცაბო კლდეზე ქვასავით დაეშვება, დაგორდება და თავს იკლავს. აი, ასეთი მეუღლური ერთგულებაა ამ ფრინველთ შორის და აბა, ღმერთი არ არი? კაცმა როგორ უნდა გაიმეტოს მოსაკლავად გარიანი...

— შენი სახელი?

— დემეტრე, შენი ჭირიმე.

— მართალი ხარ, ჩემო დემეტრე, მაგისთანა მეუღლეობა, როგორც მაგ ფრინველთა შორის ყოფილა, ადამიანებში ძლიერ იშვიათია...

— იშვიათი როგორ არ არი, შენი ჭირიმე! თქვენში რა წესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოგახსენოთ და ჩვენში, ჯავახეთში კი ადათია, რომ ქმრის ხელ-ცოცხლის დროს მანდილოსანი მაგრერიგად უცხო კაცს სახეს არ უჩვენებს. მაგრამ როცა ქმარი მოუკვდება, მას შემდეგ მთელი სახე ახდილი აქვს, მითომ რა არი, ხალხმა დაინახოს და ვისაც ეჭაშნიკება, მუშტრის თვალით გასინჯოს...

კუნძულზე ნასიამოვნები ჩავსხედით ნავში და ისევ მასპინძლის სახლისკენ გავეშურეთ.

შუა ტბაში რომ მოვცურავდით, მაშინ გაგვახსენდა ტბის სიღრმე... ვიგრძენით, რომ ჩვენი სული მენავეთა ხელშია, რომელნიც ერთგულად უსვამდნენ საჭეებს.

— შენ, ეი, დემეტრე!..

— რაო, ბატონო...

— ე, მუყაითი იყავი, თორე, ღმერთმა კი დაგვიფაროს და ეს ნავი რომ გადაგვიბრუნდეს, მშვიდობით, ცოლო და შვილო! 60—80 საჟენი სიღრმიდან ვინღა ამოგვიყვანს?

— არა, შენი ჭირიმე, რაც კაცს არ უწერია, არ გადახდება, ნუ გეშინია, ბატონო... პირველი ხომ არ არი... ხელმწიფის შვილები გვიცურებია ამ ტბაზე...

შიშით რა იქნება — „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“, ჩვენი ბერიკაცი იტყვის ხოლმე.

შიში ტყუილი გამოდგა, მშვიდობიანად მივაცურეთ ჩვენი ნავი ისევ მასპინძლის კარებთან და დიდი მადლობა გადავუხადეთ სიამოვნებისათვის.

ბ-ნ ივ. როსტომაშვილმა ჩვენი ნავით ტბაზე სეირნობა ფოტოგრაფიულად გადაიღო, აგრეთვე გადაიღო წითელი საყდრის ეკლესია და თვითონ სოფელიც.

სამწუხაროდ, სხვა მაზრებში არავინ მიჰბაძა ივანე როსტომაშვილის მაგალითს, რომელმაც მთელი ჯავახეთის არქეოლოგიური ნაშთნი ზედ წარწერებითურთ ფოტოგრაფიულად გადაიღო და აღწერა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი სხვა მაზრა საქართველოში ასე სავსებით არ არის აღწერილი და გადაღებული, როგორც ჯავახეთია, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია სამშობლოსათვის დაუღალავი მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

ყველა ჩვენგანს ამდენად რომ შეგნებული ჰქონდეს თავისი ზნეობრივი წმინდა მოვალეობა სამშობლოსადმი, მაშინ რაღა გაუჭირდებოდა ჩვენს მომავალს თაობას!

ტბის მშვენიერ სურათს აღტაცებულნი გავცქეროდით. ჩვენმა მასპინძელმა გვიამბო:

— ბორჯომიდან აქ ხშირად მოდიან მოაგარაკენი განგებ ამ ტბაზე სასეირნოდ. თვითონ დიდი მთავარნიც ხშირად გასულან იმ კუნძულამდე; ხელმწიფის შვილმაც (ან ტახტის მემკვიდრემ) ორჯერ ისეირნა და კუნძულზედაც ინადირა.

სანდაძემ ოქროს საათი გვაჩვენა:

— ეს ოქროს საათი ხელმწიფის შვილმა მე მაჩუქა და ჩემს შვილებს კიდევ, ყველას ვერცხლის საათები დაურიგა. სტუმრად ჩემს სახლში ბრძანდებოდა. ნამესტნიკმაც (დიდი მთ. მიხ. ნიკ.) მედალით დამაჯილდოვა და ერთი თოფი პიბოდისა მიბოძა. ამ მხარეში განსაკუთრებით მე და ჩემს შვილებს ნამესტნიკისაგან ნება გვაქვს დართული პიბოდის და ბერდანკის თოფები ვიქონიოთ. ეჰ, ხომ მოგეხსენებათ, მთა ალაგია და ბევრჯერაც გვესტუმრებიან ავაზაკები, თარაქამა ყაჩაღები, მაგრამ ვერას გვაკლებენ.

ტბის ყურებით რომ ვეღარ ვძღებოდით, მასპინძელმა ღიმილით გვითხრა:

— ჰმ! ნეტავ ზოგი ზამთარშიაც გაჩვენათ ჩვენი ყოფა. აქაურობა 8-9 თვე უგზოუკვლოდ შეკრულია თოვლისაგან. მაგრამ ჩვენს ბედზე ტბა ისე ძლიერ იყინება, რომ ზამთრობით ჩვენი გზა მხოლოდ ეს ტბა არის და ზედ მთელ ზამთარს ხე-ტყეს ზიდავენ ბორჯომის ტყიდან სომხები და დუხაბორები. მადლობა ღმერთს, ჯერ აქ არავითარი უბედურება არ მომხდარა, რადგან ტბა ძლიერ ღრმად იყინება.

— უი! გენაცვალე, დედა... საწყალი თევზები. მაშ, ზამთარში ხო სულ დაიყინებიან?" — მიმართა პატარა ქალმა თავის დედას, ჩვენს თანამგზავრს.

— არა, შვილო, რად დაიყინებიან, აკი ზამთარშიაც მოაქვთ ხოლმე კალმახი!

— მაშ, თუკი ჩვენ გვცივა ზამთარში? ხელ-ფეხი გვძვრება?

— ბატონო თეკლე, გთხოვთ აუხსნათ თქვენს ქალს, რა მიზეზით არ იყინებიან წყალში თევზები, — ჩაერია ბაასში ბ-ნი თმოგველი.

— მე რა ვიცი, რატომ არ იყინებიან.. .აგერ, შვილო, მეთევზეებს ჰკითხე და ისინი აგიხსნიან.

— გახსოვთ, ჩვენი არა ერთი კამათი, ბატონო თეკლე. თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ ოჯახისთვის შინაურულად გაზრდილი ქალი სჯობიაო; ბევრი სწავლა რა საჭიროა ქალისათვისო; წერა-კითხვა კი იცოდეს და ოჯახისთვის ისიც კმარაო. აი, ეხლა გაქვთ თვალწინ მაგალითი. ბავშვის გონება საზრდოს თხოულობს, მაგის ცნობისმოყვარეობა უეჭველად უნდა დააკმაყოფილოთ, მაგრამ თუკი ბუნებას არ იცნობთ, რა პასუხი უნდა მისცეთ? მერე განა მარტო მაგას დაგეკითხებათ? — თქვენი ქალი ეხლა 12-13 წლისაა და მაგას ეხლა ყველაფერი სურს გაიგოს.

— ბატონო! მაგისათვის რად „სპორობთ", ჩვენი ჭკუით, იმიტომ არ იყინებიან ამ ტბაში თევზები, რომ ტბა ორ არშინის ქვევით აღარ იყინება. თუკი თქვენ თქვენს ოთახებში არ იყინებით, თევზების სამყოფელი ადგილიც ეს არის. ასე დაუწესებია ღმერთს, ვინაცვალე იმის მადლს, — დააბოლოვა მეთევზე დემეტრემ.

— მართალი ხარ, ჩემო დემეტრე, მაგრამ მარტო ეგ პასუხი არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ მიზეზი გვინდა შევიტყოთ, ორ არშინს ქვევით. რატომ არ იყინება ტბა, — უპასუხა თმოგველმა და ახლა მეორე ქალს დაეკითხა:

— ქალო, კატო, შენ ხომ „გიმნაზისტკა" ხარ, აგვიხსენ საგანი ჩვენი ბაასისა.

— Оставьте, пожалуйста!.. ჩვენთვის ეგ არ უსწავლებიათ.

— ჰოდა, აბა ამიტომ მომიხსენებია თქვენთვის, რომ გიმნაზიას გათავება უნდა. ჩვენი ქართველი ქალ-ვაჟნი რის ვაი-ვაგლახით მეხუთემდე თუ მიატანთ ხოლმე და მერე მორჩა და გათავდა. ე, რუსული ხო ვისწავლეთ (მოდნისთვის) და დანარჩენზე თავი რაღასთვის ვიტეხოთო! ამ აზრს თავადი უმატებს: მე ისეც „კნიაზი" ვარ და რომელი „ღიმნაზია" მომცემს კნიაზობასო; დეე, უბრალო კაცის შვილმა იტეხოს თავი, რომ ხარისხი რამ მოიპოვონო. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ქალო კატო, თქვენ რომ მეხუთედან არ გამოსულიყავით და ფიზიკა გესწავლათ, სულაც არ გეუცხოვებოდათ ჩვენი საკამათო საგანი.

— უი! ნეტავი არ მინდა, — მიუგო ქ-მა თეკლემ, — მე რომ ი, თქვენი ფიზიკიანი ქალები მინახავს, ერთი იმისთანა შეგხვდეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოლად, ი, ოჯახს რო ყირამალა გადაგიბრუნებთ, მაშინ მომიგონ-
ნებთ, მართალი ვიყავ თუ არა. ძველად ქართველ ქალს ფიზიკას კი
არ ასწავლიდნენ, ასწავლიდნენ ქმარ-შვილის სიყვარულს, ოჯახის
მოვლას, ერთგულებას და რაც ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს
და მას უბნობდესო: ქართველი ქალი ყოველთვის მორჩილი იყო
თავისი ბედისა და რაც უნდა მძიმე ყოფილიყო მეუღლეობის უღე-
ლი, მის დღეში არ გაუტეხდა სახელს თავის თავს და თავის
ოჯახს, თავის ქმარ-შვილს.

ჩემი აზრით, თუმცა ბ-ნი თმოგველი არც გასამტყუნია; აბა,
სწავლა ვის მოსჭარბებია, რომ ჩვენისთანა დაქვეითებულ ხალხს
სწავლა მოსჭარბდეს. მაგრამ ისიც მართალია, რომ მარტო გიმნა-
ზიები ოჯახისთვის გამოსადეგ ქალს ვერ მოგვიმზადებენ. ოჯახის-
თვის ქალი ოჯახმავე უნდა აღზარდოს, მოამზადოს. მეორეც ესა,
თუ ქალს ბუნებითვე დაყოლილი არა აქვს ოჯახის მოვლის ნიჭი,
აქ სწავლა რა შუაშია, ან უსწავლელობა! ქარაფშუტა ტიკინა ქა-
ლებს, რომელთაც თავის სიცოცხლის მიზნად მხოლოდ მოდაზე
ჩაცმა-დახურვა და ტანციმანცი მიაჩნიათ, სწავლადასრულებუ-
ლებშიაც შეხვდებით და უსწავლელთა შორისაც. აგრეთვე ქმარ-
შვილის მოყვარული ოჯახისთვის თავდადებულ მოყაირათე ქალს
უსწავლელებშიაც იპოვით და ნასწავლებშიაც. მკითხველი დამე-
თანხმება, რომ ცხოვრებაში გამოსადეგ ქალებს უფრო პოლონელი
და ნემცები ზრდიან. ეს ხალხი, გარდა გიმნაზიური სწავლისა,
ოჯახში და პროფესიონალურ სკოლებში ასწავლის ყოველივე იმას,
რაც მომავალში საჭიროა მათთვის ოჯახის მოვლისათვის და ცხოვ-
რებაში გამოსვლისათვის. ამიტომაც, რაც უნდა დიდებული მაგ-
ნატის და მდიდრის ქალიც იყოს, უეჭველად ასწავლიან ოჯახის
მოვლას, ჭრა-კერვას და მზარეულობას, რისთვისაც მოზარდ ქა-
ლებს, თუ რამდენიმეა ოჯახში, თითო კვირის ჯერი აქვთ და ამ
ერთ კვირას მთელი ოჯახის მოვლა, თადარიგი მორიგ ქალს ეკი-
თხება.

ამ აზრს დაემოწნა ბ-ნი ქათამაშვილი, რომელმაც გვიამბო: —
„ერთი კაი ნაცნობი ქართველი ინტელიგენტი მყავს, რომელმაც
ვარშავაში ყოფნის დროს, ეხლახან, პოლონელი ქალი შეირთო.
ქალი გამოჩენილი გვარისაა, სწავლადამთავრებული და კონსერ-
ვატორიაგათავებული. ყველა ამას დაუმატეთ 15 ათასი მანეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზითევი. ახლა გაკვირვებას ვართ. ეს ქალი პატარა, 10-12 წლის, ბიჭით იოლას მიდის და მთელი დღე ფეხზე ტრიალებს; მზარეულიც ის არის, მოახლეც და მოსამსახურეც. გაკვირვებული ვართ. ჩვენი ქალი, — ცოდო გამჟღავნებული სჯობს, — ჩვენი ქალი ვერ იზამს ამას და აბა, როგორ ვთქვა ტყუილი. ახლა უყურეთ ამ პოლონელ ქალს, როცა სადარბაზოდ ან სასეირნოდ გამოდის, იმაზე გრანდამას ჩვენს ქალაქში ვერც კი შეხვდებით. აი, ქალი ამას ჰქვია... დაილოცოს მისი აღმზრდელი... ჩვენ დედებს კი საკვეხურად ის მიაჩნიათ: „ისე გამიზრდია, ვენაცვალე ჩემს ლოლას, რომ ხელი არაფერზე გაუსვრია, სამზარეულოში ფეხი არც კი შეუდგამსო". მახლას! რას იზამ, მერე კი ვჩივით, ყმაწვილებს ვამტყუნებთ, ოჯახზე გული რადა აქვთ აცრუებული, რატომ ცოლს არ ირთავენ, ოჯახობას არ ეკიდებიანო. არა, ერთი მიბრძანეთ, მუქთახორა ცოლი ვის რა ჭირად უნდა! „მაჭამეთ, მასვით, მოდაზე ჩამაცვით, მასეირნეთ, გამართეთ"... ე... მერე... გარჯა?.. „დიახ, როგორ არა, უკაცრაოდ! მე შენი „კუხარკა" როდი ვარ". — აი, ჩვეულებრივი პასუხი ზოგიერთი ქალისა, ოჯახის დედაბოძისა...

— ბატონო, ეს სიტყვა ბანზე კი ნუ ააგდეთ. ერთი თქვენებურად აგვიხსენით, მაშ რა მიზეზია, რომ ზამთრობით ტბაში ხევზი არ იყინება, — მიმართა ცნობისმოყვარე მეთევზე დემეტრემ ჩვენს აყლაყუდა თანამგზავრს.

— საქმე ხომ ცოდნა არ არის, ჩემო დემეტრე, საქმე ის არის, რომ მე შეიძლება ვერც კი მოვახერხო ქართული ენით გასაგებად ავხსნა.

— ე, შე დალოცვილო, და მა რიღას ქართველი ხარ, თუკი ქართულიც არ იცი. მა რიღასთვის გაწუა ქართველმა დედამ ი, ტკბილი ძუძუ, — მიუგო დემეტრემ.

— ისევ შენ გვიამბე, — სთხოვა აყლაყუდამ თავის ამხანაგს ბ-ნ ვარძიელს და ესეც არ დაჰზარდა:

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჩემი აზრით, მეთევზემ თავისი გამოცდილებით, საკმაოდ ახსნა. მაგაზე მეტად კი ან რა საჭიროა, რომ ეგ საგანი ყველამ უეჭველად მეცნიერულად იცოდეს — ცხოვრებაში რა გამოსადეგია! თუმცა კი ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი დროის საუკეთესო მეცნიერთა აზრით, ვინც ბუნებას არ იცნობს და ბუნებისმეცნიერება არ შეუსწავლია, იმას არავითარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება არა აქვს თავის თავს განათლებული კაცი უწოდოს. მართ-ლაცდა, ბუნების უცოდინარი განათლებული კაცი ემსგავსება ჩვენს შინაურ უმეცარ ექიმებს, რომელთაც ადამიანის არც ანატომია იციან, არც ფიზიოლოგია და მკურნალობას კი ჩემულობენ.

ბოლოს ბ-ნი ვარძიელი პირდაპირ გადავიდა სამეცნიერო საგანზე:

— რაღა თქმა უნდა, დიაღაც საინტერესოა ვიცოდეთ, ასე საშინლად რომ იყინება ზამთრობით ეს ტბა, რატომ კალმახნი არ იყინებიან? მაგრამ წინათვე ბოდიშს ვიხდი, თუ ადვილგასაგები ენით ვერ აგიხსნათ... საქმე იმაში მდგომარეობს, ბატონებო, რომ ბუნებას ჭკუას ვერ ვასწავლით, თავის ოჯახში ყველასათვის წესი და რიგი მიუცია. ყველგან და ყველაფერში შესანიშნავად აქვს დაცული ოჯახის ყაირათი და თადარიგი.

აქ დემეტრემ ერთი-ორი ამოიკვნესა...

ხოლო ბ. ვარძიელმა განაგრძო:

— ბუნებას ბევრი დაურღვეველი, გარდაუვალი კანონი აქვს, რომელნიც განაგებენ მთელ მსოფლიოს. ამათ შორის ერთი კანონია, რომლის ძალითაც ყოველივე სხეული ბუნების სითბოსაგან განიერდება, ფართოვდება და სიცივისაგან იკუმშება, პატარავდება.

— Пример! — წამოიძახა აყლაყუდამ.

— მაგალითად, უთუოდ გენახებათ, როცა მჭედელს უნდა, რომ ურმის თვალს რკინის სალტე გადაუჭიროს, მაშინ მჭედელი ძალზე გახურებულ რკინის სალტეს ჩააცმევს ხოლმე ურმის თვალს და იმწამსვე ცივ წყალში აციებს...

— მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე, — წარმოთქვა დემეტრემ, — როცა მჭედელი რკინის სალტეს აკეთებს, განგებ აკლებს ზომას, ასე რომ, ცივი სალტე ურმის თვალს სრულებით ვერ ჩაეცმის და იმიტომ აცხელებს სალტეს, რომ გაგანიერდეს და ადვილად ჩაეცვას ურმის თვალს. მერე, რაკი გაცივდება, სალტე თავის ზომისა დადგება, ურმის თვალს მოეჭირება.

— ვიწრო ფეხსაცმელი შეიძლება იმდენად არ გაწუხებდეს, — მოიყვანა მაგალითი აყლაყუდამ, — მაგრამ აბანოში დაბანის შემდეგ რამდენს ვეწვალებით ხოლმე, ვიდრე ვიწრო ფეხსაცმელს ჩავიცვამდეთ.

— მაშასადამე, — განაგრძო ბ. ვარძიელმა — რაც მეტად ცხელ-

დება რაიმე სხეული, იმდენად მისი მთელი გარსი (объем) ეფარა. მატულობს, მეტ ადგილს იჭერს და მჭიდროება (сцепление), აგრეთვე სიმკვრივე (плотность) სხეულს აკლდება, თანაც წყალში მსუბუქდება. პირიქით, როცა სხეული ცივდება. და რამდენადაც ძლიერ ცივდება, გარსში კლებულობს, მჭიდროვდება, იკუმშება, მკვრივდება და მძიმდება. წყალი რომ ამ კანონის ძალას ემორჩილებოდეს, მაშინ, თქვენი მტერი! ზამთარში ტბა-მდინარენი და ზღვა-ოკეანენი სულ მთლად გაიყინებოდნენ. ზედაპირიდან ძირისძირამდე ყინულის ლოდად გადაიქცეოდნენ. მაგალითად, ზედაპირი ტბისა გაიყინებოდა თუ არა, დაიძირებოდა. ახლა ყინულზეით მოქცეული წყალი გაიყინებოდა, დამძიმდებოდა, კვლავ დაიძირებოდა და კიდევ და კიდევ. რაღა თქმა უნდა, ყინულში ყოველივე სიცოცხლე მოისპობოდა, წყალთა ცხოველნი მთელ ქვეყანაზე გაწყდებოდნენ. ეს კი წარმოსადგენადაც ძნელია, რადგან დასაბამიდანვე სიცოცხლე წყალში გაჩნდა და მერე ხმელეთს მოეფინა.

— კაი საქმე დაგვემართებოდა, თქვენმა მზემ, რო წყალთა ცხოველნი გაწყდნენ, — ჩაერია ლაპარაკში ჩვენი აყლაყუდა, — რას ბრძანებთ, რამდენი მილიონი ხალხი დარჩებოდა მშიერი. არამცთუ წყალთა ნაპირების მცხოვრებთა, არამედ მთელი სახელმწიფოთა კეთილდღეობა და ხალხთა სიმდიდრე წყალთა ცხოველების ნადირობაზეა დამოკიდებული.

— ისიც კი უნდა წარმოვიდგინოთ, — დაიწყო ისევ ბ. ვარძიელმა, — ტბა-მდინარენი და ზღვა-ოკეანენი მთლად რო იყინებოდნენ, ამ სისქე ყინულს ან კი რა გაალხობდა?! მგონი, თორმეტი მზე, თორმეტი ზაფხული რო ცდილიყო, ვერას დააკლებდა. კიდევ ამიტომ, ბუნება ბრძნულად მოიქცა და გზა აუხვია თავისავე კანონს, რადგან მისი ოჯახისათვის გამოუსადეგარი და გამანადგურებელი იქნებოდა. ბუნებამ წყალს და მხოლოდ წყალს, სულ სხვა, განსაკუთრებული თვისება მიანიჭა. ეს შესანიშნავი განსხვავებითი თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ, როცა ზამთრის პირას სიცივე ჩამოვარდება და ჰაერის სითბო 4 გრადუსამდე ჩამოვა, ამ დროს წყალი იკუმშება, მომეტებულად მჭიდროვდება, გარსში კლებულობს და შედარებითი წონაშიაც (удельный вес) მატულობს. 4 გრადუს სითბოს წყალი რაკი გადასცილდება, სითბო დადგება თუ სიცივე, ეგ სულ ერთია, მაინც განიერდება, ფართოვდება. როგორც საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოდ, ისე ამ ჩვენი ტბის წყალი, როცა ზამთრის პირას 4° ცელსიუსი ბოსი გახდება ძირის სართულის წყალზე უფრო მძიმე შეიქნება და ამიტომ ტბა ჩასძირავს ამ დამძიმებულ ზედაპირა წყალს; ხოლო მის მაგიერ ძირიდან მსუბუქი წყალი ზევით ამოვა, აქ ისევ 4° სითბოს შეიძენს, დამძიმდება და ისევ ქვევით ჩავა, ჩაიძირება. ამგვარად, წყლის ნაკადულნი განუწყვეტლად ადი-ჩადიან, ვიდრე მთლად ტბა ერთნაირი ტემპერატურისა, 4° სითბოსი შეიქმნება. მერე ზამთრის სიცივე და ყინვები რომ დაიჭერს, ტბის ზედაპირი მეტად გაცივდება, წყალი იყინება, ე. ი. წყალი 4° სითბოს ქვევით ჩამოდის. 0°-ზე იყინება და შეკუმშვის მაგიერ, რაც სხვა სხეულს უეჭველად დაემართებოდა, წყალი-ყინული განიერდება და შედარებით წონაშიაც კლებულობს, მსუბუქდება. ამიტომაც ყინული წყალზე გაცილებით მსუბუქია და ტბაზე ჩატესის დროს ატივტივებული დაცურაობს. მდინარენი კი, სხვათა შორის, მთლად არ იყინებიან იმიტომ, რომ განუწყვეტელ მოძრაობაში არიან და, საცა მოძრაობაა, იქ უეჭველად სითბოც იბადება. მეტადრე ჩვენი გიჟი მდინარეები გააფთრებულნი ქვიდან ქვაზე რომ დახტიან, ძნელად იყინებიან და ისიც მხოლოდ იმ ადგილას, საცა მდორედ მომდინარებენ. მაგრამ ზღვა-ოკეანენი და ტბა-მდინარენი მაინც ძლიერ ღრმად გაიყინებოდნენ, თუ რომ ბუნებაში არ არსებობდეს ყოვლად ძლიერი დაბრკოლება — ფარული სითბო (скрытая теплота). მაგალითად ერთ გირვანქა წყალს 79 ერთეული სითბომბადი (теплород) უნდა წავართვათ, რომ 0° ყინულად გადაიქცეს. ამას კი ვერ შეძლებენ თვით ჩრდილოეთის ხანგრძლივი და საშინელი ყინვა-სიცივეები. ამასთანავე, თვით ზედაპირი ტბისა რაკი გაიყინება, როდიღა უშვებს სიცივეს ღრმად ტბაში. მაგალითად, შემოდგომის ნათესი ზამთარში იმიტომ არ იყინება, რომ თოვლის ქვეშ თბილად ინახება, თოვლის ქობა არ უშვებს მიწაში სიცივეს და უთოვლო ზამთარი თუ შეხვდა, მაშინ ყანები ძრება, იღუპება... არც ზაფხულის სიცხე ჩადის წყალში ღრმად, რადგან წყალი ცუდი გადამცემია (плохой проводник) სითბოსი. ამიტომაც არის, რომ ღრმა ტბის გულში წყალი ზაფხულ-ზამთარ გამუდმებით ოთხი გრადუსი სითბოსია და ცხოველთა ცხოვრება წყალში ყოველ დროს ერთნაირ ტემპერატურაში (4°) წარმოებს...

— ი, შენი დედ-მამა ცხონდა, ბატონო, ეგ კი მართალი ბრძა-

ნებაა, — ჩაერია ლაპარაკში მეთევზე დემეტრე, — ზამთარში, რომ თევზზე მინადირია, ამოიღებ თუ არა წყლიდან სათხეველს, დიდ ყინვაში უეცრივ გაითოშება ხოლმე და წყალში რო ჩავაგდებ, ისევ ლხვება-რბილდება. მაშ ჩანს, ბატონო, წყალი ჰაერზე უფრო თბილი ყოფილა. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, „რაც გინდ ყინამდეს ზამთარი“, თევზთა ქეიფს ვერ დაუშლის!

— ჰაი, ჰაი, რო იქეიფებენ?! არა ხნავენ, არა თესვენ, ბატონს ხარჯს არ აძლევენ და მოვახშეს ქედს არ უხრიან; თავისუფლად, უზრუნველად ცხოვრობენ. მათ კარს წვიმისა და მზის მეტი არაფერი მიადგება. ჰაერი იმდენად არის წყალში განზავებული, რომ რამდენიც სჭირია თევზს სისხლის დასაწმენდად, ლაყუჩებით სუნთქავს — წყალს პირში იგუბებს ხოლმე და ლაყუჩებით სცლის.

მოუნდა თევზს ცურვა? ვინაა დამშლელი: ტანის მოყვანილობა, ბოლო, ბუშტი და ფრთები საგანგებოდ ცურვისთვის აქვს მოწყობილი; გაარტყამს ბრტყელ ბოლოს მარჯვნივ, გაარტყამს მარცხნივ — წინ გასრიალდება, ფრთებს საჭესაებრ მოუსვამს და საითაც უნდა, იქ მიტრიალ-მოტრიალდება, გაბერავს ჰაერით საცურავ ბუშტს, დამსუბუქდება, ატივტივდება, ზევით ახტება. დაჰფუკავს ბუშტს — დამძიმდება, ქვევით ჩავა, ჩასრიალდება და არის განუწყვეტელ სიამოვნებაში. მოშივა და, ჩემმა ღმერთმა, ვერ იშოვის საზრდოს — მხედველობა საკვირვლად კარგი აქვს და აგერ, ტბა სავსეა წვრილმან ცხოველებით და ჭიჭყინებით: ინავარდე, ინადირე, ინადიმე — ბუნების სუფრა უხვია.

დაუდგება თევზს დრო და ბუნებას მოვალეობას გადაუხდის — თავის მსგავსის შესანახად, შთამოების გასამრავლებლად ათიათასობით და მილიონობით კვერცხს (ქვირითს) სდებს და აღარაფერს ზრუნავს, თვითონვე გამოიჩეკებიან, მერე კი, დაე, თვითონ ისაზრდოონ — წყალში საკვები მზამზარეულია, მხოლოდ ყბა გააღე და იცურავე. წყალში იმდენად გაჭირვებული არ არის ბრძოლა არსებობისათვის.

— ი... თქვენი ღმერთის ჭირიმე, თქვენი ღმერთისა! — წამოიძახა დემეტრემ და ჩვენც ყველანი დიდად ნასიამოვნები დავრჩით და გულითადი მადლობა გადავუხადეთ.

გამოვემშვიდობეთ ჩვენს მასპინძელს ალექსი სანდაძეს და მისი მადლიერნი გზას შინათკენ გავუდექით. მთელი 7-10 ვერსი გზა

სულ ტბის ნაპირას მოსდევს. გზად მიმავალთ ლექციის შთაბეჭდილება გამოგვყვა და ტბის მაცქერალნი ისევ წყალზე და მის თვისებაზე ვბაასობდით. მართლაცდა, წყალი საზოგადოდ, ერთობ საინტერესო სხეულია და ბევრი შესანიშნავი თვისებაც სჭირს, როგორც ფიზიკური, ისე ქიმიური. აი, თუ არ გამიწყრებით, წყლის ორიოდე ფიზიკურ თვისებას კიდევ მოგახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალს ყველანი ვიცნობთ, თხელი სხეულია, რომელიც ძლიერ გავრცელებულია დედამიწის ზურგზე. მოგეხსენებათ, რომ სამი წილი ხმელეთისა წყალს უჭირავს. მაგრამ სხვაფრივაც ძლიერ არის გავრცელებული, ოღონდ კი ისე აშკარად არა ჩანს. მაგალითად, ჰაერში ორთქლადნაქცევი, აორთქლებული დაცურაობს. და მერე, სიცივე რომ დაჰკრავს, შეკუმშული ქვეყანადვე გვევლინება ვითარ თოვლი, წვიმა, სეტყვა, თრთვილი, ჯანოი და სხვ. როცა ჰაერი ორმოც პროცენტზე ნაკლებს შეიცავს აორთქვლილ წყალს, ამგვარი ჰაერი სასუნთქველად აღარ ვარგია — ხმელია და სულს ხუთავს. ხოლო ის ჰაერი, რომელშიაც 80% მეტი ურევია აორთქვლილი წყალი, ნოტიოდ ითვლება.

ამასთანავე, ყველა მცენარისა და ცხოველის სხეული ჭარბად შეიცავს წყალს. მაგალითად, ხის ნაჭერი ჯერ ნედლი აწონეთ, მერე ფურნეში გაახმეთ, მაშინ შეიტყობთ რამდენსაც დაიკლებს. ვთქვათ, რომელიმე ცხოველი იწონის 150 გირვანქას, ფურნეში რომ გავახმოთ, ერთი ფუთი ძლივსღა დარჩება. ესე იგი, 110 გირვანქა ორთქლად დაიკარგება, რადგან წყალი იყო. ამგვარად, როცა ხორცს ყიდულობთ, იცოდეთ, რომ ფულს წყალშიაც აძლევთ, რადგან ორ გირვანქა ხორცზე გირვანქა ნახევარი წყალი მოდის და ნახევარი გირვანქა — მაგარი სხეული. ბოსტნეულობა და ყოველგვარი მწვანილიც ხომ ბლომად შეიცავს წყალს. მაგალითად, ისპანახი შეიცავს 88% წყალს, ახალი კომბოსტოს თავი 85% და სხვა...

წყალი სამგვარ მდგომარეობაშია ცნობილი. პირველი — სითხეა, თხელი სხეულია; მეორედ, რაკი სითბო 4° ზევით დადგება, მაშინ წყალი გარსში მატულობს, ფართოვდება, მერე 100°-ზე დუღს და ორთქლად, გაზად გადაიქცევა; მესამედ, ვიცით, რომ რაკი 4° სითბოს ქვევით დაიწევს და სიცივე დადგება 0°-ზე იყინება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დიდი სიცივისაგან ქვასავით მაგარ ყინულად გადაიქცევა და იმავე დროს გარსში მატულობს და მსუბუქდება.

რომ წყალი გაყინვის დროს განიერდება და საშინლად ფართოვდება, ეს ადვილი დასამტკიცებელია. ჩაასხით წყალი ბოთლში პირთამდე და გარეთ სიცივეში დადგით როცა ჰყინავდეს. თუ ბოთლი უძრავად იდგება, შეიძლება თითქმის 12° სიცივეშიაც არ გაიყინოს, მაგრამ საკმაოა ცოტათი შეანძრიოთ, ან ყინულის ნაჭერი ბოთლის პირთან წყალს მიაკაროთ, ამ დროს წყალი ყინულად გადაიქცევა, გაგანიერდება, გაფართოვდება და, ბოთლში ტევა რომ აღარ იქნება, ბოთლს საშინელი ძალით დახეთქავს, ან კი რა საჭიროა ამის ცდა, ჩვენში ყველა დედაკაცმა იცის, რომ ზამთარში სავსე კოკას გარეთ არ დადგამს — „წყალი არ გაიყინოს და ე, კოკა კი არ გასკდესო“...

კოკა ან ბოთლი რა ბრძანებაა. წყალი გაყინვის დროს ისეთი საშინელი ძალით განიერდება ხოლმე, რომ ბოთლის მაგივრად გინდ სქელი რკინის ჭურჭელი იხმაროთ, მაინც ვერ გაუძლებს და ჭექა-ქუხილით დაიმსხვრევა. ბევრჯერ სცადეს, განგებ თუჯის ყუმბარაში (ზარბაზნის ტყვია) პირთამდე ჩაასხეს წყალი, დაუცეს რკინის საცობი ჭახრაკიანი და ზემოდანაც საცობზე დააწყვეს მძიმე ტვირთი. მაგრამ აი, შენც არ მომიკვდე! რაკი ყუმბარაში წყალი ყინულად გადაიქცა, მსწრაფლ საცობი ამოისროლა და საშინელი ხმაურით ყუმბარა ნაჭერ-ნაჭერ დაამსხვრია,—გეგონებოდათ, ზარბაზანი გავარდაო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მესამე*

ერთი კუთხე ჯავახეთისა

I

დასავლეთს ცეცხლი მოეკიდა, ღრუბელთა გროვა ფერად-ფერადად იწოდა — მზე ჩასვენებას აპირებდა, პატარა ყურიდა უჩანდა. არემარემ ფერი იცვალა, ალაგ-ალაგ დიდ-დიდად დაიჩრდილა. ალაგ-ალაგ ჯერ შუქი იდგა. აგრილდა.

სოფელ მოლითთან უკანასკნელად გამოვეთხოვეთ სატრფიალო ტბას. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, ჩვენმა ზაქრომ გაგვიცხადა: ბატონო, ე ხურჯინმა მთელი დღეა წელი მოსწყვიტა ცხენს და ეს საგზალი შინვე ჩო არ მოვიტანოთო. მოგვეწონა ზაქროს პრაქტიკული ჭკუა. ავირჩიეთ დაჩრდილული მწვანე ადგილი და თივის ბულულთან ხელად სუფრა გავშალეთ. სწორედ მოგახსენოთ, სამხარი ყველას გვეამა, ასე გემრიელად, ასე მადიანად, მგონი მის დღეში პური არ გვეჭამოს. დიახ, ასეთი გავლენა აქვს სუფთა ჰაერზე მოძრაობას! საყველაწმიდოს შემდეგ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და მოგზაურთა გუნდი შუაზე გაიყო — ნახევარი შინ წავიდა, ქალების ურემს გაჰყვა და ჩვენ კი მარცხნივ გავწიეთ ხუმრისისაკენ.

მზე სრულიად ჩავიდა, ჩაიმალა, მაგრამ მისი ცეცხლებრ სხივები ცაში ღრუბლებს ფერავენ და სამსარის მთის ქედზე გაფანტულნი, დაქანცულნი თვლემდნენ. ბინდი სინათლეს შეებრძოლა. დედამიწამ ახლა მეორე გვერდი მიუცხუნა მზეს— ჩვენ გვიბნელდება, სხვას უნათდება.

ზაქრომ დაგვაჯერა: მაგრე კი არა, დედამიწა ზღვაზე დგასო

* იბეჭდება შემოკლებით (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორი ვეშაპი თევზი იმაგრებსო, ახლა მზე იმ ზღვაში ჩავიდა, იქ იბანავებს, ამაღამ დაისვენებს და ცისკრისას ისევ აღმოსავლეთიდან მოგვევლინება ახალის ძლიერებითაო.

— მაგრე კი არა, ზაქრო, ის რაღათ დაგავიწყდა, მზე — ჭაბუკია, ი ზღვის ხელმწიფის ქალთან ამაღამ დაიძინებს და დილაზე ისევ ჩვენს დედამიწას ემსახურებაო, — უხუმრა ჩვენმა თანამგზავრმა.

— არა, ბატონო, ეგ არ ვიცი და ის კი გამიგონია, რომ მზე ცისკრის ვარსკვლავს ეარშიყებაო, მაგრამ სხივებს ესვრის თუ არა, კეკლუცი ვარსკვლავი სადღაც გაქრება ხოლმე.

— გინდა, ზაქრო, გიპოვო ეგ კეკლუცი ვარსკვლავი?

— რა ბრძანებაა, ბატონო, სად იპოვით?

— დაჰკვირვებიხარ როდისმე: მზე ჩავა თუ არა, დასავლეთზე ზოგჯერ მთვარე და ერთი ბრჭყვიალა ვარსკვლავი წყვილად გამოჩნდებიან ხოლმე?!

— როგორ არა, მინახამს, ბატონო, აი, ძალზე რო ბრჭყვიალებს, ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო. ე ხო ყველა ვარსკვლავი ანათებს, მაგრამ მაგ ვარსკვლავთან ყველანი ტყუიან. მთვარესაც კი უჯიბრდება ხოლმე. მაგას, ბატონო, ხო მწუხრის ვარსკვლავს ეძახიან.

— ჰოდა, ეგ მწუხრის ვარსკვლავი იგივე ცისკრის ვარსკვლავია, თუ იქ მზეს დაემალა, ხელიდან გაუსხლტა, ახლა, რაკი მზე თავიდან გაიცილა, მთელი მწუხრი მთვარესთან არშიყობს, ეალერსება, ცისა და ქვეყნის საქმეებზე ჭორიკანაობს.

გზამ ისევ ტბას დაგვაახლოვა — ტბის პირ-პირ მივდიოდით. კარგა ბინდი შეიქნა, როცა შამბნარიანი შელმართი ავიარეთ და სოფელ ხუმრისს მივედით, რომელიც უფრო ნასოფლარსა ჰგავს. რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომამდე აქ და სოფელ მოდეგიაში ბერძნები ესახლნენ, ომის შემდეგ ყარსისკენ ითხოვეს და გადასახლდნენ.

ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, რომ ჯერ აქ, ამ ნასოფლარში სხვა ტომის ხალხი არ დაუსახლებიათ. ჭეშმარიტად რომ ღირსეული შვილი იყო თავისი ერისა სახელმწიფო ქონებათა აწ განსვენებული გამგე, დიდკაცობაშიაც კი არ ივიწყებდა თავის მოძმეთ და ისინი, როგორც რუსული გაზეთებიდანაც ვიცით, ორ ათასამდე ახლად დაასახლა თბილისის გუბერნიაში. ამ საგანმა კამათი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიწვია. აქვე ხუმრისში შემთხვევით შეგვესწრნენ ჩვენი კარგი ნაცნობები — ერთი ბარალელი და ერთიც კოთელიელი*. ამათ შემოგვჩივლეს:

— ვერ წარმოიდგენთ, რა შევიწროებაში არიან მამულის უქონლობით ამ ხუმრისის ახლო მდებარე ქართველთა სოფლები, მეტადრე კოთელია, ჭიხარული და სხვა... მაგრამ განსვენებული გამგის დროს არამცთუ დასახლების ნებას ვერ მივიღებდით, სახელმწიფო სათიბ-საძოვრების შოვნაშიაც კი მისგან უპირატესობა სხვა რჯულის ხალხს ჰქონდა მინიჭებული...

— მე აქ გასაკვირველად არაფერი მიმაჩნია, ასეთი წესია ცხოვრების მეჯლისზე...

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო,
ჩავარდი გულის ხმასაო,
სხვანი ასე ირჯებიან,
შენც აღვიძებდე ჭკვასაო.

სოფელი ხუმრისი იმავე ტაბაწყურის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. ნახევარი ტბისა ბორჯომის მამულს ეკუთვნის და ნახევარი სახაზინოა, ჯავახეთშია. ამიტომაც სოფელი წითელი საყდარი ბორჯომისაა, გორის მაზრაზეა მიწერილი და ხუმრისი კი ჯავახეთში ითვლება და ახალქალაქის მაზრისაა.

— აი, გიამბოთ, რად დარქმევია ამ სოფელს ხუმრისი, — დაიწყო კოთელიელმა და განაგრძო: — აი, ეს სოფლები ხო ერთმანეთს გაჰყურებენ... ხუმრისელი ავთანდილი წითელწყაროელი თინათინის ეშხით იწოდა, მაგრამ ტბის სივრცე-სიღრმე ხელს უშლიდა. მოგეხსენებათ, თუ კაცმა მოინდომა, შეუძლებელი არაფერია. სიყვარულით გამსჭვალულმა ბიჭმა ბოლოს ისეთი ცურვა ისწავლა, რომ მთელი ტბა და მისი სიღრმე სახუმაროდ მიაჩნდა. რომ დაღამდებოდა, ტბის იქითა ნაპირას გოგო დაიჭერდა ანთებულ კვარს და ამ ნიშანზე აქედან ეცემოდა ბიჭი ტბას და 3-4 ვერსის მანძილზე ცურვა-ცურვით ხელად გოგოსთან გაჩნდებოდა. დიდხანს ტკბებოდა ქალ-ვაჟი სიყვარულის ცეცხლის შრეტით, მაგრამ ამათაც ჩაშხამდათ ნეტარება — თაფლი ძიმწრად გადაექცათ. მოგეხ-

---

* აქ ორიოდე წლის წინათ, 5-6 სული ქურთი მოინათლა და ახლა ბარალელი და კოთელიელი ამ ქურთების აქ დასახლების საქმეზე ამოსულიყვნენ.

სენებათ ანდაზა: რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო. ერთხელ გოგო ეხუმრა თავის მიჯნურს: მე რომ კვარი არ აგინთო, შენ ვერც კი მომაგნებო. ბიჭს, ცოტა არ იყოს, ეწყინა: მე ხუთ ვერს ტბას მკერდით ვაპობ და ეს რაებს მეუბნებაო?! ქალმა განაგრძო: ი მტყუანს ძირძიდა, რო ყველაფერი ჩემი უნარიაო...

გაიარა კარგმა დრომ და აკი იხუმრა გოგომ! ერთ ღამეს, კუმეტ ბნელაში ი დალახვრილმა, ჯერ აანთო კვარი და მერე, როცა ივარაუდა, ახლა კი შუა ტბამდე იქნებაო და კვარი ჩააქრო. ბიჭმა, გზა-კვალაბნეულმა, უნიშნოდ, წყვდიად ბნელაში ცურვით ნაპირს ველარ მიაგნო, იტრიალა, იტრიალა და მკლავებმოდუნებული ტბის უფსკრულში შთაინთქა. ეს ამბავი გოგომ შეიტყო თუ არა, — დაუდგა თვალი, — გაგიჟდა მწუხარებისაგან და ისიც ტბაში გადავარდა, რომ საფლავიც ერთი ჰქონოდათ და მეგობარნი სულნი საიქიოსაც ერთად შემტკბარიყვნენ. ხალხმა თქვა: ეს ვერაფერი ხუმრისი (ხუმრობა) იყოო?!.

ესევე ლეგენდა გამიგონია ფარვანის ტბაზე. (უდიდესი ტბაა ჯავახეთში) ფარვანელი გოგო კვარს უნათებდაო და გამოღმიდან, ქოროღლის მთის ნაპირებიდან, ბიჭი პეპელა ფარვანასებრ ამ შუქზე ტბაში ცურვით გადიოდაო. ბოლოს, ესეც გოგოს მუხანათობით ტბაში დაიღუპა და მას აქეთაა ტბას ფარვანა ეწოდაო.

იმ ღამეს ხუმრისში გაგვიმასპინძლდა ქართველი მაჰმადიანი სულეიმანა, რომელიც აქ ძველისძველად, მამა-პაპითვე მკვიდრობს, თავისი სამიოდე კომლი მეზობლით. ადრე აქ ბერძნები ცხოვრობდნენ, პასკევიჩის დროს (1828—30) ოსმალეთიდან გადმოსახლებულნი, მაგრამ მერე ისევ ყარსისკენ გადასახლებულან. ხუმრისში უფრო ძველად კი ქართველთა სიცოცხლე დუღდა და ახლა ზოწმედ საქართველოს აქ მეფობისა სულეიმანიღა დაგვრჩენია, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინათ თავისი ბებია ქრისტიანული წესით დაუმარხავს.

აქვე არის თლილი ქვით ნაშენი ეკლესია წმიდა გიორგის სახელობაზე. მლოცველები, შეტადრე ზაფხულობით, იალაღებიდან მეცხვარე მწყემსნი ბევრნი მოდიან — თუშები, ქიზიყელები და სხვანი. ეკლესიის მნათედ თვითონ სულეიმანა არის, გასაღებიც მას აბარია და სანთლებსაც სულეიმანი ჰყიდის.

ჩვენი მასპინძელი ქართული პურადობით დაგვიხვდა. ვახშამზე

ისევ მწვავე საგანზე, მამულის თაობაზე ჩამოვარდა კამათი. მოგეხ-
სენებათ, გლეხკაცისათვის პირველი საგანი და სახსარი ცხოვრე-
ბისა მამულია, მიწაა, და მისი თვისება-რაოდენობაზეა დამოკიდებუ-
ლი არამცთუ მისი ცხოვრება და კეთილდღეობა, არამედ მთელი
სახელმწიფოსი, მთელი ქვეყნისა.

მიწაა მხოლოდ უკვდავი,
უკვდავიც იგი ერია,
რა ერსაც უყვარს გუთანი,
სამშობლოს მიწა-წყალია.

დიახ, ამ მიწას გლეხკაცი მთელი თავისი სიცოცხლე ეჭიდება,
ეჯაჯგურება, შავ მიწას ჩაჰყურებს და მისი გულიდან ელის ხსნას
ყოველივე გაჭირვებიდან. მტერსაც მითი უნდა გასცეს პასუხი და
მოკეთესაც.

მიწა ვარ ნიადაგ მენა,
ბეჩავი გლეხად შობილი,
მიწაა ჩემი დედ-მამა,
ჩემი და, ჩემი ძმობილი...

ცოცხალია — მიწა ინახავს, მოკვდება და ისევ მიწამ უნდა შეი-
ნახოს, მიწადვე უნდა იქცეს.

ტყუილად კი არ ქადაგებს მეცნიერი ხალხი, რომ მიწა მიწის
მუშაკს, მიწის მოქმედს უნდა ეკუთვნოდესო, ვინც მიწაში ოფლსა
ღვრის, პატრონიც იგი უნდა იყოსო. მაგრამ ბევრი წყალი ჩაივლის,
ვიდრე ხალხთა შორის ცხოვრება და სოციალურ-ეკონომიური და-
მოკიდებულება ნორმალურად მოეწყობა და კაცი-მხეცი კაც-ადა-
მიანად გარდაიქმნება.

II

ხუმრისიდან დილაადრიან გზას გავუდექით თრიალეთისაკენ.
ამომავალი მზის უბიწო სხივები ანკარა ტბაზე ნავარდობდნენ,
ცელქობდნენ, ტბის ციმციმა ზვირთებში კრთოდნენ ფერად-ფე-
რადად, იმსხვრეოდნენ. თუმცა დიდი მანძილი არ გამოგვევლო, მაგ-
რამ ტბისა და მისი არემარის დილის სურათმა ანდამატივით მიგ-
ვიზიდა — დასვენება დავაპირეთ. ამისთანა დიდ ტბებს, როგორც

ჯავახეთშია, იშვიათად შეხვდებით საქართველოს სხვა მაზრებში.

ტბის ნაპირას, ჩუხჩუხა წყაროსთან, ყვავილებით მოქარგულ მწვანეზე ჩამოვხდით და შიკრიკი მეთევზეებთან ვაფრინეთ. ვიდრე ცოცხალი კალმახი მოგვივიდოდა, მთის წყაროს ცივ-ცივი წყლით პირი ვიბანეთ, გული ვიგრილეთ და ქვის ჩრდილში მწვანეზე წამოვგორდით. მართლადა რა უბედურებაა ეს მოტიტვლებული მთები! ჩვენი ცოდო ეკითხოს, ვინც აქაური ტყეები გაჩეხა და ძირიანფესვიანად ამოაგდო! აბა, რაა! კაცი ერთ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეეფაროს. აბა, ამისთანა ბუნებამ რა კეთილი გავლენა უნდა იქონიოს აქ მცხოვრებთა ხასიათზე, სულიერ მხარეზე! სამაგიეროდ, აქაური ჰაერი და წყალი უკვდავებაა, საუცხოოა, შეუდარებელია.

თვით უკვდავმა მეცნიერმა პასტერმა დაამტკიცა, რომ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ათასნაირი ბაცილა-მიკრობები უხვად ირევიან, სოფლად — ნაკლებია, ხოლო მთა ადგილებში, მაღლობზე, თითქმის არ მოიპოვებიან არავითარი ჩვენი დროის მიკროსკოპული მავნენი.

მაშ, რაღა გასაკვირველია, რომ მთა ადგილებში ადვილად არ-ჩენენ იმგვარ ჭრილობასაც კი, რომელიც ბარად სასიკვდილო ჭრილობად ითვლება. მართალია, მთიელი ხალხის სხეული, უფრო მთელია, საღი ხორცია, რისთვისაც არ უავდება ჭრილობა, მაგრამ იმ გარემოებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბარში ათასგვარი მიკრობები აგეკვიატებიან, მოგიწამლავენ იარას, მთაში კი სუფთა მჟავბადის გამო თავისუფალი ხარ ამ ვაისაგან. თორემ დიდ საიდუმლოს კი არ შეადგენს მთიელ ექიმთა სასწალმოქმედი მალამო; ღორის მუცლის ქონი(უმარილო, ახალი), ფიჭვის კევი და თაფლის სანთელი, ყვითელი. უფრო მცოდნე ექიმები კი ფიჭვის კევის მაგიერ თირამინდს (Terebinthina veneta) ხმაროობენ. ამ საგნებს, ნელ ცეცხლზე, ტაფაზე ადნობენ და შეიქმნება მალამო. ამავე მალამოს ზოგჯერ ავაჯუასაც (მცენარეა) უმატებენ, რის გამოც წითელი ფერის გამოდის.

ბუნების კალთებზე გორებამ ბუნებაზევე ჩამაფიქრა და, ცოტა არ იყოს, ოცნებას მივეცი. წყაროს ჩუხჩუხ-ჩხრიალი სმენას მიტკბობდა; ტბის სივრცე, ცის ლაჟვარდი, ოცნებას შორს, შორს იტაცებდა... შენ მაინც მითხარ, წყაროვ, გამიქარვე ეჭვნეულობა,

მართლა ხელმწიფე ვარ ბუნებისა, მისი მრისხანე მბრძანებელი, თუ იგივე უმნიშვნელო ჭია?

ამ დროს რაღაც ქინქლა ბუზი ჩამივარდა თვალში, გამამწვავა, თოფნაკრავივით წამოვხტი. მივირბინე წყაროსთან, თვალს ბანა დავუწყე... ეს არის შენი პასუხი, წყაროვ!.. ვაიმე, ჩემო ამაყო გონებავ რა ადვილად დაგემსხვრა ოცნების ფრთები!

გახურებულმა მზის სხივებმა კისერი დამწვა და ისევ ქვის ჩრდილი მომანახვინა. იქვე, ტბის პირას, მწვანე შელმართზე, მუშა ხარები ცვრიან ბალახს დამშეულნი, აჩქარებით ძოვდნენ და რომელ ხარსაც მოესწრო ფაშვის გავსება, მუცელზე იწვა და ზარმაცად იცოხნებოდა. შემშურდა, რომ ამ ხარებს არც მზისა ეშინოდათ და არც ქინქლა ბუზებისა, თავისთვის არხეინად იცოხნებიან.

წარმომიდგა რომელიმე ქარხანა, სადაც ორთქლის მანქანა ატრიალებს ჩარხს და რამდენსაც მეტს შეუკეთებ შეშას ანუ ქვანახშირს, იმდენად მეტ ორთქლს მოგვცემს და მეტი ძალითაც მოიყვანს მოძრაობაში მთელ ქარხანას. ისე ეხლა ეს მუშა ხარები არიან: შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ხარისაგან ამდენ ფუთ შეჭმულ ბალახს ამდენი ძალა და სითბო აქვსო და ამოდენა ღონით შეიძლება ვამუშაოთ ხარი ამდენ ხანსო. ხარის ცოხნამ გამახსენა: რა საკვირველად, რთულად მოუწყვია ბუნებას ამ ხარების საჭმლის მოსანელებელი იარაღი (კუჭი). როცა ხარი ძოვს, ჩქარობს, რომ ტყუილა დრო არ დაკარგოს და რაც შეიძლება ბლომად მოძოვოს — ერთი ენას კი მოუსვამს ხოლმე და ხელდახელ მსხვილად, ოდნავ დაღეჭილ ბალახს პირდაპირ გზავნის დიდ ფაშვში (პირველი კუჭი). ფაშვში დამბალი ბალახი გუნდებად გადადის მეორე კუჭში (ტოტი). აქ საჭმელი, ლუკმებად ნაქცევი, ბოყინის საშუალებით ისევ საქონლის პირს უბრუნდება. ახლა კი იწყება დინჯად ცოხნა და ხელმეორედ გულიანად დაღეჭილ საჭმელს ხარი ყანყრატოთივე ყლაპავს და გზავნის პირდაპირ მესამე კუჭში, სადაც საჭმელი უფრო რბილდება და ცოტა ხნის შემდეგ გადადის მეოთხე, ნამდვილ კუჭში, რომელსაც დვრიტა ქვია, და რომელშიაც ქიმიურად იხარშება საჭმელი. ხოლო სასმელი წყალი და სხვა რამ თხელი საჭმელი პირდაპირ ამ ნამდვილ კუჭში ჩადის. ძუძუთა ხბოს მხოლოდ ეს ერთი კუჭი, დვრიტა აქვს, ეს ის დვრიტაა, რომელიც იხმარება რძის ასაჭრელად — ყველის გასაკეთებლად.

ი ასეთი რთული და ძლიერი იარაღი აქვს ხარს და ეფექტური მცოხნავ ცხოველს მოსახარშად, მოსანელებლად.

ცნობილ მეცნიერ მოგზაურს ბეკერს ჰქონია ბაასი აფრიკაში ველური ხალხის ერთ წინამძღოლთან — კომმორისთან. ამ ველურ კაცს უთქვამს: ხარი ადამიანზე ბევრად ბედნიერიაო, რადგან არც ხვნა უნდა, არც თესვა, საჭმელს კი ყოველთვის მზამზარეულს შოულობს და რასაც შეჭამს, ადვილად ინელებსო. ადამიანი კი მხოლოდ დიდი ჯაფითა და გაჭირვებით შოულობს თავისთვის საჭირო იმგვარ საზრდო-საკვებს, რომლის მონელებაც ადვილად შეეძლოსო. ამ შავკანიანი ფილოსოფოსის მოსაზრებაზე ლიპერტი ამბობს: მართალია, კაცი ძლიერ ჩამორჩა მცოხნავ საქონელს, რადგან ამ ცხოველს ადვილად შეუძლია თითქმის ყოველივე მცენარეული საჭმელი სასარგებლო საზრდო-საკვებად გადააქციოსო. კაცს აკლია აგრეთვე იმგვარი ძალა ძარღვ-კუნთებისა და სიმარდე, როგორიც მტაცებელ მხეცთათვის მიუნიჭებია ბუნებას. ამიტომ კაცს არც მხეცივით შეუძლია მტაცებლობა-ნადირობით ირჩინოს თავი, ისაზრდოოს და, რაღა თქმა უნდა, რომ კაცი ბუნებრივ იარაღს — ჭანგს, საგლეჯ კბილებს და სხვებს მოკლებული, შედარებით ბევრგვარ გაჭირვებას იტანსო.

ამ მხრივ, თუმცა ვერწმუნებით ნილოსის ხეობის ფილოსოფოსის აზრს, მაგრამ არ შეიძლება ისიც არ შევნიშნოთ, რომ მას ნაკლებ სცოდნია ხარის ბუნება, განა ეს ცხოველი კი, რომლისთვისაც ბუნებას მიუცია ისეთი რთული და სრული იარაღი საჭმლის მოსანელებლად, განა ეს კი ადვილად არ ჩავარდება ხოლმე გაჭირვებაში საჭმლის უქონლობის გამო? იქ. სადაც ვერც ერთმა ცხოველმა ვერ შესძლო არსებობისათვის ბრძოლა, ვერ იცხოვრა და სრულიად ამოწყდა ჩვეულებრივი საჭმლის უქონლობის გამო, კაცმა ღირსეულად დაიცვა თავი, ამოწყვეტას გადარჩა და თავისი მსგავსი დაიფარა როგორც გაყინულ ჩრდილოეთში, აგრეთვე ცხელი და მწირი აფრიკის უდაბნოში.

მერე რით შესძლო კაცმა ასე გამარჯვება? რა იარაღით იბრძოდა და იბრძვის კაცი არსებობისათვის? რითი დაიმკვიდრა ბუნებაში უპირატესობა ყოველთა ცხოველზე? რა საშუალებით დაიმორჩილა კაცმა თავისთვის სასარგებლოდ ცხოველნი? რითი, რა ძალით დაიმორჩილა კაცმა თვით ბუნება და გამოიყენა თავის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილდღეოდ ბუნების კანონთა ძალნი და საიდუმლონი? რიდი დაიჭირა კაცმა დღევანდელი საუკეთესო ადგილი ცხოვრების მეჯლისზე?

ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს — ღვთისაგან მონიჭებული ჭკუა-გონებით, სულიერი ძალით და სრულყოფილი აგებულებით გახდა კაცი ხელმწიფედ მთლად ბუნებისა და მით ღირსეულად იმართლა თავი შემოქმედის წინაშე, რომელმაც დაბადა კაცი სახედ თვისად.

თუმცა კაცი მეფობს ბუნებაში, შემოქმედების გვირგვინად ითვლება, მაგრამ ბუნება ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის დედინაცვალი. უმთავრესად იმაზედაა დამოკიდებული, სად რა სახის ბუნებაა, რარიგი ჰავაა, რა თვისების ნიადაგია და რაგვარი საჭმლით იკვებება ადამიანი. ამგვარად, კეთილდღეობას, მეცნიერთა აზრით, დიდი დამოკიდებულება აქვს თვით ბუნებასთან და ცხოვრების ასპარეზზე, რასაკვირველია, ბურთი იმას გააქვს, ვინც ჭკუა-გონებით განვითარებულია და სულით, ხასიათით ძლიერია. ხოლო გონიერი სულის ძლიერებით ისაა აღჭურვილი, ვინც ბუნების, მეცნიერების ემბაზშია ნათელღებული...

ახალი კალმახით პირჩაგემრიელებულნი და ტაბაწყურის ნაპირზე ნასიამოვნები, შემოვსხედით ცხენებზე და მგზავრობა განვაგრძეთ. აგერ აბულის მთაც გამოჩნდა თავმოშვლეპილი.

აბულო, მთაო მაღალო,
შეზრდილო, შევაკებულო!

ამისთანა უზარმაზარ მთას უეჭველია შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჯავახელებზე და ამიტომაც გამოუთქვამთ ეს ლექსი, რომელიც მართალია, რომ ზედგამოჭრილია. ათი ათას ფუტზე უმაღლესი მთა ისეა შეზრდილი, შევაკებული, რომ გაუჭირვებლივ ახვალთ ზედ. ხალხს ისე დაუბრიყვებია ეს გოლიათი მთა, რომ გვერდებს, ფერდობებს და კალთებს გუთნით უთხრიან-უჩიჩქნიან, ჭიანჭველასაებრ დახვევიან.

ვიცოდი, რომ აბულის მთა ჯავახეთისათვის ნამდვილი ბარომეტრია — ამინდის მაჩვენებელი, მაგრამ იმას კი აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჯავახეთისთვის ყველა მნათობი უეჭველად აბულთან ამოდიოდა. წუხელ გაკვირვებული დავრჩი! გეგონებო-

დათ, აბულს მოჰფარებიან გრძნეულნი და თავისი ასტრონომიული ლაბორატორიიდან საათ-საათობით გვიგზავნიან მოძრავ მნათობებსაო.

ჯერ ხომლი ამოვიდა; მერე საათის ათზე, რომელიღაც ბრჭყვიალა ყვითელი ვარსკვლავი; მეორე საათის დასაწყისზე ხარიპარია ამოციმციმდა; მესამე საათის ჩარექზე ცისკრის ვარსკვლავი ამოკაშკაშდა; მერე, საათის ოთხზე, პატარა აბულთან ალიონი ცას ცეცხლივით მოეკიდა და ბოლოს, ამდენი მზადების შემდეგ, მეექვსე საათის ჩარექზე, ამოსხივდა თვით მზე, მნათობთა ნათელის მიმნიჭებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეოთხე

თრიალეთის მთა და ცხვარი

I

სასიამოვნო ტბის პირად მიმავალი გზით, ცოტა ხნის შემდეგ გადავედით კამეჩის მინდორზე.

უწინ, ოდესღაც შემოდგომის პირზე წალკიდან მომავალი კამეჩებისათვის აქ უცებ თოვლ-ჭყაპს მოუსწრია და მერე ბუქ-ნამქერ-სიცივეს კამეჩობა მთლად გაუწყვეტია. ბევრი უძახიათ ნოესთვის „ნოე! ნოე!“ მაგრამ ნოეს მათთვის არ უშველია. მას აქეთ დარქმევია ამ ტრიალ მინდორს კამეჩის მინდორი.

ეს ამბავი დიაღაც დასაჯერებელია. 1876 წ. ღვინობისთვის 13-ს ბორჯომის გზაზე, მთის ქედის გადმოსავალზე (9000 ფუტ.), რომელიც ამ კამეჩის მინდორზე ძლიერ დაშორებული არ არის, მაგრამ ცოტა მაღალი კია, ცხრა-წყაროს მთაზე, ოლავერდელ (ალავერდი?) სომხებს უსწრო თოვლჭყაპმა და მერე ისეთი საშინელი ბუქ-ნამქერი ატყდა, რომ 40 კაცი და 65 ხარკამეჩი დაახრჩო. ამათ ქერი წაეღოთ ქირით ახალქალაქიდან ხაშურში და ცარიელები რომ ბრუნდებოდნენ, მაშინ უსწრია ამ საცოდავი მშრომელი ხალხისთვის მოულოდნელ უბედურებას.

საქონელი მაინც რომ გამოეშვათ, არც ერთი არ დაიხრჩობოდა, — რომელსაც ძალად ტაბიკები გამოუმტვრევია და შინ გაქცეულა, გადარჩენილა კიდეც.

თუმცა კი, თოვლი დიდი არ მოსულა, მაგრამ შეშინებულ უთავბოლო ხალხს დავთრები დაჰკარგვია და მის მაგიერ, რომ ერთად შეგროვილთ რამე ეღონათ, ყველა თურმე თავისთვის გარბოდა, დაქსაქსულები დაიხრჩვნენ. ამდენ ხალხში ერთი კაცი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა მტკიცე ხასიათისა, რომ მოესაზრა: ყველანი ერთად ძალ-კრიბა, ირგვლივ დაედგათ ურმები, რამდენიმეც შეშად დაემტვრიათ, დაენთოთ დიდი შუაცეცხლი, ერთი ხარიც თუნდ მწვადებად შეეწვათ და გამოდარებამდე ასე გაეტარებინათ დრო.

ერთი პატარა ბიჭი ურმის ქვეშ შემძვრალა, მწოლარე ხარს ჩახუტებია და რაღაც სასწაულით გადარჩენილა. თურმე თოვლს ბლომად წაუყრია და თოვლის ქვეშ სიცივემ ვეღარა დააკლო რა. საინტერესოა ამ ბიჭის ნაამბობი: „მამაჩემი კი ურემზე იწვა, სიცივით იფიჩხებოდა, რამდენჯერმე გადმომხედა, რაოაცას ლულლულებდა, გაყინული პირი ვერც კი გაეღო. მერე გარიჟრაჟისას გამოიდარა, ქვეყანა დამშვიდდა. მამაჩემმაც ძალა მოიკრიბა, ხარებს გადმოხედა და მკითხა: შვილო, დანა არა გაქვს, ხარებს აპეურები დავაჭრათ, გამოუშვათო? ადგა, ჩამოვიდა, დანა მივეცი, ხარებს აპეურები დააჭრა, ტაბიკები ამოაცალა, უღლისგან გაათავისუფლა, მაგრამ ხარები კი დამხრჩვალიყვნენ. ბევრჯერ წაჰკრა ფეხი, მაგრამ ისე თქვენი მტერი და დამაწყევარი ადგეს, როგორც ის ხარები ადგნენ. სწორედ ამ ალაგას, ურმის გარშემო ათ კაცზე მეტი ეყარა თოვლში. მამაჩემი მოვიდა, ერთს წაჰკრა ფეხი, — აბა, წავიდეთ, რაღას ელითო, მაგრამ ყველანი კი მკვდარი დახვდა. მერე რაღაც ფუსფუსი დაიწყო და ე კაცს მუხლები ჩაეკეცა და იქვე თქვენი ჭირი წაიღო. მივვარდი და გათოშილი კი დამხვდა“...

აი, სად იყო ლევ ტოლსტოი, აღეწერა ფსიქიური (სულიერი) მდგომარეობა ამდენი ხალხისა, მის „Хозяин и работник“-ს ბევრად აჯობებდა.

კამეჩის მინდვრიდან შევუდექით ხრიოკ ალმართს. გზამ თავკვეთილა და შავნაბადა მთებს შუა მიგვიყვანა და ჯავახეთით წალკას გადავიხედეთ.

თავკვეთილას იმიტომ ეძახიან, რომ თავი მთას მოკვეთილი აქვს, ეს უეჭველი ნიშანია ვულკანისა. მოკვეთილზე ტბაც არის და უწინ ირმის ჯოგი მოდიოდა ხოლმე წყლის სასმელად. ახლაც, თურმე ბოგინობს ამ მოტიტვლებულ მთებზე კლდეებში დათვი, მგელი, მელა, კვერნა და მაჩვი, იშვიათად თხაც გვხვდებაო.

შავნაბადა კი იმიტომ დაერქვა მთას, რომ შორიდან შავად გამოიყურება, გეგონება, ნაბადი წამოუსხამსო.

მართლაცდა შესაზარი, მრისხანე სანახავია ეს ტიტველა უზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზარი კლდიანი მთები. სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სასიცოცხლო მოვნო სანახავი იქნებოდა ბუნება მაშინ, როდესაც ჯერ არც მცენარე იყო აღმოცენებული და არც ცხოველი გაჩენილი. ან კი საიდან წარმოდგა საქართველოში ამდენი მთები? ამ კითხვაზე მეცნიერება აი, რა პასუხს გვაძლევს:

„იყო დრო, როდესაც მთლად დედამიწის ზურგი წყალს ეჭირა. ამგვარ უსამართლობას, რაღა თქმა უნდა, ბუნება ვერ მოითმენდა.

განრისხებულმა დედამიწის გულის ცეცხლმა საშინელი ძალით, სარქველივით ასწია თხელი კანი დედამიწის ზურგისა და წარმოუდგენელი ძლიერებით ამოხეთქა ადუღებული ტლაპო (лава), დომხალივით არეული გამხვალი ქვა, მიწა და ათასნაირი ლითონები. წყალმა და ცეცხლმა რამდენიმე მილიონი წელიწადი იბრძოლეს (ახლაც იბრძვიან) — რასაც ცეცხლი აშენებდა, იმას წყალი არღვევდა, ჩაჰქონდა თავის უფსკრულში და იქ მწყობრად ალაგებდა მომავალი ვაკე ადგილებისათვის.

მას მერე ბურთი და მოედანი წყალსა და ცეცხლს დარჩათ და როგორც ნებავდათ, ისე ჭრიდნენ და კერავდნენ, — წყალი ზურგს უცივებდა დედამიწას და ცეცხლი კიდევ ხან იქ ამოხეთქავდა ადუღებულ ტალახს დედამიწის გულიდან, ხან აქ. ცეცხლისაგან ამონახეთქმა მასალამ ბოლოს მაინც იმდენ ხანს იდინა განუწყვეტლად, ვიდრე უზარმაზარი მთები აშენდებოდა და ათი ათასგან გამოჩნდებოდა კუნძული.

ღვთის წყალობა გაქვთ, იკადრა წყალმა და დაგვითმო ხმელეთი, მაგრამ რა, განა ბევრი დაგვითმო? დღესაც სამი წილი დედამიწის ზურგისა წყალს უჭირავს და მხოლოდ მეოთხედი ნაწილი შეადგენს ხმელეთს.

დიდი ხანი არ იყო მას შემდეგ, რაც ის ადგილი, სადაც დღეს დიდი ქალაქები გაშენებულან და კაცთა სიცოცხლე დუღს, მაგალითად, — ბერლინი, ვენა, მიუნხენი, ციურიხი, ვარშავა და სრულიად რუსეთი, — მთლად ზღვა-ოკეანეს ეჭირა.

მეცნიერთაგან დამტკიცებულია, რომ მთელი კავკასია და ჩვენი საქართველოც სულ მთლად ხმელთაშუა ზღვას ეჭირა. მაგალითად, ეხლანდელი ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა და არალის ზღვა, მაშინ სულ შეერთებულ, ერთ უშველებელ ზღვას შეადგენდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერთა აზრით, ჩვენი კავკასია შედარებით სულ ახალი ხმელეთია. ათასი საუკუნე არც კია მას აქეთ, რაც დედამიწის გულის ცეცხლმა ასწია ამ ზღვის ძირი, ამოჰყო თავი ხმელეთმა, ამოხეთქეს ხანძრებმა და აშენდნენ ეს აუარებელი მთები და ჩვენი უზარმაზარი კავკასიონის ქედი, მთაგრეხილი, რომელთა შორის მეფობს იალბუზი და მყინვარი.

ჩვენი არჩეული გზა ძლიერ მოკლედ ჭრის მანძილს ჯავახეთიდან წალკაზე გადასასვლელად.

მეფე ერეკლეს, ასპინძის ომში გამარჯვების შემდეგ, როდესაც გაეშურა თბილისისაკენ შინაურების დასამშვიდებლად, მაშინ ამ გზით მოუჭრია მოკლედ.

ხიზაბავრაში დღესაც გაიგონებთ აქაური ქართველებისაგან: ომგადახდილი ირაკლი, ასპინძიდან მტკვრის ხევ-ხევ ხიზაბავრას ამობრძანდა და იმ ღამეს აქ დარჩაო. თავით ფეხამდე ზილხი (აბჯარი) ეცვა და მხოლოდ პირისახეზე და მაჯებს ქვევით არ ემოსაო. იმ ღამეს ზილხს რომ იხდიდა, დაიბერტყა და სამი ოყა (ცხრა გირვ.) ტყვია დასცვივდაო.

— აი, ბიჭებო, ამდენი ტყვია მომარტყეს იმ ურჯულო ლეკებმაო. ზილხი რომ გაიხადა, შიგ კიდევ ნაბადსავით მოთელილი პერანგი ეცვაო.

ხიზაბავრიდან მეფე ერეკლე თავისი მხლებლებით გაუთენებლივ გზას გასდგომია. გაუვლია გოკიაზე, ასულა ხუმრისს, გადაუვლია ამ მთებს შუა (თავკვეთილა და შავნაბადა), გადასულა წალკას, გადაუვლია მანგლისზე, კოჯორზე და ჩასულა თბილისში ხალხისა და შინაურების დასამშვიდებლად.

შენ, ერეკლე, ოქმიანო,
ცხენ-აბჯარ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ყრიანო,
ყვავი-ყორანი ლეშსა სჭამს,
კაჭკაჭნი თვალებს თხრიანო.

ამ მთებიდან წალკის დაცემული ვაკე თვალწინ წარმოგვიდგა. მთების კალთებზე ძირს მოფენილი იყო ფარა-ფარად თეთრი ცხვრები, რომელნიც ამ ერთფეროვან უტყეო არემარეს ასურათებდნენ, სულს უდგამდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ნახავთ თუშებს, ქიზიყელებს, თბილისის მაზრელებს, წალკელებს, ბერძენთ და სხვათა, რომლებსაც სიცხისათვის მოურიდებიათ დიდძალი ცხვარი. ერთმა „ზასტავის“ უფროსმა მიამბო, რომ ყოველწლივ, გაზაფხულობით, ამ თრიალეთის და ჯავახეთის მთებისკენ იალაღებზე საძოვრად ერთ მილიონზე მეტი ცხვარი აივლის და ჩამოივლის ხოლმეო.

როდის დაიმონა კაცმა ეს მისთვის სასარგებლო ცხოველი — ცხვარი, არავინ იცის. ფრიად საინტერესოა ბრემის აზრი შინაურ ცხვარზე. ეს ცნობილი მეცნიერი საშინელი ზიზღით იხსენებს შინაურ ცხვარს. შინაურ ცხოველთა შორის, — ამბობს ბრემი, — ყველაზე ძლიერ ცხვარია მონობისაგან დამახინჯებული და გადაგვარებული. ამ ცხოველზე ისე საშინლად უმოქმედნია დიდი ხნის მონობას, რომ აჩრდილი აღარც კი დარჩენია თავისი თავისუფალი წინაპრის — გარეული ცხვრებისა. მაგრამ აბა უყურეთ თხას! ხომ ერთ ფარაში დადიან, ერთსა და იმავე გარემოებაში და პირობებში ცხოვრობენ, თხა იქამდე ყოჩაღია, რომ მონობაშიც არ კარგავს თავის ბუნებრივ ზნე-ხასიათს და წინაპართა ჩვეულებას, გასაოცრად იცავს თავისებურებას, თავის ვინაობას და აინუნშიაც კი არ იგდებს მონობის უღელს. ცხვარი კი, კაცის მფლობელობის ქვეშ სამარცხვინოდ დაჩაგრულა და სრულიად დაუკარგავს თავისი პიროვნება, წინაპართა ღირსება. რაც თავისუფალ, გარეულ ცხვარს სიმპათიური, ბუნებრივი ძვირფასი თვისებანი სჭირს, ყოველივე სამუდამოდ დაუკარგავს შინაურ ცხვარს. სადღა აქვს ის ახოვნება, სილამაზე-სიცქვიტე, მხიარული ცელქობა, სიმამაცე, გულადობა, თავისუფლების სიყვარული და ჭკუა-გონების გამოყენება განსაცდელის დროს?!

შინაური ცხვარი მხოლოდ მის პატრონს თუ მოსწონს თავისი სარგებლობისათვის, თორემ სხვაფრივ კი ყოვლად საზიზღარი არსება არის. მისი უტვინობა და უხასიათობა მთელ მის არსებაში იხატება, რაც უნდა ღონიერი ცხვარი იყოს, იქამდე ფრთხილი და ლაჩარია, რომ გოშია ძაღლიც კი გოლიათი ჰგონია — გზას უთმობს, პატარა რამ ცხოველს შეუძლია მთელ ცხვრის ფარას თავზარი დასცეს. დამფრთხალი ცხვრის ფარა, ერთი მეთაურის უგუნური წინდაუხედაობით, სრულიად მოუსაზრებლად, თუნდა აშკარადაც ხედავდეს განსაცდელს, მაინც თავხედად მირბის და თავს იჩეხავს

კლდესა და ღრეში და იღუპება თუნდ ზღვის ზვირთებში, თუმცა კი აშკარად ხედავს, რომ მისი ამხანაგები, რომლებიც კი ზღვაში გადავარდნენ, ყველა დაიხრჩო.

არ არის არც ერთი ცხოველი, რომელიც ასე უცილოდ ყურმოჭრილად ემორჩილებოდეს თავის ბედს — მონობის უღელს, როგორც შინაური ცხვარი. წარმოიდგინეთ უხასიათობა სადამდე მიდის! ამას უხარია კიდეც, რომ თვითონ თავს არ იწუხებს და სხვის ხელშია მისი ბედი და უბედობა,. — საკვირველად სამარცხვინოდ კმაყოფილია, რომ თავიდან აშორებული აქვს თავის თავზე ზრუნვა.

დასაბამი ყველა ამ საზიზღარ თვისებათა, რასაკვირველია, ცხვრის დაცემული ხასიათი და მისი უტვინობაა და, სწორედ მოგახსენოთ, არაფერი. მოსაწონი ეპითეტია, რო ვინმეს აქებდნენ: კრავივით უწყინარიაო...

II

ზაფხულობით ამ თრიალეთის მთების კალთები სწორედ რომ უკვდავებაა ცხვართათვის. მაგრამ აქ კიდევ სიცივე უჭირებთ საქმეს. ხან მოსვლისთანავე, მაისის პირველ რიცხვებშივე უწყდებათ მოულოდნელი სიცივისაგან დიდძალი ცხვარი და ზოგჯერაც, ზაფხულის ბოლოს, ვიდრე ცხვარი შინითკენ დაიძვრის.

შარშან, სექტემბრის ჩვიდმეტს, უეცრად ისეთი თოვლი და სიცივე ატყდა, რომ ამ მთების იალაღზე მოსული ცხვარი კინაღამ სრულიად გაწყვიტა, მარტო ერთ თუშს თოვლის ბუქმა და ნამქერმა აბულის კალთებზე უსწრო და ორი ათასი ცხვარი დაუძრა, დაუხრჩო.

მართლა და, მეტად გულსაკლავი სცენა იყო, როდესაც ამოდენა ცხვრის პატრონი, ამინდის ჟინიანობით რამდენიმე საათში ხელცარიელი დარჩა. საბრალო კაცი, მდუღარე ცრემლით მტირალი, დაყინულ, გაშოტილ ცხვრებს თითო აბაზად იშორებდა თავიდან, ოღონდ კი გზის ფული აეღო და გამწარებული შინ ცოცხალი მაინც მისულიყო.

მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ... ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო. რასაკვირველია, ამ კაცს აკლდა ხასიათის სიმტკიცე და გამოცდილება,

ამიტომ ვერ გაიტანა თავი ცხოვრების მეჯლისზე ბრძოლაში, თორემ მერე ბევრი ვაჭარი გამოჩნდა, რომელიც ტყავისა და დუმაქონისათვის თითო ცხვარში მანეთსაც არ იშურებდა, რადგან ქონი საპნის ქარხნისთვის უნდოდათ და ტყავი სამოგვედ.

აბა რა სათქმელია ბუნების კანონისათვის ერთი კაცის ზარალი, ორი ათასი ცხვრის გაჟლეტა! ეგ მხოლოდ ჩვენს თვალშია დაღუპული, თორემ ბუნებაში უსარგებლოდ არ იღუპება რა. ვინ უწყის, ჩვენი ზარალი ბუნებისთვის რა დიდი სასარგებლო არის ხოლმე! მართლაცდა, წარმოიდგინეთ თუნდა პატარა ფარა ცხვარი, რომელიც ყოვლად უზარალოდ მრავლდებოდეს. ოციოდ წელიწადში მთელ თრიალეთზე ერთი ფეხის გადადგმა ადგილი აღარ იქნებოდა — სულ ცხვარი დაიჭერდა. ჰოდა, ბუნებაც თავის კანონს ადგია. ცხოველთა შორის თანასწორობა არ უნდა დაირღვეს, ყოველგვარ არსებას თავისდაგვარი ადგილი და ზომიერება უნდა ეჭიროს ცხოვრების მეჯლისზე.

მეცნიერებათაგან გამოანგარიშებულია, რომ უბრალო, თვალთუხილავი ბაქტერია-მიკრობებიც კი მიისწრაფვიან მთელი დედამიწის ზურგი ხელთ დაიჭირონ და ისეთი საშინელი სისწრაფით მრავლდებიან, რომ ორიოდ დღეში ერთი წყვილიდან მილიონი ჩნდება. ერთნაირი ბუზია, პურის მავნებელი (кузька), ეს ბუზი უთვალიერებიათ მეცნიერებს და იმ დასკვნამდე მისულან, რომ ამ ბუზის ერთი წყვილი დედალ-მამლის ჩამომავლობა 25 წლის შემდეგ 6 მილიონად გადაიქცეოდა, ხოლო 70 წლის შემდეგ სწორედ ორას ათას მილიარდს შეადგენდაო.

ასე, რომ მთელი დედამიწის ზურგზე თითო ოთხკუთხა დიუმზე თითო „კუზკა“ ბუზი იჯდება. აბა სპილო ხომ სპილოა და დარვინის ანგარიშით გამოდის, რომ ერთ წყვილ სპილოთა ჩამომავლობა, თუნდაც თითო ფურ-სპილომ მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამი სპილო შობოს, მაინც 500 წლის შემდეგ 15 მილიონი შეიქმნება. კიდევ 500 წელიწადი და მთელ ხმელეთს სპილონი დაიჭერდნენ, ხმელეთის თითოეულ ოთხკუთ საჟენზე სამ-სამი სპილო მოვიდოდა და ძლივს დაეტეოდა.

ამგვარად, თუმცა ყოველგვარი ცხოველი და მცენარეც მიისწრაფის მთელი ხმელეთი და ზღვა-ოკეანე თავის ჩამომავლობით გაავსოს, მაგრამ ბუნების კანონის ძალით თანასწორობა არ ირღ-

ვევა, ბუნებაში ცხოვრების სასწორი შეურყეველია, მომეტებული ნაწილი საჭმლის, საკვების უქონლობით წყდება, ზოგი ჰავის აუტანლობით იხოცება, ზოგი ავადმყოფობით და ზოგს ხომ თავისი მტერი ანადგურებს, ხოლო ახალდაბადებულები დანაკლისს ისევ ავსებენ. ცოტად თუ ბევრად მხოლოდ ადამიანი ებრძვის, ეწინააღმდეგება, არ ემორჩილება ბუნების კანონს.

ერთი საინტერესო ეპიზოდი ამ მწყემს-მეცხვარეების ცხოვრებიდან:

„ფოკაში რამდენიმე წელიწადი მიკიტნის ღუქანი მქონდა, — ასე გვიამბო სერგომ, — ზაფხულობით მთიელები მიერეკებოდნენ ცხვარს ამ იალაღებზე (თრიალეთის მთა). ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, სინდისის ხალხია და მეც ყველასთან პირნათლად ვვაჭრობდი. ერთხელ იმათი სარქალი (უფროსი) მეწვია და მეც კაი პატივი ვეცი. გამოთხოვებისას მითხრა:

— სერგოჯან, ამდენი წელიწადი შენთან ვვაჭრობთ და, ამ ჩვენთვის უცხო ქვეყანაში, გვპატრონობ, რაზეც შენი ძლიერ მადლიერნი ვართ ყველანი. ალბათ, ჩვენც კაცს გვეძახიან, ქუდი გვხურავს. პატივისცემას გადაგიხდით. აი, რა არის, ძმაო: ამ ერთ კვირაზე სუყველას ცხვარი ჩამოივლის — შინ მივდივართ; შენ, ჩემო ძმაო, აგერ იმ გორასთან პურ-ღვინოთი დაგვიხვდი და ზარალში არ ჩავარდებიო.

მეც მოვემზადე და დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილას, ისეთი სარჯით დავუხვდი, რომ თქვენი მოწონებული. გათავდა თუ არ ლხინი, ახლა, ბატონო, მოჰყვნენ და იმან ათი ცხვარი მიმილალა, იმან ოცი, იმან ოცდაათი... შევხედე და ააშენოს ღმერთმა იმათი ოჯახი! ას ოცდასამი ცხვარი მომიგროვეს საჩუქრად.

ყველაზე მეტი კი ი სარქალმა მაჩუქა და მერე გაავსო ჯამი ღვინით და დამლოცა: „ღმერთმა, ძმაო, მშვიდობაში მოგახმაროს ეს ცხვარი და ერთი ასად გიქციოს!..“ ჯამი რომ დაცალა, განაგრძო: „მაგრამ აი, რა არის... შენ ამათი შენახვა გაგიჭირდება, აი, ძმავ, ნიშანი დავადოთ და ჩემს ცხვარში გავურევ შენს ბედობაზე. მაისს რომ მოვალთ, მაშინ ინახულე შენი საქონელი“.

მე დიდი მადლობა გადავუხადე ყველას და მერე სარქალსაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი დავუკარ, თუკი, ძმავ, მაგისთანა სიკეთეს იზამ-თქო... შეი-
მინახავ კიდეც.

დადგა გაზაფხული, კვლავ მოვიდნენ თუშები, მორეკეს ცხვარი, მაგრამ ის ჩემი ნაცნობი კი არსად გამოჩნდა. ასე გაიარა 2-3 წელიწადმა... ის კაცი აქეთკენ აღარ მოვიდა და აღარც მისი ცხვარი მოსულა. ამბავი კი მომივიდა, შენი ცხვარი მშვიდობიანადაა და ახლა 400 გახდაო. მეც გავიფიქრე: ე, მადლობა ღმერთს, ალბათ ჩემს ბედს უმუშავნია-მეთქი...

ერთ გაზაფხულსაც, ვნახოთ, ვიღაც თუში დაგლეჯილი ტანისამოსით მომადგა დუქნის კარზე.

— გამარჯობა შენი, სერგო!

— ?!

— ვაი ჩემს თავს! ვეღარ მიცანი, განა?.. მართლაცდა ძლივს ვიცანი ის ჩემი მეგობარი სარქალი.

— რა იყო, კაცო, როგორ იყო, ვაი შენს სერგოს, ეგ რა ამბავია შენს თავს-მეთქი.

— რაღა როგორ იყო, — მიპასუხა, — დავიღუპე კაცი, სერგოჯან... აი, ხომ ხედავ, რა ვიყავი და რა ვარ ახლა... მაგრამ, ძმაო, ღმერთს ნუ ვცოდავ, ეჰ, მადლობა მის ძლიერებას, ალბათ უფლის ნება ასე იყო — მეწერა და გადამხდა. მაგრამ, ძმაო, ჩემსას არ ვჩივი, მე უფრო ის მიკლავს გულს, სერგოჯან, რომ შენთან პირშავად გამოვედი...

თურმე იმ 2-3 წელიწადს ზაფხულობით, სადღაც კავკასიის მთებისკენ დაჰყავდა ცხვარი. ერთ გაზაფხულსაც, როცა ცხვარი არხეინად ძოვდა ამ მთებზე, უეცრივ ამოვარდა თურმე საშინელი გრიგალი, ქარიშხალმა დაუბერა, ცა მოიქუშა, ატყდა ჭექა-ქუხილი, დაფრთხა ცხვარი, აირია თავზარდაცემული ფარა. ამ აურზაურის და ალიაქოთის დროს აკი ღმერთი გაუწყრა, ერთი ყოჩი ახტა სალ კლდეზე, თვალუწვდენელ ხრამში გადაეშვა. ქარის გრიგალმაც ხელი შეუწყო და მთელი ფარა, ექვსი ათასი ცხვარი, როგორც ერთი, იმ ყოჩს გადაჰყვა და თერგის ხეობაში უფსკრულს ჩაიღუპა, თერგის ზვირთებმა შთანთქა, დარჩა ეს საწყალი კაცი ხელდაბანილი.

უბედური ძლიერ შემეცოდა... რა კაციც იყო, იმის აჩრდილიც არ ჩანდა; ისე მოკაკულიყო წელში, რომ ასი წლის ბერიკაცს

ჰგავდა... ჩემი ცხვრის დარდი ვიღას ჰქონდა, — სადაც ამის 6000 დაიღუპა, იქ ჩემი ოთხასიც ერქვენი ჭირის სანაცვლო იყოს.

იმ ზაფხულს ეს კაცი აქ, მთაში დარჩა მეზობელ მეცხვარეთა ბინაზე.

ნათქვამია: გულს ნუ გაიტეხ, საწყალო, სოფელი ღონიერიაო.

ცხვარმა რომ შინ წასვლად ჩამოიარა, ის ჩემი მეგობარი თუში მხიარული ვნახე — წელშიაც გამართულიყო, პირიც მოეპარსა და ულვაშებიც დაეგრიხა.

თურმე ნუ ბრძანებთ, ათას ორასი ცხვრის პატრონი გამხდარიყო! ყველა თუშს თავის ფარიდან უჩუქებია ვის ათი, ვის ოცი და ვის ორმოცი და მთელ ფარას ასე გახარებული მოუძღოდა.

მე გამიკვირდა და ასე ამიხსნეს, რომ ეს ჩვეულებად, წესად გვაქვსო.

— ვინ იცის, ძმაო, შუბლზე ვის რა გვაწერია; დღეს რა მოაქვს, ღამეს რა? აგერ დღეს ხუთი ათასის პატრონი ვარ, ხვალ, ღმერთმან უწყის, შეიძლება მეც ცარიელი დავრჩე, მაშინ მეც მიშველიან.

ასე მიამბო ერთმა მდიდარმა თუშმა.

ამ გაზაფხულზე აქ ვნახე და ეხლა, როგორც მითხრა, უკვე 4000 ცხვრის პატრონია.

ეჰ, მადლობა ღმერთსა. ასე ტრიალებს ქვეყნიერება: მართალ კაცს ღმერთი არ გასწირავს.

სხვათა შორის, მე გამოვკითხე: აქ რომ ამისთანა იალაღები, კარგი საძოვრები არის, რატომ აქაური მემამულენი არ ეწყობიან ცხვრის მოშენებას? ამათ კი ის აზრი გამოთქვეს, რომ რა საქმეებშიაც კაცი თვითონ შიგ არ დგას, ზარალის მეტს ვერას ნახავს. მომეტებული ნაწილი, მეცხვარეებად აქ ქურთები დგანან. შეხედავ და მოგიტანს ცხვრის მძორს, მგელმა შეჭამაო. ნამდვილად კი თავისი გამოხრულია. რომელი ცხვარიც თვალში მოუვა, ყელში სწვდება და რამდენსამე ალაგას პაწია დანით ისე დაჩხვლეტს, რომ მგლის ნაკბილარს დაამსგავსებს. მერე, ბატონო, მოთლის ვეებერთელა დუმას, გამოიღებს შიგნეულს, ამოჭრის საკვებს და ფეხების რბილებს — და აბა სხვა რაღა დარჩა? მერე ძაღლებს გადაუგდებს საჯიჯგნად, სათრევად, რა არის მგლის ნაგლეჯ-ნაჭამს უფრო დაემსგავსოსო. ამგვარ მძორს მოგიტანს და გადმოგიგდებს,

აგერ მგელმა შეჭამაო... მატყლს თუ იტყვით, იმასაც, ვიდრე გაპარსვის დრო დადგებოდეს, მწყემსი ნახევარს კიდეც გამოსწიწკნის — ჯაგებში დაიგლიჯაო... ე, მერე ჯავახეთში ჯაგებს რა უნდა? — ეკითხებით. კაჭაჭებში და ქვებშიო!.. მახლას! თან წიწკნის, თან ცოტ-ცოტათი ჩუმად ყიდის. აბა, რძე რაა და იმის მოპარვასაც კი ახერხებს: კალთებში მალულად ხარის ბუშტი უდგია და, როცა წველის, თავის პარკსაც ავსებს. მერე აკეთებს ყველს და მუშტარიც გამოულეველია, რას იზამ?

მოდი ახლა და შენ ჩამოუდექი!

არა, ძმაო, რა საქმეშიაც თვითონ შენ არ დგახარ, იმ საქმიდან ხეირს ნუ გამოელი.

ნათქვამია: „ცხვარო, ვისი ხარ? — ვის კარზედაც ვბღავიო...“

ამ ანდაზით დააბოლოვა თავისი სკეპტიკური ბაასი ჩემმა თანამგზავრმა.

მე კი იმ აზრისა ვარ, რომ აქ ქურთი მწყემსი არაფერშია გასამტყუნი... აქ მხოლოდ ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე. თუმცა უსწავლელია, მაგრამ მწყემსმა ბუნებრივი წესი ალღოთი იცის და ცხოვრება-ქონების გათანასწორების პრინციპს მისდევს. განა არც ერთხელ არ მოსდის ფიქრად, როცა სერზე ზის, თან სალამურს უკრავს და თან შურით დასცქერის ძირს გაფენილ ცხვრის ფარას, ჰალა, ჰალა! ბიჭოს, ეს სადაური სამართალია, — აღას ხუთასი ცხვარი ჰყავს და მე კი არც ერთიო. მე ღამეს ვტეხ, დღისით მოსვენება არა მაქვს და სარგებლობა კი აღარაო.

ეჰ, ვინც იცის, რა ჯოჯოხეთური ცხოვრება აქვთ მეცხვარეებს ზამთარ-ზაფხულ, ის დანაშაულად არ ჩაუთვლის ერთი და ორი ცხვრის შეჭმას. მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გამოვიკითხე ამათი ცხოვრება. წარმოიდგინეთ, პური არც კი აქვთ საჭმელად; ზოგ ფარაში ოცდაათამდე მეცხვარეა და იმათთვის პურის ცხობა ვინ უნდა მოასწროსო. მართალია, ზოგიერთებს ჰყავს ხაბაზი ბინაზე, რომელიც საჯზე ხანხლამს, აცხობს პურს, მაგრამ მეტი ნაწილი კი (მაგალითად — მთიულები, ფშავი და ხევსური) ქუმელით იკვებება. თურმე მოხალავენ ქერს, დაფქვავენ და ეს ფქვილი აწყვია ტომრებით ბინაზე. გაუვსებენ მწყემსს გუდას ამ ფქვილით და ის არის მისი საზრდო-საკვები რამდენიმე დღეს. ამ ფქვილს თურმე წყალში აფშრუკავენ და ქუმელივით ჭამენ. სასმელს კი

არა უჭირს რა, როცა რძეს ბატკნის მაჭიკით (დვრიტათი) აწმენდ და ყველს აკეთებენ, მონარჩენი რძისა — შრატი, თავზე სასხმელად აქვთ.

ამისთანა კვება ერთი შეხედვით თითქოს ვაი-ვაგლახისაა, მაგრამ რადგან მათი კუჭი შეჩვეულია და კარგად ინელებს, ამიტომაც შრატი და ქუმელი ძლიერ ასუქებს მწყემსებს.

რაღა თქმა უნდა, არც უიმისობაა; ზოგჯერ ჩიჩიაც შეხვდებათ ხოლმე, „ხილი მეხილესაო“, და თუ კარგი მეპატრონის ხელშია, ნუნუათიც ზოგჯერ ეზიარება. ყველა ამას დაუმატეთ იალაღის, მთის გრილი სუფთა ჰაერი და რაღა ეჭვი უნდა ვიქონიოთ მწყემსის ჯანმრთელობაზე!

ჯამაგირი 6-8-9 თუმანი აქვს კარგ მეცხვარეს წელიწადში და ამ ფულისათვის დღე არა აქვს მოსვენება, დილითა და ღამით.

ადრიანად, თრთვილს აიღებს თუ არა, აშლის ბინიდან ცხვარს და მთელი ცისმარე დღე მათ დაძღომას ცდილობს. ამ დროს, — ავდარია, ჭექა-ქუხილი, წვიმა-ქარიშხალი, ტალახი თუ სიცხე-პაპანაქება, ყველაფერი უნდა აიტანოს. ან კი თავისთავს რას დასდევს, უნდა ეცადოს, ცხვარი სიცხე-სიცივემ არ შეაწუხოს, არაფერმა დააფრთხოს, ფარას ცხვარი არ ასხლტეს და სხვა ამგვარი.

ჩვენი პურისჭამა სისხლის პურისჭამა არიო, — მითხრა ერთმა მწყემსმა. რასაკვირველია, მწყემსი მეცხვარე ცხრა თუმნისთვის წელიწადში (ზოგს კი მხოლოდ ხუთი თუმანი აქვს) ამდენ წვალებას არ აიტანდა, უკეთუ იმედი არ ჰქონდეს — დღეს თუ ხვალ მეცხვრის პატრონი შევიქნებიო.

ზოგ მწყემსს ფულის მაგიერ ჯამაგირად თოხლები აქვს ყოველწლიურ დანიშნული. წელიწადში კარგი მეცხვარე მწყემსი აიღებს 30-50 თოხლ ცხვარს და მომავალში, რასაკვირველია, უმრავლდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცხვრის მეპატრონე იმ მწყემსს, რომელსაც უკვე ფარაში თავისი ცხვარი ჰყავს, ათზე ერთ ცხვარს ართმევს. ეს საბალახოს, მარილის და სხვა ხარჯის გამოსაქვითად. კარგ მეცხვარეს ჯამაგირის გარდა ბატკნებზედაც ოცზე ერთი ანუ 5% საჩუქარი აქვს და, ამგვარად, 5—6 წლის შემდეგ მეპატრონედ ხდება — ფარა ჰყავს და მწყემსებიც უჭირავს. სულელია ის სალდათი, ვინც ღენერლობას არ ელისო, იმედი მხნეობის დედაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, ჰალალი იყოს, მკითხველო, მწყემსისათვის ცხვრის შეჭამა. ცხოვრების მეჯლისზე ესენი მართლა რომ იბრძვიან. დღისით დაქანცულ მწყემსს ღამეც მოსვენება არა აქვს. ბინაზე მილალავს თუ არა, ახლა მთელი ღამე დარაჯად უნდა იდგეს, ან მგელმა არ მოსტაცოს ცხვარი, ან ორფეხა მგელკაცმა.

აგერ, წელსაც მოხდა უბედურება, რასაც მეტად საზარელი შედეგი მოჰყვა. თავკვეთილას ძირში, ამ გაზაფხულზე, თათრები მოსულიყვნენ ცხვრის მოსაპარად. მწყემსი მეცხვარე, რასაკვირველია, ღამე ფრთხილადაა; როგორც მგლისა და ოთხფეხა ნადირის ეშინია, ისე ორფეხა მხეცებისაც. ქიზიყელმა მწყემსმა ღამით ვერ გაარჩია ქურდი ორფეხა, ნადირი მგელი ჰგონებია, ესროლა თოფი და ერთი თათარი თურმე ტყვიით დაჭრა, რომელიც გზაზე მოჰკვდომიათ მის ამხანაგებს, ბორჩალოს თათრებს.

ამ ორიოდე თვის წინათ კიდევ ერთი თათარი მოკლა ქართველმა მწყემსმა, რომელიც ბარალეთის ზემოთ ცხვარს მწყემსავდა და ღამე მიუხტა თათარი ცხვრის მოსაპარავად. ეს კი, ჩემი აზრით, გადაჭარბებული მხეცური და არაბუნებრივი ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე.

ბარალელმა მეცხვარემ კომბალს თავი დაანება და ახლა სახრე უკავია ხელში, რადგან ნამდვილად იცის, რომ თარაქამა თათრები არ შეარჩენენ. ცხვარშიაც რომ დარჩეს, თათრები მაინც სისხლს აიღებენ.

ეს ჩვეულება გვიან აღმოიფხვრა ამ ხალხში.

საინტერესოა შემდეგი ეპიზოდი ამ თარაქამა თათრების ცხოვრებიდან.

ბარალელმა ბიჭმა თათარი რომ მოკლა, რასაკვირველია, მთავრობის მოხელეებს აცნობეს და ადგილობრივ, მწყემსთა ბინაზე, მივიდნენ ექიმი და გამომძიებელი. მკვდარი გაჭრეს, შეამოწმეს და იქვე დამარხეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სამარე უკვე ცარიელი იყო — ნათესავებს მოეპარათ მოკლული თათრის გვამი. მაშასადამე, მთის კლდეებში ჩასაფრებული იყვნენ მოკლულის ნათესავები და მთელ სცენას, მკვდრის გაჭრა-შემოწმებისა, კბილის კრაჭუნით უცქერდნენ გიაურებს, ვიდრე დაიმახსოვრეს სადაც ჩაფლეს. ღამით კი მოიპარეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეხუთე

წალკა და რეხა

I

ზედ იმ ადგილას, საიდანაც წალკას დავყურებდით, თრიალეთის მთის ქედზე, გადასახედზე ამოვარჩიეთ კლდის დაჩრდილული ადგილი და აქ თავი მოვაფარეთ შუადღის მზის მწვავე სხივებს. გავშალეთ ნაბდები და, ღვთის წინაშე, დროც იყო კუჭისთვის გვეზრუნა რამე. თუმცა ფშაველი, ცხვრის მეპატრონე, ბინაზე გვეპატიჟებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, მისი ბინა შორს იყო და მეორეც ესა, ვიცოდით, რომ მისი მასპინძლობა ბევრ დროს წაგვართმევდა, ამიტომ ფშაველს ჩვენვე გავუმასპინძლდით.

ზაქრომ ცხენები ბალახზე გაატარა, ხურჯინი ჩამოიღო და კლდოვან ადგილას სუფთა ქვებზე ჩამოგვირიგა ჩვენი საგზალი. მერე ტიკჭორა ჩაბღუჯა და იმერის ღვინოს გვიმარჯვებდა. ჩვენს წუხანდელ მასპინძელს, ქართველ მაჰმადიან სულეიმანს, — ღმერთმა ჯერ ადღეგრძელოს და მერე მაჰმადის სამოთხე აღირსოს, — მთელი ბატკანი გამოეტანებინა შამფურზე შემწვარი, ნივრით დასურნელებული.

მგლებივით მივცვივდით შემწვარ ბატკანს, ხელად დავგლიჯეთ, დავანაწილეთ და, ნეტავი გეყურებინათ, ისეთი მადით, ორივე ყბით ვილუკმებოდით, რომ ნამდვილად ვიცი, იმ მთის კლდიან ხვრელში მწოლარე განდეგილი, მშიერი მგელი, ღამის წანწალით მოქანცული, შურის თვალით გამოიყურებოდა, ბედს შეგვნატრიდა, შემწვარის სუნით პირს ნერწყვი მოსდიოდა.

ჩვენც აკი გულმოწყალედ მოვიქეცით: რა ძვლებსაც ჩვენი კბილების მინანქარი ვერ მოერია, დიდსულოვნად მგელს დავუთმეთ.

ჩემი თანამგზავრებისა არ ვიცი და მე კი მგლის ღრენა შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმა: „ამბობენ, ადამიანებშია მხოლოდ სამართალიო... ეგ არის თქვენი სამართალი?! მე რომ ეგ ბატკანი შემეჭამა, ჰერი ჰა! მთელ ქვეყანას შეძრავდით, კეტით წელს ამათრევინებდით... თქვენ კი, აბა რა ბრძანებაა... თუგინდ მთელი ფარა ცხვარი ერთ დღეს შამფურზე ააგოთ, ვინ რას გაგიბედავთ?!“

ეჰ, მგელო, მაგით გულს სულაც ნუ გაიტეხ, ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა: მგელს მგლობა ერქვა, ადამიანმა ქვეყანა ამოაგდოო... ეგ რად გინდა, მგელო, უფრო ახალ ამბავს გეტყვი: წარმოიდგინე, შე ბედკრულო, ჩემო რუხავ, ვიდრე დაღამდება და შენ ხვრელიდან გამოძვრები, ჩვენი ნასუფრალისაგან ცოტაღა რამ დაგრჩება... აგერ, ნამცეცებს კიდეც დაეხვია ჭიაღუა, ჭიანჭველა, — ცხოვრება ვის უცდის, შენ რომ დაგიცადოს! ვისთვის შემდგარა ბუნების ჩარხის ტრიალი, რომ შენთვის შეჩერდეს! ჩვენ რომ წავალთ, ახლა მოირბენენ თაგვნი, წრუწუნ-წრიპინით მოინამცეცებენ; მოფრინდებიან ყვავ-ყორანნი, გამოწიწკნიან ხორცს და ცარიელტარიელ ძვლებს ნეტა რაღა თავში იხლი?! შენი ვიყო, ტყუილად აღარც კი დავიმუნათებდი. შენმა მზემ, მართალს მოგახსენებ! მაგ ძვლებს თავისი მუშტარი ჰყავს. აგერ ხედავ, იმ ბალახ-მცენარეებს ყური რომ მოუყრუებიათ, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო. როგორ გგონია, ეგენი შენზე უფრო ღორმუცელანი არიან! ერთმანეთს ისე ეცილებიან, არსებობისათვის ისე იბრძვიან, რომ შენი მოწონებული!

შე ბედშავო, ჩემო მგელო, მთელი ღამეობით მოუსვენრად დაძრწი, დაწანწალებ, მტაცებლობ, ნავარდობ, ქვეყნად სახელი გაქვს გატეხილი, „მგელს“ გეძახიან და მაინც კუჭს ვერ იძღებ. ეგ მცენარენი კი მთელი თავისი სიცოცხლე ერთ ალაგზე არიან გაჩერებული, დამკვიდრებული და მაინც მაგათ ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს...

ჰოდა, ემაგ ძვლებს მცენარენი შეჭამენ და დასუქდებიან... კარგად იცოდე — რა ნიადაგშიც ძვლის შემადგენი ნაწილები არ ურევია, იქ არავითარი მცენარე არ იხარებს.

რაო, რას იღრინები, ვერ მიხვდი? აბა, „მგლის თავს სახარება რამდენიც გინდა წაუკითხე, რა უნდა შეასმინო“. აბა, შენს ბალნიან, სქელ ხოხორაკს რა აზრმა უნდა ჩაატანოს?!

აი, საქმე რაშია, ჩემო მგელო: განვლიან ჟამნი და დრონი, ჰაერი, მზე, წვიმა და ქარიშხალი ემაგ ძვლებს სრულიად დაარღვევენ, დაშლიან. ძვლის შემადგენელი ნაწილები — ფოსფორმჟავა, კალცი და სხვ. მინდორს მოეფინებიან, მოიქსაქსებიან, წვიმის წყალში გაიხსნებიან, ნიადაგი შესვამს, რბილში გაუჯდება და გაპოხიერდება. აბა, მაშინ უცქირე შენ ბალახთა ქეიფს! ძირკვებზე მოსხმულ ბუსუს-ფოჩებით ამოწოვენ დედამიწიდან წვიმის წყალში გახსნილ ფოსფორმჟავა კირს და შეითვისებენ, დედის ძუძუსაებრ ტკბილად შეირგებენ.

მაშ! მაშ რა გეგონა, რომ მცენარე მხოლოდ წყალს იწოვს დედამიწიდან და ჰაერს სუნთქავს თავისი მწვანე ფოთლებით და ამით საზრდოობს?! ჰერი ჰა! შენ შეიძლება, — მაინც მხეცი ხარ, — ისიც იფიქრო, ვითომ ზოგს კაცს თავი იმიტომ აბია, ყელსახვევი კისრიდან არ მოძვრესო...

არა, ერთი კაცმა მკითხოს, მე რაღას მომიცლია! აბა, მგელს რა შეგასმინო...

მაგრამ, ჩემო მგელო, მაინც კიდევ ერთი შენთვის სასიამოვნო ახალ ამბავს გეტყვი, მცენარეებს ხომ გაუჯდათ სხეულში ჩვენი ბატკნის ძვლების ფოსფორმჟავა კირი, მერე გამოივლის შენი საყვარელი ცხვარი და ემაგ ბალახს რომ მოძოვს, რაც ბალახში ფოსფორმჟავა კირია, სულ მთლად ცხვრის ძვლები შეითვისებენ, გამაგრდებიან.

მერე იმ ცხვარს შენ რომ შეჭამ — გეამება, განა?!. შენგან გამოხრულ, მოძულებულ ძვლებს კვლავ ნიადაგი შეითვისებს, მცენარენი ამოწოვენ, კვლავ ცხვარი მოძოვს, ცხვარს მგელი შეჭამს და მისი ძვლების ხრამუნით თავის ძვლებსაც ფოსფორიანი კირით გაიმაგრებს.

რაო, მგელო, რას ამთქნარებ, მოგწყინდა ჩემი ლაპარაკი? მართალია, კუჭს ვერ გაგიძღებს. ტყუილად ხომ არ უთქვამთ: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, ის კი ეშურებოდა, ჩქარა გაათაონ, ცხვარმა არ გამასწროსო!

მაგრამ, ეჰ!.. შენ ჩემო მრეშავ, ჩემო მგელო, მაგდენი ნავარდობა არც შენ შეგრჩება; ერთი დრო ვის შერჩენია, რომ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგრჩეს! ის დღეც დადგება, რომ ეგ მცენარე-ბალახები და ფვალ წყნარი ცხვარიც შენ შეგჭამენ. ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ახალ ამბავს ბევრს გაიგონებსო. განა რო არ გაგიგონია, ოდესმე მომხდარიყოს, ცხვარს მგელი შეეჭამოს?!

დიაღ, თუ აქამდე ნავარდობდი და ცხვრებს სჭამდი, ახლა ეგენი შენ შეგჭამენ... არ იწყინო, ჩემო მრეშავ, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე...

მოგივა დრო დაბერდები, დაჩაჩანაკდები, ერთ ყინვიან ზამთარში შენივე მოძმე, დამშეული მგლები შეგჭამენ. შენს ძვლებს და სხეულის ნაწილებს მინდორს მოჰფენენ. შენი ძვლებით გასუქებულ ბალახს ცხვარი მოძოვს, გაძღება, გაიხარებს, ძვლებს გაიმაგრებს და ამით მაინც იყრის შენს ჯავრს.

ასე, ჩემო მგელო, ბუნებაში არაფერი იკარგება რა, ყველა სახე მარადის იცვლება, გარდაიცვლება, ხოლო თვით ნივთიერება, ელემენტი უკუნითი უკუნისამდე, მოუსპობელია.

ეჰ, ნუ განრისხდები, ჩემო მგელო, ასე ტრიალებს ბუნების ჩარხი, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე.

ახლა კი მშვიდობით, მაგრამ არამცდაარამც, ბალახ-მცენარეებს გამოჯავრებული, უპატიურად არ მოექცე.

ეს კარგად გახსოვდეს, რომ არამც თუ შენ, მაწანწალა მგელი, თვით მხეცთა მეფე, დიდებული ლომი და უსაშინლესი ვეფხვი შიმშილით ამოწყდებიან, თუ რომ ქვეყანაზე მცენარენი მოისპობიან...

თუმცა ამ მთებზე ასვლის დროს აღმართი იმდენად დიდი არ იყო, რადგან ჯავახეთის მხრივ თრიალეთის მთებს კალთები შორს აქვს გაშლილი, მაგრამ ოღროჩოღრო დაღმართმა კი ძალიან შეგვაწუხა. ზოგ ადგილას თუ ცხენიდან არ ჩამოხვედი, კისერს მოიტეხ — მოდი და ენდე ახლა ცხენს, შენი სიცოცხლე მის ხელშია, ერთი თუ წაიბორძიკა, ვინ იცის, რომელ კლდეს მიანთხევ ტვინს. ძველთაგან ნათქვამია: ცხენს, ცოლს, ცეცხლს, წყალსა და ძაღლს ნუ ენდობიო.

როცა ვყოყმანობდით, ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა დაიძახა: — ჩამოვიდეთ თუ არაო? — რათა, ძმავ, ვირის მსხვერპლი რად გავხდეო, — და ყველანი ჩამოვხდით.

ადი-ჩამოდით და შეჯექ-ჩამოჯექით, ბებერა კლდესთან ... ქვე დავეშვით წალკის დაცემული ვაკისკენ. სწორედ იმ ალაგას გავუარეთ, სადაც აღმართულია მიჯნის ქვები (თიქმები), რომელნიც მე-17 საუკუნიდან საზღვრად იყო დადებული ოსმალოსა და საქართველოს შუა და დღეს საზღვრად ითვლებიან ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს შუა.

წალკაში რომ ჩავედით, ერთი ჯავახელი ბერიკაცის გადმონაცემი გამახსენდა:

ახალციხის ფაშას, სახელმწიფო საქმის გამო, ხონთქრის ბრძანების თანახმად ელჩები გაეგზავნა ერეკლე მეფესთან. ელჩთა შორის ფალავანდიშვილიც იყო სანჯახ-ბეგი, გამაჰმადიანებული ქართველი.

თბილისში, დანიშნულ სადარბაზო დღეს, მეფემ თავაზიანად მიიღო ელჩნი, რომელთაც ჩვეულებრივი ეტიკეტით მოკითხვისა და სალამქალამის შემდეგ ფეშქაშები მიართვეს მეფეს და მშვიდობიანობა-მეგობრობა გამოუცხადეს ხონთქრისა და ფაშის მხრივ. მეორე დღეს მეფემ მიიწვია ელჩნი მეჯლისზე და ამგვარ პატივში იყვნენ ისინი რამდენსამე დღეს.

ერთ დილას, როცა ელჩნი დარბაზს მივიდნენ და მიულოცეს მეფეს მშვიდობის დილა, მეფემ ერთი იმისთანა მოღრუბლული სახით შეხედა ელჩებს და წარბშეჭმუხნილმა იმისთანა კილო-რიხით მისცა პასუხი, რომ ელჩებს სულ ცახცახი დააწყებინა, ენა მუცელში ჩაუვარდათ და ერთიმეორეს გაოცებულნი შესცქეროდნენ. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეჰბედა მეფისთვის ეკითხა მიზეზი განრისხებისა... ბოლოს ისევ მეფემ დაარღვია ელჩებისათვის უხერხული სიჩუმე და უბრძანა თავის ვეზირს:

— წაიყვა ესენი! ერთი თავისი თვალით ნახონ, — მერე ელჩებს მიუბრუნდა და ხელით ანიშნა, — მიბრძანდით და შეიტყვეთ, რაც ამბავია!

აი, რაში იყო საქმე:

1636 უბედურ წელს, ოსმალომ რომ ეს ზემო ქართლი — მესხეთი და ჯავახეთი — დაიპყრო, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, როცა აქაურ ქართველთა დიდებულებს გაუწყრათ ღმერთი და ახალციხის ათაბაგი გადაუდგა საქართველოს, შემოიყვანა ამ მხარეში ოსმალონი, მაშინ საზღვრად ახალციხის ფაშალიკს (საფაშოს) ეს თრიალეთის მთები ჰქონდა ჯავახეთის მხრივ.

ხშირად გადმოთელავდნენ ხოლმე ამ სახელმწიფო საზღვარს ოსმალეთის თათრები და ახალციხისკენ საყაჩაღოდ გადმოცვენილი დაღესტნელი ლეკები.

ახლა არ იკითხავთ, სად დაღესტანი და სად ახალციხე, ლეკებს აქ რა უნდოდათ? იოანე ბატონიშვილი ამაზე, აი, რას მოგვითხრობს:

„მეფე ერეკლემ რა მეფობა მიიღო, დიდი ლეკიანობა და აღრეულობა იყო ქართლსა და კახეთსა შინა, ასე რომ, დაღესტნიდან ჯარი რომ წამოვიდოდა, საგურამოს ან ყარაიაზე ამოივლიდა. მტკვარს თუ ვერ გავიდოდნენ, არაგვს გამოვიდოდნენ, მცხეთის თავს გარდივლიდნენ, ხიდზე გავიდოდნენ. ზოგნი ახალციხეს აღვიდოდნენ, ზოგნი არმაზის წყალს და ძეგვისკენ გზას შეჰკრავდნენ და ზოგნი მუხათგვერდსა და ასრეთ ახდენდნენ მგზავრთა. მეფემან ირაკლიმ ეს ღონე იხმარა, რომ ამ ხიდის მცხეთის გაღმა და გამოღმა კოშკები გააახლებინა, შიგ კარგი ვაჟკაცნი დააყენა, რთმელნიც ამ გზასაც იცავდნენ, მგზავრთაც მშვიდობიანად ატარებდნენ და ამ ხიდზე ველარც ლეკნი გადადიოდნენ და ამათთვის მეფემან ურემზედ შაური განუწერა, ფქვილ ერთ ჩანახი. და ამ ყარაულებს ეძლეოდათ და ოდეს მეფემან სიმხნითა თვისითა მრავალს ადგილს ჰსძლო ლეკთა და შიშსა შინა მოიყვანა, დამშვიდდა ქვეყანა“ („კალმასობა“, გვ. 105).

მოჭირნახულე მეფემ ქვეყანა დიაღაც დაამშვიდა გარეშე მტერთაგან, მაგრამ შინაურ მტერთ კი ვერ შეიგნეს სამშობლოს ერთგულება და მეფის მზრუნველობის მნიშვნელობა. აიღეთ საქართველოს ისტორია და იქ წაიკითხავთ, რომ ქსნის ერისთავი იუდასავით ვერცხლზე ჰყიდდა თავის სამშობლოს, ლეკის ბელადები მიართმევდნენ ხოლმე მდიდარ ფეშქაშებს, ლეკურ შალებს და სხვ. თავგასული ერისთავი იდუმალ ნებას აძლევდა უშველებელ ლეკთა ბრბოს, რომ გადმოეთელათ მთელი საქართველო გზადაგზა რბევითა და ყაჩაღობით.

მეფე ერეკლემ ბევრჯერ შეუთვალა ხან სამდურავი, ხან მუქარა, ხან თხოვნა თავის ურჩს, გათამამებულ ერისთავს. ბევრჯერ აუხსნა მამაშვილურად, რა საშინელი ღალატია სამშობლოს წინაშე — გინდ კაცმა თავისი ხელით ყელი გამოჭრას თავის მშობელ დედას და გინდ ამოდენა მტერი, ლეკნი, საყაჩაღოდ შეუსიოს

უიმისოდაც დასუსტებულ საქართველოს! მაგრამ არ მისცა ღმერთმა ურჩ ფეოდალს ის ნიჭი და შეგნება, ვერ მიხვდა, რა მნიშვნელობა აქვს ერთობას, ერთსულობას და ერთგულობას!.. ქსნის ერისთავი თავისას არ იშლიდა, ლეკები თავისუფლად გადმოდიოდნენ ახალციხისკენ და მეფე ერეკლესაც იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ შეემუსრა თავისი ფეოდალის თავგასულობა. ბოლოს შეჰყარა ერეკლემ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და მთელმა კრებულმა წყევლასა და კრულვას, ანათემას გადასცა მეფის და სამშობლოს მოღალატე ერისთავი. ჩვენც მეტი რაღა გვეთქმის — წყეულ-შეჩვენებულნიც ყოფილან იგი სამშობლოს მოღალატენი, ამინის უკუნისამდე!

არც კი იფიქრო, მკითხველო, რომ ერეკლე მეფეს მართლაცდა იმდენი ძალაც აღარ ჰქონდა, რომ თავისი ურჩი ერისთავის დასჯა ვერ შესძლო. მეფე ერეკლემ დიდხანს უთმინა ქსნის ერისთავს თავგასულობა და ბოლოს, როცა სულგრძელობის ფიალა აივსო, სასტიკად დასაჯა მეფემ მთელი გვარი ქსნის ერისთავებისა.

აი, რა შესანიშნავ ისტორიულ წერილს ვპოულობთ განსვენებულ ლუკა ისარლოვის წიგნში:

„ლენერალი თ. გიორგი იასეს ძე ერისთავი ქსნისა იყო დიდი ნამსახური; მას ჰქონდა მინიჭებული ღირსება სენატორისა, მაგრამ რუსული კი არ იცოდა სწორედ. იგი იყო ტფილისში, გორში და გორს ახლო სოფელ ატენში. ამის ნათქვამია შემდეგი: „მეფე ერეკლემ ამოსწყვიტა სულ ჩვენი გვარი, ქსნის ერისთავიანიო და ჩამოგვართვა ყმა და მამულიო. მე და ჩემი ძმები პატარები ვიყავით და დედაჩვენი გორში გვმალავდაო. ბრძანება იყო, რომ სადაც ვეპოვნეთ, უნდა მოვეკალითო, და არავის არც საჭმელი და არც სასმელი არ უნდა მოეცათო, თვარამ დიდად დასჯიდნენო. დედაჩემი, შუა ღამე, რომ გახდებოდა, ჩუმად წავიდოდაო ზოგიერთ გორელთ ოჯახებში და ძლივს ჯამით ლობიოს და პურს მოგვიტანდაო. ჩვენი ყმა და მამული ზოგი ჩვენ აზნაურ შვილებს უბოძა მეფემანო: ხმალაძეებთაო, ჩერქეზიშვილებთაო და ფურცელაანთაო, რომელთ ღრამოტაში უწერიათ, რომ ერისთავიანთ ყმა-მამული ჩამორთმეული სახელმწიფო იყოვო. მერე რომ წამოვიზარდეთ, გიორგი მეფეს ვახლდით და იმას ვემსახურებოდით. მისი ქალი, გაიანე ბატონიშვილი შეერთო, მაგრამ მამული კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრუნებიათ. შემდგომში, როცა მეფე გიორგი გამეფდა ამას ყოველივე მამული დაუბრუნა და მათ შორის ოსებიცაო".

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ ხშირად გადმოთელავდნენ ხოლმე ამ სახელმწიფო საზღვრებს ოსმალეთის თათრები და ოსმალეთში საყაჩაღოდ გადმოცვენილი ლეკები, რომელნიც ბორჩალოს თათრებსაც უხვდებოდნენ და ეს შეერთებული ბრბო ავაზაკებისა ნავარდობდნენ ბორჩალოს მაზრაში, ლორში და შიდა ქართლშიაც კი, შეცვივდებოდნენ ხოლმე. არბევდნენ, აწიოკებდნენ ქართველ ხალხს და მრავალი ტყვეც მიჰყავდათ.

ახლა ისევ ერეკლე მეფის და იმ ელჩების ამბავი ვთქვათ, — რა იყო მიზეზი მეფის განრისხებისა?

თურმე იმ წინა ღამესაც მანგლისისაკენ დასცემოდნენ ლეკნი და ოსმალოს თათრები ქართველთა სოფლებს, საქონელი დაეტაცათ, დაერბიათ, ზოგიც ტყვედ წაეყვანათ და რამდენიმე კაციც მოეკლათ. გაჭირვებული ქართველობა, მობეზრებული ამ განუწყვეტელი ავაზაკობისაგან, ილაჯგაწყვეტილნი მეფესთან ჩასულან საჩივლელად და ორი კაცის აჩეხილი გვამებიც ჩამოეტანათ და მეფის წინ დაეყარათ — „ამაზე მეტი აღარ შეგვიძლია, გავწყდით, გვიპატრონეთ, ერთი სულებიღა გვიდგა, თორემ ღვთისაგან განაჩენი, სულს იქით აღარა შეგვარჩინეს რაო!"

მოამაგდარე მეფე, ვით პატრონი და მამა, საშინლად აღელდა, საშინლად ეწყინა თათართა ამგვარი თავგასულობა და გათამამება, მით უფრო, რომ ამგვარი ბარბაროსობა პირველი არ იყო და არც უკანასკნელი იქნებოდა...

ოსმალოს ელჩნი როცა გამოსამშვიდობებლად მივიდნენ მეფესთან, მაშინ ერეკლე მეფემ უკანასკნელად უთხრა:

„როდემდე უნდა ვითმინოთ თქვენი ხალხისაგან ამდენი უსამართლო ძარცვა-რბევა და მხეცური მტაცებლობა-ავაზაკობა?!

„გადაეცით თქვენს ფაშას: ღმერთი-რჯული, თქვენ ქერქში დადექით, მოგვასვენეთ, თორემ ირაკლი ჯერ ისე არ დაბერებულა, რომ... თუ არა და გაბეზრებული ისეთ საქმეს ჩავიდენ, ვფიცავ ირაკლის მზეს, რომ თქვენი კბილითვე თქვენს ხორცს გაგლეჯინებთ: ვალლა, ბილლა ისეთს პატრონს მოვუყვან საქართველოს, რომ მეც ლანძღვით საფლავშიაც კი აღარ მომასვენოთ და თქვენც სამარადისოდ აღიგავოთ პირისაგან ქვეყნისა!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჯავახეთი, წალკაც ისეთივე მოტიტვლებული ქვეყანაა. ჩემს თანამგზავრს ვკითხე, — რა ხალხი მოსახლეობს წალკაში-მეთქი?

აღმოჩნდა, რომ თითქმის მთელი წალკა ბერძნებითაა დასახლებული, რომელნიც პასკევიჩის დროს (1828-30) ოსმალეთიდან გადმოსახლებულან; ამათში მხოლოდ ორიოდე სოფელი — ქუმბათელები, თაქ-ქილისელები, სანთა, ბაშტაშენი და იბილაში ბერძნულს ლაპარაკობენ, იმასაც თათრულნარევად. დანარჩენები კი, მაგალითად, ავრანელები, ჯინისელები, გიარაქელები და შიბაქელები ლაპარაკობენ სომხურს და თათრულს, და დედაენად ამ ბერძნებს სომხური გახდომიათ, დანარჩენი ბერძნების დედაენა სულ თათრულია.

როგორც ჯავახეთში, წალკაშიაც სოფლები დაღვრემილი შეხედულებისა არიან; ტალახითა და უთლელი ქვით ნაშენი, ნახევრად მიწაში წასული სახლები · მიწისფრადვე გამოიყურებიან, არსად ვენახი, არსად ბაღ-ბოსტანი. მოგეხსენებათ, რომ ამისთანა მოტიტვლებულ არემარეს ფრინველებიც არ ეკარებიან, ხოლო რა ქვეყანაშიაც ფრინველი არ არის, ის ქვეყანა მკვდარია; ვისაც გსურთ თქვენი კარ-მიდამო გააცოცხლოთ, ფრინველები მოიწვიეთ და ვისაც გსურთ ფრინველების მოპატიჟება, დარგეთ ბუჩქები, ხეები და ხილნარი. დიდი ხნის ცდა არ დაგჭირდებათ, ფრინველები თვითონ მოვლენ და ყოველ ზაფხულს ჭიკჭიკ-გალობით, ცელქობით, მხიარულებით სიცოცხლეს დაგიტკბობენ და მთელ არემარეს გაახარებენ.

აქაურმა მოსავალმა თუმცა მაღალი ყანა იცის, მაგრამ მეტადრე წვიმიან ზაფხულში გიჟი პური მოდის. ამ მათრობელა პურს აქ დალიჯას ეძახიან თათრულად და, თუ გაჭირვებული არა, სხვა არავინ ჭამს, თან იმასაც ქერნარევს აცხობენ. ამგვარად, წალკელი გლეხი უფრო საქონლის მოშენებას მისდევს და მეტადრე თუშურ ცხვარს ინახავენ თუშებისავ წესზე. ტყე, საციციანო, წალკას ახლო აქვს, მაგრამ ეს ტყე ეძვირებათ და საწვავად უფრო წივას ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საღამოს ჩაის დრომ მოაღწია ... ცხელ წყალს ნაჩვევი, წყურვილმა დაგვძლია.

ერთი ქაჩალი სოფლის ახლოს, ძნის ბულულიდან ძერა ავაფრინეთ და ბულულის ჩრდილში ჩამოვხდით დაღლილ-დაქანცული ხალხი. ჩვენი ზაქრო მაწვნის საყიდლად სოფელში გავაგზავნეთ, თან ცივი წყალიც დავაბარეთ.

ზოგმა წყალი სვა, ზოგმა მაწონი ჭამა, ზოგმაც ჩალხამით (წყალნარევი მაწონია) გული გავიგრილეთ. იყო დრო, როცა ქართველებს დაგვცინოდნენ, მაწვნისჭამიებს გვეძახდნენ, მაგრამ ახლა კი ჩვენ ვაჯობეთ, წარმოიდგინეთ, რომ ახლა მაწონი დიდ მოდაშია და საუკეთესო დოქტორ-პროფესორები უებარ წამლად თვლიან და ხშირად უნიშნავენ მრავალნაირი ავადმყოფობისას. ერთი ჩემი ნაცნობი დოქტორი შარშან ხურვებით (тиф брюшной) ავად გახდა არტაანში და მაწვნის მეტი არაფერი არ მიიკარა; წამალიც ის იყო მისი, საჭმელიც და სასმელიც, უარყო ყოველივე წამლობა და წამლები, ერთ კვირაზე კაცი ფეხზე წამოდგა. კუჭის ტკივილებშიაც (катарр желудка) მაწონი ნამდვილი უკვდავების წყალია. ეჰ, ჩემო ჰორაცი, ვინ იცის, ჩვენს საქართველოში რამდენი ამისთანა საიდუმლოებაა დამარხული, რომელსაც გამოქვეყნება, შუქის მოფენა სჭირია! აი, ჩვენს ლობიოსაც ხომ დასცინოდნენ, ახლა კი ყველა მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ადამიანის საკვებად ლობიო კარტოფილს ათასწილად სჯობს — მაძღრობაც მეტი აქვს და ჯანისთვის, გულისყურისთვის და სიმხნე-სიმამაცისათვის ლობიოს ჭამა სჯობია!

გავედით მდ. ქციას, რომელიც ნაქებია გემრიელი კალმახით. სამიოდ ვერსის მანძილი რომ გავიარეთ, აქ ერთადერთი ქართული სოფელი ვიპოვეთ, სახელდობრ რეხა, რომელშიაც 160 კომლი ქართველობა ასახლია. გამეხარდა, ვიფიქრე, სულ არარაობას, წამლად ხომ მაინც დარჩენილა ქართველობა წალკაში! მაგრამ ისე თქვენი მტერი და დამაწყევარი დაღონდეს, როგორც მე ამ რეხელების ნახვამ დამაღონა. აჰა, შენი ნაფლეთები, მრავალტანჯულო საქართველო! რეხელებმა ქართული საყველპურად ძლივსღა იციან და ამათაც ღვიძლი დედაენის, ქართულის მაგიერ დედინაცვლად თათრული ენა გახდომიათ. მღვდელი „ბერძენი“ ჰყავთ, რომელიც ეკლესიაში ბერძნულად სწირავს, თუმცა თვითონაც არ ესმის, რასა

სწირავს, რადგან ბერძნული ლაპარაკი არ იცის, მაგრამ ეს მღვდელი სახარებასაც კი უთარგმნის თავის მრევლს ბერძნულიდან თათრულად და ქადაგებასაც თათრულ ენაზე ამბობს, რადგან რეხელებმა არც ერთი სიტყვა ბერძნული არ იციან, მღვდელმაც კიდევ ქართული არ იცის, ამიტომ აღსარებასაც თათრულ ენაზე ეუბნებიან.

აღდგომა დღეს ერთმანეთს თურმე უწინ თათრულად ულოცავდნენ:

„ხრისტოს დირილდი!" (ქრისტე აღსდგა).

„ჰაი! ჰაი! დირილდი!" (ჭეშმარიტად აღსდგა).

მერე ბერძნულად დაეწყოთ:

„ხრისტოს ანესტი!"

„ალითოს ანესტი!"

დღეს კი ქართულად, სამშობლოს ენაზე ულოცავენ ერთმანეთს აღდგომას, თუმცა თათრულ-ბერძნულსაც ურევენ ხოლმე.

აი, რეხელების გვარები: ხუციშვილი და აწ ჭეშიშ-ოღლი, კოვზიაშვილი, საბაშვილი ანუ საბაანი, მინაძე, მიქაძე, მურვანიშვილი და აწ მურვან-ოღლი, ზანდალაშვილი, მაცუკატოვი და სხვა.

მაცუკატოვების გვარიდან ორი მღვდელი მღვდლობდა ამ სოფელში. პირველად კირიაკი, რომელმაც მხოლოდ კითხვა იცოდა ბერძნული და ლაპარაკი კი არა, ეს მღვდელი გარდაიცვალა ამ 30 წლის წინათ და მერე მისი შვილი — ისტაფილა მღვდლობდა, რომელიც აგრეთვე ბერძნულად ასრულებდა წირვა-ლოცვას, თუმცა არც ეს ლაპარაკობდა ამ ენაზე. ესეც გარდაიცვალა ამ ოცი წლის წინათ და დღეს მღვდლობს ავრანელი, რომელმაც ქართული არ იცის და მხოლოდ ბერძნულ ენაზე ასრულებს წირვა-ლოცვას, თვითონ კი არ ესმის ბერძნული, რადგან ავრანელ ბერძნებს როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დედაენად სომხური გახდომიათ.

სკოლაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რატომ სკოლა არ გაქვთ-მეთქი? სკოლა როგორ არა გვაქვს, ჩვენი სკოლა სამი ვერსის მანძილზეა სოფ. ავრანში, სადაც „ბერძენი" მასწავლებელი მხოლოდ რუსულ ენაზე ასწავლისო.

რეხელი ქართველობა სწავლას ძლიერ ეტანება, მაგრამ ის

აწუხებთ, რომ ქართული არსად არის. ერთი რეხელი ყმაწვილი ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს იმ იმედით, რომ სახელმწიფო ენასთან, რომელიც ძლიერ ეჭირვებათ, ქართულიც ესწავლა. მაგრამ, რადგან ახალქალაქის სასწავლებელში, სადაც დღესაც 30 ქართველი ყმაწვილი სწავლობს, ქართულ ენას სრულებით არ ასწავლიან, ყმაწვილმა ისევ გორის სასწავლებელში ირჩია გადასვლა იმ აზრით, რომ რუსულთან ქართული ლაპარაკიც შეისწავლოს და წერა-კითხვაც.

ამგვარადვე რეხელმა ქართველმა მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც ახალქალაქში ცხოვრობს, შვილი გორის სასწავლებელში გამოზარდა ქართული ენის გულისათვის, რისთვისაც ხელმოკლე კაცი თვეში ორ თუმანს მეტს იხდიდა ვაჟის სადგურ-საკვებში და სხვა.

გამოვიკითხე მიზეზი რეხელი ქართველების გადაგვარებისა. რა მოხდა იმისთანა, რომ რეხელმა ქართველობამ თითქმის დაკარგა თავისი სამშობლო ენა და ეროვნება?

სოფელ რეხის ქართველობა გადმოსახლებულია ოსმალეთიდან პასკევიჩის დროს 1828-30 წწ. არტაანის სანჯახის სოფ. ველიდან. მურვანიშვილმა მოიხრა, მარტო ჩვენი ოჯახიდან თორმეტი აკვანი წამოვიდაო.

გადმოსახლებულებს თხუთმეტიოდე კომლი ქართლიდან მომატებია: კოვზიაშვილები, ოსიაშვილები და სხვ. ნეტავ ეს ქართველები რაღა ენაზე ეუბნებიან მღვდელს აღსარებას? ან რა ესმით ბერძნული წირვა-ლოცვისა და თათრული ქადაგებისა?

ესენიც გადაგვარდებიან, და იცით, ეს ამბავი სად ხდება? ჩვენ თვალწინ, თბილისიდან ერთი დღის სავალზე.

როცა საქართველო ძლიერი იყო და ამ ზემო ქართლს ჰასანყალა ტრაპიზონამდე განაგებდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ველელი ქართველები თავის დედაენაზე ლაპარაკობდნენ და წირვა-ლოცვაც სამშობლო ენაზე ჰქონდათ, მაგრამ არ მისცა ღმერთმა ქართველებს ერთობის ნიჭი, თორემ, ამისთანა გულვეფხ ხალხს, რა მტერი და რომელი მტერი დაძლევდა! რომელიმე ფეოდალი ერისთავი ანუ ძლიერი მთავარი კისერს გაისუქებდა თუ არა, მაშინვე იმის ფიქრში იყო, მეფე ტახტიდან ჩამოვაგდო და მე გავმეფდეო. ამას მოსდევდა რა? ურთიერთა მტრობა, მოძმეთა ჟლეტა და დაუბო-

ლოებელი „ჩემი — შენი“. ეტყობა, ყველას ჭირდა ავადმყოფობა „მანია დიდებულობისა“.

ეგ რად გინდათ, ქართველების ისტორიაში ამგვარ მხეცურ ფაქტებსაც ვპოულობთ: „დომენტი კათალიკოსმა სპარსეთის შაჰს ვანუცხადა: უკეთუ საქართველოს ტახტს მე მომცემთ, მაშინ (კათალიკოსი) მაჰმადის რჯულს მივიღებ და ცოლსაც შევირთავო“...

ნეტავ ეს რომელ „მანიას“ მივაწეროთ? ეს კიდევ უთუოდ არის „მანია პირუტყვობისა“.

ეს ხომ ძველი ამბავია და უფრო ახალს მოგახსენებთ. განსვენებული ლუკა ისარლიშვილი მოგვითხრობს თავის წიგნში — გიორგი კნიაზის ერისთავის ნათქვამს:

„მეფე გიორგის ძმას, ალექსანდრე ბატონიშვილს, აბაშიძეს და ზოგიერთთა დარეჯან დედოფლის თანდასწრებით რჩევა ექმნათ, წიგნი დაეწერათ და ტფილისიდან გაეგზავნათ ჩუმად ახალციხის ფაშასთან, რომ ეხლა კარგი დრო გაქვსო, რომ შემოხვიდეთ ჯარით ტფილისის ასაღებათაო. მეფე გიორგი არავის უყვარსო, რაკი ბორჯომს გამოსცილდებითო, მაშინ ჩვენც იქ დაგიხვდებით და მეფე გიორგის ადვილად ჩამოვაგდებთ სამეფო ტახტიდანაო.

ახალციხის ფაშას რომ მიეღო ეს წერილი, ებრძანა პატივი და ულუფა მიეცათ წიგნის მიმტანისათვის, მარა ის წიგნი გამოუგზავნია თვით გიორგი მეფისთვის გამოჩენილი მუთიბეგის ხელით და დააბარა, რომ ეთქვა მეფე გიორგისთვის მისი სახელიც, ვინც მიუტანა ის წიგნი.“ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთს გაქცეულა, დარეჯან დედოფალი, მეფის დედინაცვალი, კინაღამ სპარსეთს ანუ რუსეთს გააძევესო და რამდენიმე კაცი დამნაშავე მეფის ბრძანებით მეტეხის კლდიდან გადაჩეხეს მტკვარშიო.

დიაღ, იმას მოგახსენებდით, წაართვა ოსმალომ ქართველებს, ანუ უკეთ ვთქვათ, გაყიდეს სამშობლო ქართველმა დიდებულებმა ფაშაობაზე და სხვა პირად სარგებლობაზე გადასცეს ეს გაძლიერებული, ქართული სიცოცხლით, ციხე-სიმაგრეებით, მონასტრებით სავსე არემარე და მას აქეთ ოსმალთა მთავრობამ ქართველ დიდებულთავე შემწეობით გამძვინვარებული დევნა დაუწყო განსაკუთრებით ქართველების ენას და სარწმუნოებას. არა ხალხი არ იყო ისე დევნილი და შევიწროებული, როგორც ქართველობა და მათი ზნე-ჩვეულება-სარწმუნოება. ამის მიზეზი, რასაკვირველია, უნდა

ვეძიოთ გარდა მაჰმადის სწავლისა, პოლიტიკურ მოსაზრებაც, რადგან აზრად ის ჰქონდათ, რომ შეემუსრათ პოლიტიკური სიძლიერე საქართველოსი და ძალმომრეობით სამარადისოდ მოეწყვიტათ ეს ამოდენა მხარე საქართველოსთვის. ახლა როგორ გგონიათ, ვინ გარბოდა სტამბოლს ხონთქართან სხვადასხვა პროექტებით, თუ რა საშუალებით შეიძლება უფრო საჩქაროდ და ადვილად გადაგვარება ქართველობისა? პროექტების ავტორნი გახლდნენ ქართველთაგანვე, რომელთაც თავის მამა-პაპის რჯული გმეს, მაჰმადიანობა მიიღეს, მაჰმადიანობასთან ჯილდოდ ფაშობა, სანჯახ-ბეგობა, მამულები და სხვა მრავალი პატივი ხორცთა მათთათვის.

რომ ოსმალოს მთავრობას ქართველი ერის გადაგვარება პოლიტიკური აზრით საჭიროდ მიაჩნდა, ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ სომეხთა და ბერძენთა ეროვნება, აგრეთვე კათოლიკეთა სარწმუნოება სრული თავისუფლებით სუფევდა. სომხებს იმიტომ არ ერჩოდნენ, რომ პოლიტიკური თვითარსებობა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ და უფრო საჭირონიც იყვნენ ვაჭრობა-ხელოსნობისათვის. კათოლიკეთა სარწმუნოებას არას უშლიდნენ, რადგან მისიონერებით სავსე იყო აქაურობა, რომელთაც ზურგი გამაგრებული ჰქონდათ რომიდან.

აი, ამისთანა გარემოებაში ყოფილან ოსმალეთში ეს რეხელი ქართველებიც. ერთი მოხუცი მღვდელი შერჩენოდათ და ისიც მოუკვდათ. ოდესმე დიდებული საეპისკოპოსო, საკათედრო ტაძრები და მონასტრები — ზარზმა, საფარა, ვარძია, კუმურდო, წყაროსთავის მონასტერი, ღვთაების ეკლესია ანჩა ისპირისკენ, საიდანაც გადარჩენილ იქნა ღვთაების ხატი, რომელიც ახლა ასვენია თბილისში, ანჩისხატის ეკლესიაში. გამოჩენილი ოპიზის მონასტერი აჭარისკენ, ტბეთის ეკლესია შავშეთში, იშხანის ეკლესია თორთუმ-ბაიბურდისკენ, მონასტერი ხახულისა თორთუმის ხეობაში, რომელიც აღაშენა დავით კურაპალატმა, — ბაგრატ მეფის მამობილმა, საიდანაც სასწაულთმოქმედი ხახულის ღვთისმშობლის ხატი ძლივს გადაარჩინეს და დღეს გელათს ასვენია, — ერთი სიტყვით, მრავალთა უმრავლესი ტაძრები და მონასტრები, საიდანაც ეფინებოდა ამ არემარეს ქრისტეს მცნება, რელიგიური ზნეობრივი აღზრდა და საერო განათლება, სადაც იკურთხებოდნენ მღვდელნი

და მღვდელ მონაზონნი, და სადაც ომის წინა დღეს მიიღებდნენ ხოლმე ლოცვა-კურთხევა-ზიარებას და იკრებდნენ სულიერ ძალას მტრებზე მიმავალნი, სამშობლოსათვის თავგანწირულნი ქართველნი გმირნი, ყველა ეს დიდებული ტაძრები, ჭეშმარიტი საუნჯენი ქართველთა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ძლიერებისა, სრულიად გაუქმებული და აოხრებული იყვნენ ოსმალთა ხელში. ვისაც მღვდლობა სურდა, უნდა კურთხებულიყო ბერძნის ეპისკოპოსის ხელით, რომელიც ერთი არზრუმში იჯდა და მეორე — ტრაპიზონში. საქართველო მაშინ შინაურთაგან წეწვა-გლეჯით დასუსტებული იყო და ის ღონე აღარ ჰქონდა, რომ თუ პოლიტიკური არა, ზნეობრივი გავლენა და სარწმუნოებრივი კავშირი მაინც არ დაჰკარგოდა ქართველებთან ამ წართმეულ, დაკარგულ მხარეში. ამიტომაც მაშინდელ ქართველებს და აწ რეხელ ქართველებს საქართველომდე ხელი ვერ მიუწვდათ, მღვდელი ვერ მოითხოვეს და ვერც ითავეს, ვინმე ქართული წერა-კითხვის, საღმრთო წერილის მცოდნე არზრუმის ეპისკოპოსისთვის ეკურთხებინათ. ბოლოს „გაფრანგებას", კათოლიკობის მიღებას, — რისთვისაც იქვე მოქმედებდნენ იეზუიტები, რომელნიც გაკათოლიკებისთანავე მრავალნაირ შეღავათსაც ჰპირდებოდნენ, — ისევ ასე არჩიეს: მოუწოდეს მართლმადიდებელი ბერძნის მღვდელს და წირვა-ლოცვა ბერძნულად დაიწყეს, თათრულ ენაზე განმარტებით.

ვინც იქამდე შეგნებული არ არის და არ დააფასებს დედაენას, ანუ ვისაც არ სჯერა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის სამშობლო ენას, ვურჩევთ, კარგად ჩაუფიქრდეს ამ რეხელების თავგადასავალს და დააკვირდეს მათ უნუგეშო მდგომარეობას.

დღეს რეხელები ჩვენთვის აშკარა მაგალითს წარმოადგენენ ენა დაკარგული ერისას. რეხელების ამბავი საქვეყნოდ ღაღადებს, ცოცხალ ნიმუშს წარმოგვიდგენს ერის ძალმომრეობით გადაგვარებისას და ნამდვილად გვიმტკიცებს, რომ ყოვლად ძლიერ სარწმუნოებასაც კი არ შეუძლია ერი დაიხსნას, დაიფაროს გადაგვარებისაგან.

აი, სწორედ რეხელებზედაა გამოჭრილი პოეტის სიტყვები:

ერის ცხოვრება,
მისი დიდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის ისტორია
დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი
ტაძარსა წმიდას!..

მართლაცდა, აბა რა ქართველია ახლა რეხელი? რა ვუყოთ, რომ სარწმუნოებით ისიც მართლმადიდებელია. დედამიწის ზურგზე მრავალნი აღიარებენ მართლმადიდებლობას, მაგრამ საქართველოს ავი და კარგი ჩირადაც არ მიაჩნიათ. ბევრი მართლმადიდებელიც არის, რომელმაც არც კი იცის საქართველოს ქვეყანაზე არსებობა.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა. უნივერსიტეტში დამიგვიანდა, არ ვიცოდი თუ ვადა სუფევდა და ქაღალდები მარიამობის ბოლო რიცხვებში წარვადგინე. რამდენიმე დღის შემდეგ „სეკრეტარისაგან“ შევიტყვე, რომ დაგვიანების გამო მიღებული არ ვიქენი. ვთხოვე ფაკულტეტის დეკანს და დიდი უარი მივიღე — „სოვეტის“ დადგენილებას ვერ დავარღვევო. მეტი რა ჩარაა!

წავედი თვით რექტორთან: მოწყალება მოიღეთ — საიდან სად, კავკასიიდან მოვსულვარ, ხარჯი ხომ ხარჯად მეკარგება და მთელი ერთი წელიწადი დრო მეკარგება მეთქი!

ჯერ ეჭვის თვალით შემომხედა. მგონი ურია ვეგონე.

— Вы какой национальности?

— Грузин, Ваше прев-ство.

დაიბარა „სეკრეტარი“, მოატანინა ჩემი დოკუმენტები. ჩხრიკეს, ჩხრიკეს, იჩურჩულეს.

— Вы говорите — грузин?

— Дась... Грузин — კრძალვით მივუგე.

— Да разве грузины православные?

— ?!..

— არა, მაინც, ნუთუ ქართველები. მართლმადიდებლები არიან, — ჩამაცივდა რექტორი.

— რას ბრძანებთ, ბატონო! როგორ თუ ქართველები მართლმადიდებლები არ არიან! ქართველებმა რომ ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს, რუსების სახელი ჯერ ისტორიაში არსად იყო... ჩვენ მე-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის დასაწყისში მივიღეთ ქრისტიანობა წმ. ნინოსაგან. დიაღ, აი ასე გახლავთ...

მაგრამ... კმარა. ისევ რეხელების ამბავი განვაგრძოთ.

სწორედ საცოდაობა იყო ჩემი ბაასი რეხელ ქართველებთან. ხომ ვიცოდი, რომ რეხელები მართლმადიდებელნი ქართველნი არიან, მაგრამ რა ვუყოთ სარწმუნოებას, თუკი ლაპარაკი დედაენაზე ვერ შეეძლოთ! ჩემმა გულმაც ვერც ერთი ამათგანი ვერ შეითვისა, ვერ იგრძნო გულმა დაკარგული მოძმის სიყვარული და სიბრალული.

იმ დროს კი, როდესაც თავშეხვეული, სარუხიანი ქართველი მაჰმადიანი დედაენაზე ქართულად მესაუბრება, რაღაც საიდუმლო ზეგარდმო ძალა ანდამატივით მისკენ მიზიდავს, წამსვე გრძნობს გული მისდამი სიმპათია-სიყვარულს, სიბრალულ-სინანულს და თვალები თან სიხარულის ცრემლებით ივსება.

როგორ ახსნით ამ გრძნობას, არ ვიცი, მე მხოლოდ გულახდით ვაღიარე ჩემი პირადი შთაბეჭდილება, სულის მდგომარეობა ორსავ შემთხვევაში.

III

ასე გადაგვარდა ამ მხარეში მრავალტანჯული ქართველი ერი. ძალად მოუკლეს ბუნება და გაკაფულ ვენახზე ნამყენ ჭანჭურს აბა რა ნაყოფი უნდა გამოეღო?!

მოგეხსენებათ, უპატრონო ეკლესიას ეშმაკნი დაეპატრონენო. უპატრონოდ დარჩენილ ქართველებზე ვინ არ ნადირობდა-ნავარდობდა. ოსმალოს მთავრობა ძალად ამაჰმადიანებდა, ხოლო ვინც თავის მამა-პაპის რჯულზე მტკიცედ იდგა, ათასნაირ გადასახადებით ტყავს აძრობდნენ, შეუბრალებლად სდევნიდნენ ქართველ „გიაურებს“ და ყოველივე ადამიანურ ღირსებას უგინებდნენ, უმცირებდნენ, უსპობდნენ.

სულით გამწარებულ და ხორცით დატანჯულ ქართველობას სასოწარკვეთილების ჟამს კათოლიკე მისიონერები მფარველ ანგელოზად ევლინებოდნენ:

— გათათრებას ისევ ის არ გირჩევნიათ, კათოლიკე ქრისტიანები იყოთო?!

აი, თუ ქრისტეს სარწმუნოებას კათოლიკეთა დოღმატზე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებთ, მაშინ ოსმალოს მთავრობის დევნისაგან და მეტი სარჯვისაგან განთავისუფლდებით, რომის პაპის სულიერი შვილები გახდებით და ვინღა რას გაგიბედავთო!

ამგვარად, მთელი ეს ზემო ქართლი, რომელსაც შეადგენდა არა მარტო სამცხე და ჯავახეთი, არამედ ერუშეთ-შავშეთი, კოლა-არტანი, ართვინი-არტანუჯი, ტაო-ოლთისი, კლარჯეთ-ჭანეთი და მრავალი სხვა ქართველთა პროვინციები ჰასან-ყალამდე (გურჯიბოღოზ) და ვიდრე ტრაპიზონამდე, რომელნიც, ერთად რომ ავიღოთ, ეხლანდელ საქართველოზე თუ ხუთჯერ არა, სამჯერ მაინც მეტი იქნება, ოსმალეთმა მოსწყვიტა, ხორცმეტივით ჩამოათალა საქართველოს და მით დაასუსტა ქართველთა პოლიტიკური თვითარსებობა, უძლეველობა. მათმა ორასი-სამასი წლის მძვინვარეობა-ბარბაროსობამ სამ-ოთხ მილიონამდე ქართველობას სრულიად დაუკარგა არამცთუ სარწმუნოებრივი, არამედ ყოველივე ზნეობრივი კავშირიც კი მონათესავე ქრისტიან ქართველებთან.

გაუნათლებელ ხალხს არეულად, შეცდომით ესმით საქმის ვითარება და ამიტომაც, დღეს ქართველ მაჰმადიანს რომ უთხრა, ქართველი ხარო, იმას ასე ჰგონია, ეუბნები: შენ ქრისტიანი ხარო, — ქართველი და ქრისტიანი ერთი და იგივე სიტყვა ჰგონია...

კარგი და პატიოსანი! მაშ, როცა ქართველები კერპებს ვცემდით თაყვანს, როცა მზეს და მთვარეს ვაღმერთებდით, მაშინ ქართველები არ ვიყავით? ქართველებს არ გვეძახდნენ?!

ჰერიჰა! რას ბრძანებთ, ბატონებო, რჯული სადა, ეროვნება სადა, შუაში ზღვარი, დიდი განსხვავება უძევთ.

ჰოდა, ამგვარად, ხალხთა შეუგნებლობით დავკარგეთ ამ მხარეში რამდენიმე მილიონი ქართველობა.

შეიძლება, მკითხველო, არც კი დაიჯერო, რომ ნამდვილი საქართველო ეს ზემო ქართლია და ქართველი ხალხი, ზოგი გამაჰმადიანებული, ზოგიც გაკათოლიკებულ-გასომხებული ხუთჯერაც მეტია, ვიდრე ახლანდელ საქართველოში! კი, ბატონო! არც მიკვირს, თქვენმა მზემ, რომ არ გჯეროდეთ, რადგან ჩვენდა სამარცხვინოდ, ქართველებმა ჩვენი ღვიძლი სამშობლოს ისტორია-გეოგრაფია არ ვიცით და თუ რაიმე სასწაულით ვიცით, ისიც დაუდევრად, ხოლო ვისაც სკოლა-გიმნაზიებში რამე უსწავლია, იმან ამერიკა-აფრიკის ვითარება უკეთ იცის, ვიდრე საქართველოსი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავასრულოთ ისევ რეხელი ქართველების ამბავი.

ერთმა რეხელმა ქართველმა, მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც სრულიად თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს, მიამბო:

„ჩვენი პაპა სურამელი ყოფილა, თავადი მურვანიშვილი. ოცა საქართველოს იკლებდა ლეკი და ყიზილბაში, ამათაც გაუჭირდათ და იფიქრეს: ე ხო აღარ გვასვენებენ და ამდენ რბევას, მოდით და, ორ ჭირში ერთი ავირჩიოთ, მოდით და, სათათრეთში გადავსახლდეთო! სამნი ძმანი ყოფილან. უმცროსს უთქვამს: არა, ძმავ, მე არ წავალ. მე აქ, ამ კაკლის ძირში უნდა მოვკვდე-დავიმარხოო. ამდგარან და ეს ორი უფროსი ძმა მალულად გადასულა ოსმალეთს და არტაანის სანჯახში ქართველების სოფ. ველს დასახლებულა. ამ დროს, თურმე ხმა მოდიოდა, რომ ველელ ქართველებს კარგი სანჯახ-ბეგი ჰყავთ, ქართველებს დიდად არ აწუხებს“.

ისტორიულ ინტერესს არ არის მოკლებული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოყვანილი ამბავი:

„იპოდიაკვანმა იოანემ სურამს რომ მიაღწია, სურამის მოურავმა არ მისცა თავისთან ბინა. მაშინ გაუმასპინძლდა ქაიხოსრო მურვანიშვილი და ვახშამს რომ შეექცეოდნენ, მასპინძელმა ოთხშაბათის მარხვა გატეხა, რისთვისაც შენიშვნა მიიღო იპოდიაკონისაგან. ამაზე ქაიხოსრო მურვანიშვილმა უპასუხა:

— მე მეფე ერეკლეს ორმოცდათხუთმეტი წელიწადი ვემსახურე და ჩემი მსახურებისათვის ყაზახის თათრებში განმაწესა და იმათ თავაზით შევეჩვიე მარხვის ჭამას, რომ იმათ არ ვაძლევდი დაბრკოლებას და ამ სახით, გავუერთგულე ის ერი მათ სიმაღლეს.

— მათ უმაღლესობას სადა და სად მსახურეთ?

— რომ ცოტა ვთქვა, მათ უმაღლესობასთან თუ სხვაგან, ორმოცდაათი მეტი ომი მიხილავს, სახელოვან ომებში ყოველგან ვხლებივარ: აზათხანის ომში რომ სამი ათასი ქართველით თვრამეტი ათასი კაცი დაამარცხა უზარბაზნოდ ბატონმა და იმისი ურდო მთლად დაგვრჩა, რომ განვმდიდრდით ოთხი ათასის კაცით, აჯი ჩალაფის შვილი თორმეტი ათასის კაცით მოსული, ბორჩალოს დაამარცხა და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ. ავარიის ხანი რვა ათასის კაცით მჭადის-ჯვარს იდგა, — დავამარცხეთ დია მცირეს ჯარით და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანღიზში, ქიზიყის ბოლოს, ვძლიეთ ლეკთა და მრავალი აღვხოცეთ და იმ ღამეს, დედოფლის წყაროზედ მდგომთა დაგვესხა სხვა უდიდესი ჯარი თავსა მას გაქცეულს ლეკთან შეერთებული, და იგინიცა დავამარცხეთ, დავწყვიტეთ. ხერთვისი ავიღეთ და მრავალი ოსმალო დავხოცეთ. აბდულა ხანი ბაგრატიონი თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირათ და სოლოლაკზედ დავამარცხეთ და ავწყვიტეთ. ასპინძას ოსმალისა და ლეკის ჯარზედ გავიმარჯვეთ, რომ რუსები დაგვიბრუნდნენ, აღარ გვიშველეს და სულ ის თათრის ჯარი მთლად ფარაოსავით მტკვარში დავღუპეთ და მეფემან მოკლა თავისის ხელით კოხტა-ბელადი. ერევნის დიდს ომში იქ ვახლდი და რვა ათასი კაცი დავამარცხეთ მეფის ძის გიორგის მიზეზით და გარჯილობით. ავარის ხანი ოცდაოთხი ათასის კაცით ყვარლის ციხეს შემომდგარიყო, სამასი კაცი წავედით დაუთალაბად და შევედით ციხეში და გავაქციეთ ეგოდენი ჯარი. მცხეთას მიმავალს ღამე დაგვიხვდა ლეკისა ჯარი, ჰსძლო მუნ ბატონმან, თავისის ხელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ ძმათა და ცხოცევით ლეკები, სამთავ მივართვით თავები და მაშინ მიბოძა ჯილდოდ ჯაბადართ-უხუცესობა და სხუა წყალობა".

აი, ასეთი სახელოვანი კაცი ყოფილა მურვანიშვილების გვარში მეფე ერეკლეს დროს. ჩემმა მობაასემ მიხეილ მურვანიშვილმა კვლავ განაგრძო:

„პაპაჩემის ძმას, პეტრეს, ჰყავდა ცოლად ახალციხელი ქართველი ქალი, კარგა აღზრდილი, ღვთისნიერი, მწიგნობარი, ხელსაქმის კარგი მცოდნე. ამ მეუღლეთ მიეცათ ველში ვაჟიშვილი ვასილი, რომელიც დედამ აღზარდა ღვთის შიშში და ასწავლა ქართული წერა-კითხვა და საღმთო წერილი.

ვასილი ნიჭიერი ყმაწვილი გამოვიდა, ისე შეუყვარდა საღმთო წერილი და წმიდათა ცხოვრება, რომ მოემზადა მღვდლად კურთხეულიყო. თათრობის დროს აბა აქ სად იყო ქართველი ეპისკოპოსი და ამიტომ ვასილი წავიდა კისკიმში, რადგან კისკიმი უფრო ეახლოვა (ტრაპიზონისკენაა).

კისკიმში მაშინ (1828 წ.) ეპისკოპოსობდა ბერძენი ეპისკოპოსი თეოკლიტოს, რომელმაც მღვდლად აკურთხა ვასილი და გამოისტუმრა. ვასილ მღვდელმა კისკიმიდან აჭარაზე გამოიარა და აქ შეიტყო რუსის შემოსვლა სამცხეში. ახალციხეს რომ მოვიდა, ნახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ციხეს რუსის ჯარი შემორტყმოდა (1828 წ. აგვისტოს 15) ხომ კიდეც აიღო პასკევიჩმა ეს მხარე.

ქართველებს გაგვეხარდა და ვიფიქრეთ, ახლა კი იპრიანა ღმერთმა და გვეშველა ქართველებსაო — ქრისტიანი ხელმწიფე გვეყოლებაო. მაგრამ რაკი მერე ყარსი და არტანი უკანვე გადასცეს ოსმალოს, მაშინ კი თქვენი მტერი, რომ ჩვენ წელები დაგვწყდა. ჩვეზები აღარ დადგნენ სათათრეთში, ქართველ ქრისტიანებს ყველას ეშინოდათ, თათრები ახლა კი ჩვენზედ იყრიან ჯავრსაო, რადგან ქართველობაც სიხარულით შველოდა რუსის ჯარს, რითაც კი შეეძლო; რაღა გაეწყობოდა, აიყარა არტაანიდან მთელი სოფელი ველი და მამაჩემიც მაშინ წამოჰყვა სოფელს და აქ რეხაში დავსახლდით. მარტო ჩვენი ოჯახიდან თორმეტი აკვანი წამოვიდა.

ვასილ მღვდელს მაშინათვე უბოძა პასკევიჩმა ჯავახეთში რამდენიმე სოფელი მრევლად: ნიჯგორი, ხიზაბავრა, ვარევანი, თოკი და სხვა, ხოლო ჯავახეთის დანარჩენ სოფლებს, საცა კი ქართველი ქრისტიანი დარჩენილიყო, ზოგი ცხადლივ და ზოგი მალულად, ამითაც ორი მღვდელი მწყსიდა — კოთელიელი ნიკოლოზ მღვდელი და ბარალელი პეტრე მღვდელი.

ოთხი წლისა ვიყავი მე, როდესაც ვასილ მღვდელმა თავისთან წამიყვანა, ღვთის სიყვარულში მზდიდა და საღმთო წერილს მასწავლიდა. ამ რეხაში მაშინ კირიაკი მღვდლობდა, რომელიც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თუმცა ქართველი იყო, მაგრამ ქართული დაჰკიწყებოდა და ბერძნულად კი ზეპირად სწირავდა, რადგან თათრულს მეტი ენა არ იცოდა. ბოლოს და ბოლოს, ქართული ცოტათი შეესწავლა და, ჩემს ყმაწვილობაში მახსოვს, რამდენჯერაც რეხაში მივიდოდი, ქართულად წავუკითხამდი ხოლმე სამოციქულოს და ორიოდე ძილისპირიც ვიცოდი გალობით. საწყალი ბერიკაცი მღვდელი ისეთის აღტაცებით მოისმენდა ხოლმე ქართულ გალობას და სამოციქულოს, რომ სიხარულის ცრემლები ღაპაღუპით გადმოსდიოდა".

ბოლოს ჩემმა მობაასემ მითხრა, რომ ვასილ მღვდლის ამბებს კიდევ მერე გეტყვიო.

მართლაცდა, იმ დროს მღვდლების შრომა და კეთილმოღვაწეობა — განსაკუთრებით ორბელიანისა, რომელსაც თათრებმა ახალციხეში თავი მოჰკვეთეს, სულხანიშვილებისა, რომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარშიაც 60 მღვდელი გამოსულა და აგრეთვე ვასილ, პეტრე და ნიკოლოზ მღვდლებისა, — დასაფასებელია. საკმაოა ამ ღირს-პატივცემულ მამათა ცხოვრება და მოღვაწეობა აიწეროს, რომ მთელი მესხეთისა და ჯავახეთის, მათის დროის (1800-1853 წ. წ.) ისტორია შედგეს.

IV

რაც იყო, იყო! დავანებოთ თავი წარსულზე ამდენ ჩივილ-ტირილს. სჯობს წარსული მაგალითი გავითვალისწინოთ და ჩვენს აწმყოს იმისდაგვარად გავუძღვეთ. ნათქვამია: ზოგი ჭირი მარგებელიაო. წარსულმა უბედურებამ უბედობა უნდა დათრგუნოს, როგორადაც სიკვდილი სიკვდილით ითრგუნება, — ეს ბუნების და ცხოვრების კანონია.

67 წელიწადი შესრულდა, რაც ეს ჩვენი მოძმე რეხელი ქართველობა თათრების კლანჭებიდან ჩვენვე დაგვიბრუნდა. მერე? გვიზრუნია რამ ამ ხალხისათვის? — არაფერი. არც კი ვიცოდით ამ ხალხის ქვეყანაზე არსებობა, არამცთუ გაგვერიგებინოს რამე. ვინ ჰყავთ გულშემატკივარი? — არავინ. ვინ უნდა გამოჩნდეს ამათი ჭირისუფალი? — ჩვენ. ვინ არის ზნეობრივი მოვალე, ამათ დაეხმაროს? — ჩვენ.

ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ორი მარტივი სხეულისაგან შედგება — აზოტისაგან (79 წილი) და მჟავბადისაგან (21წილი). ვინ იცის, რამდენი ათასი მილიონი წელიწადია, რაც ეს ორი გაზი ერთად არის არეული და ერთად მოქმედებს, მაგრამ მის დღეში ესენი ერთმანეთს არ შეუერთდებიან და არ შეუსისხლხორცდებიან: აზოტს თავისი ბუნებრივი ზნე-ხასიათი ყოვლად შეუცვლელად რჩება, მჟავბადს — თავისი.

ამგვარადვე, რეხელი ქართველობა, თუმცა სამ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს სხვა ეროვნებასთან ერთად, მაგრამ ესენი მათ ვერ შეუერთ-შეუსისხლხორცდებიან. ხოლო ბუნებითვე დაყოლილი კანონის ძალით, რომლითაც შობილი მშობელს ეტანება, რეხელებიც სულითა და გულით ელტვიან ქართველობას, მაგრამ მოთავე არავინ ჰყავთ, რომ ბუნებრივ სულთა სწრაფვას საქმით გაუძღვეს.

აი, რაში გამოიხატება ამათი ქართველობა და მისწრაფება ქართველობის მიმართ. რეხელები ბერძნის ქალს არ ირთავენ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ქალს მიათხოვებენ. ძლიერ იშვიათად, ღარიბი ვინმე უნდა იყოს, რომ ან ითხოვოს, ან მიათხოვოს ბერძენს ქალი. ხოლო რეხელებს ქართველი ქალები მოჰყავთ — თონეთიდან, გომარეთიდან, კლდეისიდან და ჯავახეთის ყველა ქართული სოფლიდან და ამათვე მიათხოვებენ ხოლმე თავიანთ ქალებს. მისვლა-მოსვლა და ნათელმირონი აგრეთვე ზემოხსენებულ ქართველებთან აქვთ. ჩაცმა-დახურვა ვაჟთა და ქალთა ისეთივე აქვთ, როგორც ზემოხსენებულ სოფლებში ქართველებს. მოწყობილობა ოჯახში, ავეჯეულობა და ჭამა-სმაც იგივეა, რაც ჯავახელ ქართველებს აქვს.

კომლეული აღწერის დროს, ვიღაც ჭკუისკოლოფ ვაჟბატონებს ურჩევიათ რეხელებისათვის ბერძნად ჩაეწერეთო, მაგრამ ამათ თურმე უპასუხეს:

„რას ამბობ, ყარდაშ, რა გვიგავს ბერძენს? სადაური ბერძენი ვართ, როდესაც ნამდვილი ვიცით, რომ ჩვენი მამა-პაპა ქართველები იყვნენ და ჩვენი ნათესაობა დღესაც ქართლში ცხოვრობსო". ამიტომაც ამათგან გამოყვანილი „სალდათი" გორში მიდის ქართველებთან ერთად და არა წალკის ბერძნებთან.

რეხელებს რა იმედით მოგიხაროდათ ქართველი მოძმეებისაკენ, გადმოსახლება და რა გულგრილობა დაგხვდათ! სა...მო...ცი წე... ლი...წა...დი ცხოვრობთ ჩვენში და ჩვენ სამოცი სიტყვაც არ დაგვიხარჯავს თქვენს სასარგებლოდ.

როგორც ამ ხალხმა ამიხსნა, ესენი სასუფეველივით მოელიან ქართულ სკოლას და ქართველ მასწავლებელს, რისთვისაც მზად არიან ყოველივე ხარჯი იკისრონ. „ჰანი, ბატონო, პატრონი?! — ასე დააბოლოვეს ჩემთან საუბარი რეხელმა ქართველებმა.

მხოლოდ ის კი უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებელმა ქართულთან ერთად თათრული ენაც უეჭველად უნდა იცოდეს, რადგან ჯერჯერობით საჭიროა მოხუცებულთათვის, რომელთაც ქართული ენა ნაკლებად იციან.

თუ არა და ეს თხუთმეტი კომლი ქართველობა ხომ ქართლიდან მოსულა და აქ, რეხაში დასახლებულა, რომელნიც, ვინ იცის, ეხლა ას სულზე მეტი არიან. ამათ, ამ ას სულს, რაღა ბრალი აქვთ, რომ ძალაუნებურად დამახინჯებული ბერძნულ-თათრული მოისმინონ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვრის სათავეებთან

უწინდელი ზემოქართლი და მტკვრის სათავე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

სოფელ კაზნაფარიდან მტკვრის სათავემდე კიდევ 40 ვერსი დამრჩა გასავლელი. აქ ვიქირავე ერთი ჯაგლაგი ცხენი თავისი პატრონით. წინამძღოლ ქურთს უნდა ეჩვენებინა სათავე, სწორედ ის ადგილი, საიდანაც ჩქეფს და გადმომდინარეობს ჩვენი მტკვარი, ეს უდიდესი და უდიდებულესი მდინარე მთელი საქართველოისა.

კაზნაფარიდან ნასადილევს სიგრილით გამოვედით. ვიდრე მზე ჩავიდოდა, გზადაგზა ამ ერთფეროვანი, მოტიტვლებული ქვეყნის ახლად ნახვა, მისი არემარე მახალისებდა, მთა-ღელეთა სურათებით ვერთობოდი.

აგერ, დასავლეთს ცეცხლი მოედო, მზე ჩადიოდა, გორას მოეფარა, ქვეყანას ფერი ეცვალა. სხივი მოაკლდა, ჩრდილმა დაფარა. ერთი შეხედეთ დასავლეთის ცას! გრძნეულმა ბუნებამ ერთი კალმის მოსმით რა ბრწყინვალე, მომხიბლავი, რა საუცხოო სურათი დახატა! ვიშ, ბუნებავ, რა თვალთმაქცი რამა ხარ... რა ფერადებით აგიჭრელებია ეგ ღრუბელთა ქარავანი... აბა, ვინ აღწერს მაგ დიდებულ სურათს...

რამდენადაც მზე ძირს იწევდა, იწურებოდა, ანთებულ ღრუბელთა ფერადებიც საუცხოოდ იცვლებოდა. მთლად არემარე ბინდმა მოიცვა, მთის სილუეტები მოჩვენებასავით შავად მოჩანან, მელანდებიან... ღამდება. ცაშიაც რაღაც სამზადისია — ზოგან შავი ღრუბელი, ზოგან მკრთალი სინათლეა, ბნელთა სამეფო ჯერ მთლად არ დამკვიდრებულა. ცოტა ხანიც და... აღსრულდა კანონი ბუნებისა... ღამემ დღე სრულიად შეცვალა.

ჩემი „ჩიჩერონი“ ქურთი, მხარზე კომბალგადაგდებული, უდარღელად თავმომწონედ მიმიძღოდა. ბუნების სურათები არა ხიბლავდა, ამას ქირა უხაროდა. მომწყინდა ბნელაში ფრატუნი და კაეშნის გასაქარვებლად ჩემი დამტვრეული თათრულით რამდენ-

ჯერმე დავუყვირე კიდეც ქურთს „ჰანი მარჯან-სუ“-მეთქი. ქურთმა წეკო გააბოლა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და „ოლურ-ოლურ“-ითა მომაძახა, ცხენი შედგა და კაჭაჭებს დაუწყო კორტნა!.. დაბრიყვებაც ასეთი უნდა! ჰო, თქვენმა მზემ! არა და... რაცა ხანია ტაატით მივყავდი, მაგრამ ისე ვიყავი მოჯადოებული ცის სურათებით, რომ ვის ეცალა... აღვირს სულაც მივანებე თავი...

ახლა კი მომივიდა ჯავრი! ჩანს, თავისუფლებამ მოვალეობა დაავიწყა ჩემს ჭკვიან პირუტყვს და, რომ უარესად თავს არ გასულიყო, აღვირის ტოტები ისევ ხელთ მოვიკრიბე, ამოვკარ ლაგამს, ცხენს კისერი დავუმოკლე და გულმოსულმა ორიოდე მათრახი გადავუჭირე... მერე კი... ეს ბატონობაც მომბეზრდა, ისევ ცას მივმართე.

კარგა დაბნელდა. მოღრუბლული ციდან, აქეთ-იქიდან ცბიერად ბჟუტავდნენ კეკლუცნი ვარსკვლავნი... ჩემს არარაობას თუ დასცინოდნენ, მეტადრე აგერ, ა, ის დიდი ვარსკვლავი, რომელიღაც პლანეტა... ოითქოს ბუტიაობას მეთამაშებაო, ძლიერ ჩამაცივდა — ხან ღრუბლებში მემალება, ხან კი ისევ მინათებს სრული მშვენებით.

ეჰ, ვარსკვლავო, მშვენიერო ცის მნათობო... ნეტავ რა მქნა, გადარამქნა, მეც შენსავით კეკლუც ვარსკვლავად მაქცია, შენთან ამომაფრინა, შენი გულის პასუხი მაცნობა, შენზე უკეთ აბა ვის ეცოდინება, ვარსკვლავო, რაც ამ არემარეში საქმენი მომხდარა. მითხარ, მიამბე, რა იქნა, სად გაქრა ქართველთა ის ძლიერი სული, ის განთქმული, გაჩაღებული სიცოცხლე, რომელიც აქ, ამ ზემო ქართლში დუღდა და გადმოდიოდა?! აღარ შეჰხარის აქ სული დავით დიდის კურაპალატისა, თამარ მეფისა და წმ. მამათა საღმრთო რჯულის მთარგმნელთა-მოწესრიგეთა. იმათ საგმირო საქმეს აქ ქვანიღა ღაღადებენ, მნათობო!.. ვინღა ეპატრონება ახლა მათ ციხე-კოშკებს, საყდარ-მონასტრებს, რომელნიც ასე უხვად არიან აქ გაფანტული, გავერანებული: სადღაა, ვინღაა?! აგერ მესამე დღეა მოვდივარ და ადამიანისთვის ქართულად ხმა არ გამიცია.

მაგრამ რას გეკითხები შენ, ათას საუკუნეთა მოწამევ, ცისა მნათობო?! აბა, ოცნებაც სწორედ რომ ამისთანა უნდა... განა მე ბევრი ვიცი, დღეს ჩემმა ცხენმა რამდენი ჭიაღუა, ჭიანჭველა, ხოჭო-პეპელა ფეხქვეშ გასრისა?! ცად და ქვეყნად განა რა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძრავი და უცვლელი, რომ სამეფო შერჩეს დაურღვეველი. ან ვინ
თვით შენ, დიდებულო ვარსკვლავო, განა უძრავი და უცვლელი
ხარ? განა შენ კი შეგრჩება მარადჟამს ამ ცაზე ბატონობა,
მნათობობა?!

შევადარე ჩემი თავი უწინდელ მეზღვაურთ, როდესაც ჯერ კიდევ
კომპასი არ იყო მოგონილი და ღამის წყვდიადში აღარ იცოდნენ,
საით მიემართათ გემ-ხომალდის დინგი, გაეშალათ, გაბედულად
აეფრიალებინათ, თუ ჩამოეშვათ, აეკრიფათ ნავის აფრა-იალქნები.
ის ბრჭყვიალა ჩემი ლამაზი ვარსკვლავიც დამიბნელდა, შავმა
ღრუბლებმა შთანთქეს, მეც მივენდე ცხენის ფეხთა კუნთების ძა-
ლას და ქურთის შავ თვალებს, რომელნიც ამ უკუნეთ ბნელაში ისე
უნათებდნენ, როგორც კატის ყველა ნათესავი: ლომი, ვეფხვი, ავა-
ზა, კატუნი, ფოცხვერი, ყურშა და სხვა.

შუაღამე იქნებოდა, როდესაც შორით გამოჩნდა გზის მაჩვენე-
ბელი ვარსკვლავივით, ცეცხლის სინათლე. თურმე მივატანეთ
ორდანას ნასოფლართან ქურთ-მწყემსების ბინას. გამამხნევა
ცეცხლის შუქმა! უფრო კი ის მიხაროდა, რომ გულს მოვითბობდი
შუაცეცხლზე.

წარმოიდგინეთ, რომ დამდეგ მარიამობისთვეშიაც კი ეს გვერ-
დები საგრძნობლად გამიცივდა. არცთუ საკვირველია! ამ უტყეო,
შიშველ მთებზე, ღამ-ღამობით ზაფხულშიაც კი შეიძლება უარესა-
დაც აცივდეს, რადგან ექვსი ათასი ფუტის სიმაღლეზე ავბობღდით.
იანგარიშეთ, შავი ზღვის პირიდან (თაროზიდან) ვერს-ნახევარი
სიმაღლე; ანუ ჭოროხის შესართავთან დაურჭეთ ზღვის პირას ბო-
ძი ორი ათასი ადლის სიმაღლე, ჰოდა, იმ ბოძის მწვერვალზე ეხ-
ლა ჩვენ ვმოძრაობთ, ვჯამბაზობთ. ბუნების გარდუვალი კანონია:
მაღალ ადგილებზე ჰაერი თხელია, გაფანტულ-დაქსაქსულია, ამი-
ტომაც მზის სხივები დღისით ძლიერ ადვილად ახურებენ აქაუ-
რობას, ღამით კი სწრაფად აცივდება ხოლმე. რადგან დღი-
სით ადვილად აკრეფილი მზის სითბო-სიმხურვალე ისევ ადვი-
ლად იფანტება ცის სივრცეში. ამგვარადვე, წვიმის სისველე-
სინოტივე მთაში უფრო ადვილად და ჩქარა შრება, ვიდრე ბარში.

მივუახლოვდით ქურთთა ბინებს. აგერ ერთმა ძაღლმა შეჰყეფა
კიდეც. მის ზარმაც ყეფას სხვებმა უფრო ძლიერი ხმა მისცეს,

ატეხეს აურზაური და ყეფა-ხვნეშით ჩვენსკენ გამოექანენ. ჩვენმა ქურთმაც დროზე მოიმარჯვა შინდის კომბალი და გაჯავრებულმა დაუყვირა კიდეც ქურთებს... იქიდანაც წამოვიდა ხმა: „ოშტ! ოოშტ!“.. ძაღლებს უჯავრდებოდნენ, წინ მოგვეგება რამდენიმე მწყემსი განუყრელი კომბლებით და ძაღლებიც ყეფა-წკავწკავით დაგვშორდნენ...

— ევარატაბხერ! (საღამო მშვიდობისა), — დავუქურთულე მასპინძელს, რომელმაც სალამი დამასწრო. კარვის წინ გარს შემომეხვივნენ და ისე დამხუთოდა მუხლები, ჩამოხტომის მაგიერ ცხენიდან ჩამომიღეს.

გამიძღვა წინ მასპინძელი და თავიანთ შავნაბადა კარავში შემიპატიჟა, კერიის წინ გამიშალეს თეთრი საგები ნაბადი, ზედ ჭრელი ხალი და მუთაქა. მე ჯერ ხელები მოვიბანე და მოკეცვა რომ ვერ მოვახერხე, იქვე წამოვწექი და, უზრდელობად რომ არ ჩამოერთმიათ, გაჭიმულ ფეხებზე მივუთითე, „ბურდა აღრიერ“, მუხლები მტკივა-მეთქი...

ქოხის მოფარებული კუნჭულიდან რაღაც ჩურჩული და ბოძრაობა შემომესმა; რამდენიმე წამიც და, უფროსი დიასახლისი წამოვიდა კერიისკენ. ყოჩაღად წამოვდექი. სალამი მომცა, მივესალმე. ჩემდა პატივსაცემად, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, შუაცეცხლს წივა მიუმატა, სუნს ჯანი გავარდეს, აბოლდა სამინლად. ამათ, ჩანს, ერთი პირი ძილი კიდეც გამოუცხვიათ, დიდრონ შავ თვალებს მხიარულად მიმიზნებენ ქურთი ახალგაზრდა ყიზე-ქალები. ესენი მგონი ვახშმის თადარიგს შეუდგნენ, რის წინააღმდეგიც ვიყავი; მაგრამ ვერა გავაწყე რა...

ველარ შევიმაგრე თავი და თავზე ნაბადწახურულს წარითვლიმა გვარიანად, მაგრამ რაღაც ჩოჩქოლი შემომესმა და წამსვე წამოვჯექი. მოჩვენებასავით დავინახე, კარავში ფეხი შემოდგა ერთმა კიკინებიანმა მოხუცმა და სალამი მომცა:

— გამარჯობა, ბატონო-ე, საღამო მშვიდობისა-ე...

— აი, გაგიმარჯოს, ჩვენო ებრაელო! შენ`რაღამ გაგაჩინა აქ?

— ღმერთმა-ე... ეჰ, ჩვენი საქმე ვინ იცის, პატარა ასაღები მქონდა და თანაც...

— შენი სახელი?

— დანიელ კობაშვილი, ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თვითონ ბატონო. აბა დაბრძანდი, დანიელ. შენ თითქოს ქეიფზე ვერა ხარ...

— არა, კნიაზ, ღმერთმა დაგვიფაროს ამ უალაგო ალაგას... ამათ მძინარე წამომახტუნეს „ადე, ბურჯი კნიაზი მობრძანდა, წამო ელაპარაკე რამეო“...

— იცი, დანიელ, ამათ კარგად მოუსაზრებიათ, ძლიერ მეამა შენი ნახვა. იცი რა? ერთი ბოდიში მომთხოვე დიასახლისთან, ნება დამრთონ ჩემი ხურჯინი გავხსნა... იცი რა, დანიელ, მოდი, მაჰმადის გამოჯავრებული ჯერ თითო გადავკრათ და მაშინ უფრო ქეიფზე მოხვალ.

— კარგია... რად ირჯებით... ღმერთმა გადღეგრძელოს, კნიაზ, ამშვიდობით გამგზავროთ...

— შენც გაგიმარჯოს, ჩემო დანიელ, მაგრამ იცი რა, სწორედ გითხრა, შენი სახის მეტყველება, ეგ თოვლივით თეთრი წვერულვაში გამხელს, რომ შენ ნაკითხი კაცი უნდა იყვე... სწორედ მოსე წინასწარმეტყველს გავხარ.

— არა, ბატონო, მე, მართალია, ხახამი კი ვარ, მაგრამ იმათთან რა შესადარებელი ვარ. მამაჩემი ახალციხიდან გადასახლებულა არზრუმს, იქ ვაჭრობა ცოტა კარგად ვერ წაუვიდა და ახლა მე ისევ აქაურობას დავუბრუნდი. არტაანში ვხახმობ. ნათქვამია, სადაც სარჩო არისო, იქ ურიაც არისო.

— ესე იგი, შენ სომხურ ანდაზას იმეორებ, დანიელ: „ურდეღ ჰაც, ენდეღ კაც“. აბა, ერთი დანიელ, ამ მასპინძლებსაც შევთავაზოთ კონიაკი. რა უშავს, ეს ხომ ღვინო არ არის?

— ე... კნიაზო და, ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი თქვენი სახელი გვიბრძანეთ...

— არა, დანიელ, კნიაზს ნუ მეძახი, უჩემოდაც მადლობა ალაჰს, ბევრნი არიან... ჩემი თუ გეკითხება, მე ხეთი ვარ, ხეთელი.

— მცხეთელი, ბატონო?

— არ ვიცი. იქნება მართლაც. მას ჟამსა შინა, თქვენი პალესტინიდან ხეთები იმ ალაგას დასახლდნენ, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის!.. მაგრამ არც იმ ზემო და ქვემო ხეთიდან ვარ, გურიაში რომ სოფლებია. ხედავ, დანიელ, რა კარგი ვახშამი გაგვიმართეს მასპინძლებმა... აბა, კონიაკზე როგორა ხარ?..

— გმადლობთ. ბატონო. მაგრამ, ე თუ უკაცრაოდ არ გახლდე-

ბით, კნ, ბატონო, აქეთკენ მაინც რისთვის გარჯილხართ? რად დაგღამებიათ?

— მაგის პასუხად იცი რას გეტყვი, დანიელ... მოდი და, ხათრის გულისათვის ერთად წავიდეთ მარჯნის წყაროს სანახავად. მაგრამ ჯერ მზე, მერე მარჯნის წყარო. შენ გინახავს აქ მზის ამოსვლა? იცი, ზედ მთის წვერზე უნდა ავიდეთ! მარჯან-სუ ხომ გაგიგია?

— ე, მარჯან-სუ როგორ არ ვიცი, მტკვრის სათავეა, მაგრამ შე დალოცვილო და, მზის სანახავად იქ რომ არ ავიდეთ, განა აქ კი მზე არ ამოვა?!

— არა, ჩემო დანიელ, შენ ერთი გაისარჯე, უბრძანე ჩემს ქურთს ქ ა რ ვ ა ნ-ყ რ ა ნ ი ამოვიდეს თუ არა, მაშინვე გამაღვიძოს, მზის ამოსვლამდე უნდა ზედ მთის მწვერვალს მოვექცეთ... მაშ პენ ჯერ არ გინახავს, დანიელ, მზის ამოსვლის დიდებული სურათი?!

— ღმერთმანი, ბატონო, სჯობს ამაღამ ძილი არ გაიტეხოთ, და დღისით-მზისით ყველაფერს მადლი აქვს.

— არა, დანიელ, ხათრს ნუ გამიტეხ. მერწმუნე, რომ არ ინანებ.

— მაშ, ღამე ნებისა, ბატონო! ე მაგას ყველაფერს ავასრულებთ, მაგრამ რჯულის მადლმა, რომ დაიღლებით!

II

სარიპარია ვარსკვლავი (ქარვან-ყრანი) საამოდ ღადღადებდა. მე და დანიელმა თითო ჯამი ცხელი რძე გეახელით „პრიკუსკით" და მთის მწვერვალისაკენ გზას გავუდექით. ამა ალაგას მთის კალთა დაცემული ვაკეა, 6000 ფუტზე უმაღლესი.

მტრედისფრად ინათა და მერე კი ქარმა საიდანღაც მორეკა მთელი ქარავანი ნისლისა და ღრუბლებისა. ნამძინარევს დილის სუსხმა საკმაოდ მაგრძნობინა. არ სციოდა მხოლოდ ჩემს ცხენს და მის პატრონ ქურთს, რომელიც წინ მიმიძღოდა... მაგრამ დაილოცოს, შავო ნაბადო, შენი მომთელის, შემკერავის მარჯვენა; ისე გავეხვიე, როგორც ბალღი დედის უბეში.

— აბა, ისრაილო, რას გაჩუმებულხარ! იქნებ მემდური, რომ ამ სისხამ დილას გზას გაგიყენე? ხომ არ გცივა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, რჯულის მადლმა... სიარულში განა კაცს შესცივა?

— მართალი ხარ, დანიელ, ხახუნი, გლესვა და ყოველგვარი მოძრაობა უეჭველად სითბოს აჩენს. სითბოს კი არა, ცეცხლსაც გააჩენს. ამბობენ, დანიელ, პირველად ცეცხლი ველურმა ხალხმა გააჩინაო და იცი როგორ? თურმე აიღეს ფიჭვის ხის ორი ნაჭერი და ერთიერთმანეთს იმდენ ხანს უსვეს, უხახუნეს, ვიდრე ცეცხლის ალი არ გამოჩნდაო. ეგ რად გინდა, აბა, ურმის თვლის ღერძს საპონს ნუ წაუსმენ, იჭრიალებს, იჭრიალებს და აინთება.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბატონო, ეგ მართალი გახლავთ, ამ თათრების ურმის ჭრიალს თუნდ ათ ვერსზე გაიგონებს კაცი...

— ჰოდა, დანიელ, ეგ ყოველივე ცხოვრების კანონია. თვით სიცოცხლე რაღაა? სიცოცხლეც სხვა კი არაფერია, მოძრაობაა, ცხოვრების მოვლენაა. აი, ახლა რომ მოძრაობ, ფეხით სიარულის დროს შენი სხეული მეტ მოძრაობაშია, შენს სისხლში ამ დროს მეტი მჟავბადი იწვის, ამიტომაც მეტ სითბოს აჩენ.

— იცი, რა მოგახსენოთ! ჩემი რჯულის მადლმა, ყველაფერი ღვთით არი...

— მერე ვინ ამბობს, დანიელ, რომ ღვთით არ არის? მაშ ეს მსჯელობა, ჭკუა-გონება, მეტყველება განა ღვთით არ არის? ყოველივე ეს ღმერთმა მოგვანიჭა სწავლა-მეცნიერებისათვის, განვითარებისათვის. „იყავით მეცნიერ, ვით მამათქვენი ზეცისაო". ღმერთს რომ ადამიანებისთვის აზროვნების, კვლევა-ძიების უნარი არ მიეცა, აქამომდე პირუტყვის მდგომარეობაში იქნებოდა. ადამიანის გონება ერთ წერტილზე ვერ ჩერდება, ვერა და ვერა, მარადჟამს კვლევა-ძიებაშია, სწავლაშია, მოუსვენრობაშია. აგერ ახლა კიდევ ლამობს ჰაერშიაც ისე იმოგზაუროს, როგორც წყალზე და ხმელეთზე. ისე უნდა ჰაერშიაც ინავარდოს, როგორც ფრინველმა... შენ ერთი, ე მაგ ქურთს დაუთათრულე, ჯერ მთის წვერზე აგვიყვანოს და წყაროზე კი მერეც ჩავალთ! თუმცა ღრუბლიანი დილა დაგვიდგა, მაგრამ ნათქვამია, ცდა ბედის მენახევრეაო... იქნება მზის ამოსვლას ველარ შევესწროთ, აგერ მეშვიდე საათია, მაგრამ...

— ღმერთმანი, ბატონო, დაიღლები, ეს ქურთი მოგახსენებთ, ამას ზევით ცხენის გზა აღარც კი არისო და აბა, იმ სიმაღლეზე, კლდეებზე როგორ უნდა ავფოფხდეთ?

— ავფოფხდეთ კი არა, დანიელ, ჯიხვივით ავირბენთ! მართლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ძნელია ცხენით სიარული... დეე, ქურთი აქ დარჩეს, ცხენი აძოვოს და მე და შენ კი... შენ მე მომყე, დანიელ. ჰოდა, აი ასე... აბა ცოტაც ამ კლდეს ავსცდეთ და იქით კი მგლის ნავალია, რას ამბობ, დანიელ, მზე იქით იყოს, ამ 8000 ფუტის სიმაღლიდან მთელ ქვეყანას ოთხსავ კუთხით რომ გადავხედავ, მთელ სიცოცხლედ ღირს. აბა, ჰო... ნუ გეშინია...

— რჯულის მადლმა, არ მეშინია, მაგრამ...

— ახლა რაღა, ავედით კიდეც. შე კაი კაცო, ამ ტახტს ხედავ, თითქოს განგებ ჩვენთვის მოუვაკებიათო. იცი, კუდიანობის ღამეს ფერხულს აქ ჩააბამენ ხოლმე... ჰა, დანიელ, შენ რას იტყვი? შენ ხომ გწამს არაწმიდა სული?

— დამაცათ ერთი, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ე... სული მოვიბრუნო!

— გავიხედოთ, დანიელ, ვიშ, რა მშვენიერი გადასახედია! აგერ აქეთ, დასავლეთისკენ შავი ზღვა ღელავს, ტრაპიზონია, ჩვენ წინ აჭარა-ლაზისტანია, აგერ სამხრეთისაკენ — ბაიბურთი, არზრუმია, ჩრდილოეთისკენ ხედავ ბუმბერაზი კავკასიონის მთაგრეხილს, მდევივით რომ ორ ზღვას შუაა. აი, რა ახლოს ჩანს თქვენი ნოეს არარატიც... იცი, დანიელ, ამ ჩამოთვლილ საზღვრებში ოდესღაც სრული ძლიერებით ყვაოდა ჩემი სამშობლო ქვეყანა, საქართველო...

— რჯულის მადლმა, არარატი ჩვენია, ბატონო!

— ფეშქეშ, დანიელ, შენთვის მითავაზებია! არადა, არარატს რა თავმომწონედ ყელი მოუღერებია. მოიცა, დანიელ, ერთი დურბინდით გავსინჯოთ. ვიშ, რა მშვენიერებაა! ხედავ, დანიელ, როგორი ბუმბერაზი დარაჯობს რუსეთის, სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებს!

— ჩემი რჯულის მადლმა ე... ნოე მანდ გადარჩა წარღვნას. მეც მათხოვე ერთი ეგ დურბინდი.

— მოიცა, დანიელ, გინდა ნოეს კიდობანსაც დაგანახვებ... მაგრამ არა, ცოდვა ხარ. აჰა, ახლა შენ გაიხედე... ხედავ, დანიელ?

— ვხედავ, რჯულის მადლმა, კარგად ვხედავ...

— ჰოდა, დანიელ, ეგ უშველებელი ორივე მთა, დიდი და პატარა არარატი, ვულკანის ნამუშევარია. ოდესღაც, ვინ იცის, რამდენი ათასი საუკუნის წინათ, მიწის გულიდან ამოუხეთქავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლს, უგრიალია დაგუბებულ გაზს და ორთქლს ამოუსროლია აუარებელი გავარვარებული ლავა და ვინ იცის, იქნება ყოველწლივაც ამოქუხდა, თუმცა კი გამოკვლეულია, რომ არც ერთი ეხლანდელი ვულკანი წესიერად ყოველწლივ არ მუშაობს. ვულკანები დედამიწის სასულეები არიან, როცა ბოღმა მოადგება, სული შეეხუთება, მაშინ ამოისლოკინებს, ამოიქშინავს.

— კაი, ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს.

— ჰოდა, დანიელ, აბა იანგარიშე, რამდენი საუკუნე დასჭირდებოდა არარატის მთის ოდენა რომ აშენებულიყო, ერთი რიგი რომ ამოხეთქავდა, გაციების შემდეგ ადუღებული ლაფი ახლიდან ესხმებოდა... ზოგჯერ ლავის გაციებას სჭირდებოდა ასი წელიწადი. მეცნიერმა ჰუმბოლდტმა, ამერიკაში მოგზაურობის დროს, 70 წლის ამოხეთქილ ლავაზე პაპიროსი მოუკიდა.

— მოგეხსენებათ, ბატონო, რომ ქვეყნის შექმნიდან მოსეს დებულებით 5670 წელი ითვლება.

— არა, ჩემო დანიელ, ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო. ე მაგრე მცირე ხანში 16916 ფუტის სიმაღლის მთა ვერ აშენდებოდა. გაციებით, კი, ჩანს, დიდი ხნის გაციებულია, რადგან დღეს აგერ ძირს, კალთებზე ბამბა და ბრინჯი მოჰყავთ, ყოველნაირი ხილის მშვენიერი ბაღებია გადაჭიმული და ვენახებიც ბლომადაა. ამათ ზევით ატეხილია ფოთლიანი ტყე, მეტადრე ბევრია არყი, რომელიც თავისი თეთრი ტანით ამშვენებს მიდამოს; ტყის ზემოთ ბუჩქნარი იწყება და უფრო ზემოთ ხშირი, ალპური ბალახეულობა ასდევს, ვიდრე თოვლის ქობა დაიწყებოდეს.

— რჯულის მადლმა, სასარგებლო მთა ყოფილა. მაგ საბალახო ადგილებში რამდენ საქონელს დაასუქებენ... ჰაი გიდი, ჰა!

— აგერ, როგორც ხედავ, ორივე მთის წვერი შაქრის თავებს რომ ჰგვანან, უშველებელი უღლით არიან დაკავშირებულნი. ეგ იმას ამტკიცებს, რომ ორგან წარმოებდა მუშაობა, ორგან არის ამოხეთქილი. მართლაცდა პატარა არარატი 4000 ფუტით დაბალია თავის უფროს ძმაზე.

— ბატონო, წარღვნა როცა იყო, ხომ სულ მთლად დაფარა მთელი ქვეყანა? ალბათ არარატიც მაშინ ჩააქრო წყალმა და გააცია კიდეც.

— შენ, ჩემო დანიელ, როგორც ვხედავ, ვერ წარმოგიდგენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულკანის ძალა. აი, მე შენ რა გითხრა: მაგ მთის ჩრდილოეთით უშველებელი ნაპრალია კლდისა, რომელიც ვულკანს გაუხეთქავს. საშინელი ღრმა ღელეა. იმ ადგილს სომხები წმ. იაკობის ღელეს უძახიან. ჰოდა, 1840 წელს იძრა მანდ დედამიწა, ამოხეთქა გახურებულმა ლავამ, ცეცხლის ტალახმა და თვით მონასტერი წმ. იაკობისა და მის ახლო მდებარე სოფელი არხური სულ მთლად წალეკა და გახურებულმა ლაფმა დამარხა.

— ეგ, ბატონო, რისხვაა ღვთისა და სხვა არაფერი.

— მოიცა, დანიელ, მომეცი ეგ დურბინდი, ახლა უფრო მშვენივრად ჩანს მზეზე... გამოცდილი კაცები ამბობენ, რომ არარატი 200 ვერსის სიშორიდან ჩანსო, ამას იმით ხსნიან, რომ არარატი განმარტოებული, ყელმოღერებული ობლად დგას თოვლის სარუხიანი ქუდით. თანაც ჰაერის სიმჭვირვალე და ლაჟვარდი, მოწმენდილი ცა თვალს უადვილებს ამ ბუმბერაზის დანახვას, თოვლის ქობაც თურმე იმიტომ იწყება მაღლა, რომ იქ თოვლი ნაკლებ მოდის და მზის სხივები კი ყოველი მხრიდან უდგება, ირგვლივ ძალზე აცხუნებენ.

— რჯულის მადლმა, ნოეს კიდობანი მაგ თოვლში თუა გაყინული!

— იცი, დანიელ, არარატს სომხები მასისს ეძახიან და ძლიერ წმიდა ადგილადაც მიაჩნიათ. ჰოდა, სომხური გადმოცემა სუფევს, რომ წმ. იაკობმა ლოცვისა და მარხულობის შემდეგ რამდენჯერმე სცადა მასისზე ასვლა, უნდოდა ენახა ნოეს კიდობანი, მაგრამ მთის შუა წელამდე ვერც კი უწევდა ხოლმეო. ერთხელაც ღმერთმა უსმინა ვედრება, გამოეცხადა ანგელოზი და კიდობანის ფიცრის პატარა ნატეხი გადასცა: „აი, ეს იყოს შენი ნუგეშიო, ხოლო მთის მწვერვალზე ამოსვლას და კიდობნის ნახვას ადამიანის ძე ვერ ეღირსებაო“...

— რჯულის მადლმა ე, ეგ მართალია, როგორ შეიძლება ადამიანის ფეხი მაგ წმიდა ადგილას მოხვდეს და ნოეს კიდობანს ხელი შეახოს!

— ეგ, ჩემო დანიელ, რაც უწინ შეუძლებელი იყო, ახლა მეცნიერებისათვის ადვილი გახდა. უწინ ვიდრე მთის წვერს უწევდი, ყოველი კლდიდან თითო ეშმაკი მოგელანდებოდა. ახლა კი, მაგ ზღაპრებით ვეღარავის მოაღორებ. და თუ ძლიერ გააჯავრებ, ახლა

ავლენ კი არა, აფრინდებიან. ჰოდა, ყველაზე პირველად 1829 წელს არარატზე აკადემიკოსი პარროტი ავიდა ფეოდოროვის თანხლებით. მას შემდეგ მეცნიერნი უფრო წახალისდნენ. 1835 წელს არარატზე იყო სპასკი-ავტონომოვი, 1845 წელს აკადემიკოსი აბიხი, 1850 წელს გენერალი ხოდზკო და ხანიკოვი, ხოლო უკანასკნელად 1854 წელს სწავლული მორიცი ავიდა. მეტადრე ბოლო დროს ამ საქმეს მეცნიერმა ზედ მწვერვალზე ბევრნაირი ფიზიკური იარაღი დატოვეს, მაგალითად, სიცივის საზომი, სპირტის თერმომეტრები და სხვა.

— ე, ბატონო, და კიდობანი კი ვერ ნახეს...

— რას ამბობ, დანიელ, განა კიდობანის დარდი ჰქონდათ, ეგენი მეცნიერული მიზნით ადიოდნენ. ვაი, რომ დრო არა მაქვს, თორემ მე წაგიკითხავდი, როგორ აღწერს გენერალი ხოდზკო არარატზე ასვლას. ახლა კი ჩავიდეთ, დანიელ, ჩვენს ქურთს მივხედოთ, თორემ გაგვეპარება. ხურჯინი არ დამიკარგოს, მე უფრო ის მაწუხებს, წიგნებია შიგ, ქაღალდები, რუკა...

— არა, ბატონო, მაგას როგორ იზამს. თუმცა ურჯულოა, მაგრამ პატიოსანი ხალხია.

— აბა, ჩემო დანიელ, თითქოს ნაკითხი კაცი ხარ და შენც კი ცდები. ქურთები ურჯულონი არ არიან. მაშასადამე, იმავე ჭეშმარიტ ღმერთს სცემენ თაყვანს, რომელსაც თქვენ, ისრაელები და ჩვენც, ქრისტიანები. მეტადრე თქვენთან, ებრაელებთან, ახლოს დგანან რჯულით, რადგან თქვენ აღიარებთ მხოლოდ ეღოვას და მაგათაც სწამთ მხოლოდ იგივე ერთი ღმერთი, ჩვენ კი სამებას ვაღიარებთ.

— არა, რჯულის მადლმა, მაგრე არ არის.

— ადე, წავიდეთ! არა კი არა, მაგრეა, ღორის ხორცს არც ეგენი ჭამენ და ბევრი რამ საერთო კიდევ გაქვთ. აბა, ჰო! ადე წავიდეთ. შე კაი კაცო, აქამდე ამოსვლა არ გინდოდა და ახლა ჩასვლა?!

— რჯულის მადლმა, მე იმის ჯავრი ჩამყვა, ი კიდობნის ამბავი რომ არ მიამბე.

— რომელი კიდობნისა? თქვენ ორი კიდობანი გქონდათ: ერთი იყო კიდობანი აღთქმისა, რომელშიაც ათ მცნებას, ქვის ფიცარზე დაწერილს ინახავდით და მეორეც იყო ნოეს კიდობანი. ის აღთქმის კიდობანი და რაც მასში ინახებოდა, დიდი ხანია დაიკარგა. უკანასკნელად რომაელებმა იერუსალიმის ტაძარი რომ დაანგრიეს

და დაწვეს. ეს კიდობანი წმიდათა-წმიდაში იდგა და მაშინ დაიღუ-
პა. თქვენი ბედიც, ჩემო დანიელ, მაშინ იმ ქვებთან ერთად დაი-
მარხა.

— არა, რჯულის მადლმა, ღვთის მოცემული ათი მცნება რო-
გორ დაიკარგებოდა?

— მცნება არ დაღუპულა, ქრისტიანობამაც მთლად მიიღო, მაგ-
რამ ის ათი ფიცარი ქვისა, მოსემ რომ სინაის მთიდან ჩამოიტანა,
ის ქვები კი, რაზედაც ეწერა, აღარსად ჩანს, მოისპო. გავწიოთ,
დანიელ, წავიდეთ და გზადაგზა გიამბობ. ჰოდა, ასეა საქმის ვითა-
რება. ეხლანდელმა მეცნიერებამ, ჩემო ბატონო, ყველაფერს პირს
ბადე ახადა. იძიეს, იკვლიეს და იცი რა აღმოჩნდა? ისა, რომ
წარღვნის ლეგენდა ანუ ზღაპარი ყველა ხალხში აღმოაჩინეს.

1872 წელს ასურეთის კარგად მცოდნე მეცნიერი ჯორჯ სმიტი
ქალაქ ნინევიის ნანგრევს ოხრიდა და სხვათა შორის აღმოჩნდა
დიდებული წიგნთსაცავი ასურბანიპალისა (მეფე იყო). აქ, ამ თი-
ხის კრამიტებზე (სამი წყება) დაწერილია ქვეყნის წარღვნის ამბა-
ვიც. ეს ქალდაველთა მოთხრობა თითქმის ისევე აგვიწერს წარღვ-
ნის ამბავს, როგორადაც თქვენი ბიბლია. წყალთა ღმერთმა ნუამ
უბრძანა ხაზიზადრას, აეშენებინა კიდობანი სიგრძით 600 წყრთა
და სხვ.

— ეჰა, ბატონო, ნოეს კიდობანი 300 წყრთა იყო.

— დამაცა, დანიელ, ეგ სულ ერთია. ჰოდა, იმ კრამიტებზე ისიც
კი გამოანგარიშებულია, რამდენი ხნის სარჩო შეიტანეს კიდო-
ბანში და სხვა. ინდოელები ასევე მოგვითხრობენ, ხოლო ღმერთმა
კი არა, თევზმა უბრძანა მანუას. სპარსელებს და ჩინელებსაც თა-
ვისებური ნოე ჰყავთ. უწინდელ საბერძნეთშიაც რამდენიმე გარდ-
მოცემა სუფევდა. დევკალიონი და პირი თესალიაში გადარჩნენ
წარღვნასაო, ხოლო ბოეთიაში ნოეს მაგივრად ოგიგეს ასახელე-
ბენ. საკვირველია, რომ ეგვიპტეში არაფერი სცოდნიათ რა ქვეყ-
ნის წარღვნისა. ესენი ბევრსაც დასცინოდნენ ბერძნებს ბალღები
ხართო, რაღაც ზღაპარი მოგიჭორავთო. ამერიკაში, სახელდობრ
მექსიკაში, იმგვარივე გადმოცემას პოულობენ, როგორც მოსეს
ბიბლიაშია, ხოლო მექსიკელების ნოეს „კოკს-კოკსი“ ჰქვია. 1609
წ. ერთმა ჰოლანდიელმა პეტრე იანსენმა, ქალაქ გოორნეში ააშენა
ხომალდი სწორედ იმ კიდობნის ზომისა და იმ მოყვანილობა-

ფორმისა, როგორც დაბადებაშია აღწერილი. აღმოჩნდა, რომ მართლაც ამგვარი მოყვანილობის გემი უფრო მეტს იტევს ხალხსაც და საქონელსაც. ესეც გეყოფა, დანიელ, ხოლო რა სწერია დაბადებაში, ეგ ხომ უჩემოდაც კარგად იცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რჯულის მადლმა, რო ვიცი. მე მინდოდა გამეგო მხოლოდ თქვენი მეცნიერების აზრი.

— აკი გითხარ და, თუ გინდა იმასაც დავუმატებ, რომ მეცნიერების აზრით ეგ ლეგენდა მშვენიერი ამბავია პოეზიისთვის და ზნეობრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც უეჭველად აქვს ისე, როგორც მთლად დაბადებას, ბიბლიას, მაგრამ ცხოვრებაში ძნელი ასასრულებელი და შეუძლებელია.

— რატომ ბატონო?

— ჰოდა, როცა მოცლით იყო, დაჯექ, დანიელ, და იანგარიშე რამდენი თივა და ბზე, რამდენი აზრუმული ლავაში, რამდენი ხაბაზი და მზარეული, რამდენი მომვლელი კაცი დასჭირდებოდა მხეცებს. და ნურც იმას დაივიწყებ, რომ ხორციჭამია მხეცებს თივა-ბზით ვერ დააჩუმებდა ნოე. ყველას თავი დავანებოთ, მარტო იმ წყვილ ლომს და ვეფხვს დღეში ორი ცხვარი მაინც მოუნდებოდა.

— ხედავ, დანიელ, ჩვენი ქურთი ვიღაცას ებაასება.

— ასე მოგახსენებენ, ხალხი შეკრებილა და სადილად გიცდიანო. რა ხანია თვალი აქეთ უჭირავთ.

— მართალია, დანიელ, მაგ ბიჭს ბოზბაშ-ყაურმის სუნიც თან მოუტანია. წავიდეთ, სირცხვილია, ნუღა ვაცდევინებთ.

III

ჩვენს მასპინძელს ქურთს, ასლან-ალა-ედიგარ-ოღლის, სადარბაზოდ მოერთო თავისი ქოხი-ბინა, შავი ნაბდით წამოჩარდახებული. წითლებში მორთული გოგო-ბიჭები კარვების გარშემო მხიარულად დახტოდნენ, დარბოდნენ, თამაშობდნენ, კუნტრუშობდნენ. მათი ჟივილ-ხივილი მთის უმწიკვლო ჰაერში ზარივით წკრიალებდა. დაგვინახეს თუ არა, ჩვენსკენ გამოიქცნენ, ჩილიკაჯოხებით

შეიარაღებულნი. ამათ ფეხის ხმას აჰყვნენ, აედევნენ ქოფაკი ძაღლებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამასახლისი (მასპინძელი) გაუჯავრდა ძაღლებს და ცნობისმოყვარე ბავშვებსაც დარიგება მისცა, პირმოცინარი მოგვეგება და სალამი გვითხრა, რამდენადაც ოსმალური ზრდილობა-ეთიკეტი მოითხოვდა, მეც ჩემი მხრივ, სალამ-ქალამი არ დავაკელი.

ქალი და რძალი წითელ კაბებში საპარასკეოდ (მუსულმანთა კვირაა) იყვნენ მორთულნი: ვერცხლის ქამრები, ხოლო თავმკერდი ვერცხლის ფულით და ღვრინჭილებით აჭრელებული... ამათი სადილობა გადასულიც იყო, ყველაფერი, ეტყობა მზად ჰქონდათ და წამსვე სუფრის თადარიგს შეუდგნენ. ხალ-მუთაქაზე რომ დამაბრძანეს, მოხუცმა დიასახლისმა დარბაისლურად მომიკითხა: „ხოშ-გიალდიზ, საფა-გიალდიზ"-ო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქურთის დედაკაცი სრული თავისუფალია. ქურთის ქალმა პირბადე და ჩადრები რას ჰქვია, სრულიადაც არ იცის. ქალის ამისთანა თავისუფლება აზიაში არც ერთ ხალხს ადათად არა აქვს. მამაკაცს, გინდ ნათესავს და გინდ უცხოს, თავისუფლად, პირმოცინარედ ებაასება. ქურთების ბანოვანს ხშირად მარტოოდენ ბიჭები ემსახურებიან. ქალწულს ათხოვებენ 10-12 წლისას, საქმროს მოაქვს ქალის სამზითვოდ სასყიდელი. მრავალცოლიანობას უფრო წარჩინებული და შეძლებული ქურთები თუ მისდევენ, ხოლო ქურთებ-გურანებში ამ ადათით სარგებლობა უხერხულად მიაჩნდათ. მეტად იშვიათია, რომ ამათში მამაკაცი დედაკაცს უზრდელად, უდიერად მოექცეს.

ქალთა ტანსაცმელია: გულამოჭრილი მოკლე კაბა, ისე, რომ კოჭებთან შეკრული ფარჩის შარვალი უნდა უჩანდეს. თავზე ჩიხტასავით რაღაცას იხურავენ. ნაკერი მოკლე ლეჩაქის ქვეშიდან მხოლოდ მოჩანს ჩიხტაზე შემოვლებული ვერცხლის ან ოქროს ფულები და, თუ მდიდარია, მარგალიტის ასხმულძაფიც უვლია. კავების მაგიერ მარგალიტის შულოები აქვთ ჩიხტიდან წამოსული და ყურზე გადადებული, პატარა თავშალს არ იშორებენ. ტანზე აცვიათ კაბის ქვეშ ახალუხი და თუ მდიდარია, მოკლე ქათიბა ანუ ჯუბა კაბის ზემოდან. შეძლებისდაგვარად ჯუბა-ქათიბა ან მაუდისაა ანუ ფერადი ხავერდისა ოქრომკედით ნაკერი. ფეხსაცმელებია ბაჩუჩი და მესტფლოსტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანსაცმელი ვაჟკაცისა არის: გრძელ ხამის პერანგზე ან მოკლე ან გრძელი ჩითის ახალუხი, თეთრი მიტკლის შარვალი და მოკლე ჩოხა. თავზე ფესიც რომ დავუმატოთ, ძლიერ წააგავს ამათი ჩაცმულობა ალბანელთა ჩაცმულობას.

სულ სხვაა, თუ ქურთი შეძლებულია: ქულაჯა ბეწვით მორთული, მაუდის შარვალი, წუღები, მაუდის ან შალის მოკლე ჩოხა და თავზე წითელი ფესი ანუ ბუხრის ქუდი. ფრჩხილებს და თითებს ქალიც იღებავს და ვაჟიც, უფრო კი საქორწილოდ და საბედნიეროდ. ვაჟკაცთ არ მოსწონთ თავზე გრძელი თმა. თუ არ მოხუცი, ახალგაზრდა წვერსაც არ იყენებს, ულვაშს კი თავმომწონედ იგრეხს, უვლის.

თავიდათავი, სასახელო საქმე ქურთი ვაჟკაცისათვის თოფ-იარაღი და ცხენია. ხანჯალი განუშორებლივ არტყიათ, ლოგინშიაც კი თავქვეშ უდევთ. მოკაკულ ხმალს, დამბაჩას, უფრო მხედრები ატარებენ. ამათსავე კუთვნილებას შეადგენს გრძელი, ექვსადლიანი შუბი, თავზე წვეტიანი რკინით, წითელი ფოჩით მორთული. ზოგჯერაც საჯირითოდ აქვე უნაგირზე აბგით უკიდიათ ჯოხები და თუ საომრად მიდის, ხელით სასროლი ბასრი ისრებიც.

გაშალეს ჭრელი სუფრა. ამ დროს ქურთების მოლაც მოგვემატა თავისი თეთრი სარუხით[1].

— ებრაელო!

— ბრძანე, ბატონო!

— შენ ერთი, დანიელ, ეგ მოლა გვერდზე მოისვი. მაგასთან ბევრი რამ მაქვს სალაპარაკო.

მოლამ დარბაისლურად, ბატონკაცურად მოიკეცა სუფრაზე და ხელი ჩემკენ გამოიშვირა:

— ეი, სიზ აღა? ნეჯა-სიზ? ხოშ-გიალდიზ, გიეზ-უსტა, გიალდიზს, მომიკითხა და მეც სამაგიერო გადავუხადე.

---

[1] სარუხი — მაჰმადიანთა თავსაბურავია (უფრო მოხუცნი იხურავენ), ხოლო მოლები და საზოგადოდ სასულიერო წოდება თავზე თეთრ სარუხებს იხურავენ. ეს არის მათი განსხვავებითი ნიშანი. ვინც მექაში ყოფილა, ჰაჯის ეძახიან და ამათ სარუხიც განსაკუთრებული ეკუთვნით და სარტყელსაც შალისას ატარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვართვეს სადილი: ყველი, კარაქი, ერბოკვერცხი, ბალიტი, მწვანილი და შემდეგ ქათმის ჩიხირთმა, ბატკნის იაღნი, ყაურმა და ფლავი. სუფრის ბოლოში კი უფრო ბოზბაში იხარჯებოდა. სადილი მთლად ერბოსა და ქონში ცურაობდა. მერე მოიტანეს ტკბილი ბიშები ერბოში მოხარშული და სხვა.

— დანიელ, აბა შენ ჩემო გაჭირვების ტალკვესო, შინაურულად მოახერხე, რომ სადილის შემდეგ შემეძლოს ჩაის დალევა, თორემ ამოდენა სიმსუქნე რა გულმა უნდა აიტანოს, აგერ ერბო ყელში მიჭიყჭიყებს.

— იცი, ბატონო, მე მოლას ვუჩურჩულებ.

— რა მოლა გინდა, შე კაი კაცო, ემაგ ჭრელთვალას უჩუმრად უთხარ: „ყიზი, ერთი გაისარჯე, თუნგით წყალი მიდგი-თქო“.

— კი, ბატონო, ეგ ყველაფერი იქნება, მოლა მოახერხებს.

— დანიელ, ხედავ ემაგ ლამაზ ყიზის რამდენი ლოკოკინები დაცვევიან თავსადებზე და გულ-მკერდზე?

— ეგ, ბატონო, ლოკოკინა კი არა ღვრინჭილები უკერიათ.

— მართალი ხარ, დანიელ, მაგრამ ღვრინჭილა ჩვენი ბაღბოსტნის ლოკოკინას მონათესავე ცხოველია. მხოლოდ ზღვაში კი ცხოვრობს. შენ ერთი ემაგ მოლას ჰკითხე, დანიელ, უფრო სილამაზისთვის სამკაულად იკეთებენ თუ სხვა რამ მნიშვნელობაც აქვს?

— ეგ, ბატონო, რა უნდა ვკითხო. ავის თვალისა ეშინიათ და იმიტომ იკერავენ ავგაროზისათვის. მაგრამ ღვრინჭილა ცხოველი როგორ იქნება?!

— მოიცა, დანიელ, აი ახლა გაიგებ, რომ ღვრინჭილა მართლაც ცხოველია. ავი თვალისა კი რა მოგახსენო და ის კი ვიცი, რომ მაგ ღვრინჭილებს დღესაც ფულის ადგილას ხმარობენ, მეტადრე უწინ, ვიდრე ფულს გამოიგონებდნენ, ღვრინჭილა დიდ ხმარებაში იყო აფრიკაში. მაგალითად, სუდანში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკის ნაპირებზე. აქ დღესაც მთავარი სავაჭრო და საწყობი ადგილი ღვრინჭილასი — ქალაქი ზანზიბარია.

— ღვრინჭილას, ბატონო, მეც ვყიდდი არზრუმში და ახალციხეშიაც, ჩვენებიც ხმარობენ, ბავშვის აკვანს უკეთებენ, ფუფალაზე უკერებენ, თვალი არავინ ჰკრას ბავშვსო. მე გამიყიდია წყვილი ექვს გროშად, ხან შაურადაც, ნეტა იქ კი როგორღა ფასობს, ბატონო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, დანიელ, მაგასაც გეტყვი. შენ ერთი ჩაი არ დაგავიწყდეს, „ღვრინჭილას“ მეცნიერულად ეწოდება „კიპრეა-მონეტა“.

ჰოდა, მანეთი ხომ ფულია, ეს ლოკოკინები ინდოეთის ოკეანეში ცხოვრობენ. ცეილონის კუნძულის სამხრეთით 17 ჯგუფია მარჯნის კუნძულებისა, რომელთაც მალედივთა კუნძულებს ეძახიან. ამ არხიპელაგზე ცხოვრობს 30 000 სული მალედიველი მაჰმადის რჯულისა. ეს ამოდენა ხალხი, ინდუსები, მხოლოდ ამ ხელობას ადგანან. აუარებელი ღვრინჭილა ამოაქვთ ზღვიდან და აქედან გზავნიან ცეილონს, მალაბარს და მასკატს. ამბობენ, ღვრინჭილებს თვეში ორჯერ ჰკრეფენო: ერთი ახალი მთვარის სამი დღის წინათ და ერთიც სავსე მთვარის სამი დღის შემდეგაო. აგერ, დანიელ, თუნგით ადუღებული წყალი მოაქვს მოლას და ახლა შენ იცი... ჰოდა, ზემოხსენებულ კუნძულებს თავიანთი სულთანი ჰყავთ, კუნძულთა ხელმწიფე, ხოლო ხარჯს ინგლისელებსაც აძლევენ, ყველა ხარჯს ღვრინჭილათი ისტუმრებენ.

— ჰაი, დიდება შენდა, ღმერთო. მანდ, ბატონო, რაღა უნდათ ინგლისელებს?

— ეჰ, შენ, ჩემო დანიელ, ინგლისელები სად არ არიან! სადაც ზღვა და კუნძულია, იცოდე, იქ ინგლისის ხომალდიცა დგას, ინგლისის დროშა-ბაირაღი ფრიალებს. ეგ რად გინდა, დანიელ, ავიღოთ თუნდ ცეილონის კუნძული. მოსეს რომ სცოდნოდა ეს უმშვენიერესი წალკოტი, მაშინ როდიღა დაწერდა, რომ სამოთხე მდინარე ტიგროსისა და ეფრატის შუა იმყოფებოდაო. იქ კი არა, დანიელ, ნამდვილი ედემი და ადამ-ევას სამოთხე სწორედ რომ ცეილონია. ცეილონის კეკლუცი ბუნების სიმშვენიერე, სიმდიდრე და სიუხვე ვერა კალმით ვერ აიწერება და ვერც დაიხატება. ჰაერი, ჰავაც, მეტადრე მთის კალთებზე ისეთია, რომ ამისთანა საღი და კეთილშეზავებული მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ადამიანი აქ ზამთარ-ზაფხულ ტანშიშველა, დედიშობილა დაიარება. ხილი ხომ თავზე საყრელია, პურიც კი ხეებს ასხია. არის იმისთანა ჯიშის პურის ხე, რომ თითო მისი ნაყოფი 25-30 გირვანქას იწონის.

— ჩემი რჯულის მადლმა, მოსე ტყუილს არ დაწერდა, ბატონო, აი ჩაიც მოგართვეს, „კრიპუსკით“ მიირთმევთ თუ დაშაქრულს?

— შესთავაზე მოლასაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამათზე, ბატონო, ნურას წუხართ. გვიამბეთ, გვიამბეთ.

— ჰოდა, რაღა გიამბო... როგორც გითხარ, ადგილობრივ და მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთში, სიამში და სხვაგან ღვრინჭილა დღესაც ფულის მაგივრად იხმარება, იქ სიმდიდრე ღვრინჭილას რაოდენობით განისაზღვრება. მაგალითად, იმ კუნძულთა ხელმწიფეს წელიწადში 30 მილიონი ღვრინჭილა შემოსავალი აქვს, ხოლო ღვრინჭილათი დატვირთულ გემებს უმთავრესად აფრიკისაკენ ისტუმრებენ მონების საყიდლად. აფრიკის ნავსადგურიდან ღვრინჭილათი სავსე ტომრებს მცირეოდენს ევროპისკენ გზავნიან და აუარებელი ღვრინჭილა კი აქლემთა ქარავნებით აფრიკის შუაგულს შეაქვთ ველურ ხალხში და აქ მონებზე ცვლიან. იქაური დიდკაცობა ანუ თავადობა ღვრინჭილათი მორთავს ხოლმე დარბაზში შესასვლელ კარებს, სავარძელს, ცხენის იარაღს და სხვა ავეჯეულობას, აგრეთვე იკერებენ ქალები ტანისამოსზე, გულმკერდზე და სხვა. 40 ღვრინჭილა ერთი ასხმულაა, 50 ასხმულას თავი ქვია, ხოლო ათი თავი ერთი ტომარაა. ზოგან თითო ასხმულაში ასი ღვრინჭილა იციან, შვიდასი ათასი ღვრინჭილა 990 მარკად ღირს.

— ე... და, ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს, ბატონო, ისევ ჩვენებურად იანგარიშე!

— ჰოდა, დანიელ, ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ ათასი ღვრინჭილა, თოთხმეტი შაური მოდის. დასავლეთ აფრიკაში ღვრინჭილებს ცვლიან ოქროიან ქვიშაში, სპილოს ძვალში, ლერწმის ღვინოში და სხვა. ერთ დროში, აფრიკის მონებით ვაჭრობას მთლად ღვრინჭილათი აწარმოებდნენ. 500 ან 600 მონას ყიდულობდნენ თორმეტი ათასი გირვანქა ღვრინჭილათი. მე-18 საუკუნეში ღვრინჭილას ფასმა იმდენად დაიწია, რომ თითო ზანგი-მონა ერთიორად ფასობდა.

— ახლა, ბატონო, მაგდენი მონა საიდან არი აფრიკაში? ან რად უნდათ რომ ყიდულობენ?

— მაგას რა გამოცნობა უნდა! მთელი აფრიკის შუაგული პატარ-პატარა სამთავროებად არის დაყოფილი. ერთმანეთში განუწყვეტელი ომი და შფოთი აქვთ, ყოველწლივ ომობენ, ათასობით ტყვე მოჰყავთ და მონებად ჰყიდიან. ხოლო ევროპელები მონებს იმიტომ ყიდულობენ, რომ პლანტაციებში ამუშავებენ როგორც

ცხენს, ხარს და სხვა. რა ვქნა, შენ რატომ ემაგრე ხამად ლაპარაკობ, დანიელ, შენს დროულ კაცს უნდა კარგად ახსოვდეს საქართველოში ბატონყმობა!

— ბატონყმობა როგორ არ მახსოვს. ქუთაისში, ქართლ-კახეთში რამდენჯერ მივაჭრია თავადებთან ახალციხური ნაჭედი ვერცხლის ნივთებით, „აჟურნის“ რომ მოგახსენებენ, მაგრამ თქვენ მონებს ბრძანებთ.

— მერე რაო, ყმა იგივე მონა არ იყო?

— მართალია, ბატონო, მაგრამ ჩვენში ყმობა არ ვიცოდით.

— აი, მაგაში კი მართალი ხარ, დანიელ, აქეთა მხარე, ე. ი. ახალციხე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სამცხე-საათაბაგო ოსმალებს რომ ჩაუვარდათ ხელში (1655 წ.) ბატონყმობაც თავისთავად მოისპო, რადგან ოსმალეთში ბატონყმობა არ არსებულა მის დღეში. მონები კი უწინ ყველა სახელმწიფოში ჰყოლიათ, მაგალითად ინდოეთში, ჩინეთში, ასურეთ-ბაბილონში, ისრაილსტანში, სპარსეთსა და ოსმალეთში, ძველ საბერძნეთში, რომის იმპერიაში, რუსეთში, საქართველოში და სხვაგან. ერთხელ მეფე გიორგიმ, თამარის მამამ, მაგ არარატის კალთები მიარბია-მოარბია, — „აღიღო ქალაქი ბრძოლითა და წარმოიღო ტყვენი და ალაფნი დიდნი, რამეთუ ტფილისს ტყვე დრამად ისყიდებოდა“ (იხილეთ ვახუშტი).

— ეგ თითო ტყვე როგორ მოდის, ბატონო? მაშ კაცი ექვს შაურად გაუყიდნიათ.

— ეგ შენ იანგარიშე, დანიელ, და მე კი ისტორიულ ფაქტებს ჩამოგითვლი. აი, რას გვიამბობს მეფის თანამედროვე მემატიანე სამოელ ანელი:

„13 ივნისს 1163 წ. გიორგიმ მეორედ აიღო ქალაქი ანი და 7000 მხედრით 1 აგვისტოს დაამარცხა შაჰ-არმენი, თუმცა ამას ჰყვანდა 30000 ჯარი. ეს ჩვენ ჩვენი თვალით ვნახეთ... მარტო ტყვე აღიწერა 23000, გარდა დახოცილისა, რომელნიც მინდვრად იყვნენ გაბნეულნი... 21 აგვისტოს 1164 წ. მეფე გიორგიმ დაიჭირა ქალაქი დოვინი, დაანგრია მუსულმანთა სალოცავი და ტყვედ წამოიყვანა 60000 კაცი“. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, თამარ მეფეს ვაჟიშვილი გიორგი რომ მიეცა, 1030 მონას მიანიჭა თავისუფლება გიორგის სადღეგრძელოდ... უწინდელი დრო სხვა იყო, დანიელ, და აკი დროის შესაფერისადაც იქცეოდნენ. ეხლა კი

აგერ იაპონელები ტყვე-რუსებს უკეთ უვლიდნენ, ვიდრე თავიანთ საკუთარ მხედრებს. დაჭრილ-დაკოდილ ტყვე სალდათებს და ლეინერლებს თავს დასტრიალებდნენ იაპონელი დოქტორ-პროფესორები. ეხლანდელი ადამიანური წესით, ვიდრე მტერი თოფ-იარაღით გებრძვის, იგი მტერია, ხოლო როცა ხელიდან იარაღი გაუვარდება, ის მტერი აღარ არის, მხოლოდ ტყვეა და მით უფრო დაჭრილ-დაკოდილ ჯარისკაცს რაღა მტრობა შეუძლია, იმას მოვლა უნდა. ტყვე ოფიცრებს იაპონელები ჯერ ხმალს ართმევდნენ, ხოლო ვინც პატიოსან სიტყვას მისცემდა, აღარ გეომებითო, იმას ხმალს ისევ უბრუნებდნენ და რუსეთისკენ ისტუმრებდნენ. აი ახლა ასეთი დრო დადგა, ჩემო დანიელ, იცი, რა მომაგონდა, წარმოიდგინე, რომ ჭიანჭველებსაც ჰყავთ მონები!

— კაია, ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ამ დროული კაცის მასხრად აგდებას ნუ იკადრებთ.

— მასხრობა კი არა, დანიელ, აი, საქმე როგორ არის: როგორც ადამიანებშია, ჭიანჭველებიც ერთი გვარისა მეორე გვარს ეომებიან. გამარჯვებულნი ანგრევენ, იკლებენ დამარცხებულთა ბინაბუდეს, ჭამენ მათ კვერცხებს, ხოლო რაც შეუჭმელი გადარჩებათ, მიეზიდებიან შინისაკენ და ბუდეში ინახავენ. როცა ამ ნადავლი კვერცხებიდან ჭიანჭველები გამოიჩეკებიან, მონად ხდებიან. ჭიანჭველა-ბატონები ამუშავებენ მონებს ყველა სამძიმო და ყველა საჭირო საქმეში. აგრეთვე მიჰყავთ მტერჭიანჭველებთან საბრძოლველად. დედალი მონა-ჭიანჭველები ახლად გამოჩეკილ ბატონიშვილებს უვლიან, ძიძად ხდებიან. რა თქმა უნდა, ესე ყოველივე ხდება მოსაზრებით კი არა, აქ ბუნებითი მიდრეკილება მოქმედებს.

— მერე, ბატონო, და რატო მოსეს არ უწერია დაბადებაში?..

— მერე, მერე, დანიელ, ეგეც ვიცი, რომ შენისთანა ფანატიკოსებს დაბადების გარეშე არაფერი სწამთ რა. მერე მონობის შესახებაც კიდევ გიამბობ და ახლა კი უზრდელობაა ამდენი ხალხის გაჩერება. ახლა შენ ერთი ემაგ მოლას წასჩურჩულე, სალამურზე ამღერონ ქურთული, მწყემსური!

— მოლა მოგახსენებთ: „აღამ საიდან იცის ჩვენი სიმღერაო?“

— ჯავახეთში ერთ დიდ წვეულებაზე მახსოვს იმღერა შევკეტ ბეგმა ფალავანდიშვილმა და ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა. აბა, დანიელ, ჰო-თქო, ამღერონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავდა სადილი და მწყემსი ქურთის მეტად შესანიშნავი ნაციონალური სიმღერაც. ამის შემდეგ გაიმართა ცეკვა ძველებური დაფა-ზურნაზე. ქალ-ვაჟთ ხელი-ხელს ჩაკიდეს, ჩააბეს ფერხული და გაჩაღდა ნაციონალური, ამათი საყვარელი ცეკვა „ჩოფი". ფეხებს ატყაპუნებენ, თან ფერხულს უვლიან (ბიჯი უკან, ორი ბიჯი წინ). ტანს არსევენ ქალები უფრო ზრდილობიანად, მოხდენილად, კეკლუცად. ვაჟკაცები კი ზოგჯერ გადაამლაშებენ ხოლმე.

დავიშალეთ.

ახლა ჩვენი ყურადღება მიიქცია ჩვენკენ მომავალმა ორმა მხედარმა, რომელნიც ჯერ თვალის მანძილზე იყვნენ დაშორებულნი.

IV

შავი ზღვის მხარეს ცაზე რაღაც ამბავია, ამბოხება, ალიაქოთი, დასავლეთისაკენ გადახრილი მზე ღრუბლებმა დაგვიჩრდილა. ატყდა საშინელი ღელვა, აურზაური, გაშფოთებული გოლიათი ღრუბლები ერთმანეთს დასდასად უტევენ, დევებივით იბრძვიან, მკერდს მკერდზე აჯახებენ, ცა და ქვეყანა ზანზარებს...

— ბატონო!

— რაო, დანიელ?

— განა არა, დღეს მზე ძალზე იკბინებოდა. ხედავთ ცის რისხვას?

— კარავში მობრძანდით, თორემ ქარიშხალი შეგაწუხებთ.

— ხედავთ, ბატონო, ელია წინასწარმეტყველს თავისი სამცხენიანი ეტლით? წინ კი ეშმაკები დაუხტიან, იღრიჯებიან, გულს უსიებენ. ბრაზმოსული ელიაც მათ ცეცხლის შოლტით დევნის, აჭენებს, ერეკება, შოლტავს, ხედავ, ხედავ? რა საშინლად გაიელვა, დაიკლაკნა. ეგ ელიამ შოლტი გაჰკრა, გაუტყლაშუნა!

— რად დაგავიწყდა, დანიელ, ცხენებით კი არა, მოხუცი ელიაც ახლა ელექტრონის ავტომობილს დააგრიალებს კაეშნის გასაქარვებლად. შენი ჭირიმე, ელექტრონი დააკლდება თუ?.. ღრუბლები იმდენადაა ელექტრონის ენერგიით გაჟღენთილი, თუგინდ ყოველ ცისმარე დღე ისრიალოს, მაინც ელექტრონის ძალას ვერ გამოლევს.

ვეშაპი შავი ღრუბლები ჩვენკენ მოეშურებიან, მზეს გვიბნელებენ. მოუხშირა ელვამ და ქუხილის ხმაც უფრო ძლიერდება, ტალახლოვდება, მსხვილად წამოწვიმა. რამდენიმე წამიც და ერთი ისეთი გაიელვა, რომ თვალმა ვეღარ გაუძლო. ის კი კარგად შევამჩნიე, როცა ელექტრონმა რამდენჯერმე ღრუბლებს გაჰკრა.

სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში სამყაროს ლაბორატორიამ ყველაფერი ზედიზედ მოაწყო და მოგვივლინა; შავი და მძიმე ღრუბლები, ელვა-ქუხილი, ქარ-გრიალი, ჯერ შხაპუნა და მერე კოკისპირული წვიმა. კორკოტელა და კანტიკუნტად სეტყვაც კი გადმოისროლა, ამასობაში ერთი საშინლად გაიელვა, დაიკლაკნა, დაიგრიალა, იჭექა, სადღაც მეხი ჩამოვარდა და... გამოიდარა კიდეც, ღრუბლები გადაიყარნენ, აღმოსავლეთისაკენ გაიფანტნენ. ყოველივე დამშვიდდა, ჩაჩუმდა. მთის ნაღარევებზე ნიაღვრის ნაკადულებიღა ჩამოჩხრიალებენ, ხმაურობენ.

დასავლეთიდან გამოჩნდა მზე, ქვეყანას შუქი-სითბო მოჰფინა და მისმა სხივებმა შორს გაინავარდეს, ჩირაღდანივით აენთნენ. მზის პირდაპირ, ნისლიან ცაზე ორ ალაგას გამოჩნდა უშველებელი რკალი, ორი მშვენიერი ცისარტყელა.

გარეცხილი, გაწმენდილი ჰაერი ჭექის მერე ოზონით გაივსო (მე რომ მკითხოთ, გოგირდის სუნიც კი დატრიალდა), არემარეს სიცოცხლე და უკვდავება მოჰფინა.

გამოდარებაზე მოგვიახლოვდნენ ის უცნობი მგზავრებიც წეღან სადილის დროს რომ შორით მოჩანდნენ. ისე იყვნენ გაწუწულნი, როგორც ლაზარე.

— სად მოგასწროთ მეხმა? — იყო ჩემი პირველი კითხვა.

— ცხენები გადავაბით და ჩვენ კი იმათ დავშორდით. ნაბადებში გავეხვიეთ და მიწაზე წავწექით.

— ხოლო პირველად რომ გაიელვა, — დაუმატა მეორემ, — დავიწყე თვლა. ოცზე მეტი დავთვალე, ვიდრე დაიქუხა. ეს იმას ამტკიცებდა, რომ ელვა ჩვენგან შორს იყო და ჩვენც უშიშრად გამოვეშურეთ, მაგრამ, როცა ელვის და ქუხილის შუა სულ 5 თუ 8 დავთვალე, მაშინ კი სასტიკად მოვთხოვე ჩემს თანამგზავრებს გაჩერება. ჩამოვხტით... ჩვენს ბედზე ღელე გვქონდა გასავლელი და იქ გავჩერდით. ასე რომ არ გვექნა, თქვენი მტერი, მეხი თავზე დაგვეცემოდა.

— ახლა? ახლა ხომ ხედავთ ამ მშვენიერ ცისარტყელებს, — მივმართე მე, — ხომ სუნთქავთ ამ უკვდავების ჰაერს. არა, ბატონებო, თუმცა თავსხმამ შეგაწუხათ, ელვა-ჭექამ შიშის ზარი დაგცათ, მაგრამ... სამაგიეროდ, ეს საუცხოო სურათი ბუნებისა მთელ სიცოცხლეში სამახსოვროდ დაგრჩებათ.

— შენ რაღას დუმხარ, დანიელ, გვითხარ, ეს ჭრელი ცისარტყელა რიღას მომასწავებელია?

— ეგ, ბატონო, თქვენც ყველამ იცით, რომ წარღვნის შემდეგ ღმერთმა ნოეს მოუვლინა: ამიერიდან აღარა დროს აღარ იქნება წარღვნაო.

ახალმოსულებში ერთი აღმოჩნდა „პოდატნოი ინსპექტორი", კახელი თავადი, მეორე — მატყლის ვაჭარი და ყველისა და ერბოს დამკვეთი — თბილისელი სოვდაგარი, და მესამე — ქუთაისელი ჩოვდარი, ჯავახელი გლეხის თანხლებით.

ჩამოვჯექით კიდეზე, ნიაღვრისაგან გამოკვეთილ ტახტზე, და მე და კახელმა თავადმა რუსული გავაბით.

— დანიელ!

— მიბრძანე, ბატონო!

— ღმერთი იყოს შენი მბრძანებელი! აი, ამ კახელ თავადს უმაღლესი სწავლა მიუღია ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც ბუნების მეტყველება შეუსწავლია, ჰოდა, სწორედ რომ ღმერთმა გამოგვიგზავნა. მე და შენც ამისთანა სწავლული კაცი გვჭირია. აი ამას ვთხოვოთ აგვიხსნას, რაც ამ საღამოს ცაში ამბავი მოხდა.

— უკაცრავად კი ვარ კნიაზთან და მოსეზე ნასწავლი ხომ არ იქნება. მე კარგად ვიცი, რომ კნიაზს სიბრძნე სოლომონისა წაკითხული არც კი ექნება...

— ერთი, თუ მოსეს რჯული გწამს, ცოტა მოიცადე, რა დროს სოლომონის სიბრძნეა.

ბუნებისმეტყველმა ბევრი აღარ გვათხოვნია. ყაბალახი გადაიხადა, პაპიროსს მოუკიდა, რამდენჯერმე გულიანად გააბოლა, ნაფაზი ამოიღო და... საუცხოო ლექტორი აღმოჩნდა.

— ბატონებო! — დაიწყო თავადმა, — მეცნიერება გვასწავლის, რომ ცისარტყელა, ეგ სულ უბრალო თვალთახედვის მოვლენაა

ატმოსფეროში და სხვა არაფერი. აი, ამ წამს შემდეგ სურათს ვხედავთ: ჩამავალი მზე ალმაცერად ჰაერში შორს სტყორცნის ცის კამარისკენ თავის ცეცხლებრ სხივებს, რომელთაც წინ ეღობებათ წვიმის წინწკლები (წვიმა ცრის). სხივები წვიმის წინწკლებში, ნამის ცვარში იმსხვრევიან, ილეწებიან და უცხოდ, საამოდ გამოკრთიან იმ ფერადებით, რა ფერადებსაც თვით დიდებული მზე შეიცავს. მაგალითად, ჩვენი თვალი ახლა მოქცეულია მზისა და ჟუჟუნა წვიმის შუა. ზურგს უკან მზე გვიდგია და წინ ცისარტყელა, ჩვენ ვხედავთ ცის კამარაზე გადაჭიმულ, ფერადებით აღვსილ ორ ცისარტყელას. ერთის ფერადები უფრო ძლიერ ბრწყინავს, მეორისა კი — მკრთალად მოჩანს. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ჯერ აი, იმ პირველ რკალს, რომლის ფერადებიც უფრო ძლიერ აშუქებს. აბა დავასახელოთ ფერადების რიგი: აგერ ჯერ წითელი, მერე ნარინჯი, ამას მოსდევს ყვითელი, მწვანე, ლურჯი და იისფერი. ერთი სიტყვით, ყველა ის ფერადები გამოკრთიან, რომლებიც მზეს აქვს და რომელიც ჩვენ შეგვისწავლია. აბა ახლა მეორე ცისარტყელა გამოვიკვლიოთ. აგერ მაგ პირველის ზემოთ რომ რკალია, ხედავთ, მაგის ფერადების რიგი, პირველთან შედარებით უკუღმა იწყება და მკრთალადაც მოჩანს. მეცნიერთა სიტყვით, ძლიერ იშვიათად, ერთსა და იმავე დროს შეიძლება სამი ცისარტყელაც გამოჩნდეს ცაზედაო, მაგრამ, ბატონებო, აბა, იქნება ვისმე გენახოთ ღამის ცისარტყელა? ვინ იყავით აგეთი ბედნიერი?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა ქუთაისელმა, რომელმაც აღტაცებით აგვიწერა მეტად დიდებული, მშვენებით აღსავსე ბუნების სურათი.

— უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, — დაიწყო ქუთაისელმა, — მე რომ მოვლენას შევსწრებივარ, რაც მე მაშინ სიამოვნება ვიგრძენ, საიქიომდე გამყვება. მაგრამ საქმე იმაშია, შეიძლება განა დაგიხატოთ იმ სურათის მეასედი მაინც? არა მგონია. შუაღამე იქნებოდა, შეიძლება გადასულიც იყო, სოფლად მივემგზავრებოდით, ჯავახეთში... მე დიდი მოტრფიალე ვარ ბუნებისა და მეტადრე ძლიერ მიყვარს სამყარო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მისი აუწერელი სურათები. მიყვარს პლანეტთა კაშკაში-ღადღადი, ვარსკვლავთა მხიარული ციმციმი, მათი შუქი და ნაზი დუმილი. შემოდგომის პირზე პირველად დათოვლილი აბულის მთა შაქრის თავივით ბრწყინავდა, ცას ებჯინებოდა, ღრუბელთა ფერხულში ჩაბმუ-

ლიყო. მართლაც და, ღრუბლებით თითქმის ვავსილი იყო ცის კამარა. მთლად ამ სურათს აშუქებდა ცის მნათობი, სავსე მთვარე. დაჭ-ბერა ქარმა, მთვარე ღრუბლებში ჩამალა, ზოგან კი ცა გადაიწ-მინდა. სწორედ ამ დროს წარმომიდგა დაუჯერებელი სურათი — ცისარტყელა შუაღამისას! მთლად მოხიბლული გავვოცდი, გავშ-ტერდი, მეშინოდა თვალის მოშორება, ცისარტყელას მშვენიერი ფერადები მთვარის შუქში კრთოდა, თან ცის კამარას ელფერს ჰფენდა. ელვარებდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რაგვარ გული მომიკლა ერთმა უზარმაზარმა ხეპრე ღრუბელმა! ალბათ შეშურდა ჩემი სამოთხიური აღფრთოვანება და... წინ უშვერად ამეტუზა, ყველაფერი ჩამიქრო და ჩამიბნელა. ჯავრისაგან გულმოსულმა მუჯლუგუნიღა წავკარ ჩემს თანამგზავრს და ცაზე მივუთითე. მა-შინ რა ვიცოდი, თუ ღამითაც შესაძლო იყო ცისარტყელა.

მაშინ ლექტორმა აგვიხსნა:

— ეგ იშვიათი მოვლენა, ბატონებო, მოხდება ხოლმე მაშინ, როდესაც კაშკაშა მთვარე საწვიმე ჯანღს, ანუ ნისლს აშუქებს. უეჭველია, ყველამ იცის, რომ თავისთავად მთვარე სრულიად ბნე-ლი სხეულია, მთვარესაც ისე აშუქებს მზის ცხოველი სხივები, როგორც ჩვენ დედამიწას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთვა-რეზე დიდი ხანია მოსპობილია სიცოცხლის ყოველივე ნიშანწყა-ლი. მაშასადამე, ღამის ცისარტყელაც მზის სხივებით არის გამო-წვეული, — ჯერ მთვარეს აშუქებენ, აბრწყინებენ და მთვარიდან გამომკრთალი მზის სხივები ცისარტყელას იწვევენ ნისლიან ჰაერში. ზღვაზედაც იცის ცისარტყელა და ადვილი წარმოსადგენია, რა მშვენიერი უნდა იყოს მაშინ ზღვა და მისი სურათი. როცა წყალს შადრევანი მაღლა ისვრის და წინწკლები ჰაერში მტვრად იფანტება, ანუ, როცა ჩანჩქერი ჩაქუხს, შეიძლება მაშინაც მოხ-დეს იგივე მოვლენა, თუ რომ მზის სხივები ალმაცერად წამოსული იქნებიან.

შემდეგ საკამათო საგნად შეგვექნა ელვა-ჭექა და დღევანდელი მეხის ჩამოვარდნა. ბოლოს მეტად უცნაური რამ შემთხვევა გვიამბო ჯავახელმა გლეხმა:

— მე, ჩემო ბატონო, — დაიწყო ჯავახელმა, — და მყავს გათხო-ვილი ახალქალაქში. ეი და, სტუმრად ელიობა დღეს, ჩემს დასთან, სარასთან გახლდით. სადილთ უკან, ასე საათის სამი თუ იქნებოდა,

დაიწყო ავდარი და ისეთსას ელავდა და ქუხდა, რომ ლამის ქვეყანა ინგრეოდა. ჩავხურეთ კარი-ფანჯარა და ყველანი შიშით ვძრწოდით... წვიმამ თითქოს გადაიღო კიდეც, მაგრამ ელვა-ქუხილმა უფრო უმატა. უეცრივ, აი დაწყევლოს სამას სამოცდასამმა წმიდა გიორგიმ, ეხლაც რომ მაგონდება შიშის ჟრუანტელი მივლის მთელ ტანში. ეი და, იმას მოგახსენებდით, უეცრივ მელიას გუდასავით გაგრძელებული რაღაც შემოფრინდა სახლში, ერთი კი ციბრუტი შემოუარა და წამსვე ხარის ბუშტივით დამრგვალდა. ისე მშვენიერი ფერადებით ელვარებდა, როგორც დღევანდელი ცისარტყელა. აი, დაწყევლოს ღმერთმა! გულები დაგვიხეთქა, სული გავტრუნეთ, გავშეშდით, ამოსუნთქვისაც კი გვეშინოდა. ბავშვები პირქვე წაწვნენ, ძუძუთა ბავშვს კიდევ რკინის საწოლში ეძინა, ძლივს შევასწარით თვალი, ი ბუშტი ბავშვის საწოლს ქორივით დააფრინდა, გაგრძელდა, საწოლის რკინას სალტესავით შემოერტყა, მერე სწრაფად ასხლტა, ბუშტადვე გადაიქცა და ერთი კიდევ სალტედ იქცა, კიდევ საწოლს შემოეხვია. უკვდება დედას გული, მაგრამ როგორ გაინძრევა! ბუშტმა დაანება საწოლს თავი, იპრიანა ღმერთმა, ფანჯარაზე წინდის ჩხირები ეყარა, ახლა იმ ჩხირებს დასტრიალებდა თავს; აქედან ოთახში ჩამოკიდულ ტანისამოსს გაუარა, მერე გავიდა დერეფანში და ის იყო და ის. ცოტა რო გონს მოვედით, ერთი წამიც და ცამ ისეთი ძალით იჭექა, რომ ცოტას დარჩა, ფანჯრები არ ჩალეწა. თურმე ნუ ბრძანებთ, იმ ბუშტმა ჩვენიდან გაფრენილმა, სატუსაღოს გაუარა, ქალაქგარეთ გაფრინდა და სასაფლაოს ახლოს ისეთი საშინელი ძალით იჭექა და გასკდა, რომ იქვე ახლოს ხარი მოკლა. ღვთის მადლით, ასე გადავრჩით. ეჰ, კაცს როცა არ უწერია, თავს არ გადახდება. ახლა ჩვენ ის გვიკვირდა, საიდან შემოატანა ი ელვის ბუშტმა ოთახში. სიძე წისქვილში იყო და რომ მოვიდა ის მაშინათვე მიხვდა... იმ დროს დერეფანს ახალ კარს უშენებდა და ი ზემო კედელთან დაყოლებულ პატარა სანათურში ჯერ მინა არ იყო ჩასმული. ყოველივე ეს, რაც გიამბეთ, სულ რაღაც ერთ წუთში მოხდა.

ჩვენ რომ სამეცნიერო ბაასში ვიყავით გართული, იმ დროს, თურმე, სოვდაგარი პარონ ხაჩატურა ჩვენთვის ზრუნავდა. ორი

სუკი, ცხვრის ფარში გახვეული, შამფურზე აცმული, სამწვადე ცეცხლზე შიშხინებდა. მე ხშირად მიმოგზაურია ვაჭარ ხალხთან. შესანიშნავი თადარიგით იციან მოგზაურობა. ამათი ხურჯინი ნამდვილი საკუჭნაოა. მართლაც, უადგილო ადგილს მშიერი დარჩება კაცი.

გაჩნდა ხელად არაყი, კონიაკი და თავიდათავი — ცხელ-ცხელი მცვრიანი მწვადი. ნათქვამია: „ცხელი პურის სუნი მკვდარსაც მიუვაო". ჩემი აზრით, ამ სურნელოვან შიშხინა მწვადს სამოთხეშიაც კი არ დაიწუნებენ. შესანიშნავი თვისება აქვს საზოგადოდ მთის ჰაერს, დღეში რომ ხუთჯერ ჭამო, მადა კიდევ უფრო გეხსნება. ერთი ხელობა სუფრას ძლიერ შეუტიეს ახალმოსულებმა, მგლებივით ყლაპავდნენ საჭმელს. პირველი აღტაცება რომ შესუსტდა, პარონ ხაჩატურამ ჩაიდო კალათაში კახური ტიკჭორა და სადღეგრძელოებიც გაჩაღდა.

ავი ითქვა, კარგი ითქვა, ამ მთისა, იმ მთისა. რომ გავათავეთ, ხაჩატურ აღამ სიტყვა ითხოვა.

— კნიაზჯან! პარონებო, თუმცა პრავა არა მაქვს, ვინემ ყველაწმიდას ვადიდებდეთ, ვენაცვალე იმის მადლს, მე ვთხოვ ჩვენს კამპანიას ერთი შესანდობარი მიირთვათ, მეც მინდა გიამბოთ ერთი ხიფათი მეხისა ოინი. ეს ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მიხაკას (აიღო პური და ზედ ღვინო დააწვეთა). შეუნდოს მიხეილ ბეჟანიჩს. ღვთის წინაშე, ძმაბიჭი იყო, პურმარილის კაცი.

— თუმცა არ ვიცნობდით, მაგრამ კარგ კაცს ღმერთმა შეუნდოს! — ყველამ შესანდობარი დავლიეთ.

— ბრძანე, ბრძანე, ხაჩატურ აღა!

— ამის ზედაშის მადლმა (ღვინოზე გვანიშნა), რასაც ვამბობ მართალია. ამ სამი წლის ადრე, მიხეილ ბეჟანიჩმა, ცხონებულმა, თავის ვენახში არტალაზე დაგვპატიჟა ავჭალაში. იცით, რაღა, ქალაქის ხალხი სიცხით ვიწოდით, და, ვისაც ჭკუა აქვს, კვირა უქმეზე სოფლად გარბის. ხეივანში ვისხედით სუფრაზე, ყურძნის მტევნები ზედ თავზე გვეკიდა. კარგა რო შევზარხოშდით, ერთ წამს დაიქუხა. ავიხედეთ და ცაზე ღრუბლები შეგროვილიყო ზემო ავჭალისკენ. ერთიც რო დაიქუხა, ცხონებული მიხაკა სუფრიდან წამოხტა:

— „ვინავათობისთვის" შტრაფს დავლევ, მაგრამ უჩემობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება, იქ უნდა არხი გადავუგდო, თორემ ფოჩტის გზიდან ნიალ-ვარი მოვარდება და ახალშენ ვაზებს დამიღუპავსო...

წამოიდო მხარზე თოხი და ზემო ვენახისკენ გასწია. თქვენ ბრძანეთ კაცს რო წერა აიტანს, იმ წამს ზედ ვენახზე ერთი ძლიერ დაიგრიალა, იჭექა და მეხიც ჩამოვარდა. ყველანი წამოვხტით. ერთიც ვნახოთ, მებაღე გულგახეთქილი მორბის.

— ჰუ, რა იყო, ადამიანო!

— არიქა, თქვენი ჭირიმეთ, გვიშველეთ, ხაზეინს მეხი დაეცა.

ყველანი ავცვივდით სუფრიდან, მაგრამ თქვენს მტერს, რაღას ვუშველიდით. თურმე, თოხი მხარზე ედო, როცა გორაკზე ადიოდა. აი, ამას იმიზეზებენ დოხტურები. მეხს სწორედ უკანიდან დაუკრავს თოხის რკინისთვის და მერე მიწაში ჩასულაო. მართლაცდა, ცხონებული უკანიდან წელქვევით სულ შეტრუსულიყო და ნატისუსანი ასდიოდა. საკვირველია, თითონ ცხონებულს ტანზე ნაკაწრიც კი ვერსად უპოვეს!

მას მერე ძლიერ მეშინიან ქუხილის და, კნიაზჯან, შენ რო დაიძახე: გაჩერდით, ჩამოხდით ცხენიდანაო, აკი პირველი მე გავეკარ დედამიწას.

ყველამ სიამოვნებით ვადღეგრძელეთ ხაჩატურ აღა.

იმის დასამტკიცებლად, რომ მეხი მართლა ძლიერ ეტანება რკინას, ქუთაისელმა დაუმატა:

— ამ რვა-ცხრა წლის წინათ ჩვენში დიდი უბედურება დატრიალდა. დაბა ხონში ჭალაში სამი ძმანი ყანას (სიმინდს) თოხნიდნენ. სადილად რომ დასხდნენ, თოხებიც გვერდით ეწყოთ. წამოუარა ღრუბელმა, ატყდა ელვა-ჭექა-ქუხილი, დაეცა თოხებს მეხი და სამივე ძმაც იქვე წუთისოფელს გამოასალმა.

— ბატონებო, განაგრძო ჩვენმა ლექტორმა, აქ რაც რომ ითქვა, სრული ჭეშმარიტებაა. ყოველივე, რაც კი რამ ელვა-მეხს უბედურება ჩაუდენია, ჩაწერილი აქვთ მეცნიერებს და მთელი წიგნებიც არის გამოცემული. მეცნიერებას გამოკვლეული აქვს სამგვარი ელვა: I — არის ელვა, ცეცხლის ხაზივით რომ გაჰკრავს, ძლიერი ელვარებით გველივით რომ იკლაკნება და მერეც მრავალნაკადულად რომ გარბის; II — უეცრივ იფეთქებს, აინთება-აპრიალდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე განეთხრობა, წითლად ანუ იისფრად გააშუქებს და იქვე ულ-
გილობრივ ქრება; — III — ეს ელვა ყველაზე უსაშინელესია. სწორედ
ისაა, ჯავახელმა რომ გვიამბო. ღრუბლისა და დედამიწის შუა
გაჩნდება ხოლმე ცეცხლის ბუშტი, უფრო ხშირად მოყვითალო-წი-
თელი ფერისაა და გარსაც შუქი ადგია. მიხვეულ-მოხვეულად მოძ-
რაობს, ზოგჯერ სწრაფად და უფრო კი იმდენად აუჩქარებლივ,
რომ გაქცეული კაცის ოდენად მიფრინავს. ელვის ბუშტს შეუძ-
ლია სახლში შევარდეს, თუკი საიდანმე, თუგინდ მუშტისტოლა
შესასვლელი იპოვა. ამ დროს გაგრძელდება და შემდეგ ისევ
მრგვალდება, ზოგჯერ უმნიშვნელოდ ჰაერშივე ქრება და ხშირად
კი საშინელი ჭექით სკდება.

ელვა იგივე ფიზიკური მოვლენაა, ელექტრონული ძალაა, რო-
მელიც დაიკვესება, ანუ ზარბაზანივით დაიცლება ხოლმე ორ
ღრუბელს შორის, ანუ ერთსა და იმავე ღრუბლის ნაგლეჯთა შუა.
ან კიდევ, დედამიწის და ელექტრონით გაჟღენთილ-გატენილ
ღრუბელს შუა. ყველაზე პირველად მეცნიერმა ბენიამინ ფრანკ-
ლინმა დაამტკიცა 1752 წელს, რომ ელვა ელექტრონის ძალაა და
სხვა არაფერი. მაშინ ამერიკისა და ევროპის მეცნიერნი შეუდგნენ
ფრანკლინის აზრის გამოკვლევას, განხორციელებას. ბევრი მო-
წინააღმდეგე აღმოჩნდა და მეტადრე სასულიერო წოდების გავლე-
ნიან პირთა შორის. 1753 წლის მარიამობის თვეში მეცნიერი აკა-
დემიკოსი რიხმანი გამოცდის დროს პეტერბურგში ელვის ელექ-
ტრონის ნაპერწკალმა მოკლა. ამ მსხვერპლმა ბევრი მეცნიერი
ჭკუაზე მოიყვანა, მიხვდნენ, რომ ელექტრონი არა ხუმრობსო!

ფრანკლინის აღმოჩენამ ის დიდი სარგებლობა მოუტანა კა-
ცობრიობას, რომ ეხლა ყველგან მართავენ მეხის ასაცდენ მავთუ-
ლებს. ყველა მაღალ შენობას, ციხე-კოშკს, საყდრებს, თოფ-წამ-
ლის საწყობ შენობებს, უეჭველად უკეთებენ მეხის ასაცდენს. ამ-
გვარ შენობას თავზე ისარივით წვეტიანი რკინის სქელი მავთული
ურჭვია. მავთულის ბოლო, შენობის კედელ-კედელ მიწაში ჩადის,
ჩამარხულია. მეხი ჰაერში ატყორცნილ წვეტიან რკინას დაჰკრავს
ხოლმე და მავთულში ჩარბის, მიწაში გადის, შენობა კი უვნებელი
რჩება.

ბენიამინ ფრანკლინი, ამერიკელი უბრალო მესანთლის შვილი,
თვითონაც შველოდა ხელობაში ღარიბ მამას (ინგლისიდან იყო

გადასახლებული), რომელსაც ჩვიდმეტი შვილი ჰყავდა. უსახსრობის გამო მამას არ შეეძლო შვილისათვის წესიერი განათლება მიეცა. მაგრამ ყველაზე უმცროსმა ბენიამინმა მაინც თვითმოქმედებით მეცნიერებაშიაც გაითქვა სახელი და საუკეთესო მოქალაქე შეიქნა. ერთ დროს, როდესაც ფრანკლინი ამერიკის თავისუფლებისათვის იღწვოდა, მთელი ამერიკა და ევროპა ფრანკლინის მზეს ფიცულობდა.

რამდენადაც ელვაა საკმაოდ კარგად შესწავლილი, იმდენად ქუხილი და მისი მიზეზი აქამომდე ვერ არის მეცნიერებისაგან გამოკვლეული. ვიცით მხოლოდ, რომ ზაფხულში, ნაშუადღევის საათის ორიდან ექვსამდე, როცა ძალზე ცხელი ჰაერის ნაკადულები ცაში ადის, უფრო ხშირად მაშინ ატყდება ხოლმე ელვა-ქუხილი. ამასთანავე ქუხილი ყოველთვის ელვის შემდეგ იცის. ელვისა და ქუხილის შუა ზოგჯერ წამზე ნაკლები დრო გადის, ამ შემთხვევაში ქუხილის ხმაც მეტად ძლიერი და ხანმოკლეა. ზოგჯერ კი რამდენიმე წამი გაივლის ხოლმე, მაშინ ქუხილის ხმაც უფრო სუსტია, ნაკლებია, მაგრამ ხანგრძლივია, თანაც ისე გრიალებს და რახრახებს, თითქოს რაღაცას აგორებენო. ზარბაზნის ხმა უფრო შორს მიდის, ვიდრე ქუხილისა. მაგალითად, 14-20 კილომეტრის მანძილზე ქუხილის ხმა ვეღარ უწევს, რა გინდ ძლიერადაც ქუხდეს. რამდენიმე ზარბაზნის ერთბაშად, ხშირი სროლა ისე გრიალებს, რომ მათი ხმა 70 კილომეტრზე ისმის, თუ რომ ტრიალი მინდორია. საკვირველია, რომ ისლანდიაში, ზამთარში უფრო ხშირად ქუხს, ვიდრე ზაფხულში.

VI

ამ მთებში კვლავ გამითენდა დილა, დღე მესამე. წუხელვე შევაგულიანე, ყველანი დავითანხმე, ჯერ მტკვრის სათავე, მარჯნის წყარო უნდა ვნახოთ და მერე ოლთისისკენ გზას დავუდგეთ! მაგრამ, ის კი აღარ ვიცი, ვნახოთ, ჭოროხის ხეობაშიაც წამომყვებიან თუ არა. მით უფრო, რომ ჭოროხის სათავე და მისი შუა წელი,

აკვანი ქართველთა კულტურისა, მეთექვსმეტე საუკუნეს აქეთ ოსმალეთშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურთების მოლა ვეისალი წინ გაგვიძღვა მოკლე ბილიკით არსიანის (ყანლუს) მთისკენ. ყველანი მხიარულ გუნებაზე გახლდით; ჯერ ერთი, რომ კარგად გამოვიძინეთ და მეორეც — მართლა საუცხოო დილა დაგვიდგა, მოწმენდილი ლაჟვარდი ცა, გრილი მთის ჰაერი და, თანაც, მზე მაჭარივით ხუხავდა პირისახეს.

— ეს ჰაერი კი არა, ნამდვილი შამპანურია! — წამოიძახა ბუნებისმეტყველმა, — ჰაერის სითხელის გამო ცის სურათიც უფრო მომხიბლავია.

მე მხარზე ხელი გადავხვიე მოლა ვეისალს.

— დანიელ, ერთი თუ რჯული გწამს, ამ მოლას ჰკითხე, ესენი რად გვეძახიან ჩვენ გიაურებს?!

ამ შეკითხვაზე მოლას თვალები აუბრიალდა.

— დუნიან დორთ ქითაბი ვარ! მუსა, დოუთ, ისა, მაჰმედ. ალლა ბირ დურ, ჰამუსუმ ბირდურ! (ქვეყნიერებაზე ოთხი რჯული (წიგნი) და კანონი არსებობს: მოსესი, დავითის, ქრისტესი და მაჰმადისა. ღმერთი ერთია და მისი მორწმუნენიც ყველანი ერთნი ვართ)...

— ნუ სწუხართ, ამ შემთხვევაში არცთუ ჩვენი ფანატიკოსი მღვდლები აკლებენ. არამცთუ ხალხში გაიგონებთ, ქართულ ლიტერატურაშიც მაჰმადის მორწმუნეთ ურჯულოდ აღიარებენ! — აღელვებით შენიშნა ბუნებისმეტყველმა.

ხაჩატურ აღას და ჯავახელ გლეხს გაუკვირდათ თავადის მსჯელობა.

— შე დალოცვილო, და, ვისაც სული წმიდა არა სწამს, ურჯულოა, მაშ, რა იქნება?!

ჩვენ რამდენადმე დავითანხმეთ ეს ერთგულნი ქრისტესმოსავნი, რომ უსამართლოდ სჯიდნენ, რადგან სამივე მერჯულე (მოსესი, ქრისტესი და მაჰმადისა) ერთსა და იმავე ჭეშმარიტ ღმერთს სცემენ თაყვანს, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ქრისტიანები ღმერთს სამება-ერთარსებად ვაღიარებთ, ხოლო მაჰმადის და მოსეს რჯულით კი, იგივე ჩვენი ღმერთი, ეღოვა, ერთარსებაა. ამ საკითხის გამორკვევა საკვლაოდ გადავდეთ, რად-

გან ვუახლოვდებოდით არსიანის მთას, მტკვრის სათავეს, მარჯანსუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსიანის მთა ართვინის ოლქში მდებარეობს. თვითონ მთა, მისი უმაღლესი მწვერვალი 10378 ფუტის სიმაღლეზეა (შავი ზღვის სიბრტყესთან შედარებით). არსიანის მთის ქედი იწყება აჭარის მთებიდან, აბასთუმანს აქეთ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მდინარე ქობლიანის მარჯვნივ მდებარე მთიდან, ჩუბუხ-ნარინ-ბაშიდან. აქედან მიემართება სამხრეთისაკენ და ასიოდე ვერსის შემდეგ ხოროსნის მთიდან მიდის სამხრეთ-დასავლეთისკენ და მერე კი ისევ სამხრეთისკენ მიისწრაფის, ვიდრე ქუმრის მთამდე. ამ მთიდან არსიანის ქედი, მთაგრეხილი დასავლეთისკენ უხვევს, შედის ოსმალეთში, შემოუვლის გურჯი-ბოღოსს (საქართველოს ყელს) და დუმლი-დაღის სახელით არზრუმს ჩრდილოეთის მხრივ გაუვლის.

არზრუმს აქეთ არსიანის მთაგრეხილს გიაურ-დაღსაც ეძახიან, მდ. ჭოროხის სათავესთან (ბაიბურთის მაზრაში) უერთდება შავი ზღვიდან, ტრაპიზონის მხრიდან წამოსულ შუანდარასის მთებს, რომელნიც საქართველოს საზღვარს შეადგენენ, გაწოლილი არიან გიუმიშხანას და ბაიბურთის სანჯახებს შორის.

ოსმალოს საზღვრებამდე არსიანის მთაგრეხილი სიგრძით ორასი ვერსია. მთელ ამ სივრცეზე, არსიანის ქედზე, მის თხემზე ტყე არ ხარობს, მაგრამ, სამაგიეროდ, თვალუწვდენელი საბალახო, საძოვარი ადგილებია. გაუვალ ბალახთა სიმრავლეში ალაგ-ალაგ საამურად ყვავიან დეკას (შქერი) ბუჩქები.

ჭოროხის ხეობის მხარეზე, დასავლეთის გვერდზე, არსიანის მთაგრეხილს მთელ მის სიგრძე-სივრცეზე მისდევს ტყე. ჯერ სოჭი იზრდება გვერდებზე და მერე კი კალთებზე ყოველნაირი ფოთლოვანი ხე ხარობს, კარგი ტყეებია. აქეთა მხარეს (აღმოსავლეთით), მტკვრის ხეობისაკენ, თავსა და ბოლოს, კარგი ტყე არის აყრილი, ხოლო იქ, სადაც ადამიანის ხელი მოხვედრია (შუა წელზე), ტყე დიდი ხანია განადგურებულია.

წელიწადში თითქმის ექვსი თვე არსიანის ქედი დათოვლილია, გაუვალი თოვლი ძევს. არსიანის მთაგრეხილს ქართველთა ეკონომიურ არსებაში, სხვა უმთავრეს მთებთან ერთად, პირველი ადგილი უჭირავს. თავისი უზარმაზარი სიმაღლე-სიგანით ბუმბერაზად გაწოლილია ორ ხეობაში. იქით, დასავლეთით, ჭოროხის

ღრმა და კლდიანი ხეობაა, სადაც მდებარეობენ ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, აჭარა და სხვა. ხოლო აქეთ, აღმოსავლეთით მდებარეობს კოლა-არტაანი, საიდანაც იწყება მტკვრის სათავე, მისი ხეობა-აუზები. ჭოროხი აჭარას უთხრის გვერდებს და შავი ზღვისაკენ თავისმტვრევით, გააფთრებული მიისწრაფვის, ბათუმის ახლოს უერთდება ზღვას, ხოლო დინჯი მტკვარი აქედან კასპიის ზღვისკენ მიემართება.

სწორედ ამ არსიანის მთის აღმოსავლეთ გვერდიდან გამოდის ერთი მთაგრეხილი (ტოტი), რომელსაც დღეს მუთულჯანი ჰქვია, ხოლო რა ერქვა ქართველთა აქ მბრძანებლობის დროს, ამის ცნობა ხელთ არა გვაქვს. ეს მუთულჯანა მთა კოლას საერისთაოში მდებარეობს.

ჩვენი ჩიჩერონი მოლა ვეისალი ჩაგვიძღვა ამ მთის სამხრეთ გვერდზე და გვითხრა: ბუიურ, აღა-ჯან! მარჯან-სუ ბახ ბუდურ!

მართლაცდა, ამ მუთულჯანის მთის სამხრეთ კალთაზე, ტრახიტის კლდის ნაპრალიდან ანკარა წყარო უშველებელ ნაკადულს ამოსჩქეფს, გადმოხეთქს, რომელიც აძლევს სათავეს ჩვენს დიდებულ და მთელი კავკასიის უდიდეს მდინარეს, მტკვარს.

პირველივე აღტაცების შემდეგ ყველამ მოვისურვეთ ცივ-ცივი უბიწო წყაროთი განათვლა, პირის დაბანა, მაგრამ მოლა ვეისალმა გაგვაჩერა.

— იცი, ბატონო, ე მოლა მოგახსენებთ, არ იყოს, თუ შიგ წყაროში პირი დაიბანონო.

— მაინც რატომაო, დანიელ?

— ი, თქვენ რო გუშინ მაღლა მთაზე ახვედით, მაგ მთას ჰამიშ-ბაბა ჰქვიანო. ჰოდა, ბატონებო, ის მთა და ეს მარჯანსუ წმიდა ადგილებად გვწამსო. ამ წყაროს ჩაყოლება, ნაკადულის ღელე-მიდამო სულ წმიდა ადგილები არისო.

— რა მაგ სიტყვის პასუხია და ხედავ, დანიელ, ჩემი ქურთი თავის ჯაგლაგა ცხენით დაგვეწია. ეგ რამდენი ხურჯინი აუკიდია? შენ ერთი უბრძანე, დანიელ, მაგ ქურთს, ერთი ჩემი ხურჯინი ჩამოიღოს... ვნახოთ, რა წიგნები მაქვს და რუკაც, ვნახოთ, იქ როგორღა წერია.

— ჰეი, ოლა, ოლა, ხურჯუნ გიათურ-თქო!

— ბატონო, ამათ ოლა-ოლას ნუ ეძახით, თაკილობენ, უნდა ქირვა (ნათლია) დაუძახოთ ხოლმე.

— შენს პირს შაქარი, დანიელ! და მერე რატომ აქამდე არ მაჩ-
წავლე?

— ქირვა, ქირვა, ხურჯუნ ბუ ოთურ ხალიჩაზედა.

გადავშალე რუკა და „პლანები“, მაგრამ ყველამ წინააღმდეგობა გამიწია, ჯერ რა დროს წიგნებია, პური გვშიაო.

მარჯნის წყაროს ჩავყევით და იქ პირი დავიბანეთ, გავნათლდით, გავგრილდით, გაგვაცოცხლა ამ მთის წმინდა წყარომ და მგლებივით მივცვივდით ქვაყრილზე გაშლილ სუფრას, ყველამ თავთავისი ხურჯინი გახსნა.

— აბა, მიირთვით, ბატონებო, — გაგვიმასპინძლდა მოლას მაგიერ დანიელა (ჩვენი ბინის პატრონი, მამასახლისი აღარ შევაწუხეთ, ქუთაისელ ჩოვდარს გაჰყვა ზევით მთაში საქონლის საყიდლად). დახეთ ჩვენს მასპინძელს: გიალუმ-კაიმაღი, კიტრი და თოხლოდ კვერცხიც მიუმატებია, ეს შემწვარი ბატკანი ხომ ხონთქარსაც ეკადრება!

— ახლა კი მომაწოდე ე. ჩემი დავთრები, დანიელ... იცი, რა გითხრა, აი, აქ სწერია: თურქები ჩვენს მტკვარს კურ ანუ გურ, გუნ-ს ეძახიანო. აბა ერთი ჰკითხე მოლას, მართალია?

— ასე მოგახსენებთ, გიუნ თქმა არის მზე და სხვა კი არ ვიცი.

— ჰოდა, ესეც მართალი უნდა იყოს, მტკვარი მართლაც რომ კურთხეულია, მადლიანი წყალია, აი, აქედან დაწყებული კასპიის ზღვამდე მიდის და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს კვებავს, სიცოცხლეს ჰფენს, აჭმევს, ასმევს და თან ტვირთსაც ზიდავს. ამდენი მადლისათვის, რაღა საკვირველია, ამისთანა დიდებული მდინარისთვის მზე ეწოდებინოთ.

— დროა, ბატონებო, წავიდეთ ბინაზე და იქ მოგახსენებთ, გაგაცნობთ მწერლების აზრს მტკვრის შესახებ.

— რაღა ბინა გვინდა. განაგრძეთ, განაგრძეთ!

— თუ მზე არ შეგაწუხებთ, ბატონი ბრძანდებით. მტკვარი უდიდესი მდინარეა მთელ კავკასიაში. აი, ამ სათავიდან, ვიდრე ზღვამდე 1244 ვერს მანძილს გადის და ყველა წყალი მას ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ყველა წყალი მტკვარსა ერთვის, თვითონ მტკვარი კასპის ზღვასა“, — მომაგონა ხალხური თქმულება ჯავახელმა გლეხმა.

— ახლა, ბატონო, და, ეგ ვიღამ გაზომა, მტკვრის სიგრძე... ათას ორას და კიდევ რამდენიო?

— 1244 ვერსი. აი, რა მოგახსენოთ, 1867 წელს, მაშასადამე ჯერ მაშინ, როდესაც ეს მხარე ოსმალოს ხელში იყო, აქ მოვიდა თბილისიდან ცნობილი სწავლული გ. ი. რადე.

— თბილისის მუზეუმის დირექტორი?

— დიაღ, კავკასიის მუზეუმის დირექტორი. აი, ამას აქვს ყველაზე უკეთესად აწერილი და გაზომილი ეს ადგილები. რადეს გამოკვლევით, ეს წყარო მარჯანი მდებარეობს 6,642 ფუტის სიმაღლეზე.

—ჩვენი მასპინძლის ბინა, ორდანი-კი, ქურთებისავე ნასოფლარია. მარჯნის წყარო ცოტა ქვემოთ რომ ჩაივლის, შეხვდება ჭაობიან ვაკეს, ჭალა-ღელეს, რომელიც უფრო პაწია ტბას ჰგავს (6500 ფუტი), აქ მარჯნის წყაროს უერთდება კიდევ რამდენიმე სხვა წყაროს ნაკადული, რომელნიც მაღალი ტიტველა მთებიდან ჩამოწკრიალებენ. აქედან მტკვარი ორმოციოდე ვერსს რომ გაივლის, სოფ. ყაზნაფარის ახლოს, ჩრდილოეთისკენ უხვევს. სათავიდან (მარჯნის წყაროდან) კასპიის ზღვამდე გავლილი აქვს ათას ორას ორმოცდაოთხი (1244) ვერსი, ჰოდა, აბა დამისახელეთ ამოდენა მდინარე სხვა რომელია კავკასიაში?!

— ჩვენი რასხი, — დაიძახა ხაჩატურ აღამ.

— არაქსი, მართალია, დიდი მდინარეა, მაგრამ არაქსიც მტკვარს ერთვის, მტკვრის ბასეინს შეადგენს. არაქსის სათავე დევე-ბოიუქის და ბინგილ-დაღის მთებში იწყება (ოსმალეთშია), სულ 750 ვერსის სიგრძით მიმდინარეობს და ბოლოს მტკვარს ერთვის, მისი მთავარი მარჯვენა ტოტია.

VII

მტკვრის ხეობა-ბასეინი ნამდვილ ისტორიულ მუზეუმს წარმოადგენს, მთელი ისტორია-არქეოლოგიური საბუთებია შიგ დაცული, დამარხული. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი მთელ თა-

ვის სულიერ ძალას და ქონება-შეძლებას უშურვლად ზედ ალეკვდა საღმრთო და საეროვნო საქმეს — ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აშენებას.

ქართველებს იმთავითვე უყვარდათ დედამდინარე მტკვარი.

პირველი ისტორიული ნაშთი მტკვრის სათავიდან 120 ვერსზე იწყება. ქალაქი არდაანი თავისი ძლიერი ციხით მტკვრის ორსავე ნაპირზეა გაშენებული. აუშენებიათ ქრისტეს წინათ, ჯერ მაშინ, როდესაც საქართველოს მამასახლისნი განაგებდნენ. მამასახლისმა მცხეთოსმა შვილებს რომ საქართველო გაუყო, ჯავახოსს არგუნეს „მტკვრის ალმოსავლეთით ფარავანამდე და თავამდე მტკვრისა". ეს ჯავახოსი აშენებს „წუნდას და ქაჯთა ქალაქს, რომელიც შემდეგ არტანისია ანუ ჰური".

— იცი, ბატონო!

— რაო, დანიელ?

— ჰური დღეს სოფელს ქვია. იქ ბევრჯერ მივაჭრია, არტაანის ახლოსაა. იქ ახლა ცხოვრობენ სამნი ძმანი აჭარელნი: ჰამიშ-ბეგი, მუსტაფა და ზაქარია-ბეგი. ისინი არიან შვილები შარიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

— მართალი ხარ, დანიელ, შარიფ-ბეგი იყო მბრძანებელი მთელის აჭარისა, ხოლო მისი მამა ახმედ-ბეგი იყო ყარსის ფაშად (ვალი, ღენერალ-გუბერნატორი).

— ეგ დიდი ხანია შენიშნულია, რომ ქართველ კაცს სამაგალითო ადმინისტრაციული ნიჭი აქვს, თანაც შეუდარებელი მეომარია, გულადი და თაოსანი! — ჩაერია ლაპარაკში კახელი თავადი.

— მართალია, თუმცა ისტორიამ უანდერძა ქართველ კაცს ომი, ლხინი და მბრძანებლობა, მაგრამ ახლა მოქალაქეობრივი ცხოვრების გზას დაადგა.

ახლა ისევ არტაანზე მოვყვეთ. ბაგრატიონთა მბრძანებლობის დროს იჯდა არტაანს ერისთავი და განაგებდა კოლა-არტაანს, ხოლო მე-15 საუკუნეში ოსმალომ წაგვართვა ეს მხარე და ჭოროხის სათავეც. რუსებმა რომ არტაანი აიღეს, აქ იყვნენ სანჯახ-ბეგებად ჰუსეინ-ფაშა და დავრიშ-ბეგი, ჩამომავლობით თურქნი. მამულებიც ამათ ჰქონდათ დასაკუთრებული. არტაანის ციხეში „არის ეკლესია გუმბათიანი, დიდ-შენი, მშვენიერი და აწ ცარიელი" (ვახუშტი). ამ ეკლესიაში კვლავ აღდგენილია წირვა-ლოცვა, მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავიანურ ენაზე. თუ ვინმე არის აქ ქართველი, არის „ჩინოვნიკი“ და „აფიცერი“.

არტაანიდან მტკვარი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, სადაც მარცხნიდან უერთდება ყანის-წყალი. აქედან ჩაუვლის ყურთალას (მგელ-ციხე) და ჯავახეთის საზღვარს უწევს თუ არა, მტკვარი ისევ ჩრდილოეთისაკენ მიისწრაფვის. აქ, ჯავახეთის საზღვრიდან ცოტა ზემოთ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის სოფელი ჩაისი და მასში ეკლესია თაღიანი. სახლობს 317 კომლი ქართველი მაჰმადიანი. ამათ და, საერთოდ, ქართველ მაჰმადიანებს თათრები უძახიან „იერლი“ ხალხს, ბინადარს (აბორიგენი) ადგილობრივ მკვიდრს.

— იერლი ხალხი, ბატონო, სარუხს იხურავს და, რომ მოკლა, ვერ დაახურვინებ ფაფახს. აგრეთვე მოსული ხალხი, თარაქამები სარუხს თავის დღეში თავზე არ მიიკარებენ, — შენიშნა ჯავახელმა.

— ეგ მართალია, მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ: ჭოროხის ხეობისა არ ვიცით და აქ კი, ამ ზემო ქართლში (მესხეთი, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ოლთისი), მოსახლეობენ ან მკვიდრნი ქართველნი, ან განგებ დასახლებულნი ყარაფაფახები (თარაქამები). ნუ დაიჯერებთ, რომ ამ მხარეში ოსმალეთიდან ვინმე გადმოსახლებულიყოს. ვიმეორებ, თარაქამების გარდა, აქ მოსახლე ვინც არის, სულ ქართველობაა, მაგრამ დიდი უმრავლესობა გამაჰმადიანებული, ანუ გაკათოლიკებულია, მაგალითად, სოფელი ხიზაბავრა (2110 სული), უდე (2040 სული) და სხვა, ქართველი კათოლიკენი არიან.

ჩაისის ქართველებს თუმცა დედაენაც კი დაუკარგავთ, მაგრამ თავიანთ ეკლესიას კი წმიდად ინახავენ. ჩრდილოეთის მხრივ სოფელს პატარა ღელე ჩამოუდის. ღელის გაღმა ნაპირზე ასვენია უშველებელი ჯვარი, მთლიანი წითელი ქვიდან გამოკვეთილი, სიგრძე-სიგანით თითქმის ხუთი ადლი იქნება. ამ ჯვარზე სანთლის ნამწვავები შევამჩნიე. ცალი გვერდი ჯვარს სულ გამურული აქვს. ვკითხე ჩემს წინამძღოლს ჩაისელს. როცა ვინმე ავად გაგვიხდება, აგრეთვე შობას, აღდგომას, გიორგობას, სანთლებს ჩამოვქნით ხოლმე და ამ წმიდა ჯვარს ვუნთებთ, ვევედრებით, — იყო პასუხი.

არტაანის ქვევით მტკვარი ჩავარდნილია კლდიდან ღრმა კალაპოტში, დაჭრილი მხეცივით ღრიალებს, ებრძვის უშველებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეებს. ჯავახეთის საზღვრიდან ხეობაში უკვე იწყება ბოსტნები, მაგალითად ოლოდას ბაღები, ერინჯელებს რომ გაუშენებიათ. ზედა ვარძიიდან ხეობა იმდენად განივრდება, რომ გოგაშნელ ქართველებს მტკვრის ორსავე ნაპირზე ვენახები აქვთ გახშირებული. განთავისუფლებული მტკვარიც, აქედან დაწყებული, დინჯად მიმდინარეობს მთელ თავის მანძილზე, ვიდრე კასპიის ზღვამდე. გოგაშენის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა კიდეზე, კლდეში გამოკვეთილია დიდებული ისტორიული ნაშთი — ვარძია მონასტერი, თამარ მეფის საყვარელი სავანე, სადაც დაცულია მხატვრობა ყველა წმიდანისა, მეფეთა და დიდებულთა, ყველანი ცოცხლებივით ფეხზე დგანან, თამარ მეფის მამიდან დაწყებული — რუსუდანამდე. ბერებს 250 ადლიანი მავთული აქვთ გაბმული და ახლა ისე ააქვთ ქვაბით ანუ ტოლჩით მტკვრის წყალი მონასტერში.

— რათა, ბატონო, აკი შიგ მონასტრიდან გვირაბით მიდის გზა და აქ, შიგნით, არის წმიდა სასწაულიანი წყარო, — შენიშნა ჯავახელმა.

— ჰო, მაგრამ მაგ წყაროს მხოლოდ სასმელად ხმარობენ. მტკვრის წყალი კი სჭირდებათ სარეცხისათვის, ჭურჭლისათვის და სხვა.

— საკვირველი კია, ბატონო, რომ ი დალოცვილი წყარო ყოველთის პირთამდე სავსე ლივლივებს, არც პირს გადმოდის და ორც თუ აკლდება, რამდენიც გინდა ამოიღე.

— ეს არის сообщающие сосуды — წამოიძახა ბუნებისმეტყველმა, მაგრამ ფიზიკური კანონების განმარტებისათვის დრო არა გვქონდა.

— აქედან, ვარძიიდან იწყება დღეს ქართველთა ცხოვრება. ქართული სული დასტრიალებს, ხმას აძლევს ამ მთებს, ცათამდე ატყორცნილ ტიტველა კლდეებს და ასე, ვიდრე ალაზნის შესართავამდე, ქართველთა წარსული დიდების დროშა ფრიალებს.

— ბატონო, სიტყვას კი ნუ დაივიწყებთ და, თქვენ არ მოიხსენიეთ წყაროსთავის მონასტერი და ვარძიის ზემოთ ხო ერთის მაგიერ ორი შესანიშნავი მონასტერიცაა!

— მაგის პასუხად, იცი, რა უნდა გითხრა, ეს ჩემი ბაასი უმთავრესად მტკვარს და მის ვითარებას შეეხება, ხოლო მაგ დიდებულ სიძველეთა შესახებ თავის ადგილას შემდეგში ითქმის. გარდა ამისა, უჩვენოდაც აქაურობა დიდი ხანია აღწერილია. მაგრამ გულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ დაგაკლდეთ, მოგახსენებთ, მოკლედ მოგახსენებთ, ბატონებო, რომ ვარძიის მონასტრის გარშემო, გაღმა-გამოღმა, ოცდაათი-თხუთმეტი ვერსის მანძილზე, ჯერეთ ამაყად დგანან ეკლესია-მონასტრები: წყაროსთავი, ქარძამეთი და მის ზევით კიდევ მე-4 საუკუნეში აშენებული შესანიშნავი გავეთის მონასტერი, სადაც, ვახუშტის სიტყვით, ესვენა ქრისტეს სამსჭვალი(ლურსმანი.) აიღეთ ახლა თმოგვის ციხე-ქალაქი, სამშობლო სარგის თმოგველისა, რომელმაც თარგმნა ვისრამიანი („დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა“, — შოთა). თმოგვის ქვემოთ, ხეობაშივე წუნდის ეკლესიაა, რომელსაც ზევიდან, ჯავახეთის ვაკედან გადმოჰყურებს კუმურდოს შესანიშნავი მონასტერი, აშენებული იოანე ეპისკოპოსისაგან, აფხაზთა მეფის ლეონ მესამის დროს 964 წ. „იჯდა იქ (კუმურდოში) ეპისკოპოსი, მწყემსი, სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა“ (ვახუშტი) და სხვა.

— მაინც საინტერესოა, რომელ საუკუნეს ეკუთვნის წყაროსთავის მონასტრის აშენება? — შემეკამათა ბუნებისმეტყველი.

— კუმურდოზე ადრე, ბარე 400 წლის წინათ არის აშენებული წყაროსთავი.

— მაინც?

— ვახტანგ გორგასალის შემდეგ მეფობდა ძე მისი დაჩი (499—514). ამის ხელქვეით ერისთაობდა ჯავახეთში ძმა მისი მირდატ. ამან აღაშენა ღვთაების ეკლესია წყაროსთავის „ფრიად დიდმშვენიერი, გუმბათიანი, იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტაანითურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და ხავეთამდე“ (ვახუშტი).

— ჩვენ გაგონილი გვაქვს, ბატონო, რომ პირველი სახარება ქართულად წყაროსთავის მონასტერში უთარგმნიათ, — შემნიშნა ჯავახელმა.

— წყაროსთავში დაწერილია ორი სახარება; ერთი ოთხთავი — თვალითა და მარგალიტით მოჭედილი, დღეს გელათის მონასტერში ინახება, ხოლო მეორე სახარება „დაწერილია წყაროსთავის ღვთაების ეკლესიაში ხელითა საბასითა და შეკაზმული გიორგი აბაშიძის ბრძანებით წინამძღვრის გიორგი ჟუთულაშვილისაგან“, იპოვება უბისის ეკლესიაში, იმერეთში (დ. ბაქრაძე).

— ეგ ის სახარება ხომ არ არის გელათისა, ლევაშოვმა რომ გაიტაცა? — გულმტკივნეულად შემეკითხა თავადი.

— ვარძიიდან ოთხიოდ ვერსის ქვემოთ მტკვარი ძირს უთხრის თმოგვის ოდესმე მიუვალ ციხეს. აშენებულია მტკვრის მარცხენა კიდეზე, ცაში დაკიდულ საშინელ კლდეებზე. აუშენებია მეფე ფარნაჯობს მესამე საუკუნეში ქრისტეს წინათ. თმოგვის ქვემოთ მტკვარი ჩაუვლის მარჯვნივ მდებარე წუნდას, ნაქალაქევს და ხერთვისის ციხის ძირში შეირთავს მარჯვნივ მდებარე ჯავახეთის მტკვარს, რომელიც გამომდინარეობს ფარავნის ტბიდან.

— გაგონილი გვაქვს, ბატონო, რომ მაგ ტბის ნაპირზე წმიდა ნინოს გამოეცხადა ღვთისმშობელი. წმიდა ნინომ ამ არტაანის და ჩილდირის მთებში შიშით და ძრწოლით რომ გადაიარა, ძლიერ დაღალულა და ტბის ნაპირზე დასძინებია. ამ დროს ღვთისმშობელმა გადასცაო ვაზის ჯვარი და გზა დაულოცა, გაამხნევაო.

— ეგ ვაზის ჯვარი, ჩემო ჯავახელო, წმინდა ნინოს თავისი თმით შეუკერავს და ახლა ასვენია თბილისში, სიონის ტაძარში. ჯვარს ნინაობას (14 იანვარს) ყოველწლივ გამოასვენებენ ხოლმე, მლოცველნი ემთხვევიან.

— ხერთვისიდან მტკვარი, ერთიორად ქცეული, ჩაუვლის ქართველთა სოფლებს, მარცხნივ ტოლოშს, მარჯვნივ — ორმოცს, საროს, ხიზაბავრას და ბაღ-ვენახების ქვემოთ უერთდება მტკვარს მარჯვნიდან პატარა მდინარე ჩიხორიში.

ეს მთის შვილი ჩიხორიში ჭობარეთის მთიდან ჩამოწკრიალებს, გულს უგრილებს სოფელ დამალას და მხიარული უერთდება მტკვარს. ჩიხორიში შეადგენს ბუნებრივ საზღვარს მესხეთის და ჯავახეთის შუა, ხოლო დღეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს შუა. ჩიხორიშის წყალი იქამდე გემრიელია, რომ ოდესღაც სტამბოლს მიჰქონდათ ეს წყალი. ამის შესახებ ხალხში დარჩენილა მშვენიერი ლეგენდა-თქმულება, რომელიც მე ლექსად მაქვს ჩაწერილი.

აქედან მტკვარი ჩაუვლის მარჯვნივ ასპინძას და მის გამოჩენილ ველს, სადაც მეფე ირაკლიმ მთელი ევროპის სამაგალითოდ გაიმარჯვა ლეკთ-ოსმალოს შეერთებულ აუარებელ ჯარზე. აქედან მტკვარი მარჯვნივ იდუმალას და მარცხნივ ახალშენს რომ გასცდება, მარჯვნივ ჩაუვლის დაბა რუსთავს, სადაც დაიბადა ქართველი ერის საქვეყნოდ მასახელებელი და საღმერთებელი მგოსანი შოთა.

რუსთაველის სამშობლო სოფლიდან მტკვარი მარცხნივ ჩაუვ-

ლის ჯერ მუსხს და მერე გამოჩენილ საფარის მონასტერს, სადაც თორმეტი საყდარია აშენებული. მდებარეობს ახალციხის სამხრეთით ექვსი ვერსის მანძილზე, აქ იმარხებოდნენ ახალციხის ათაბაგები.

დიუბუა დე მონპერეს აზრით, „საფარის უმთავრეს (წმ. საბას) ტაძარზედ უდიდებულესი ძნელად თუ კიდევ იქნება, ჩუქურთმებითაც გელათის მონასტერზედაც მდიდარიაო“ (მ. ჯანაშვილი).

— ვინ იყო ეგ დალოცვილი შვილი დიუბუა? — შემეკითხა ჯავახელი.

— დიუბუა დე მონპერე (1798—1850), საფრანგეთის შვილი, დაიბადა ქალაქ ნევშატელში და აქვე იყო აკადემიის პროფესორად. სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენილმა მოგზაურმა, ნატურალისტმა და არხეოლოგმა. საქართველოში მოგზაურობდა 1839—1845 წლებში, ღირსშესანიშნავი ყოველივე მეცნიერულად აღწერა და ცალკე წიგნად გამოსცა. გაკვირვებული იყო, რომ არსად დედამიწის ზურგზე, შედარებით, ამდენ ციხე-მონასტრებს, თანაც დიდებულად ნაშენს, ვერ შეხვდებითო.

საფარის ქვემოთ, სოფელ მინაძეებს რომ მიატანს, მტკვარი უეცრივ იცვლის მიმართულებას. აქ ახალციხის ქვემოთ მას უერთდება ფოცხოვის მდინარე და ადიდებული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იბრუნებს პირს, ჩაუვლის მარჯვნივ აწყურის მაღალ ციხეს და დიდებულ ტაძრის ნანგრევებს, რომლის სასწაულიანი აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ამჟამად გელათის მონასტერში ასვენია.

აწყურის ქვემოთ მტკვარი ზედ შუაზე აპობს აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილს. მესხეთის და ქართლის საზღვარზე მტკვარი ჩაუვლის მარცხნივ სწორედ იმ ადგილს, სადაც მოხდა საქართველოს ისტორიული ტრაგედია, სადაც მოხუცმა გმირთ-გმირმა ირაკლი მეფემ ცალმუხლით დაუჩოქა ღენერალ ტოტლებენს.

— გთხოვთ განმარტოთ ეს დაუჯერებელი ამბავი! — შემოსძახა აღშფოთებულმა თავადმა.

— 1770 წ. იმპერატრიცა ეკატერინე II-მ ომი აუტეხა ოსმალოს და ირაკლი მეფეც, ვით თავის მოკავშირე, იძულებული ჰყო ოსმალოსთვის ომი გამოეცხადებინა. მაშველად გამოუგზავნა ღენერალი ტოტლებენი რუსის ჯარით და რამდენიმე ზარბაზნით. როდესაც

ომი გაცხარდა, აწყურის ციხეს ალყა შემოარტყეს და ასპინძისკენ მიემართებოდნენ, სწორედ ამ დროს ტოტლებენმა მოატრიალა თავისი ჯარი და რუსეთის გზას გაუდგა.

ეს ამბავი მეფეს მოხსენდა ასპინძის გადასახედზე. ირაკლის ელდა ეცა, გამოეკიდა ცხენით ტოტლებენს, დაეწია სოფ. დვირის პირდაპირ, მაგრამ ჯერაფრით ვერ დაითანხმა, ვერ დაიყოლია ღენერალი. ამაგდარ მეფეს წარმოუდგა თვალწინ ის საშინელება, ის განადგურება ქართლისა, რაიც მოსალოდნელი იყო, თუ ვინიცობაა გაიმარჯვებდნენ ლეკ-ოსმალნი. ჩამოვიდა მეფე ცხენიდან, ცალი მუხლით დაუჩოქა ტოტლებენს და შეევედრა: ღმერთმა ხომ იცის, მე ოსმალებთან საჩხუბარი არა მქონდა რა, ძალად ჩამრიეთ და ახლა კი შუა წყალში მანებებთ თავსა, და თუ თქვენ ომის გერიდებათ, ორი ზარბაზანი მაინც დამითმეთო. ტოტლებენმა ამის პასუხად ცხენი გაქუსლა: „იმპერატრიცა ხონთქარს შეურიგდა და მე ნაბრძანები მაქვს, წამსვე რუსეთში დავბრუნდე“-ო.

— მე არ მჯეროდა და ახლა კი ჭკუაზე ახლოა.

— ბრძანეთ, თავადო.

— ჩვენს სახლში ერთი მოხუცისაგან გამიგონია: რუსის ჯარი მლეთის აღმართს რომ ავიდა, გუდაურის სადგურთან ისვენებდა. მაისის მშვენიერი დილა იდგა. ტოტლებენმა დურბინდი აიღო ხელში და არაგვის ტურფა ხეობას გადმოხედა, მოკრიალე ლაჟვარდი ცა მზის სხივებ-შარავანდედით სურნელებას უკმევდა ზურმუხტისფრად გაშლილ ვაზისა და ვარდის ქვეყანას. არაგვი კი ვერცხლის გველივით ბრწყინავდა-იკლაკნებოდა. აღტაცებულმა ღენერალმა დემონივით გადმოსძახა რუსულად: „სამოთხის ქვეყანავ, საოცნებო საქართველოვ, შენ ხარ ჩვენთვის საჭირო და არა შენი ხალხი“.

სოფელ ქვაბისხევიდან მტკვარი ქმნის ბორჯომის საუცხოო ხეობას, რომლის მშვენება, ბუნების სურათების სიმდიდრე ოდესღაც საქართველოს სიამაყეს შეადგენდა. ბორჯომში იწყება „წესიერი „ნაოსნობა“ მტკვარზე. აქ, ხეობაში, მრავალგან არის კარგად მოწყობილი სატივო, სადაც კრავენ დიდროვან ორკეც ტივებს და თბილისამდე მტკვარს აქამდინაც აზიდვინებენ.

ბორჯომიდან გამოსული მტკვარი ქვიშხეთს დაინახავს თუ არა, პირს იბრუნებს აღმოსავლეთისაკენ, სურამის მინდორ-ჭალებს რომ გაათავებს, ჩაუვლის ურბნისის მაღალ ტაძარს, ქარელის პირდაპირ, ქალ. გორთან, გორიჯვართან მარცხნიდან შეირთავს გიჟლიასვს და აქედან პირს იზამს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ამ მიმართულებას ბოლომდე აღარ ცვლის.

გორიდან წამოსული მტკვარი მარცხნივ ჩაუვლის კლდის ქალაქს უფლისციხეს, შიო მღვიმელის მონასტერს და ჩადის ძველ დედაქალაქში, მცხეთაში, სადაც საუკუნოდ განისვენებს ამაგდარი მეფე ერეკლე; მცხეთასთან მღვრიე მტკვარს ერთვის, წმინდა, ანკარა არაგვი. აქედან მტკვარი მიაშურებს ვახტანგ გორგასლანის დედაქალაქს თბილისს. აქ მარჯვნივ მიუალერსებს სიონის ტაძარს და აქედან გაქანებული ეძგერება მარცხნით მდებარე მეტეხის ციხის კლდეს, სადაც ჩავარდება მტკვარი მუხრუჭში, ორ კლდეთა შორის ღრმა და ვიწრო კალაპოტში, თითქოს განგებ, რომ ადვილი ყოფილიყო მასზე ხიდის გადება. მეტეხის ციხეს თავს დააღწევს თუ არა, მტკვარი ტყვეობიდან ნელ-ნელა იმართება წელში, ჩაუვლის მარჯვნივ საბედისწერო კრწანისის ველს და, ჩასცილდება თუ არა ყარსის რკინიგზის ხიდს და წმიდა ბარბარეს, თავისუფლად შლის ფრთებს, საითკენაც მოისურვებს. თბილისიდამ ორმოციოდე ვერსის მანძილზე მარცხნივ ჩაუვლის ზემო ყარაიაზის მინდორს, სადაც ოდესმე ქართველ ბერ-მონაზონთა, მეუდაბნოეთა წირვა-ლოცვა და წმიდა გალობა გუგუნებდა. აქ არის დიდებული ნათლისმცემლის მონასტერი და პატარა, უტყეო და უწყლო კლდიან მთაში გამოკვეთილი შესანიშნავი წმ. დავით გარეჯის უდაბნო 12 მონასტრით.

ამ წმიდა ადგილებს რომ ჩასცდება მტკვარი, გაივლის კიდევ ორასიოდე ვერსს და ყარაიაზთან ბოლოს უახლოვდება სამუხს (ბინებს) და აქ დედობრივი სალმით იხუტებს გულში ორთავე და-ძმას, ტყუპებს, იორსა და ალაზანს.

VIII

დავით გარეჯის უდაბნოს ქვევით, ასე, სამი დღის სავალზე მდებარეობს შესანიშნავი ადგილი, რომლის სწორი და ბადალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არამცთუ მთელ მტკვრის ხეობა-ბასეინში, არსად დედამიწის ზურგზე არ გვეგულება.

აქ შექმნილია კუთხე სამი მაზრისა — ნუხა-სიღნაღის და განჯისა, აქ იყრის თავს, აქ ინასკვება სამი მდინარე, აქ ესალმებიან თავის საყვარელ სამშობლოს მტკვარი და ალაზანი, აქ, ამ ადგილას, სამად შერთული მტკვარი სამარადისოდ ტოვებს საქართველოს საზღვარს.

კავკასიონის მთაგრეხილს სამხრეთით უბღარტნია უზარმაზარი მთა ბორბალო, 10,807 ფუტის სიმაღლე. მდებარეობს თიანეთის მხარეში. ამ მთას, ბორბალოს, სამხრეთითვე ამოუხეთქავს ორი უშველებელი ტოტი. ერთი გაცივებულა, მდინარე თეთრი არაგვის და იორის შუა, ხოლო მეორე ტოტს (ლავას) დიდ მანძილზე, აღმოსავლეთისაკენ უდენია, რომლის ტალღები მესამასე ვერსზე შირაქის ტრიალ მინდორში თავდება. აი, ამ ტოტს, ვაკე მთას, ეწოდა: გომბორი, შუამთა და ცივი.

ბორბალოს მთის საყინულე აძლევს ორ უმთავრეს მდინარეს კახეთისას სათავეს, ალაზანს და იორს, ამ ტყუპ მდინარეთა შორის ვეშაპივით გაწოლილა ხსენებული გომბორის მთა, რომელსაც შეუქმნია მარცხნივ უცხოდ შემკული ტურფა ალაზნის ხეობა და მარჯვნივ — არანაკლებ განთქმული ივრის ხეობა. აი ამ გომბორის ვაკე მთაზე გაშენებულია თიანეთი (3677 ფუტი), თელავი (2420 ფ.) და სიღნაღი (2886 ფ.). ამ მთას და მის ხეობა ღელეებს დაჰხვევია: თუში, ფშავი, ღლიღვი, ხევსური და ამათ ქვემოთ, ერწო-თიანეთი და მთლად კახეთი — გარეთ-კახეთი, შიგნით-კახეთი, უკანამხარი, წინამხარი და ქიზიყი. გომბორის მთა აჭმევს, ასმევს, ჰკვებავს და ინახავს სამი მაზრის აუარებელ ხალხს, საქონელს, ნადირს, ფრინველს, ტყეს და ყოველ ცხოველს და მცენარეს.

გომბორის მთის ბოლოში შექმნილია თვალუწვდენელი მინდორ-ვაკე, ნავთის წყაროები და ხრიოკი უდაბნო, რომელსაც მდინარე იორი თითქმის შუაზე ყოფს.

იორისა და მტკვრის შუა მინდორს დარქმევია ქვემო ყარაია და ამის ბოლოს არის ჯეირან-ჩოლი. იორსა და ალაზანს შორის მდებარეობს საზამთრო საძოვრებით განთქმული შირაქის თვალუწვდენელი მინდორ-ვაკე.

ჯეირან-ჩოლის ბოლოზე სამუხის ბინებთან პატარა ალაზანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(მდ. იორი) უერთდება, გულში ეკონება თავის ღვიძლ ძმას, დიდ-ხნის უნახავ, დიდ ალაზანს.

ალაზანი იორს რომ შეირთავს, ბევრს უხვევს მარჯვნივ და მარცხნივ (ექვს ვერსს მაინც), ძალიან უმძიმს საყვარელ სამშობლოსთან გამოთხოვება, მისი დატოვება, იცის ბუნების წესი, რომ უკან ვეღარ გაბრუნდება და ბოლოს ჯავრისაგან თავს იკლავს, კლდეზე ვარდება, ბევრი ძებნის შემდეგ უპოვია ერთ ადგილას ცხრა ადლი სიმაღლე კლდე, ტინი და მთლად ზედ გადადის, თავს იმსხვრევს, ისეთი საშინელის ძალით ჩაქუხს, რომ ყურთასმენა არ არის.

კლდიდან გადმოვარდნილი, დაღრენილ უფსკრულში შთანთქმული, ფრთებდალეწილი ალაზანი ვეფხვივით აქაფებულ ქოჩორს ისწორებს, ძლივძლივობით წელში იმართება და ცოტასაც რომ გაივლის, მერე სამარადისოდ კარგავს თავის სახელს, დიდებულ მტკვარს უერთდება. სწორედ, აქ განჯის ბოლოს, თავდება კიდეც საქართველოს საზღვარი, რომელიც მდებარეობს თბილისიდან 256 ვერსის მანძილზე.

— თუ უკაცრაოდ არ ვიყო...

— ბრძანეთ, თავადო!

— ჩემს პატარაობას, მახსოვს, კახეთში ჩვენი თავადობა, — მამაჩემი და სხვანიც აგრეთვე შეძლებულნი გლეხნიც, რთველს რო გაათავებდნენ, ურმებს შეაბამდნენ ყევარ-ყევარს და სალიანში გზავნიდნენ ხმელი თევზისთვის (დოში, ზურგიელი), ზოგიც ყულფში მიდიოდა მარილისათვის, ხოლო, ვინც ღონიერი იყო, ის აქაც ამოდიოდა სათათრეთში (ყარსის მხარეს), აღზევანს მარილისათვის, მაშინდელს აქეთაა, მახსოვს, მეურმეები იტყოდნენ ხოლმე: „სალიანის გზაზე, ერთ ადგილას, ჩვენი ალაზანი უშველებელი კლდიდან ვარდება, მერე რა დიდ მანძილზე გადადის მალაყს, რო იცოდეთ, — ქვეშ ურმით ისე გაუვლიდით, რომ ერთი წინწკალი რა არი, ერთი წინწკალიც არ მოგვხვედრიაო!“

— ეგ მართალი ბრძანებაა, თავადო, მეც გამიგონია, მაგრამ შარშან ერთმა ფშავმა, მეცხვარეთა სარქალმა, მითხრა: ი ტინი და კლდე ალაზანს ჩაუთხრია და ახლა ისე ვეღარ გაუვლით ურმით ქვეშ, რომ არ გაიწუწოთ. ჰოდა, თავადო, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ეგ მაგრეც უნდა იყოს.

— ალაზანი მექანიკური და ქიმიური ძალით ყოველწლივ ცვეთს, ღრღნის, ფხეკავს ტინს და კლდეს, კიდევ რამდენიმე საუკუნე და იქნება სულაც ჩათხაროს...

— ვა! პარონებო... სმენა იყოს და გაგონება, ზიარების მადლმა, რომ ჩემზე კარგად ეგ ადგილები არავინ იცის, ყოველწლივ მაგ ადგილას შემოუვლი ას ბინას მაინც.

— მერე რისთვის ირჯებით ხოლმე, პარონ ხაჩატურ?

— მაშ, ვა! ბეებს ზამთარში ვურიგებთ, მატყლი სხვას არ მიჰყიდონ. ჰა! მიგდეთ რაღა ყური... შირაქზე და ჯეირან-ჩოლის მინდვრებზე ზაფხულში არ იდგომილება, ისე ძლიერ ცხელა, რომ ერბოკვერცხი შეიწვის, რაღა! მაგრამ რას იტყვით, რომ ზამთარში, ვენაცვალე ღმერთს, ქვეყნის დამბადებელს, ზამთარში კი ამისთანა დალოცვილი საზამთრო საძოვარი ცხვრისთვის, მოგახსენებთ, პარონებო, რომ ჩემმა მზემ არსად დუნიაზე არ მოინახება. რაც გინდ დიდი ზამთარი იყოს, აქ თოვლი არ იცის და, თუ მოვიდა, იმ დღესვე დნება, რაც რომ თრიალეთში და აქ, არტაანის იალაღებზე, ზაფხულში ცხვარი მოდის, სულ შირაქს და ჯეირან-ჩოლს ეფინება შემოდგომა-ზამთრობით. ჯერ მე ვიცი ას ბინაზე მეტი. თუში და ფშავი უფრო ეტანება ჯეირან-ჩოლს. იქით კი, დედოფლის წყარომდინ, შირაქზე ამაყი ქიზიყელების ბინებია.

— ის როგორღა იყო, ხაჩატურ-აღა, რომ ამბობ, ზამთარი არ იცისო ქიზიყელმა მეცხვარემ რომ დაიკვეხა: „ჰი, ვენაცვალე ღმერთს, მარტი ისე გავიდა, რომ ერთი ქეციანი ბატკანიც ვერ მომიკლაო“. ეს რომ გაიგო მარტმა, კაცი აფრინა აპრილთან: „თუ ძმა ხარ, ერთი სამიოდე დღე მასესხე და მე ვაჩვენებ სეირს მაგ თავხედ მეცხვარეს! არადა, როგორ მოგწონთ, ნიშსაც რომ მიგებს! დიაღ, უცხოა, თქვენმა მზემ“. აპრილმა ასესხა. ამოუშვა მარტმა ნამქერი, მერე რა ნამქერი, ვერა სულდგმული გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა. მეცხვარეც გაუჯიბრდა მარტს: ჩასვა გუდაში კატა, მოუკრა პირი და ფარეხის ჭერში ჩამოკიდა. კატამ დაიწყო გუდაში ფხაკუნი და ცხვარი ხომ აბუეტია, ერთს გაუკვირდა, მეორეს და მთელი ფარა ცხვარი მთელ სამ დღეს იმ კატის ოინს შესცქეროდა, ფხაკუნი აკვირვებდა, გატაცებული იყო. ამგვარად, აჯობა მეცხვარემ მარტს — მთელი ფარა ცხვარი შიმშილს გადაარჩინა და აპრილმაც შეიბრალა ცხვარი და ისეთი მზე ამოვიდა, რომ ქაჩალს თავს დაწვავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა ბრძანებაა! ლათაია, სიტყვის მასალაა, რაღა... გამიგონეთ, პარონებო... სოფელ დიდ სამუხში ცხოვრობს დღეს თითონ ამ ადგილების პატრონი — შარიფ-ბეგი შამხალოვი და მთლად მისი გვარეულობა შვიდი კომლი. სოფელი კი დიდია, ას კომლზე მეტი იქნება, სულ შიიტები არიან, შარიფ-ბეგს ცხენის ზაოდიც აქვს და ძალიან კარგი ჯიშის ცხენებსაც ინახავს, ყარაბახს, არაბს და სხვა. აქაურობის იშხანია, ელი!

— მართალი ხარ, ხაჩატურ-აღა... ნათქვამია: უპატრონო ეკლესიას ალები დაეპატრონებიანო. ეგ მაგრეა დღეს, ხოლო უწინ, ჩვენი მემატიანეს სიტყვით, აქ ალაზნის და იორის შორის, გაძლიერებული იყო ქართველთა ცხოვრება, აქ ყოფილა „საერისთაო და ქალაქი ჰერეთი". და უფრო ქვემოთ ქალაქი მოვაკანი (ალაზნისა და მტკვრის შესართავთან). ხოლო თამარის დროს აქ, მტკვრის მარჯვენა კიდეზე, გაიხსენეთ, ბატონებო, შანქორის (და დოვინის) დაჭერა 1203 წელს. დიაღ, რა ბრძოლა იყო, რა საშინლად დაამარცხეს ქართველებმა აუარებელი მოზღვავებული მტერი. აქ იბრძოდა თვით დავით სოსლანი (რომელიც იყო ქმარი თამარისა) და ამირ-სპასალარი ზაქარია ძმით იოანეთი. აქვე მოართვეს სოსლან დავითს დროშა დამარცხებული ათაბაგისა, ხოლო შანქორელთა კლიტენი ქალაქისანი. ალაფთა უმრავლესობისაგან თამარმა „წარგზავნა დროშა ათაბაგისა ხახულის ღვთის-მშობლის წინაშე, ვითარცა პაპამან მისმან მანთაკი ყაისის ძისა".

ბოლოს სამუხის არემარის შესახებ ამბობს ვახუშტი: „და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას (ჰერეთი) და იყო ქალაქი და ციხე ყრუმდე და ბერქამდე (1260 წ.) შემდგომად მოოხრდა და აწ ოხერ არს".

IX

ამგვარად, ამ მარჯნის წყაროდან, ვიდრე საქართველოს საზღვრამდე (სოფ. დიდი სამუხი), მტკვარი გადის 726 ვერსს, მაშასადამე, ალაზნის შეერთების შემდეგ მტკვარს კიდევ რჩება გასავლელი 518 ვერსი, ჩაივლის ქვემო ქვეყნებს, მდინარე არაქსაც მარჯვნივ შეირთავს და წყალმრავალი მტკვარი სამარადისოდ უერთდება კასპიის ზღვას, აქ მტკვარი ორტოტად იყოფა, რომელთა შუა კუნძულივით მდებარეობს პატარა ხმელეთი, ე. წ. სალიანი.

მართლაცდა, ამ დიდებულ ქდინარეს — მტკვარს, გარდა იმისა, რომ 1244 ვერსის სიგრძე აქვს, თან უშველებელი ადგილი უჭირავს თავისი ტოტებითურთ. სტრელბიცკის გამოანგარიშებით, მტკვრის ბასეინის არემარე უდრის 136.355 კვადრატულ ვერსს! არცთუ საკვირველია, რადგანაც ყუბა-ლენკორანს გარდა, მთლად აღმოსავლეთი საქართველო და ქვემო ქვეყნები მტკვრისა და მისი ტოტების ბასეინს, ხეობა-ღელეებს უჭირავს.

ჯერ 1814 წელს სცადეს და კასპიის ზღვიდან მტკვარ-მტკვარ, სამუხამდე ამოვიდნენ დიდრონი ნავებით. დღეს კასპიის ზღვიდან ხომალდები ამოდიან, ვიდრე სოფ. ზარდობამდე (320 ვერსს).

წელიწადში სულ ცოტა, ათასამდე დიდი და ორ ათასამდე პატარა ხომალდები ადი-ჩადიან მტკვარზე. უმთავრესად თევზის საჭერად დაცურაობენ და ამ მიზნისათვის საგანგებოდაც არიან მოწყობილი. სალიანს და ზღვას შუა მტკვრიდან ყოველწლივ სამმილიონ ფუთამდე ამოაქვთ სხვადასხვაგვარი თევზი. უმთავრესად გვხვდება სვია, თართი, ფორეჯი, ტარაღანა, ორაგული, შამაია, ლოქო, ფარგა, ჭანარი, ქაშაყი, კუტუმი და სხვა და სხვ. ახლა აბა ისიც ვიანგარიშოთ, რამდენი ათასი ფუთი წელა და ხიზილალა გამოდის.

არაქსის შესართავიდან ვიდრე ზღვამდე მტკვარი ისეთი მდიდარია თევზით, რომ ამისთანა ძვირფასი ადგილი მთელ ქვეყანაზე არ მოინახება! ეს ღვთივკურთხეული ადგილი ხაზინას ეკუთვნის და იჯარით გასცემს ხოლმე.

— ახლა, აბა, დამისახელეთ, ვინ იცით, საქართველოს საზღვრებში მტკვარში რა და რა თევზი ბუდობს?

— კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ, ბატონო, და მაგის პასუხს მე მოგახსენებთ, — წინ წამოდგა ჯავახელი გლეხი და დაიწყო: — ამ არტაანიდან იწყება ჭანარი ბლომად. ზოგჯერაც აქ გვხვდება, დიდრონი კალმახი 17-20 გირვანქა. საიდანღაც გადმოვარდება ხოლმე დიდ ავდრობას. წვრილი კალმახით ხომ აქაურობა სავსეა, ყველა მდინარეში იცის. კიდევ ვარძიასთან იცის ჭანარი 17-18 გირვანქა, აქვე ვარძიის მორევში იცის ლოქო, მერე ასე ჩაყოლება ხერთვისისკენ ბევრი გვხვდება ციმორი, ლურჯა, წითელი თევზი, შავი თევზი, ქონა, კარჩხანა, გოჯა, მურწა, ნაფოტა, სალამურა (შვიდი თვალი აქვს მარჯვენა გვერდზე, ამიტომ დაურქმევია სა-

ლამურა). ვარძიასთან თითო იმისთანა კალმახი გვხვდება, რომ, თუ კარგი მებადური არა, კალმახს ვერ დაიმორჩილებს, დიდი ონავარი თევზია და ძლიერაც უსხლტება კაცს ხელიდან. ერთიც რა უნდა გაცინოთ, ბატონებო, ფაცერში, როცა ჭანარს იჭერენ, ჯერ ხელათ, საჩქაროთ ორმოებში ჰყრიან, ახლა ვინც კაი ბიჭია და ჭანარს ორმოდან ამოიყვანს! ჰოდა, ჯერ უნდა გვერდები დაუფხანო, ძლიერ იამება, ისე რომ სულ გაყუჩდება. აი, სწორედ ამ დროს, ი თვლემას რო დაიწყებს, უნდა წააპარო ხელი, სტაცო ლაყუჩებში და ისე თავიდან დაჭერილი ამოიყვანო. მოჰყვება ბოლოს ქნევას გაცხარებული, მაგრამ სადღა წამივა!

— ვა! მეც ვიცი ახარ, თევზები. ალაზანში თართს და არაგვში ორაგულს რა თევზი სჯობია! თიფლისის ცოცხალს კი, მე ვიცი, დაიწუნებთ, აი! გურჯაანის ბოლოს მე კონი მინახავს ალაზანში დაგუბებული, იქ რო თართი ამოდის, ჰაი გიდი, ჰა! ჰა! რას იტყვი, კნიაზ?!

— მოითმინეთ, ხაჩატურ-აღა, განა ჩვენ კი არ ვიცით, ჯავახეთში აი, იმ ვარძიიდან ჩაყოლება ოჩხები ვიცით. მარტო ხიზაბავრელები წელიწადში ისე როგორ იქნება, რომ საყველიეროთ ქუთაისში ასი თუმნის მეტი არ გაყიდონ ფიჩხული თევზი[1]...

— ახლა კი გვეყოფა თევზებზე ლაპარაკი. აბა, ჯავახელო, ისევ შენ, აბა, ჩამოთვალე, რა ფრინველი გვხვდება მტკვრის ხეობაში?

— მე ისევ ჯავახეთის საზღვრებში მოგახსენებ, მაგრამ ყველანაირად მოვიგონოთ!

ჯავახეთ მინდორ-ვაკესა
მწყერსა ვუგებდი მახესა,
იქ ქალი შემომეჩვია,
მალ-მალ მომიშლის მახესა,
— გოგოვ ნუ მიშლი მახესა,
თორემ შეგიშლი სახესა.

— აი გიშველოს ღმერთმა! მერე? მერე რა? ჯერ ერთი, რო მწყერი ძლიერ ბევრი იცის ზაფხულობით, აქ კი მტკვრის ხეობაში

---

[1] მდინარე ხრამში (წალკაშია) დაჭერილ მოხარშულ თევზს ჰქვია ხრამული, ოჩხებში სხვაგან დაჭერილს — ფიჩხული, რადგან ორმოებში ფიჩხსაც ახმარებენ.

იცის: არწივი, ორბი, ძერა, ქორი, კარკიტა, ყვავი, კაჭკაჭი, საკვირ-
ველია, ბატონო, რო კაჭკაჭი როდი ამოდის ზევით, ჯავახეთში.

— მაგას რა დიდი გამოცანა უნდა. ჯერ-ერთი, რომ ცივა და, მეორეც, კაჭკაჭს ხილის ბაღები უყვარს, ჯავახეთის მინდორ-ვაკეზე კი არაფერი ხილი არ ხარობს.

— მერე კიდევ იცის: ღალღა, იხვი, ბატი, (ყარძახის ტბა სავსეა ბატით), გარიანი, ყარაბათლახი, ლაგლაგი. მთელ ჯავახეთში, ყველა სოფელში საგანგებოდ უმზადებენ ბუდეს მაღალ ბოძზე, ისე რომ მთელ სოფელს თავს დაჰყურებს. საკვირველია, ბატონებო! ყოველწლივ, გაზაფხულობით, აუცილებლივ ერთსა და იმავე დროს, მოდის, მარტის 8-ს თუ გადაცილდა, 9-ში მოუსვლელი არ დადგება. ყველას გვიყვარს და მისი მკვლელი, სულ ერთია, კაცის მკვლელად მიგვაჩნია! თუ არ გამიჯავრდებით, ერთ მასალასაც მოგახსენებთ. ყაღრამან ბეგმა აბაშიძემ, თოკელა ბატონმა, ე, ღმერთმა ისიც თავის რჯულზე აცხონოს... თუმცა მაჰმადიანათ მოკვდა, მაგრამ სულ ერთია, ე ღმერთი ხო ერთია, თანაც ვინ იცის, იმის გულში ვის ჩაუხედია, იქნებ ქრისტესაც ლოცულობდა... მაგრამ იმისთანა დარბაისელი სახით, ნამდვილი ქართველი მე ქართლშიაც არ მინახავს. მერე რა ქართული სიტყვა-პასუხის პატრონი იყო ი ცხონებული... ჰოდა, ეკლესია-მონასტრები საიდან ააშენა თამარ მეფემაო?! ერთხელ თამარ მეფეს, ვარძიაში ზაფხულ რო ბრძანდებოდა, ერთი ფეხმოტეხილი ლაგლაგი მოჰგვარეს. თამარ მეფემ მაშინათვე თავის ხელით დაფქული ნახშირი მოაყარა, ფეხი არტახებით შეუკრა და შვილივით უვლიდა ლაგლაგს. იმ ზაფხულს არაფერი და მეორე ზაფხულის ბოლოს ფეხგამთელებულმა ლაგლაგმა ვეღარ გასძლო, გაიპარა... ალბათ სხვა ლაგლაგებს გაჰყვა სხვა ქვეყანაში, საზამთროთ. თამარ მეფე ძლიერ დაღონდა, მაგრამ მესამე ზაფხულს იპრიანა ღმერთმა და აკი ი ლაგლაგი პირდაპირ კალთაში ჩაუფრინდა თამარ მეფეს! თამარს საოცრად გაეხარდა, მიუალერსა, მაგრამ ლაგლაგი როგორღაც ხელიდან გაუსხლტა და გაფრინდა, გაოცებულ თამარ მეფეს კალთაში კი ორი წინდის ჩხირი აღმოუჩნდა — ერთი ოქროსი იყო და ერთი ვერცხლისა. ასე გადაუხადა ლაგლაგმა მეფეს ამაგი. ბოლოს აღმოჩნდა, რო ი ვერცხლის ჩხირით რძეს რო მოურევდა — სულ მთლად რძე ვერცხლად გადაიქცეოდა და, თუ ოქროს ჩხირით მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევდა, ოქროთ გადაიქცეოდა. მას აქეთ მოჰყვა თამარ მეფეს**ა**ც და თავის სახსოვრად სულ ციხე-მონასტრები ააშენა მთელს **საქართველოში... ახლა კი, ბატონო,** მე ჩემი ვთქვი და **გავ**ათავე... **მაგრამ** თავიდათავი კი არ მოვიგონე:

კაკბისა მოსატყუარსა
ვაი-ვაგლახი მელსაო...
გქონდა მუცელი მშიერი,
რაღა დიდება ღმერთსაო.

ძლიერ ბლომათ იცის აქ კაკაბი, გნოლი, გარეული ქათამი.

— მოიცა ეგ რა ლექსი იყო?

— ეგ, ბატონო, მშიერმა მელიამ თურმე კაკაბი დაიჭირა და ის-ის იყო, პირისკენ რო გააქანა, კაკაბი შეევედრა: **მელიავ,** ე ხო სულ ერთია შენი ლუკმა ვარ და ჯერ ღმერთი ახსენე, ღმერთს შეევედრე და მერე ისე შემჭამეო. მელიამ ტოტები ზეცას აღაპყრო და კაკაბი გაფრინდა. ჰოდა, თუ გნებავთ, კიდევ მოგახსენებთ... იცის აგრეთვე ჩიტები: ბულბული (დაბლა ხეობაში), ჭანჭრაქა, მერცხალი, ფუტკრიჭამია, წანწკალა (ბოლოქანქარა), ოფოფი, გუგული...

— მოიცა, მოიცა, ჯავახელო! შენ გაგიგონია ახალი ამბავი... სულთან მურადმა შარშან ფირმანი გამოსცა: „სასტიკად მიბრძანებია ამიერიდან საქართველოში ოფოფმა კუკუ იძახოსო!“ თქვენში ოფოფები ასრულებენ ამ ფირმანს თუ არა?!

— აქაოდა, და ჯავახელიაო...

— ჩანს, არა გჯერა, მაშ იცი, რა! შორაპანს წაბლის მოსატანად **რომ წახვალ, იქ** იკითხე **თამაზა** და მაქსიმე. იმათ ტკაცუნაზე სულთანის ოფოფები მოსულან და მთელი ზაფხული თურმე კუკუს გაიძახოდნენ.

— შე დალოცვილო და, შორაპანს მაგისთვის რად მგზავნი, **კნიაზო, ჩვენშიაც** მეგულვის ერთი მაქსიმე. ამასაც ბევრი ოფოფები ჰყავს.ე ხუმრობა იქით იყოს. ნება მიბოძეთ, ბარემ გავათავო... **აი,** კიდევ მომაგონდა: ტბაზე იცის თევზიყლაპია (თეთრი ფრინველია **გუბეებისა — რუსები** ცაპლიას ეძახიან), ზაფხულობით კიდე **მოდის** აქ ერთი **შესანიშნავი ფრ**ინველი ყარყატი — ესეც თეთრია, **მძიმე ფ**რინველია, **ცხვრ**ის ოდენა იქნება. დიდ ჩინჩახვიანი, გრძე-

ლი წითელი ნისკარტი აქვს. წყალში ცურაობს, როგორც ბატი, და თევზზე ძლიერ მოხერხებულად ნადირობს, ბოლო არა აქვს, ისე დროებით ამოდის, იშვიათი სანახავია, მაგრამ, ბატონო, თავიდათავი კი დამავიწყდა: წერო. ამაზე ლამაზი ფრინველი არა მგონია სადმე იყოს. გედი ხო ქებულია, მაგრამ ჰაეროვნებით წერო აჯობებს.

— ვა! ახარ, ინჩე ასუმ! ნადირობა გინდათ, ყარაიაზე მოდით, იქაც მტკვარი არ არის?! მართალია, თქვენი ჯავახური კაკაბიც შამფურზე კარგია, მაგრამ იქაურ ხოხობს აბა რა შეედრება. პა, პა, პა... ჩახოხბილი და ზედაც მაშარაბი, (ბროწეულის წვენი)... ან კი ბროწეული რად გინდა, იქვე ყარაიაზი თუთუბოს ბუჩქებით არის სავსე, დაკრიფე თუთუბო და დაწურე. აბა, ჰა, მეც რას ვამბობ, ხოხობი ხო კახეთშიაც ბევრი იცის, მაგრამ ჯეირანი?! ვა! მაუ რათ ეძახიან ჯეირან-ჩოლს, ახარ... ჯეირანით სავსეა იქაურობა, აი მწვადი! მეფეს ეკადრება.

— ეგ მართალი ბრძანებაა, ხაჩატურ-აღა ყარაიას, ანუ ყარაიაზს, ვახუშტიც გვიქებს: „არს ველი დიდი ყარაიასა, სავსე ქურციკითა,[1] რომელსა მონადირეობდნენ მეფენი წლითი-წლათ, ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა, დიდი სავსე ეშვითა[2], მშვლითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა, ირემი იმყოფების ჟამათ, და ხოხობნი მრავალნი“.

— დაიცათ, ბატონებო, ახლა ზოგიც მე მათქმევინეთ, განა აქ კი არ იცის სანადირო. უწინ აქ გარეული თხაც იცოდა, იშვიათად ირემიც ხვდებოდა აბულთან, მაგრამ ახლა ხალხი გამრავლდა, ნადირი დაფრთხა, თანაც, სადაც ტყე და ბუჩქი იყო, ხალხმა უდიერად გაჩეხა, თორე დათვიც იცის აქ. მაგრამ ვისაც საქურქედ კარგი ბეწვი გინდათ, ყუვთიკივით რბილი, ეგ აქ მოიკითხეთ. ბევრი იცის კვერნა (თათრულად სამსარი ჰქვიან, თითო 7-8 მან. იყიდება), ამ მტკვრის ხეობაში ლამის ზემოთ, ჯავახეთშიაც, იცის წავი (წყლის ძაღლი), თითო 10-15 მან. ღირს. მგელს და მელას ხო ყოველწლივ აუარებელს იჭერენ მახე-ხაფანგებით და სწამლავენ წამლით. კიდევ რა გითხრათ, აქაც და ჯავახეთშიაც ტბაზე ბევრი

---

[1] ჯეირანი.

[2] გარეული ღორი.

იცის ჭოვილო, ჭანჭრობში ზის, მწყერსა ჰგავს, ნისკარტი გრძელი აქვს, ანაზდად აფრინდების — რუსები ბეკასს ეძახიან, ძლიერ გემრიელია. ერთიც, ბატონებო, აქ რო ჯოჯო იცის (ხვლიკსა ჰგავს), საქართველოში სხვაგან არსად მინახავს. რასაკვირველია, აქაც იცის გველი, ხვლიკი, გველხოკერა, ბაყაყი და სხვ. ერთნაირი კიბორჩხალაც მინახავს მტკვარში — ორმოცფეხას ეძახიან, გვერდგვერდ დადის, მიცურაობს, წყალში ცხოვრობს.

X

რა ხანია თურმე თავზე მედგა, ყავარჯენზე დაბჯენილი, ჩვენი მასპინძელი ედიგარ-აღა და დანიელს თვალს უშვრებოდა — კარგით, გეყოფათ ამდენი ლაპარაკი... ე სადილობის დრო გავიდა კიდეც და რაღა მადლი ექნება შეჭამანდებსაო. ქამარზე თურმე ხელს ივლებდა: ხედავ, ქამარი მომეშვა, ძლიერ მშიანო, ჩვენც ყველანი ისე უსიტყვოდ გავყევით ჩვენს ძვირფას მასპინძელს, თურქს.

რაღა თქმა უნდა, სადილი მეფური იყო, მხოლოდ ის კი ვერ შევნიშნეთ, რომ შემწვარსაც (ხორცეულს) თაფლს და შაქარს უმატებენ. ერთმაც გამაკვირვა: კიტრი, მწვანილი და მსხალი ამშვენებდა ჩვენს სუფრას, აღმოჩნდა, რომ აქ ბლომად მოდის ყველა ნობათი ართვინიდან. აქვე არსიანის მთაზე მოკლე გზით გადმოდიან თურმე.

სადილზე ლაპარაკი თითქმის რომ ლექციის გაგრძელება იყო, ესე იგი, დანიელი უხსნიდა, უთარგმნიდა ჩვენს მასპინძელს, რაზედაც იყო ბაასი. მასპინძელი ედიგარ-აღა მოლას რაღაცაზე შეეკამათა. გამოჰკითხა ყველაფერი და ბოლოს იმაზე გაცხარდა: აღმოჩნდა, რომ მოლას მხოლოდ მარჯან სუ უჩვენებია, მაშინ როდესაც იქვე თურმე არის კიდევ მასზე უკეთესი წყარო „ჯუნჯუხ ფაური", რაიცა ნიშნავს მარგალიტის წყაროს. ეს წყაროც სათავე არის მტკვრისა და წმიდა წყაროდ მიგვაჩნიაო. ნასადილევს მთლად ჩვენი კრებული კარგ გუნებაზე იყო. ყველას აღგვეძრა ცნობისმოყვარობა და დიდი ხალისით გავეშურენით ისევ მტკვრის სათავის სანახავად. მით უფრო, რომ ამდენ ყაურმა-ფლავს მონელებაც უნდოდა თუ არა!.. ჯერხანად არ იღებდა მონაწილეობას ჩვენი

ლექტორი, რადგან მეორე დილით წასვლას ემზადებოდა, მეც
უიმისობა როგორ მოხერხდებოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგვიძღვა წინ ჩვენი მხცოვანი მასპინძელი თავისი განუყრელი თავჯვარედი ყავარჯენით, მარჯვენა ფეხით ცოტათი კოხტაობდა, „მარჯნის“ წყაროთი მოხიბლული მე ახლა „მარგალიტის წყაროთი“ ვვოცნებობდი.

ჩვენი ფეხის ხმას ქალებიც აჰყვნენ, ესენიც დაგვედევნენ, მაგრამ შორი-ახლოთ, კრძალვით, რიდით, ჩვენმა წინამძღოლმა ვითომ დატუქსა კიდეც თავისი ჯალაბობა, „რად მოდიხართო“, მაგრამ ეს უფრო, მგონი კი იმიტომ, რომ უფროსს სახლისას ხომ რამე უნდა ეთქვა, რადგან „ჰმართებს დედაკაცსა მამაკაცის დიდი კრძალვაო“.

ერთს საათს არც კი გაევლო, ჩვენ უკვე მოვუსხედით მშვენიერ „მარგალიტის წყაროს“ და ხარბად შევსვით აზარფეშით ეს უმწიკვლო, ცივ-ცივი მთის წყარო. რამდენჯერმე ალავერდ-იახშიოლით მოვირიგეთ.

ეს წყარო მდებარეობს „მარჯნის“ წყაროსაგან ქვემოთ, ასე, ასი ადლის მოშორებით, ჩრდილოეთის მხრივ, ესეც კლდიდან გადმოჩხრიალებს, გადმოსჩქეფს, მთელი ეს მიდამო, ვაკე-ჭაობიანი ღელე, მოფენილია პატარ-პატარა წყაროებით, რომელნიც ემატებიან „მარგალიტის“ ნაკადულს. ამგვარად, „მარჯნის“ და „მარგალიტის“ წყაროთა შერთულ ნაკადულს დარქმევია ქართულად „მტკვარი“ და არაბულად „ქიურ“, „გიუნ“ და სხვ.

მე მომაგონდა რომ ამისთანა ჭაობიან ღელეებში ბუზი-წუწნას უყვარს აღმოცენება, მოლა გავიძღოლიე და ძებნა დავუწყე შესანიშნავ მცენარეს, რომელიც ხორციელით იკვებება, მწერებს იჭერს. ჩემს მაგალითს სხვებიც მოჰყვნენ, თუმცა მგონი კი უფრო იმიტომ, რომ ახლა ქალებისთვის დაეთმოთ „მარჯანი“ და „მარგალიტი“. ერთ კორდზე ავედით და კლდიან ბაქანზე ჩამოვსხედით დასასვენებლად. ამით ისარგებლეს ქურთის ქალებმა და ქალი და რძალი წყაროებს დაეხვია. თავისებურად შეულოცეს თუ ილოცეს, არ ვიცი, მერე კი კენჭები ამოკრიფეს ორივე წყაროდან და შინ მიჰქონდათ...

— დანიელ! შენ ერთი, თუ ხათრი გაქვს, გამიგე, რას ცელქობდნენ, რას ეშმაკობდნენ ეგ ქალები?

— ეგენი, ბატონო, ჯადოქრები არიან, ვინ იცის, რომელს ქალ-
ჯებს მსახურებენ.

— არიქა, დანიელ, გამისწრეს! შენ ხომ შელაზღანდარავებული ხარ, რისა გერიდება!

დანიელა გზაში გადაუდგა შინმიმავალ ქალებს.

— აი, უყურეთ, ბატონებო, კენჭებს. ასე მოგახსენეს, „მარჯნის“ კენჭებს თავის საბან წყალში ვხმარობთ, ვისაც უნდა მარჯანივით წითელი ლოყებიო. „მარგალიტის“ კენჭებს კი ხმარობენ, როცა უნდათ, რომ სახე მკრთალად, სადაფივით უპრიალებდესო.

კენჭები გავსინჯეთ, მართლაცდა ზოგი წითელი იყო, ზოგიც თეთრად პრიალებდა.

— ბატონო დანიელ, თუ მოსე და მისი დაბადება გწამს, აბა მაგ ჩვენს მასპინძელს, ედიგარ-აღას ჰკითხე, დაბრძენებული კაცია და გაგონილი ექნება, რად ეძახიან ამ წყაროებს მარჯანს და მარგალიტს? — მიჰმართა ჩვენმა ლექტორმა.

— დღეგრძელი ხარ, კნიაზ! მე თვითონ მინდოდა თქვენთვის მეკითხა, ამათ ე რა შავი ქვა იციან!

— არა, დანიელ, საყურადღებოა, მაინც რა გენაღვლება, ჰკითხე!

— მოლაც და მასპინძელიც ასე მოგახსენებენ, კნიაზ: უწინ, როცა სიმართლე და პირის წყალი ყოფილა, მარჯნის წყაროს მარჯნის კენჭები ამოჰქონდა და მარგალიტისას — მარგალიტი. ახლა კი ცოდვისა გვეკითხაო... ჰოდა, რჯულის მადლმა, იქნება მართლაც ამოჰქონდა, კნიაზ?!

— არა, ჩემო დანიელ, მარჯანსა და მარგალიტს აქ რა უნდა, მარჯანიც და მარგალიტიც ზღვის ცხოველები არიან, თქვენ კი კენჭებად მიგაჩნიათ. აი, მაგალითად, ნამდვილი წითელი მარჯანი, ჩვენი ქალები რომ ძვირფას სამკაულად ხმარობენ, ცხოვრობს ხმელთაშუა ზღვაში, აგრეთვე ადრიატის ზღვაში. მარჯანი ეკუთვნის რვა სხივოსან პოლიპებს.

— არა, კნიაზ! აბა, რას ბრძანებ, რჯულის მადლმა, მე თვითონ მივაჭრია, — მარჯანი, ფირუზი, ლალი, ზურმუხტი, მარგალიტი, ქარვა, იაგუნდი — ყველანი ძვირფასი ქვებია და სხვა არაფერი!

— ნება მიბოძეთ, ერთი კითხვა მივცე დანიელას, — ვთხოვე მე ლექტორს, — დანიელ! ჯერ ერთი შენი შეცდომა ისაა რომ ქარვა

ფისია და არა ქვა. მეორეც ესა, შენ რომ ძლიერ თავი მოგაქვს „ძვირფას ქვებს ვიცნობო“, აბა, მაშ, დამისახელე, მღვდელმთავრის ჰარონის შესამოსელზე რა და რა ძვირფასი თვალნი ისხდნენ? ხახამი ხარ და რჯულის წიგნი იცი, ხომ?

— სახელდობრ, რა მოგახსენო, და ვიცი კი მხოლოდ, ათორმეტნი თვალნი ესხდნენ, იყვნენ ნაკვერცხლის ფერნი...

— მაშ კარგი, დანიელ, მე ჩამოგითვლი და შენ დაიხსომე: ამეთვისტო, ანთრაკი, აქატი, ბირვილი, იასპი, ლიგვირი, ოქროსქვა, თოპაზი, სამარაგდი, საფირონი, სარდიონი და ფრცხილი.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ბატონო! ჩვენ თუ ვიცით, ებრაულად ვიცით ეგ სახელები ე და ბატონო... ეგრე კარგად საიდან შეისწავლე.

— დაბადებიდან. ეგ კი არა, დანიელ, ჩვენ, აი, ვსთხოვოთ თავადს, ბუნებისმეტყველებიდან გვიამბოს მარჯნის და მარგალიტის ცხოვრება, ხოლო ამ წყაროებს რად ჰქვიათ მარჯანი და მარგალიტი, მაგას მერე მოგახსენებთ, ხალხში თქმულებაა დარჩენილი, მშვენიერი ლეგენდა მაქვს ჩაწერილი.

ამ დროს მასპინძელმა ბოდიში მოითხოვა, შინ წასვლა დააპირა, ჩვენც ჯერ ვთხოვეთ დარჩენილიყო (ზრდილობისათვის) და მერე კი მადლობით გავისტუმრეთ.

— მაშ, გთხოვთ, ბატონო ლექტორო!

— მე დიდი თხოვნა არ მჭირდება, ჩემი აზრით, უფრო შესაფერი და საყურადღებო იქნებოდა, ჯერ ლეგენდა გეამბნათ... მაშ, მოგახსენებთ მარჯნის ამბავს. განსაკუთრებით წითელი მარჯანი ცხოვრობს ადრიატის და ხმელთაშუა ზღვაში, თითოეული პოლიპი მარჯანი სათითის ტოლაა, ცალკე ბუდეში ზის! ბუდე სამკეცია და აშენებულია მარჯნისავე გამონაჟონი ლორწოიანი კირის მარცვლებით. ახალგაზრდა მარჯანი ჯერ იმას ცდილობს, თავისი კირიან-ლორწოიანი პაწია ფეხი სადმე ზღვის ქვას ანუ კლდის ტინს მოჰკიდოს, დამკვიდრდეს, მერე კი, ფეხს რომ მოიმაგრებს, არხეინად იწყებს ცხოვრებას: იკვებება, იზრდება, მრავლდება, ბერდება და კვდება.

მარჯანს აქვს პირი და საყლაპავი მილი. მის საჭმელს პაწაწა ცხოველები შეადგენენ, ზღვის ტალღა თვით უზიდავს, მოაქვს. მარჯანი კი ამ დროს პაწაწინა ციმციმა სხივებს აცაცუნებს და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კი რამ თავის საკბილო ხვდება, პირისკენ გზავნის, აქვს საჭმელის მოსანელებელი მილიც. საჭმელ-საკვებით მთელ ტანს თავიდან ფეხებამდე ჟღენთავს და, თუ რამე ვერ მოინელა, პირდაპირ უკან ისვრის, უკუაგდებს. მარჯნებშიაც არის დედალ-მამალი. მხოლოდ გრძნობის ორგანოს კი ზოგიერთი მოკლებულია. ბღარტობის დროს მშვენიერი სანახავია მარჯნის კუნწულა. ბღარტები იშვიათად შორდებიან დედას, დედაბოძს და იქვე იმავე მთავარ ღერძზე ერთიერთმანეთზე ეწებებიან.

ამგვარად, წლითი-წლობით მარჯნის კუნწულა მატულობს, ახალშენი მრავლდება, იზრდება, ბუჩქად ხდება, საამოდ ჰყვავის. თაობა თაობას ქმნის და ცვლის, ძველი თაობა რომ კვდება, ჯერ რქასავით მაგრდება, მერე კი სულ ქვავდება, ახალგაზრდობა კი მილიონობით ამრავლებს მარჯნის ბუჩქებს, კუნწულა ტოტებს.

— მოითმინე, კნიაზ, და თუ ეგ ყველა მართალია, განა არ შეიძლებოდა: უწინ უთუოდ რამდენიმე დედალ-მამალი მარჯანი მოიყვანეს და აქ წყაროში ჩაასხეს მოსაშენებლად. ამიტომაც დარქმევია „მარჯნის წყარო“.

— მართალი ხარ, ჩვენო ჯავახელო. თუმცა თქვენს მეფეებს უყვარდათ თევზთა მოშენება, მაგალითად ამ ტბა-მდინარიდან იმ ტბა-მდინარეში ჩასხავდნენ და სხვა, მაგრამ, საქმე ის არის, რომ მარჯანს მტკნარ წყალში ცხოვრება არ შეუძლია. გინდ წყარო იყოს, გინდ მდინარე. მარჯანს უეჭველად სჭირია ზღვის მარილიანი წყალი. მაგალითად, როცა სწავლული ვინმე მეცნიერი ანუ პროფესორი შეუდგება ამ პაწაწა ცხოველთა ცხოვრება-ვითარების შესწავლას, ზღვის წყლით სავსე აქვარიუმში (შუშის გეჯა) ინახავენ მარჯნებს და ისე თვალს ადევნებენ, იკვლევენ.

— მაშ, ნეტავ გამაგებინა, კნიაზ, როგორ შოულობენ მარჯანს, რა ფასშია ადგილობრივ? — შეეკითხა დანიელა.

— შენ, დანიელ, დამაცა, ჯერ მარჯანთა კუნძულებზე ვიბაასოთ. მარჯანს დიდ სიღრმეში ცხოვრება არ შეუძლია და უფრო ეტანება მყუდრო ადგილებს, ზღვის კიდეს დიდ მანძილზე არ შორდება. გადის დრო, ათასი და ათი ათასი საუკუნნონი, მარჯანთა ახალშენი, კოლონია მილიონობით და მილიარდობით მრავლდება. მთავარ ბუჩქს რაც ტოტებიდან აყვავებული ბღარტები მოშორებია, ჩამოცვენილან, ამათაც უშენებიათ იქვე მოშორებით სხვა ბუჩქები.

ქვედასართული კვდებოდა, ქვავდებოდა, იკირებოდა, ზედასართული კი ხარობდა, ყვაოდა მრავლდებოდა. მილიონი თაობა გამოცვლილა და ბოლოს ზღვა ოკეანეში შექმნილა უშველებელი ხმელეთი, მარჯანთაგან დულაბივით ნაშენი ტინი, კლდე, რიფები, მარჯანთა კუნძულები. კუნძულთა აშენებაში, რა თქმა უნდა, თვით ზღვასაც წილი უძევს, ტალღათა ძალა ამტვრევდა, ამსხვრევდა მარჯანთა ტოტებს, ჩხრიმალი ჩხრიმალს ეწებებოდა, ზღვის მიერ მოზიდული ლამი, სილა, ქვიშა, ტინი და კენჭი ამათ ემატებოდა, საუკუნეთა განმავლობაში ამგვარად ქალაქის ოდენა კუნძულები აშენებულა.

მართლაცდა, ვიდრე მეზღვაურნი გამოიკვლევდნენ, თუ სად რა მარჯნის კლდეებია ზღვა-ოკეანეში ჩამალული, მანამდე ბევრი გემი და ხომალდი იღუპებოდა, მაგრამ სულ სხვა საამო სურათს ვხედავთ, როდესაც მარჯანთა ნაშენი სართულები ზღვიდან ამოყოფენ თავს. ზღვის წყალი თუ არა აქვს, მარჯანს ცხოვრება აღარ შეუძლია და, რაღა თქმა უნდა, სულ ზემოსართული მხოლოდ-ღა გაქვავებულ კირის ტინს, ხმელეთს, წარმოადგენს. ზოგჯერაც ამ ადგილას ზღვაც დაიწევს ხოლმე.

გაეხარდათ ფრინველებს, რომ ზღვაში ხმელეთი გაჩნდა, მოფრინდნენ, დასხდნენ, დაისვენეს, იმუსაიფეს, ისაუზმეს. ზოგი ხილს შეექცა, ზოგი — თევზს ანუ ლოკოკინას, იამათ, მზეზე გული მოიოთბეს, იგალობეს, იჭიკჭიკეს, ფრინველთა მაგალითს ზოგიერთი ზღვის ცხოველებმაც მიჰბაძეს. დღეს-ხვალ, წლითი-წლობამდე ფრინველთა ნასუფრალიდან, მათი სკინტლიდან, ზღვის ტალღისაგან მოტანილი ლამიდან შეიქმნა, გაჩნდა მიწა, უშველებელ კუნძულზე, ბალახის და ნარის თესლი ქარს გადმოჰქონდა, თესავდა, ფრინველთა ნასუფრალიდანაც ბევრნაირი ხილის კურკაც ჩაითესა. ზოგჯერ ზღვის ტალღებიც სასუქივით მოჰფენდნენ ხოლმე მკვდარ თევზის მძორს, მცენარეთა თაობაც თაობას ცვლიდა, ყოველივე ეს ასუქებდა კირიან ნიადაგს. გაიარა 15-30 წელიწადმა და კუნძული საამოდ ამწვანდა, კიდევ ოციოდე წელიწადიც და თქვენს თვალწინ წარმოდგა ქალაქისოდენა კუნძული, სავსე ბუჩქნარით, ხილნარით და ბალახ-შამბნარით. ახლა კი ფრინველებმაც ჩადგეს საძირკველი, აიშენეს ბუდე, გაჩაღდა სიცოცხლე, მხიარული გალობა და ჭიკჭიკი, თანაც მხეცური ინსტინქტი — კუჭისთვის ბრძოლა, ძალმომრეობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწონა ადამიანს ეს პატარა წალკოტი, შეშურდა მცენარეთა, მწერთა და ფრინველთა ფუფუნება, თანაც, კუნძული იმდენად იყო დაშორებული დედამიწის კიდეს, ნაპირს, რომ სრულებით ვერ მიეკარებოდა ვერავითარი მხეცი. ამ გარემოებამ უფრო წაახალისა, ადგა და თვითონაც დასახლდა მშვენიერ კუნძულზე თავისი ცოლ-შვილით, შეუდგა საქმეს, დაბარა, დათესა, ბოსტნეული, ხორბლეული, გაიჩინა ერთნაირი ფრინველი და ცხოველი, თხა და ღორი და ზღვაშიაც ხომ თევზი და კიბო ულეველი იყო, სხვა რაღა უნდოდა! მის ბედს ახლა ძაღლიც ვეღარ დაჰყეფდა.

— ე, და, კნიაზო, მერე სასმელი წყალი რო არ ექნება, როგორ გასძლებს.

— მართალი ხარ, დანიელ, მაგრამ, აბა, ჰკითხე ხაჩატურ-აღას: დავით გარეჯის უდაბნოში რასა სვამენ ბერ-მონაზონი და მათი კრებული?

— ვა! მაშ, რა ვიცი... წვიმის წყალსა სვამენ, კლდეებში, ტინში აქვთ ამოჭრილი ჭა და ამ ჭებში გროვდება, ინახავენ, მინამ ახალი წვიმა მოვიდოდეს, აქა-იქ განა თუ არ არი, წყაროც არის, ტბაც, მაგრამ, კნიაზჯან, პარონებო, ისეთი მლაშეა, რო წათხი...

— თანაც, აბა რა შესადარებელია მწირი უდაბნო და ზღვის აყვავებული კუნძული! როგორ გაჩნდა ქვეყანაზე წყარო და მდინარე? აქაც, ამ კუნძულზედაც, ხშირი წვიმებისაგან წყაროც გაჩნდა და მდინარეც, თანაც ადამიანი თავის სოფელთან, მეზობლებთან როდი კარგავს კავშირს, ნავით და ნავტიკით კარგად იცის ცურვა, — დაამთავრა ლექტორმა.

— ნება მიბოძეთ, ბ-ნო ლექტორო, თქვენს მშვენიერ ლექციას ორიოდე სიტყვა მეც დავუმატო, — მივმართე მე. — მაღლა, ზღვის ზევით ამოტანილი მარჯნის კუნძულები ხომ საოცნებო არიან თავის მშვენიერებით. მაგრამ აქ, რა უნდა იყოს, ცოდვილი ადამიანისაგან ყოველდღე იბილწება. ჩემი სურვილია, შიგ ზღვაში, მარჯანთა წალკოტში დავიმარხო...

— მაგას რად ბრძანებთ, ბატონო! რა დროს თქვენი სიკვდილია, ღმერთმა დაგიფაროთ!

— მოიცა, დანიელ, ნუ მიშლი... ჰოდა, ის უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნების მკვლევარს, ცნობილ მეცნიერს ჰეკელს არაბეთის კიდესთან, მეწამულ ზღვაში ჩაუხედავს, სადაც პატარა სიღრმეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰხვედრია მარჯნის რიფები, მათი ნაშენი კუნძული, ჩასულა ზღვაში და მის ბედნიერ თვალს რა საკვირველება უნახავს, რა აღტაცებაში მოსულა, ამ თავის შთაბეჭდილებას, აგერ, რა დიდი ხელოვნებით, რა მხატვრულად გადმოგვცემს:

„ყოვლად შეუძლებელია დიდებულმა მხატვარმა კალმით დახატოს, ვინმემ ასწეროს, ენა-პირით გამოთქვას ის სრული მშვენიერება ზღვის ედემისა, რომელიც მარჯანთ და სხვა ლამაზ და ლამაზ ცხოველებს შეუქმნიათ! ჭრელ-სხივოსანი კეკლუცი ვარსკვლავნი, ვით სურნელოვანი ყვავილნი, აგერ მთლად ავსებენ პატარა მიდამოს 4-5 ადლის სივრცისას მარჯნის ბუჩქთა თითოეულ ტოტზე ყვავილი ყვავილზე ზის, ერთიმეორეზე უტურფესი. ბუჩქთა ძირებში მრავლად გაფანტულან ფერათ-ფერადებად მოელვარე ყვავილები, მზის სხივებზე ბზინავენ, ბრწყინავენ, ადამიანს თვალს ჭრიან. ესენი ეს ბადიის მსგავსი პაწია ყვავილები, ახლო რომ გავიცან, თურმე ესენიც მარჯნები ყოფილან, უფრო კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე, დავაკვირდი იმ მრავალფეროვან ხავსის ხალიჩასაც, რომელიც ბუჩქსა და ბუჩქს შუა არის დაფენილი, აქ კი სწორედ რომ ვიღაცის ჯადოსანის ხელს უხვად გაუფანტავს თვალ-მარგალიტი. უთუოდ ზღვის ფერიებს ძვირფასი ქვებით ხავერდის მწვანე ხალი ნაზი ხელებით, ფერადებით მოუქარგავთ — ლალი, ზურმუხტი, იაგუნდი, მარგალიტი, ფირუზი და ალმას-ბრილიანტი, ყველა აქ მშვენიერებით გაჯიბრებულან, ეცილებიან, აჭრელებენ, სურათს ხიბლავენ. სიდიად-სიკეკლუცე ამ საუცხოო სურათისა წარმოდგება არაბეთის ცხარე მზის თვალთმაქცი სხივებისაგან, რომელნიც ზღვის ანკარა წყალში ამ ძვირფას, გრძნეულთა ხალს ოქროთი ფარავენ, ცეცხლს უკიდებენ, მთლად წალკოტი შვიდფეროვანი სხივებით ინთებოდა, ბრწყინავდა, ცისარტყელა გამოჰკრთოდა, ელვარებდა, ამ ელექტრონის ძლიერ შუქზე ადვილად გავარჩიე, რომ ეს ძვირფასი ქვები, ყველანი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მარჯნები იყვნენ. მილიონობით მოსდებოდნენ ხავერდივით რბილ ხავსის მდელოს. სწორე მოგახსენოთ, ამ საოცარი სურათის მნახველი აღარაფრად ვთვლი იმ ზღაპრულ ჰესპერიდის წალკოტ-ბაღებს, რომელთა აღწერითაც ისე ძლიერ გვხიბლავენ... მარჯანთა ედემში აუარებელი სხვა უულამაზესი ცხოველებიც ბუდობენ, ესენიც თავისებურად ცოცხლობენ, ცხოვრობენ და დიდ მშვენიერ სურათს თავისი უც-

ნაური ფორმა-მოყვანილობით და სილამაზით უფრო ძლიერ აცხოველებენ. აგერ, მთელი ხროვა საოცარი ნაკვთისა, პაწია ჭრელი თევზებისა... რა გატაცებით, რა ეშხით დასრიალებენ მარჯნის წითელ ბუჩქებს შორის! ასე გეგონებათ კოპწია პეპელა-ჩიტები, კოლიბრები, დანავარდობენ ტროპიკულ ტურფა ყვავილთა შორისო! ამდენი ფერადების ბრწყინვალებამ დამღალა, თვალი ვეღარ უძლებს, ამოვიდოდი კიდეც, მაგრამ, აგერ, უფრო საყურადღებო უხერხემლო ცხოველები, მარჯნის კუნძულებზე მცხოვრებნი, ამათი მრავალფერადობა ყოველივეს აღემატება. აგრე კიდევ ლამაზ-ლამაზი, პაწია ნათელა-კიბოები, რომელნიც გარნელთა ჯგუფს ეკუთვნიან, მოხდენილად, ცქვიტად დაცურავენ მარჯნის კუნძულთა შორის და, თანაც, ციცინათელასაებრ ანათებენ, იქვე, აგერ, უცქირეთ, მარჯნის კუნწულას მრავალი ებღაუჭებიან ხუთივე ხელით ცისფერი ოფიურები, შავი ძღარბები და აუარებელი წითელი ვარსკვლავები ზღვისა. ამათ გარდა, სად გინდა არ ყრიან ჭრელად მოელვარე ღვრინჭილა-ლოკოკინები, მაგრამ სრული აღწერა ჯერ კიდევ სად არის! ამათ რა ენა-პირი აღწერს! აგერ, ზოგი აქითაც მიიხედეთ, თეთრი მილებიდან ნაზად, ნებიერად გადმოგვცქერიან ათასფერი ჭია-მოლუსკები, რომელნიც თავის ჭრელ ლაყუჩებს სასუსნავისათვის აცმაცუნებენ. აქვე დაცურაობს მთელი ქარავანი მედუზებისა და მათ შორის სრულიად მოულოდნელად ჩვენ შევნიშნეთ კეკლუცი ზარი ერთი ჩვენი ძველი ნაცნობის აკალეფისა, რომელიც ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებში ცხოვრობს“...

— კნიაზჯან! პარონებო! ეს ღმერთმა ადღეგრძელოს, დღეგრძელი მისცეს, თუ ცოცხალია და თუ მკვდარია, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ი მეცნიერ ჰეკელს, რომელიც რომა თავისი ფეხით ზღვას ჩავიდა და მარჯნის კუნძელზე თავისი თვალით ედემი ნახა და ჩვენ გვასიამოვნა!

— არა, ბატონო ხაჩატურ! (ჰაი, დალახვროს ღმერთმა, ეს ღვინო საიდანღა გამოატყვრინა!) ღვინით დღეგრძელობა არ იყოს! აგერ თვით მარჯნის ანკარა წყაროთი სავსე აზარფეშით გამარჯვება ვუსურვოთ მეცნიერებათა ყველა ქურუმს!

— კნიაზო! ე, ხაჩატურ-აღა, ალავერდი ჩემთან გადმოვიდა და ის კი არ ვიცი, შესანდობარი დავლიო თუ სადღეგრძელო?! ი მეცნიერი ეხლაც ცოცხალია?

— ეგ სულერთია, ბატონო ჯავახელო, ჰეკელისთანა მეცნიერი არასდროს არა კვდება. გერმანიის შვილი ჰეკელი, ჩვენი დროის განთქმული ზოოლოგი, 1834 წელს დაიბადა, სწავლობდა 1852 წ. ბუნებისმეტყველებას და სამკურნალო მეცნიერებას ვიურცბურგში, ბერლინში და ვენაში. ზოოლოგიური მიზნით, ცხოველთა ცხოვრების შესასწავლად, გამოსაკვლევად მოგზაურობდა ჯერ ნიცაში და ჰელგოლანდზე. მუშაობდა ნეაპოლში და მესინაში 1862 წ., გახდა პროფესორი იენის უნივერსიტეტისა. მეორედ იმოგზაურა მეცნიერული მიზნით. შემოიარა ლისაბონი, მადიერი, ტენერიფი, ჰიბრალტარი, ნორვეგია, სირია, ეგვიპტე, კორსიკა, სარდინია და, ბოლოს, ინდოეთშიაც გასწია, დაათვალიერა კუნძული ცეილონი. სადაც კი მივიდა, ზღვისა და ხმელეთის ცხოველნი გამოუკვლეველნი არ დატოვა, ინახულა, გაიცნო, შეისწავლა, ასწერა, გამოაქვეყნა. ჰეკელის მიერ დაწერილი, დასტამბული წიგნები ერთს ოთახში ძლივს დაეტევა, დიდი მიმდევარი იყო დარვინის თეორიისა.

— კნიაზო! უკაცრავად კი ვარ და, მოგეხსენებათ, „ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსაო“, ე ღმერთმა ყველა მეცნიერს გაუმარჯოს, მაგრამ მე ჩემსას ვჩივი: სად შოულობენ მარჯანს და ან რა ფასშია ადგილობრივ.

— ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავო, და არა, ღმერთმანიო. ეს ანდაზა ხომ გაგიგონია, დანიელ? შენ მაინც შენსას არ იშლი, ეს მეორედ მეკითხები. შენ სულ ვაჭრულ არშინზე ზომავ და მოგების სასწორზე სწონი ყველაფერს... მაგრამ, დანიელ ბატონო, არც მაგისთვის გაგიტეხთ ხათრს. ჰოდა, როგორც მოგახსენებთ, ნამდვილი წითელი მარჯანი ცხოვრობს განსაკუთრებით ხმელთაშუა და ადრიატის ზღვებში. დიდძალი მარჯანი ამოაქვთ უფრო ხმელთაშუა ზღვიდან, მეტადრე ტუნისის და ალჟირის კიდეებთან. ხმელეთიდან (ნაპირიდან) რამდენიმე მილის სიშორეზე მარჯანი ბუდობს ზღვაში 40-100 საჟენის სიღრმეზე. აქ უფრო მარჯვედ მუშაობენ იტალიელები და თითქმის რომ განსაკუთრებით ესენი ადგანან იმ ხელობას. ცოტად თუ ბევრად ფრანგები და ესპანელებიც მისდევენ მარჯნის მრეწველობას. დიდრონი ნავებით და ზოგჯერაც პატარა ორთქლმავალი ხომალდებით შეცურდებიან ხოლმე ზღვაში და ბადეს ისვრიან. თუ ბადე მარჯნის ბუჩქს დაეცა, ტოტებს მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ძირიანად მოამტვრევს ხოლმე და ზევით ამოაქვთ. მარჯნებს არ უყვართ არც ღრმად ცხოვრება და არც ვაკედ ზღვის ძირზე (ფსკერზე). უფრო კლდეებს ამოეფარებიან ხოლმე, სადმე ამოღრუტნულში და კიდეც რომ ეს გარემოება აჭირებს საქმეს! ამიტომაც ჩვეულებრივი ბადე აქ არ ივარგებს. ბადეს ისეთნაირად, ოსტატურად მართავენ, ჯვარედინად ჯოხებით და თოკებით, რომ კლდეს ქვეშიდანაც კი ამოედოს და იქ მარჯნის ბუჩქი ან კუნწულა მოამტვრიოს. მაგრამ ახლა კიდევ ბადეს ამოღება აჭირებს საქმეს.

მუშაობა უფრო ზაფხულობით იციან. სიცხე-პაპანაქებაში ზოგჯერ მთელი დღე წვალობს ოთხი-ხუთი მუშა და ოფლში იწურება, ვიდრე ზღვიდან ბადეს ამოიტანენ. თუ ნავზე არიან, ხელით სწევენ ბადეს და თუ ხომალდზე, ჭახრაკებით ამოაქვთ.

ამოღებული ნანადირევი ყოველთვის ერთი ღირსებისა არ ხვდება. ზოგის ძირი და ტოტიც ჭიანაჭამი გამოდგება ხოლმე. ამის ფასი ძლიერ მდარეა, გირვანქა 1-3 მანეთად იყიდება. ხოლო კარგი მარჯანი ღირს გირვანქა 7-12 მანეთამდე. მარჯნისა ფასდება სიმკვრივე და ფერი. ამიტომაც სანაქებო წითელი ანუ ვარდისფერი, თანაც, საკმაოდ მკვრივი და მსხვილი ნაჭრები ღირს გირვანქა 70-100 მანეთამდე, ზოგჯერ გირვანქა ათ თუმანზე მეტს ფასობს. თუ მუშტარს მოეწონება, ფასს არ ერიდება, ოღონდ ლამაზი ფერი ჰქონდეს მარჯანს და რქასაებრ მაგარი იყოს.

იშვიათად არის აგრეთვე შავი მარჯანი. ამის გირვანქა ფასობს 4-6 მანეთი. ჯერ დანამდვილებით არ არის გამოკვლეული, რად შავდება ხოლმე მარჯანი. მეცნიერთა მეტი ნაწილი იმ აზრს ემხრობა, რომ, როდესაც მარჯანი დიდხანს ძევს ლამისა და ტინის ქვეშ, ამ გავლენის გამო შავდებაო. სხვა ფერის მარჯნებიც არიან, მაგრამ ამათ მუშტარი არ ეტანება, ბაზარი არა აქვთ. ხოლო მარჯნისა რა და რა სამკაული კეთდება, ეგ ხომ ყველამ იცით.

XI

— მე ი ბუზიჭამია მცენარის ჯავრი ჩამყვა. ყველანი ჭალაღელეს ავყევით. ზოგი ბალახი ვითომ კიდეც მივამსგავსე, მაგრამ ვერაფერი ბოტანიკოსი გამოვდექი.

— მერე აქ რა უნდა ვიპოვოთ? თუ იზრდება, ისევ ის უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, ცვარიანას რომ უძახიან, მაგრამ საეჭვოა მთაში, ამ ადგილებზე მცენარეობდეს, — შეგვნიშნა ლექტორმა და განაგრძო: — ხორციჭამია მცენარეთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა, დქვენ რომ ბუზიჭამია დაასახელეთ, მაგრამ ის ჩრდილო ამერიკაში იზრდება და მეცნიერულად ბუზიწუწნა ეწოდება. ამას ბუსუსებიანი ფოთლები დაკბილული აქვს და გარშემო სადგისისმაგვარი კბილები უსხედს. მწერი რომ ფოთოლზე დააჯდება, ბუსუსები აღელდებიან, გამოუშვებენ ლორწოს და წამსვე ფოთლის ორივე ნახევარი იკეცება, მაგრად ბღუჯავენ მწერს, ის დაკბილული ადგილებიც ერთმანეთს ისე მჭიდროდ შეეყრებიან ხოლმე (კბილებსა და კბილებს შუა), რომ მწერი ვერასგზით ფოთოლს ვერ გახსნის, თავს ვეღარ დააღწევს. ახლა კი ფოთოლი მოჰყვება სერობას, მწერის ჭამას: წურავს, წუწნის, ლორწოთი ხსნის, განაზავებს და ისე ითვისებს, შეირგებს ხოლმე, როგორც ბალღი დედის რძეს. გათავდა პროცესი, რაც რამ ჭენჭი ჰქონდა ბუზს, მცენარემ შესვა, შეყლაპა და, აგერ, ფოთოლიც ისევ გაიღო, გადაიშალა, ხოლო გამოფიტული ბუზი, ხმელი ჩონჩხი უკანვე გადმოისროლა და ასე გადაშლილი ფოთოლი კვლავ ელის ახალ მსხვერპლს.

როგორც ვთქვით, ეს მცენარე ამერიკაშია გავრცელებული, ხოლო ჩვენშიაც იზრდება რამდენიმე გვარი ხორციჭამია მცენარე. მაგალითად, ავიღოთ, თუნდ იგივე დროზერა, ანუ ცვარიანა. ამ მცენარეს მრგვალი ფოთლები აქვს, ზედ ფოთოლზე და გარშემოც უსხედან თავკომბალა ბუსუსები, საიდანაც გამოჟონს ლორწო. ამ ლორწოიან ფოთოლზე პაწია რამ მწერი დაჯდება თუ არა, ფეხები ლორწოში გაებმის, ეწებება. დაჭერილ მწერს ყველა მხრიდან ბუსუსები და თვით ფოთლის ნაპირები სიხარულით გადაეხვევიან ხოლმე, გულში იკონებენ. ბუსუსთა ჯირკვალნი ჭარბად აფრქვევენ მწერს მომჟავო ლორწოს, რომელიც ფერმენტსაც შეიცავს. ფერმენტის გავლენით ცილოვანი ნივთიერებანი წვენს ადვილად შესვამს და მოინელებს ხოლმე მცენარე.

დროზერა ადვილად ინელებს ყველანაირ ხორცს, აგრეთვე მოხარშულ კვერცხის ცილას, რძეს და სხვ... მაგრამ, აბა, სცადეთ იმავე ფოთოლზე ნაფოტის ნამცეცის ანუ კენჭის დადება. აი, შენც არ მომიკვდე, ყურსაც არ გაიბერტყავს, არაფრად ჩააგდებს, ხორცისა კი, როგორც მოგახსენეთ, მეტად დიდი მუსუსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენთვის ეგ პირველი გაგონებაა, ბატონო, რომ ბალახი ხორცსა სჭამდეს, მაგრამ, რაც საკვირველება ჩემი თვალით მინახავს, იმას კი უტყუარად მოგახსენებთ. ერთ ზაფხულს ბორჯომში ვმუშაობდი „ველიკიკნიაზის ბაღში“, იქ ერთი ჩვენებური ჯავახელი ბიჭიც წლიურ მოჯამაგირედ იდგა. ყვავილებს რომ ვუთოხნიდით, იმ ჩვენებურმა მითხრა: — აბა, სანდრო, თუ ბიჭი ხარ და აი, იმ ფოთლებს ხელს ახლებო! მეც გული მომივიდა. რაღაცნაირი ბალახი იყო, მიწას არც კი ასცილებოდა რიგიანად და დიდრონი ფოთლები კი თითებივით გაეფრთხო, ოთხივე თითს წვრილ-წვრილი მოპირდაპირე პაწია ფოთლები ესხა. ლობიოს ხეს, აკაციას ხომ იცნობთ... ჰოდა, აკაციის ფოთლებს უგავს ფოთლები. ერთ პაწია ფოთოლს ხელი ოდნავ შევახე თუ არა, იმწამსვე, ჰაი დიდება შენდა, ღმერთო, მოჰყვნენ, ბატონო, და ერთი რომ დაიკეცა, მეორე ფოთოლიც იკეცებოდა, ასე მიჰყვნენ და მთლად ფოთლები ოთხივე თითისა ერთმანეთს დაეხვივნენ, დაიკეცნენ. მთელ ტოტს თითქოს ყინწი მოსტყდაო, წელი მოსწყდაო, მკვდარივით მიწაზე კი დაეცა. ბიჭოს, ეგ არაფერ შარში არ გამრიონ-მეთქი, მართლაც შემეშინდა! მაგრამ ღმერთმა უშველოს, ისევ იმ ჩვენებურმა ბიჭმა გული გამიკეთა: „ნურას იწუხებ, სანდრო, ეგ მცენარე დიდი ემნაკია, ემაგრე იცისო, ნაზობს, მორცხვობსო, ვითომ ხელი რად მახლეთო. ცოტახანს მერე კი ისევ გადაიშლებაო...

— მერე და, ჯავახელო, სახელი ვერ დაიხსომე მაგ საკვირველი მცენარისა?

— ვერა, ბატონო!

— ჰო, მაგას მიმოზა ჰქვია, მორცხვი მიმოზა.

მიმოზას. სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, უმთავრესად კი ბრაზილია. ჩვენში და სხვა ცხელ ქვეყნებშიაც სათუთად ბაღებში ზრდიან და ცივ რუსეთში კი, „ფეჩებიან“ თბილ შუშაბანდებში. მიმოზას თავის სამშობლოში, ტროპიკულ ამერიკაში ბევრი ნათესაობა ჰყავს, ბალახებად, ბუჩქებად და ხეებად იზრდებიან. შენთვის ერთი რამ არ უთქვამს იმ მებაღეს: რომ შებინდდება, მიმოზაც ძილს დააპირებს, ყველა ფოთოლს დაკეცავს ხოლმე და ისე მთელი ღამე სძინავს, ვიდრე მზის შუქი-სინათლე არ გამოაღვიძებს. შესანიშნავია ერთგვარი მიმოზაც, იქ, თავის სამშობლოში, ბუჩქად იზრდება და უსურვაზივით ხეებზე უყვარს აცოცება. ამას გიგოლო-

ბიოს უძახიან, ხესაებრ მაგარი თესლი იცის საკვირველი სიდიდისა, ქათმის კვერცხის ოდენაა.

ამასობაში შებინდდა კიდეც, მზემ თავისი შუქი-სინათლე მთვარეს გადასცა, „შენ ხომ დედამიწის თანამგზავრი ხარ და კარგად გაუნათეო!“

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა“ ზედ მოეფინა მთა-გორათა ჩაბმულ ფერხულს, ამ ქვა-ყრილას სამეფოს. მთვარის შუქის სინაზით გალაღებული ბუნება თვლემას მიეცა. რაც კი დღისით, მზისით ხმაურობდა, ყოველივე მიყუჩდა, ძილსა და მოსვენებას ეშურებოდა. ჰაერიც კი თითქოს არ ირხეოდა, განაბული, გარინდებული ყურს უგდებდა „მარჯნის“ და „მარგალიტის“ წყაროთა ჩხრიალს, რომელნიც ძილის პირს უგალობდნენ ღამით მოვლენილ მზის მადლს, მთვარის შარავანდედს. ამ იდილიას მკაცრად არღვევდა საშინელი სინამდვილე, ყოვლად ძლიერი კუჭი და კუჭი! ამოძრავდა ღამ-ღამეობით მონადირე ფრინველი და ყველა მხეცი, ღამის რაინდობით განთქმული. აგერ, იზმორებიან, იღვიძებენ, იჩმუჩნებიან, მხრები ღონივრად შეანძრიეს, ბუნების წიაღში ყველამ თავისებური მეჯლისი გამართა. ღონიერი შემოდგომაა და ყველაფერი უხვად იშოვება.

მთვარე მაინც თავისას არ იშლიდა, ამ მთის გაფანტულ-გაქსაქსულ ჰაერში მართლაც რომ კაშკაშებდა: „მე ჯავახეთს რა მიშავდა — მთვარე იდგა მზესავითაო“, მართალი უთქვამთ ხალხის მგოსნებს. ჩვენმა ლექტორმა უბის წიგნი ამოიღო და მთვარეზე კითხულობდა. მოგეხსენებათ, ყველა ნამდვილი ქართველი უეჭველად პოეტიც არის. გულმა ვეღარ გაუძლო ჩვენს ლექტორს და „დემონიდან“ დაგვმღერა.

— ბატონებო! იცით, მოლა რას მოგახსენებთ? დროით ბინაზე წავიდეთ, თორემ აქ სუი-ყიზი იცის და ვაითუ კნიაზებს შეეშინდეთ...

— რას ამბობ, დანიელ, ეს სუი-ყიზი რაღა ჯანდაბაა?!

— სუი-ყიზი, ბატონო, წყაროს ქალს ქვია, ხომ გაგიგონიათ ალი? წყალში იცის, წყაროებთან და წისქვილებთან უფრო უყვარს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, დანიელ, მაგ დროული კაცი შენ რაღამ შეგშალა! თითქოს ნაკითხი კაცი ვარო და მაგისთანა სისულელე კი გჯერა! მაგ ყიზი-მიზებს თავი დაანებე და ისა სჯობს, ვთხოვოთ თავადს, მარგალიტის ცხოვრებაც გვიამბოს.

— მე ჩემს ვალს მოვიხდი, მარგალიტი ჯერ მოგვითმენს, ახლა კი სჯობდა გაგვეგო მაგ სუი-ყიზის ამბავიც. კახეთში გაგონილი მაქვს ჩემი ყმაწვილობას, რომ ამა და ამ გვარ გლეხის ოჯახში ალი ჰყავდათ მოახლედაო და სხვ. კარგია შევიტყოთ, აქაურ ხალხს როგორღა აქვთ წარმოდგენილი ალის და მავნეს არსებობა. ეს სიცრუე ყველა ხალხს სჯერა, სწამს. წარმოიდგინეთ, რომ შოთა ხომ ფილოსოფოსი კაცი იყო, მაგრამ იმის ავთანდილი რომ ილოცავს, იტყვის: „მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე“.

— კნიაზო, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, — წინ წამოდგა ჯავახელი, — აი, საქმე როგორ იყო: სოლომონ ბრძენს თურმე მობეზრდა ეშმაკების ოინები. ერთხელ დაიბარა მთელი ხროვა ეშმაკებისა აღსარების სათქმელად და, ბევრი აღარ აცალა, ასწია და ყველანი ერთ დიდს კიდობანში ჩაყარა, დალურსმა. მერე ჰკითხა ეშმაკებს: რა სასჯელი გირჩევნიათ, ან ამ საათში ცეცხლი უნდა წაგიკიდოთ, ან და წყალში გადაგაგდებთო, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ წყალგარეთ გამოსვლა არ გაბედოთ, თორემ ვაი, თქვენი ბრალიო! ცოცხლად დაწვას, ეშმაკებმა ისევ წყალში ცხოვრება არჩიეს და მას აქეთა ალები გაჩნდნენ წყარო-მდინარეებში, ყველანი ბროლივით ქალები არიან, თმა კოჭებამდე უწევთ. მზე რომ ჩავა, ბინდისას ივარცხნიან თმას, ზოგმაც გათენებისას იცის თავის ვარცხნა, მაგრამ მზე რომ ამოვა, მაშინათვე გაქრება. თუ ბიჭი ჩაიგდეს ხელში, იმდენს უღიტინებენ, აცინებენ, რომ დილამდე წუთისოფელს ესალმება. ვინც სავარცხელს მოჰპარავს, ქალიც იმას გაჰყვება ხოლმე.

სოლომონ ბრძენის მიერ ეშმაკების დასჯას ჯავახელი გზადაგზა გვიამბობდა. მივედით კიდეც ბინაზე, სადაც რუსული „სამოვარი“ დუღილით თავს იკლავდა. ჩინეთის ფოთლის წვენი (ჩაი) თითო რომ გიახელით, ახლა ჩვენმა ლექტორმა შეგვამჩნია, რომ მის მიერ დაპირებულ მარგალიტის ამბავს ველოდით.

— ვიმეორებ, თუმცა ჯერ ლეგენდა სჯობდა გეამბნათ, მაგრამ დეე, იყოს მარგალიტი!

ნამდვილი მარგალიტიც ანუ ნიჟარა, ცხოვრობს სპარსეთის ზღვის ყურეში, აგრეთვე ცეილონის კუნძულის კიდეებთან, ხოლო ამერიკაში პანამისა და მექსიკის ყურეებში, კალიფორნიის ახლო. ჩვენში, მეტადრე ქალები, სადაფს, სადაფის ნიჟარას ხომ ყველა იცნობს...

— მაპატიეთ, კნიაზო, და ნურც უვიცად ჩაგვთვლით. სადაფით მე თვითონ მივაჭრია. ლამბაქის ოდენა ძვალია, შიგნითა მხარეს სადაფი ელვარებს, ფერადად პრიალებს. ქალები უწინ ზედ ფერუმარილს ლესავდნენ, პირზე ისვამდნენ. თავის თავსაც ატყუებდნენ და სხვასაც — ლამაზები ვართო! ამასთანავე, სადაფით მორთავენ ხოლმე თარს, დაირას, კულას და სხვა. ხარატები კიდევ სადაფიდან აკეთებენ ღილებს. რამდენადაც ნიჟარი სქელია, იმდენად მეტად ფასობს, რადგან სადაფი მეტი გამოდის.

— ჰოდა, დანიელ-ბატონო, ორი სადაფის ლამბაქი (ნიჟარი) ერთმანეთს რომ დავახუროთ, გამოვა სახლი, ბაკანი, რომელშიაც ცხოველი მარგალიტა ბუდობს, ცხოვრობს და ლოკოკინასაებრ, როცა უნდა, გამოყოფს ხოლმე ოავს საჭმელ-სასმელისთვის.

ამ სადაფიან სახლს, ბაკანს, თვითონვე ცხოველი მარგალიტა ამზადებს, როგორც რომ ყაჭის ჭია თავისთვის პარკს. თავისივე სხეულიდან გამონაჟონი მასალისაგან მარგალიტა ქმნის მარგალიტის მარცვლებს სხვადასხვა სიდიდისას. მიზეზი, რომელიც აიძულებს ცხოველს ქმნას მარგალიტი, ბევრგვარია. საკმაოა, მაგალითად, ცხოველს სხეულში ჩაუვარდეს პაწია რამ კენჭი, ქვიშა ანუ თავისივე ნიჟარის ხიწვი (ანაძრობი ნატეხი) ეკალივით შეერჭოს, ან პარაზიტი (პაწია მუქთახორა ცხოველი) რომ შეძვრეს, ესე ყოველივე ძლიერ ეჩოთირება ცხოველს, ეღიტინება და გამწარებული მაშინათვე გამოჟონს სადაფისმაგვარ მასალას, წვენს და ზედ თავზე ესხმის დაუპატიჟებელ სტუმარს. წვენი თუ ლორწო იმ დრომდე იდენს, ვიდრე სრულებით შიგ არ ჩამარხავს შემოხიზნულ, ანუ შემოსულ არსებას თუ ნივთიერებას. მერე კი აღარას ეჩოთირება, დეე, იდოს ნიჟარაში მაგრად შეხვეული უცხო სტუმარიო.

— მარგალიტის მარცვლები ან თავისუფლად აწყვია ნიჟარისა (ძვალს) და ცხოველის ხორცს შუა, ან არადა ნიჟარის კედელს შიგნიდან აქვს ზედ შეხორცებული. როცა მარგალიტის მარცვლები

თავისუფლად აწყვია (ძვალსა და რბილს შუა), ის მეტად ფასობს, რადგანაც გაუფუჭებლად მარცვლების ამოღება ძლიერ ადვილდება. ზედ შეხორცებულის ძალად ამოგლეჯის დროს კი მარცვლები სახიჩრდებიან, ნაყვავილარსავით ჩოფურა ადგილები ემჩნევა, ფასში კლებულობს.

— ე-და, კნიაზ, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ადგილობრივ ნეტა რა ფასში იყიდება კარგი მარგალიტი?!

— მოთმინება იქონიეთ, ბატონო დანიელ, ყველაფერს ვაჭრული თვალით კი ნუ უყურებ... ჰოდა, იმას მოგახსენებდით... ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ ნიჟარი გადაუხერხავთ და შიგ სადაფის სისქეში მოულოდნელად უპოვიათ (ხარატებს) მარგალიტის დიდი მარცვალი. ეს იმიტომ მომხდარა, რომ ზოგჯერ ახლად გამონაჟონი სადაფი წალეკავს ხოლმე მარგალიტს და სრულებით ჩამარხავს კედელში.

ვისაც ბედი გაუღიმებს, ზოგჯერ ერთსა და იმავე ბაკანში (ნიჟარში) 67-150 მარგალიტის მარცვალს პოულობს. ნიჟარს, ანუ ბაკანს ისე პირდაპირ შუაზე ხლეჩენ, აპობენ ატამივით და ზოგჯერ იქვე ნაწიბურთან აწყვია მარგალიტები, ისე როგორც ჩაკვერცხილი დედალი გინახავთ. მაგრამ ყოველთვის კი არ არის მარგალიტი. ზოგჯერ შეიძლება მონადირემ ასი ნიჟარი მეტი გახლიჩოს და ვერც ერთი მარცვალი მარგალიტი ვერ იპოვოს. გამოცდილი კაცები ირწმუნებიან, რომ, თუ ნიჟარა გარედან სიპია და ლამაზი მოყვანილობისაა, ამ პრიალა ბრწყინვალე მარგალიტს ნუ იგულვებო. სამაგიეროდ, ოღროჩოღროიანი, ხორკლიანი ნიჟარებისა უფრო იმედი უნდა გქონდესო.

— მერე, ნეტა, როგორ იჭერენ მაგ ცხოველებს? — შეეკითხა ლექტორს ჯავახელი.

— მოგახსენებთ... ავიღოთ მაგალითისათვის თუნდ სპარსეთის ზღვის ყურე. მარგალიტის ქმნელ ცხოველზე ნადირობის საქმეს განაგებს მასკატის სულთანი, ხოლო აღებ-მიცემობა განსაკუთრებით ბანიანელ მდიდარ ვაჭართა ხელშია. შარიას ყურედან მოყოლება (დასავლეთით), ვიდრე კუნძულ ბუდულფამდე მისდევს უმთავრესი ადგილები და, სადაც ვისაც კი სურს, ყველას უფლება აქვს მარგალიტზე ინადიროს, ამ ადგილებში დაცურაობენ აუარებელი ნავები ათასნაირი ჯურისა და სიდიდისა, საშუალოდ 10-18 ტონისა.

რთველი იწყება თიბათვიდან და ვიდრე შუა ენკენისთვემდე გაცხარებული მუშაობაა. აქ მოდის კუნძულ ბარეინიდან 3500 ნავი სხვადასხვა სიდიდისა. ამათ ემატება სპარსეთის კიდედან (ნაპირებიდან) 100 ნავი. აგრეთვე ავაზაკთა კუნძულად წოდებული ადგილიდან გამოდის 700 ნავი. ამგვარად, ოთხიათასზე მეტი ნავი მუშაობს და მთელი ზაფხული მარგალიტის ჭერას უნდება. თითო ნავზე მუშაობს 8-40 კაცი. მაშასადამე, თუ კარგი დორანი დაუდგა, 30000 მუშა ამხედრებულია ამ უდანაშაულო პაწია ცხოველებთან სამტროდ, საბრძოლველად. განსაზღვრული რამ ჯამაგირი არავის არ ეძლევა, ყველა მუშას წილი უძევს ნანადირევში, სარგებელში. რას იტყვით, რომ ეს პაწია ცხოველები პურს აჭმევენ ასიათასს სულს, მუშების ოჯახობაც რომ ვიანგარიშოთ. შეიხი ნავსადგურისა (სადაც ნავები ჩერდებიან) იღებს მცირეოდენ ბაჟს, გადასახადს, თითო ნავიდან, მაგალითად, 1 ან 2 დოლარს. მუშათა საჭმელს შეადგენს ინდის ხურმა და თევზი. ამასთანავე, სიამოვნებით ყიდულობენ ბრინჯს ინგლისელ მოვაჭრეთაგან.

ყოველ ნავზე მომუშავენი ორ ჯგუფად განიყოფებიან ხოლმე, ნახევარი წყალში მუშაობს, ზღვაში ჩადის, ხოლო მეორე ნახევარი მუშებისა ნავზე (მაღლა) რჩება. ზღვაში ჩამსვლელი სრულებით ტიტვლდება, მხოლოდ თეძოებზე აცვიათ თეთრი სამოსელი და, თანაც, წელზე ქამრით მიმაგრებული აქვთ კალათი.

მაგარ თოკზე მიბმულია ქვა, ამ ქვაზე დგება ტიტველი მონადირე და ხელებით თოკს მაგრა ჩაკიდული, როცა ანიშნებს, ნავიდან მუშები ნელ-ნელა ჭახრაკით უშვებენ თოკს, ვიდრე მონადირე ზღვის ფსკერს უწევს. აქ ზღვის ძირზე, იატაკზე მონადირე სწრაფად აფათურებს ხელებს და, რაც ნიჟარი მოხვდება, სწრაფადვე კალათაში აგროვებს. რომ დაატყობს, ახლა კი სული მიგუბდებაო, ჩამოჰკრავს თოკს და ნავში მყოფნი ამხანაგები საჩქაროდ, იმ წუთასვე ზღვიდან ამოსწევენ მონადირეს, რომ ჰაერი შეისუნთქოს. უჰაეროდ უსუნთქველად ზღვაში ჩასულმა ადამიანმა იშვიათია, რომ ერთი წამი გაძლოს უჰაეროდ, უსუნთქველად. ამბობენ, რომ ზოგი გამოცდილი მონადირე 60-70 წუთსაც ახერხებს წყალში დარჩენასო, მაგრამ მეტად საეჭვოა, და, მით უფრო, დაუჯერებელია ზოგიერთის აზრი, ვითომ ადამიანს შეეძლოს წყალში დარჩენა ორი წამი უჰაეროდ, უსუნთქველად.

თუ მონადირეს ბედმა გაუღიმა, თითო ჩასვლაზე 8-10 ნიჟარი ამოაქვს. ისიც შეიძლება, რომ ერთ ადგილას მთელი გროვა ნიჟარები დახვდეს. მონადირე ყოველ ამოსვლაზე ნავზე კი არ ადის, თოკზე დგას. ნანადირევს ამხანაგებს გადასცემს, თვითონ სულს მოიბრუნებს, დაისვენებს და ანიშნებს თუ არა, ამხანაგები ჭახრაკს მოუშვებენ, ზღვაშივე ჩაიყურყუმელავებს. რა თქმა უნდა, ასე ხშირად სულის, სუნთქვის შეჩერება ფრიად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, ხშირად ისიც მოხდება, რომ მონადირე ზღვის რომელიმე ონავარი თევზის მსხვერპლი ხდება. ადამიანის თეთრ ხორცს უფრო ემტერება ზვიგენი და, აგრეთვე ხერხა თევზი. ირწმუნებიან, რომ ეს თევზი ადამიანს ზედ შუაზე გადახერხავს ხოლმეო.

ზღვაში ნაშოვნ მარგალიტის ნიჟარს მთელი ტომრობით ერთს ადგილას აგროვებენ, მიწაზე ჰყრიან, ვიდრე ხორცი (ცხოველი) დალპება. მერე კი ხლეჩენ, აპობენ თითოეულ ნიჟარს, ეძებენ შიგ მარგალიტის მარცვლებს. მარგალიტის აღებ-მიცემობა აქ სპარსეთის ზღვის ყურეზე უწინ თურმე 300 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდაო, მაგრამ ახლა კი იმის მეათედსაც ვეღარ სჭრისო.

საუკეთესო მარგალიტს არა აქვს თავისი განსაკუთრებითი რამ ფერი, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ყვითელი, ვარდისფერი, მომწვანო, მოწითალო, რუხი, მონაცრისფრო, შავი და სხვა. ევროპაში დიდად ფასობს სრულიად თეთრი, უმწიკვლო თოვლის ფერი მარგალიტი, ხოლო აზიაში უფრო მოყვითალო ფერის მარგალიტს ხმარობენ. საზოგადოდ კი ფერადი მარგალიტი დიდად არ ფასობს, თუმცა კი ზოგჯერ არის ხოლმე ამისი დიდი მოთხოვნილება. მარგალიტის გარეგნულ ფორმასაც, მარცვლის მოყვანილობას ფასზე დიდი გავლენა აქვს. ყველაზე მეტად ფასობს ბურთივით მრგვალი. მას მერე ძვირად ფასობს მსხლის ფორმის მარგალიტი. აგრეთვე კარგ ფასშია კვერცხივით მრგვალი. დანარჩენი ფორმისა, და მეტადრე თუ უსწორმასწოროც არის, მდარე ფასში იყიდება.

სიდიდითაც მარგალიტი (მარცვალი) სხვადასხვა სიდიდისა გვხვდება. მაგალითად, კენსინგტონის მუზეუმის ერთერთ კოლექციაში ინახება ერთი უშველებელი მარგალიტი. ამ მარგალიტს გარსი აქვს $4^1/_2$ დიუიმი, წონით არის 18000 გრამი, ე. ი. 300 მის-

ხალს იწონის, ანუ სამ გირვანქას. წვრილი მარცვლები ჟიჟმატი მარგალიტი ცალობით, თითოობით კი არა, წონით, გირვანქობით იყიდება, ამასაც გარჩევა უნდა. ფასი იმაზეა დამოკიდებული, რა ღირსებისაა და, თანაც, ერთ უნცში, მაგალითად, რამდენი მარცვალი აიწონის, საზოგადოდ, ბაზრის ფასია უნცი 150 მან. (უნცი შვიდ მისხალზე მეტია), ასე რომ მისხალი ორ თუმნად მოდის, ხოლო მსხვილი მარგალიტი ცალობით, თითოობით, თვლით იყიდება. კარგი ღირსების მარგალიტი თუ წონით ერთი კარატია (კარატი ოთხი გრამია, ე. ი. ხორბლის მარცვლის ოთხს იწონის), 50 ფრანკი ღირს, ანუ 12-13 მანეთი. ამაზე ზევით რამდენ კარატსაც მეტს იწონის, იმდენად ყოველი კარატი უფროდაუფრო ფასობს. კარგი ღირსების და იშვიათი სიდიდის მარგალიტი ძლიერ ძვირია.

საზოგადოდ, თუმცა მარგალიტი და მისი ელვარებაც მრავალჟამიერია, მაგრამ უდიერი ხმარება უკარგავს პრიალს, წმინდა წყალს, ზოგჯერაც თვით ნივთიერება მარგალიტისა ირღვევა, ფხვიერდება. უმთავრესად მარგალიტს აფუჭებს ნოტიო ადგილას შენახვა, ოფლი და ძლიერი სიცხე. დაკარგული ელვარება შეიძლება აღვადგინოთ, ამისთვის წყალში უმატებენ რამდენიმე წვეთს მარილს, ანუ გოგირდის მჟავას და ამ სითხეში ავლებენ მარგალიტს.

ზოგიერთ მდინარე წყალშიაც გვხვდება იმგვარი ლოკოკინა ნიჟარი, რომელშიაც მარგალიტის მარცვლებს პოულობენ.

დიდიხანია შემჩნეულია, რომ ადამიანის სიხარბემ ზღვაში მარგალიტი გააჩანაგა, ზღვის ძირიდან უწინდებურად ვეღარ ამოაქვთ. ამიტომ ევროპელთ განიზრახეს მარგალიტას (ცხოველის) განგებ მოშენება. შექმნეს საგანგებოდ, ხელოვნურად იმგვარი პირობები, ზღვის წყალის ტბა-აუზები, სადაც მარგალიტას შეუძლია ცხოვრება. ბრემი ამბობს, ეს საქმე ჯერ 1865 წელსვე კარგად მიდიოდაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯავახური დეგენდები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოს სიყვარული

ისტორიული ლეგენდა მესხთა ცხოვრებიდან

...ვიშ!..
რა კარგი ხარ, ჩიხორიშო,
ხველიშა არ გერიოსო...
ხალხური

1

ჯავახეთის საზღვარზედა
ჩამოგვირბის ჩიხორიში,
წყარო მთისა, გემრიელი,
ყინულია მზე და გრილში.

გაზაფხულზე ადიდდება,
მტკვარს ეცემა შუა გულში,
ხველიშასაც შეუთვალა:
„ძვირს ნუ იდებ ჩემზე გულში“.

სათავეში ტამალა აქვს,
სოფელი მაღნარს მალული,
ნაქებია მოსავლითა
საუფლისწულო მამული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი, რძალი მშვენიერი,
ვაჟკაცნიცა თავდებულნი,
ქორ-მაძებარ ნადირობით,
მეფის კარზედან ქებული.

2

ეჰ! ბიძიავ, ის დრო გაქრა...
გულიც გატყდა თათრობაში,
რჯული რჯულად გვეკარგება,
არც გვედგომის მთა და ბარში.

ჯალათებსაც ბევრს გვიმზადებს,
აღარ გვინდობს საზარელი,
ის ღვთის რისხვა ხიმშიშვილი
სელიმ ფაშა აჭარელი.

ენგიჩარი, დალიბაში,
ყველა ჩვენი ბატონია —
ვაი იმას, ვინც ლამაზის
ქალის, რძალის პატრონია.

ოსმალოსა ვინღა ჩივის,
ლეკი გვარბევს დაღესტნელი,
სამართალი ვის მოვთხოვოთ,
ვინღანი გვყავს გურჯისტნელი?!

შემოდგომა ჯერ არ იყო,
ლაბას რთველი დამდგარიყო,
გოგო-ბიჭი კალათებით
მის საკრეფად წასულიყო.

წუნკალებმა ეს შენიშნეს,
მეტი დავლა რაღად უნდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იხელთეს და გზა შეუკრეს,
დიდი ძალაც არ მოუნდათ.

არჩევანსა რო შეუდგნენ,
გონჯს ჰპოებენ ვერცა ერთსა,
სამი ბიჭი, შვიდი გოგო
გადააბეს ერთმანეთსა.

ახალციხეს გაუყენეს,
მიატანეს ასპინძასა,
აქ მდევარი ვეღარ მოვა,
ვერ გაბედავს წართმევასა.

ასპინძის ბატონს ეწყინა,
სანჯახსა დიასამიძეს:
„ხინკალა, წუწკმა ლეკებმა
სოფელი გამიჩანაგეს.

ბოღმა დიდი აქვს ბატონსა,
მაგრამ ვერ იჩენს ნებასა,
ვერცა ხონთქარს გაიწყრომებს,
ვერც ფაშას მისცემს მცნებასა.

დაასმენენ, დაწამებენ,
სტამბოლისკენ წაათრევენ,
მამულს, დედულს, სანჯახობას,
ყველა პატივს წაართმევენ.

3

ბექამ სული წაიწყმიდა,
ეშმაკისა გახდა კერძი,
ათაბაგი მოგვიწამლა,
თვითონ ირგო ოქროს ვერძი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსდგა, ხონთქარს მოახსენა:
—„საქმე მწადის ასეთიო,
მაჰმადის რჯული მივიღო,
გმორჩილობდეს მესხეთიო.

სულთან მურადს ეს ეამა,
ბექას უბოძა ფაშობა,
თავზე სარუხსა ჰხურავენ,
არც დაუძვირეს იუდობა.

ახალციხის ფაშად დაჯდა
ეს ჯაყელი გურჯისტნისა,
ქართლის მეფეს გადაუდგა,
ერთგულია სტამბოლისა.

ორი თუღით[1] ფირმანი აქვს,
გახდა მეფედ მესხეთისა,
მამა-პაპის რჯული დაჰგმო,
ხოჯა უზის მაჰმადისა.

4

საფარ ფაშამ კარგად იცის,
სტამბოლი რისაც მდომია —
უყვართ ქალ-ვაჟი ლამაზი,
ქართველთა თვისი ტომია.

ახალციხის მოედნები
მთლად ივსება ტყვეებითა,
უმანკო და უბადრუკნი
სტამბოლს მივლენ შავი ზღვითა.

---

[1] თუღი — ოსმალთა ფაშის წინ სატარებელი ბაირაღი ცხენის ძუისა. მეტი თუღი მეტ პატივს ნიშნავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თათრის ფაშებს უხარიათ
მორჩილება მესხეთისა,
ჰარამხანაც განახლდება,
ქალი მოსწონთ შავშეთისა.

ტამალელი გოგო-ბიჭიც
ახალციხეს ჩამორეკეს,
შიგ ერია ერთი ქალი,
ფაშასთანა მიჰყავთ ლეკებს.

ახალგაზრდა თებრონია
ფაშის კარსა გაატიტვლეს,
გადიასა მოეწონა,
აბანოშიც გაათეთრეს.

ბროლისა გოგოს თებროსა,
უკერავენ მარმაშებსა,[1]
ოქრომკედით უქარგავენ,
კემუხტის მწვანე ქოშებსა.

5

სელიმ ფაშა აჭარელი
დესპანობას ემზადება,
ფეშქაში ბევრი ჩააწყო,
ხონთქარს ოქროც ეგზავნება.

ყველა ფეშქაშს თებრონა სჯობს,
დიდ ბაირამის ძღვენადა —
გოგო მიუვათ ბროლისა,
ბადალს ჰპოვებენ ძნელადა.

---

[1] მარმაში — წმინდა ნარმა, კისეა, ჩიქილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჭარა გადაიარეს,
ბათომს ჩავიდნენ ნავითა,
ჭოროხს თავი დააღწიეს
შავ ზღვას გაუდგნენ გემითა.

ტრაპიზონს დღისით მიადგნენ,
თებროს თვალთ ცრემლი სდიოდა,
შუბლს ოქროს ფარა[1] უმძიმებს,
ღაწვს მარგალიტი სცვიოდა.

შვიდ დღეს სტამბოლს მიაღწიეს,
ნვალ ბაირამი **სდგებოდა,**
თებრო კი ბედსა სჩიოდა,
ბოღმითა გული სკდებოდა.

6

ვეზირს თებრო მოეწონა,
გულ-მკერდი თეთრი გედისა,
გიშრის თვალ-წარბა ქალწული,
მტირალი თავის ბედისა.

ვეზირს გული უფანცქალებს
ფაშას უთვლის მადლობასო:
„თუ რომ დაგჭირდეს, ხონთქარი
წყალობას არ დაზოგავსო...“

თებრო უხვად დასაჩუქრეს,
ვინ მოსთვლის ლალს, მარგალიტსა.
ზურმუხტი და იაგუნდი,
საყურებიც ალმასისა.

---

[1] ფარა — ფული ოსმალური, ჩიხტის გარშემო იკერებენ, შუბლს ამშვენებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფირუზის ქოშებს აცმევენ,
ტანზე ფარჩა არ მენავსო,
ქალს გადია მიუჩინეს,
სრა-სასახლეც ედემს ჰგავსო..

თებრომ თუმცა მოილხინა,
გულში დარდსა ვერ იკლავსო:
„სამშობლოსა მაგივრობას
სტამბოლი რითი მიზღავსო“.

ოქროს ტახტზე დააბრძანეს,
ფერხთ ფიანდაზებს უგებენ,
ვერცხლის სურითა ვარდის წყალს,
მუშკ-ამბარს თავქვეშ უდებენ.

მოახლენი მრავლათა ჰყავს,
თებროს მზესა ფიცულობენ,
რაც ინატროს ნებიერმა,
ცილობითა უსრულებენ.

ჩანგის სიმებს ჩამოჰკრავენ,
ზედ ტკბილის ხმით დამღერიან,
იადონი და ბულბული
გალიიდან დასცქერიან.

სრა-სასახლის გარეშემო
წალკოტ-ბაღნარი უხვია,
რა ხილი და რა ყვავილი —
ვარდი ბულბულსა უქია.

7

რაც დღე მიდის, თებრო სჭკნება,
იადონსა ეუბნება:
„ცქვიტო ჩიტო, ნუ შეგშურდა
არც თუ მე ვარ თავის ნება...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მეც ოქროსა გალიას ვზი,
ცხრაკლიტულში მომწყვდეული,
გაყიდული ტყვე, ტუსაღი,
ვეზირის ცოლად ქებული...“

„ვაიმე, საბრალო დედავ,
ვაიმე, დაო სოფიო,
ზიხარ და მოთქმითა სტირი
ვაი-ვაგლახსა მოსთვლიო“.

„სადღა ვიმარხვო, ვილოცო,
სად ვილხინო ობაშია,
სანთელი როდის ავანთო
ჩიხორიშის საყდარშია?!“

„ნეტა ველირსო შოლორთა,
ფრთილს გახვევდე გარეშემო,
ოთას მთაში ჟოლოს ვკრეფდეთ,
კოხტა ციხის გარეშემო“.

„სადღა ვსვა წყალი მყინვარე,
ჩიხორი მოლხინებული,
სადღა ავასხა ანკესით
კალმახი გახელებული?!“

„რას ვაქნევ ამდენს ქონებას
გულმკვდარი დაობლებული...
გინდ ამდენ პატივს, სიყვარულს,
დიდებაც შემოვლებული?!“

„უზიარებელს მომკლავენ,
გადმისვრიან ოხერ-მკვდარსა,
იქ გამგლეჯენ ზღვის თევზები,
ვინ მაღირსებს ქრისტეს ჯვარსა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვერ ვეღირსო მშობელ მიწას,
მშობელ დედისა ცრემლებსა,
ვინ მიგლოვს, ვინ დამიტირებს,
აქ ვინ ამიგებს წესებსა“.

„მომეცით ჩემი სამშობლო,
ცა მშვენიერი, ლაჟვარდი,
შრიალა, მწვანე ქოჩორა,
ოთაში ფიჭვი ნაზარდი!“

„მომეცით ჩემი ქვეყანა,
მთა-ბარი მაღნარიანი,
პიტალო კლდეზე კაკაბი,
მელია ჯავარიანი!“

„ლხინი და ჭირი იქ ვნახო,
იქ მკრას ლახვარი მგმობელმა,
იქ მოვკვდე, იქ დავიმარხო,
იქ დამიტიროს მშობელმა!“

8

დაჭლექდა თებრო, დაჭლექდა,
ლოგინსა ლესავს თვეობით.
ვეზირსაც გული უკვდება,
უყვარს და მოთქვამს ვაობით.

ერთხელ თებროს სიცხე მისცა,
ბურანი[1] სჭირდა, როტავდა,
ნატრულობდა ჩიხორის წყალს,
სიზმარშიც ამას ბოდავდა.

---

[1] საოფლე, სახადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეზირი თებროს თავთ უჯდა,
ტამლიაღს[1] გულზე უსვამდა,
მის ნატვრას რო ყური მოჰკრა,
წვერებზეც ხელსა ისვამდა.

კაცი მესხეთს გააფრინა,
ბარათი აქვს ფაშასთანა:
„არიქა, ყარდაშ, მიშველე,
ძმა ძმისთვინა, შავ დღისთვინა...“

„ჩიხორის ცივი წყალი
გამოგზავნე საჩქაროთა,
საყვარელსა გული უწუხს,
წამლად გვინდა ვიხმაროთა“.

თიხის კოკები გაავსეს
ჩიხორიშს ცივი წყალითა,
კაცი გზასა გაეშურა
უსვენებლივ დღე-ღამითა.

თებროს ნატვრა აუსრულდა:
„წყალსა დავლევ სამდომელსო“,
მოიყუდა კოკით წყალი,
„გულს ვისრულებ მწუხარესო“.

„ვიშ! დედავ, თქვენ გენაცვალეთ,
რა კარგი ხარ ჩიხორიშო
ხველიშაც არ გერიოსო —
ველარ დაგლევ გემრიელსო!“

ყველას უკვირს „თებროს სიტყვა
ნეტავ თუ რასა ნიშნავსო?“
თებრომ ყველას მოახსენა —
„ხველიშა რევს ჩიხორიშსო“.

---

[1] ვარდის ზეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბარეს იგი კაცი:
„შენ რას იტყვი ხველიშასო?!“
მონა ფერხთქვეშ ჩაუვარდა,
ევედრება დიდ ფაშასო:

„გზაში მოვსვი ჩიხორიში,
ხველიშათი შევავსეთო,
მწყურდა და დავაშავე,
გთხოვთ, ვეზირო, შემინდეთო“.

თებრო გულში ჩაიკონა
ვეზირმა გაშმაგებულმა:
„თებრო, სამშობლოს წაგიყვან,
იხილო გახარებულმა!“

9

შემოდგომის დილა იდგა,
გემი მოადგა ბათომსა,
შიგა ზის ქალი ცისკარი,
ვეზირი ჩანგით ართობსა.

აჭარა გადმოიარეს,
მესხეთს ეწვიენ ფაშასა,
ახლდათ აჭარელთ ამალა
აფრიალებენ დროშასა.

თებროს მშობლებს იბარებენ:
„მოდით და ქალი ნახეთო,
ათასი ოქროც წაიღეთ,
სასახლე მოუმზადეთო...“

ტამალას სახლი აშენდა —
„თებრო უნდა მობრძანდესო“,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეზირი სოფელს ჰპირდება —
„ხონთქარიც თქვენ გწყალობდესო...“

თებროს ნატვრა აუსრულდა,
ლაბასა ჰკრეფდა, რბიოდა,
ჩიხორიშიც იგივ დახვდა,
ახლა აღარას ჩიოდა.

ის ზამთარი არაფერი,
წყალი გაზაფხულს იმღვრევა,
თებროს გულიც არ მთელდება,
ჯანი კვნესის და ირღვევა.

თქვენი **ჭირი რო წაიღო,**
მატურიც ზედ დაადგესო:
„გიყვარდა შენი სამშობლო,
იქ ნათელიც დაგადგესო...“

ღვთის გაჩენილს ადამიანს ეშმაკობა რად დაჰყვაო

ქრისტემ უბრძანა პეტრესა:
შენა ხარ კლდე სამყარიო,
შენზედ ვაშენო საყდარი
იქმნეს მკვიდრი, უძრავიო...

ბრჭენი ჯოჯოხეთისანი
ვერ ერეოდნენ ტაძარსა,
კლიტენი სამოთხისანი
გებარების მარად ჟამსა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე მოციქულს სამოთხე
ჩააბარეს, კლიტე მისცეს,
ცხონებულებს კარსა უღებს,
ედემშია ადგილს მისცემს.

მხოლოდ ამას ღონობს პეტრე,
ცოტა მოდის სამოთხეში,
ბევრი სული იწყმიდება,
შთავარდების ჯოჯოხეთში.

ადგა და მიიპატიჟა
ნოე, ენოქ და ელია —
ედემში გუნდრუკს აკმევენ,
ვარდ-ზამბახი სურნელია.

მამამთავრებს განუცხადა
თავის გულის პასუხიო:
ღვთის გაჩენილს ცოდვაც რად სდევს?
ამის გვინდა პასუხიო.

ნოემ, ენოქ და ელიამ
ჯერ ერთმანეთს გადახედეს, —
ვის არგუნონ პირველ სიტყვა?..
ჯერი ენოქს შეახვედრეს.

—„ენოქ, ბრძანე, უფროსი ხარ,
შენ რა იცი ამ მცნებისა —
ადამი რო შექმნილ იქმნა
მას რა დაჰყვა ეშმაკისა?“

— „ვის ახსოვს, როგორ მოხდა,
დამეკარგა მაგის სია,
ნოემ იგი უკეთ იცის,
კიდობნისა უფროსია“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ადგა, ჩაახველა,
წვერ-ულვაში გაისწორა:
— „წარღვნით ყველა განადგურდა,
სულ მიწასთან გაასწორა“.

„მას მერმედ ჩვენმა შვილებმა
ნეტავი თუ რაღად სცოდეს...
ამის პასუხი, მე ვგონებ,
ელიამ უკეთ იცოდეს“.

ელიამაც ასე ბრძანა:
— „მე არ ვხედავ აქ მოსესა,
ღვთის წინაშე... არ ვიცოდი,
ძნელსაცნობი არის ესა“.

მოსეს კაცი მიუვიდა,
ეძახიან რჯულმდებელსა.
მოსემ საქმეს რო ჩაჰხედა
შეევედრა მეუფესა:

— „რაღა მახსოვს, რა დავწერე
საიქიოს კანონათა,
ანგელოზთა მოუწოდოთ,
იმათ მოაგონდებათა“.

მთავარანგელოზთ მოწვევა
სუყველამა **განიზრახეს,**
მიქელ-გაბრიელ მობრძანდნენ,
ელისესაც დაუძახეს.

ღმერთმა თავის მსგავსებრივი
ადამი რომ გააჩინა,
ეშმაკობა რაღად დაჰყვა,
სატანამ ვით შეაცდინა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა ამის საკითხშია,
დავთრებიცა გამონახეს,
მიქელ-გაბრიელ მობრძანდა,
ანათებდა პირისახეს.

ქვეყნის შექმნას დავსწრებივარ,
ყველაფერი კარგად მახსოვს,
კაცი როგორ გააჩინა,
ეგ ბრძანება ახლაც მახსოვს.

ერთხელ ღმერთმა დამიბარა,
ანგელოზთა ურჩობის დროს,
ყველა რო ქვესკნელ ჩაჰყარა,
ავი სული ბნელეთს დაჰყოფს.

ღმერთმა ბრძანა: აბა, მიქელ,
შენ რას იტყვი სამშვენოსა...
მათს მაგიერ კაცსა შევქმნი
ედემი მან აშენოსა.

გასწი, წადი, მოიარე
ორსავ კუთხივ ქვეყანაო,
აღმოსავლეთ-დასავლეთი,
სამხრეთ-ჩრდილო, ყველგანაო.

ყველა მხარის თითო მუჭა
წითელ თიხა ამოიღე,
მიწა იყოს პირველქმნილი,
უმზრახოთა წამოიღე.

შევქმნი ადამს, სახით ჩვენს მსგავსს,
შიგ შთავბერავ სულს უკვდავსა,
უსხეულო ნუღარ გვინდა,
ხორცს შევასხამ მომაკვდავსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი დღე და ერთი ღამე
ამის ვადად მიბრძანესა,
ავდექ და ქვეყნად დავეშვი,
გავუდექი ოთხს კუთხესა.

ვპოვე თიხა უწმინდესი,
მაგრა კალთას შევკარიო,
ბოროტ სულნი მეძახიან:
„ეგ რა მოგაქვს, გვითხარიო!“

სატანამ გზაც გადამიჭრა:
„მიქელ, ცოტას შეჩერდიო,
რა განძია, სადა ჰპოვე,
რათა მალავ კალთაშიო?!“

მემუდარა: „ჩამახედე...
ჯერ მამალი არ ყივისო“...
ღმერთს მაფიცებს ეგ წყეული,
თუ შენი ღმერთიც გივისო.

ავდექ, კალთა გადვუშალე,
დროც მეკარგვის, მომაცდინა,
მაგრამ რა ვქნა, ღვთისწყეულმა
რა სიბილწე ჩაიდინა!..

გამაწბილა, შემაცდინა,
ჩამიფურთხა თიხაშია,
„მეც არა ვთქვი, რა მიგაქვსო“...
უშველებელ ხარხარშია.

შმაგი ვიქმენ, შუბი ჩავკარ
შიგ შუაგულ ხახაშია...
ეგები ჭკუა ვასწავლო,
არ მასვენებს მის დღეშია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვთის ბრძანება თუმც ასრულდა,
კაცი იქმნა ხორცშესხმული,
არაწმინდის სულიც დაჰყვა,
ი თიხაში ჩასუნთქული.

ზესკნელს, ქვესკნელს და გარესკნელს
ეშმაკები განიფესვნეს,
სამი წყება ბოროტ სულთა
ცად და ქვეყნად ჩაგვითესლნეს.

ადამს, ედემს, უკვდავებას,
სატანა რას შეარჩენდა,
შურით, ღვარძლით იხრჩობოდა,
ვიდრე ევას შეაცდენდა!

ხალხის სიბრძნე

(ადამიანის წლოვანება)

ღვთის ბრძანებით ექვს დღეს გაჩნდა
მაღლა ცა და ძირს ქვეყანა,
ცა მოსჭედა ვარსკვლავებით,
მზე და მთვარეც დაუყენა.

დედამიწა მთლად გაავსო,
ფრინველით და პირუტყვითა;
ყველგან წყალი თევზით ხარობს,
ტყე და ველი — ყვავილითა!

ადამიანს ედემი აქვს,
ვერა ძღება სიტურფითა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არცა იცის, ტანჯვა რაა,
არც მოკვდების სიკვდილითა.

შიგ შუაგულ ედემისა
ტახტი იდგა ზურმუხტისა,
ოქროს ზოდის ფეხები აქვს,
საყდარია[1] ლაჟვარდისა.

ანგელოზთ გუნდი დაგალობს,
ადიდებენ შემოქმედსა,
ღმერთი ტახტსა დაბრძანდების,
მეშვიდე დღეს ისვენებსა.

პირუტყვი და პირმეტყველი
გარს ეხვევა გამჩენელსა,
ღმერთმა ადამსა უბრძანა:
„რათ არ მისცემ სახელებსა!“

„სახელები ვინ მოსთვალოს,
მე დავეძებ მეუღლესა,
ყველა ცხოველს თავისი ჰყავს,
არ მიეცი პირმეტყველსა“.

ღმერთმა ესეც აღუსრულა,
გაუჩინა კაცსა ევა,
სიტურფით და მშვენებითა
ყველასაგან განირჩევა.

მთლად ედემსა მათ აბარებს,
ხილსა ერთსა უკრძალავსო,
თუ რო მცნებას გადავიდნენ,
იმათ სიკვდილი მოჰკლავსო.

გველმა ევა შეაცდინა,
მოატყუა ცოდვის შვილსა.

---

[1] გუმბათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ედემი აღარ გეღირსოს,
ტკივილითა შობდე შვილსა“.

მთავარ-ანგელოზ მიქეილ
დაუკეტავს სამოთხესა,
ადამს ღვთის რისხვა ეღწია;
„ოფლით, ტანჯვით სჭამდეს პურსა“.

წინათ უკვდავსა ადამსა
აწ ეშინის სიკვდილისა;
ადამ ღმერთსა ევედრება:
„რახანს მომცემ სიცოცხლესა?“

მთლად დაგროვდა პირუტყვიცა:
„რამდენს გვაძლევ სიცოცხლესა?“
ღმერთი ყველას დაუწესებს
ოცდაათ წლის სიცოცხლესა.

დიდყურა ვირი წინ წადგა:
„ოცდაათ წელს რას ვაქნევო?!
მთელ სიცოცხლეს ვირობა ვქმნა?
ამ ტანჯვას ვერ გავუძლებო!“

ერთგულმა ძაღლმა შესჩივლა:
„მაგ ხანს რა ჯანმა გასძლოსო?
თუ უდიერს პატრონს შევხვდი,
ამაგიც გამიქარწყლოსო“.

მაიმუნიც წამოსკუპდა,
ყველას სიცილი წასკდესო,
მაიმუნიც არ ყაბულობს
ოცდაათ წლის სიცოცხლესო.

დაუძახეს ბედის მწერლებს,
დიდ დავთარში ჩასწერესო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კაცს სამ ათი წლის სიცოცხლე
პირუტყვებს ათიც ეყოსო“.

ცხოველთ მადლი გადუხადეს,
ადიდებენ მეუფესა,
ჯიუტი კაცი არ იძვრის,
თან აცხადებს საყვედურსა:

„ოცდაათ წელს რა მოვასწრო,
რა შევძინო ჩემს ცოლ-შვილსა...
ბალღებსაცა დაზრდა უნდათ,
ვინ გაუძღვეს ჩემს ობლებსა?!“

ღმერთმა მრუდედ გადმოხედა
კაცსა ურჩსა, უმადლოსა,
რაც ვირს დააკლდა სიცოცხლე,
ადამიანს უბოძესა.

მაგრამ კაცსა რა გააძღებს,
თვალხარბსა და უმადურსა...
ოცი წელი ძაღლს დააკლდა,
ისიც კაცსა უბოძესა.

კერპია ადამიანი,
შუბლის ძარღვსა არა ხსნისო...
რაც მაიმუნსა დააკლდა,
ისიც იმას უმატესო.

მას აქეთ ადამიანი
უბედურადა სწერია,
ადამიანურ სიცოცხლედ
ოცდაათ წელს უწერია.

მეორმოცეს რო ჩადგება
ვირის ჯაფას შეუდგება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოც წელს იმდენ სარჩოს იძენს,
იმას ვინღა შეედრება.

მესამოცეს რო ჩადგება,
ძაღლსავითა ჰყეფს, ღრინავსო,
იმ ოც წელში შეძენილსა
ერთგულადა დარაჯობსო.

შვიდათ წელს რომ გადასცდება,
მაიმუნსა ემსგავსება,
დაღმეჭილი და მასხარა,
„სიყრმეზედ ვარ“, — იკვეხება.

ოთხმოცდაათს ვინც გადასცდა,
ფეხი სამარეს უდგია,
ვაბრიელის დასტურს ელის,
პაემანი დაჰკარგვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ გაჩნდა ღვინო

ნოემ აშენა ვენახი,
ღვინო ვერ დააყენაო,
დაღონებულსა ნოესა
ეშმაკი მოეჩვენაო.

„ნოევ, ვერ გიქებ ბაგასა,
შენ ჯერ ახარებ რქასაო,
თუ ამხანაგად გამიხდი,
გასწავლი ვაზის რგვასაო...

ისეთი ღვინო დაგიდგეს,
კაცი ებრძოდეს დევსაო,
მთელი დუნია გაქებდეს,
ვინც სვამდეს ყურძნის წვენსაო“.

„წყეულიმც იყოს, სატანავ,
ყოველი საქმე შენია...
კაცის ვალია იშრომოს,
ბედი ღვთისაგან სწერია“.

...გაჯიბრებულმა ნოემა,
უფრო უმატა შრომასა,
მაინც ვერ გასხლა ვენახი,
ვერ გადაურჩა გოლვასა.

შეფიქრდა ნოე, შეფიქრდა,
ჯავრით ვერც მიდის შინაო,
გაბეზრებულსა ნოესა
ეშმაკი უდგას წინაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნოევ, ნუკი ხარ ჯიუტი,
„ხერხი სჯობია ღონესო“,
თილისმა ვიცი მისთანა,
კაცი ვერ მოიგონებსო“.

ნოე გადუდგა ღვთის მცნებას,
სატანამ შეაცდინაო...
ადგა და ძმობა შეჰფიცა,
პირსახემ გაუცინაო.

გაჰყვა ეშმაკი ვენახში,
ასწავლის თილისმობასა,
ნოეც ადვილად მიუხვდა
ოსტატსა ჯადოსნობასა.

პირველად მთელსა ვენახსა
მიუშვა ბლომად წყალია,
ფესვები ვაზსა დაულბო,
მთლად გაუწითლა რქანია.

მერმედ ბატკანი დაუკლა,
სისხლი ასხურა კვირტებსა,
ვაზმა ფოთოლი დაისხა,
ტურფად ამშვენებს ტოტებსა.

ნოე იხარის გულითა,
„ახლა ვეწიე ბედსაო,
ჯერ თუ არ მოვკვდი, კვლავ ჩავყრი,
დავწიდნი ახალშენსაო“.

ადგა და დაკლა ბულბული,
სისხლი აწვეთა ყვავილსა,
ფურჩქვნილმა ვაზის რტოებმა
უფრო უმატეს ქადილსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოზვერი დაკლა, მოურწყო
ვაზს ძირი სისხლით ცხელითა,
ღერო რომ ვეღარ დგებოდა,
სარზე მიაკრა წკნელითა.

შემდეგ დაუკლა ლომ-ვეფხვი,
სისხლი ასხურა ისვრიმსა;
ვენახში თვალი შევიდა,
მტევანი ფერსა იცვლისა.

მზე-წვიმით ნაზად ნაზარდი,
ქარვებ პრიალებს მარცვალი,
შეჰხარის ნოე ნაშრომსა,
ვერც გული ძღება, ვერც თვალი.

მაიმუნზე ჯერი მიდგა,
ამოუღო მკერდით გული,
სისხლი აწურა კუფხალსა[1],
ახლა კია რთველი სრული.

გათავდა ჯადო-თილისმა,
ნოე ამზადებს ჭურებსო,
სატანამ ყურში ჩასძახა:
„ნუ დაივიწყებ ღორებსო!“

ქვეყანა ხარობს ზაფხულით,
მას მოსდევს შემოდგომაო;
ნოემ დაწურა ყურძენი,
ტკბილს უნდა ქვევრში დგომაო.

არ დაივიწყა ღორები,
მათ სისხლით მორწყო მარანი,
კარსა ურდული წაუგდო,
ეშმაკსა მისცა სალამი.

---

[1] კიმელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოემ იცადა, ითმინა,
გულმა ვერ მოუსვენაო;
აჰხადა ქვევრსა სარქველი,
და ყელი მოეღერაო.

პირს ეცა სუნი საამო,
მაჭარი მოეწონაო,
ნაამაგდარევ ნოესა
ჯერ გულზე მოეფინაო.

მერმე თავსა ბრუ დაესხა,
უხამსი იწყო ქცევაო,
სავარძელს ძლივსღა მიეგდო,
ტანი არ დააყენაო.

შიშველსა, მთვრალსა ნოესა
ქამი დასცინის, წუნობსო,
„ეს რა მოსვლია მამაჩემს,
ნეტავ რას მაიმუნობსო?!

ეშმაკსა სული მიჰყიდა,
ახლა რაღასა ღონობსო,
ისწავლა რაღაც ღვინის სმა,
კოტრიალობს და ღორობსო“.

იაფეტს შერცხვა, გაბრუნდა,
თვალზედ იფარებს ხელსაო,
ყველაფერს ღვინოს აბრალებს,
ი რაღაც თილისმასაო.

„დალოცოს ღმერთმა ცის ცვარი,
რა შეედრება წყალსაო.
სულსა და გულსა გიხარებს,
არც მოგჭრის ხალხში თავსაო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას აქეთ საქართველოში
ვაზიც გახშირდა, სმაცაო,
მას აქეთ ღვინოს თან დაჰყვა,
წყეული თილისმაცაო.

ჯერა ვსვამთ ღვინოს წყალივით,
თანდათან გვიტკბილდებაო,
მერე მოვდივართ ქეიფზე
და გულიც გვიჩვილდებაო.

მაშინ კრავივით მშვიდნი ვართ,
ყველას ვუცხადებთ ძმობასა,
ღვთიერი სიყვარულითა
ბოლო ეღება მტრობასა.

ტკბილად მოვყვებით ჭიკჭიკსა,
საამოდ, ბულბულივითა,
ენა და ჭკუაც მაშინ სჭრის,
მაშინა ვხარობთ გულითა.

ვაი მას, ვინცა აჭარბებს;
შფოთავს და ჭირვეულდება,
კურატის მოზვერს ემსგავსის,
სუყველას უავგულდება.

ამასაც როდი აკმარებს,
უფრო უმატებს ღვინოსა,
ღმერთი და რჯული სადღაა,
ივიწყებს წმინდა ნინოსა.

ლომ-ვეფხვად გადაქცეული,
იბრძვის ეშმაკის სულია,
სწორებზედ იწევს ხანჯლითა
ყმა ძმისა მარად მკვლელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოჯოხეთს კარი გაელო,
ცეცხლიც იფრქვევა გენია,
ბეწვის ხიდს ვერღავინ გადის,
ეშმაკის კერძი ბევრია.

ცოდვილთა სული ტანჯული
კუპრის ქვაბს ვერ დაღწევია,
კაენიც გახარებულა,
დახე, რა ბედსა სწვევია!

ბევრს ვხედავთ ღვინით გაჟღენთილს,
უხამსსა მაიმუნ მსგავსსა,
ვნებათა ღელვით აღგზნებულს,
წუწ-ს-არშიყს, პირუტყვს უმსგავსსა.

ღორივით წუმპეს ნაგდებიც,
ბევრი გვინახავს მთვრალია,
გულის საზიდით მოსვრილი,
თავით ფეხამდის მყრალია.

ნეტარ მას, ვინცა ბულბულსა
არ გასცდეს, მოილხინოსა,
კარგი ჭამოს და კარგი სვას,
მიწვეს და მიიძინოსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვალვა

1

აღარ მახსოვს, როდის მოხდა.
არაბის თუ თათრების დროს,
გაზაფხული გვალვით დადგა,
ლამის ყველა ამოახმოს.

მოსავალს პირი არ უჩანს,
მიწა დასქდა მთლად მინდორში,
პური, ქერი და სიმინდი
არ ირჩევა ლობიოში.

მოგვალულმა ჭირნახულმა
ხალხსაც გული დაუთუთქა,
შიმშილობა ჩამოვარდა,
ბალბა-ჭინჭარს უწყეს თუთქვა.

2

გოგო-ბიჭები დაგროვდა,
აკონკებენ ლაზარესა,
კარი-კარსა დაათრევენ,
გაწუწულსა ყოველ დღესა.

ფეხშიშველი, გაწეწილი,
გზას გაუდგნენ გალობითა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთლად სოფლები დაიარეს,
ლაზარ თოჯას წყალობითა.

„აღარ გვინდა გორახიო,
ღმერთო, მოგვე ტალახიო...“
სახლის კარზე ყველა ოჯახს
დაუმსხვრიეს გორახიო.

ლიტრით წყალი გამოჰქონდათ,
თავს ასხამდნენ ლაზარესა,
ზოგან ჯამით ფქვილს აძლევენ,
ზოგანც შესანდობი სვესა.

ქსუისში ბროლი ქალები
„მოზვერა-ქვას“ უვლიანო
ირგვლივ ფერხული ჩაუბამთ,
სიმღერითა უვლიანო.

„ღმერთო, წვიმა დაუშვიო,
კოჭობაში ჩაუშვიო,
ლაზარეც მოდგა კარსაო
და აღორღოშებს თვალსაო“...

პატარძალი ფერხულს ასხლტა,
„მოზვერა-ქვას“ შეაფრინდა,
ავიდა და ზედ დასკუპდა,
ქორივითა დააფრინდა.

„ასეთი წვიმაც მოსულა,
ყანებიცა დამძღარაო,
ბატონიანთ მამითადში
მუშა როდის გამძღარაო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

არსად გამოჩნდა ღრუბელი,
ცა კრიალებს, ცა მშრალია,
„ლაზარ-მოზვერა“ ვერ შველით,
რუები მთლად დამშრალია.

ერთ სოფელში, გამოიცანთ,
მოხისსა თუ ბოდბისხევში,
ხალხმა თავი მოიყარა,
გაიხიზნონ სადმე მთებში.

ბევრი კაცი ასე ამბობს:
„ჩვენი ცოდვა გადიდდაო,
სად გაურბით ღვთის რისხვასა,
აწ ბჭობის დროც დაგვიდგაო“.

ბჭობაზედა გადასწყვიტეს:
მოვკრიფოთო დიდი ფული,
ოქრო ღმერთსა გავუგზავნოთ,
მოიბრუნოს ჩვენზედ გული.

ავირჩიოთ სანდო კაცი,
ღმერთს წაუღებს ფულებსაო,
შეევედროს, წვიმას მოგვცემს,
დაგვიცოცხლებს ყანებსაო.

ასი ოქრო გამოუკრეს,
გაატანეს ტიმოთესა,
დარიგება ბევრი მისცეს,
გუდაც საგზლით გაუვსესა.

4

იცოდა, რომ ღმერთი იქ ზის,
ტიმოს გაგონილი ჰქონდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიდანაც რიჟრაჟია,
საიდანაც მზე ამოდის.

სანამ ტიმო გზას გაუდგა,
გალმა სოფელს შეიარა;
იქ გრძნეული ვინმე ნახა,
ჯვარედი გზა გაიარა.

დედაბერმა ასე უთხრა:
„შვილო, მძიმე საქმე გაძევს,
ღმერთის ნახვა ძნელი არის,
მანძილიცა დიდი გიძევს.

უწინ ასე როდი იყო,
იალბუზზე ადიოდნენ;
ტახტიც ღმერთსა იქა ედგა,
გაჭირვებას შეჰჩიოდნენ.

მაგრამ, შვილო, ცოდვამ გვკითხა,
ბოროტება გაგვიმრავლდა,
ცოდვა უფრო გვემატება,
სატანაიც გაგვიძალდა.

პატარძალი პურს აცხობდა,
წირვის ლავაშსა აკრავდა,
იქვე ბალღსა წაეხდინა,
ტირილითა თავს იკლავდა.

ცომიანი ხელებითა
პატარძალმა ააყენა,
ცხელ ლავაშით გაუწმინდა,
ბავშვი ვარცლზე დააყენა.

განრისხდა და გაწყრა ღმერთი,
ცა ქვეყანას დააშორა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინღა ნახავს ახლა ღმერთსა,
დიდმა ცოდვამ დაგვაშორა.

ახლა, აბა, რაღა გვეთქმის...
კუდიანებს გაუხარდეს!
იალბუზი, ბრუტ-საბძელი
საბუქნაოდ გაიხადეს.

გასწი, წადი, ბედი სცადე,
რაც შუბლზედა გიწერია,
დავალება შეასრულე,
გზაცა მოკლე გირჩევნია.

ფათერაკსა მოერიდე,
არსად აგირევდეს გზასა,
ყველა წყალი მტკვარსა ერთვის,
თვითონ მტკვარი — კასპის ზღვასა.

თავს ყოველდღე ივარცხნიდე,
ოფოფმა არ დაგძლიოსო,
ადრიანა ნაყრდებოდე,
გუგულმა არ დაგძლიოსო.

პირი სამჯერ გამოივლე,
ყაპყაპმა არ დაგძლიოსო,
ახალ ყველსა დილით სჭამდე,
კვირიონი არ დაგძლევსო.

ღვინოცა ადრე დალიე,
მერცხალმა არ დაგძლიოსო,
დაინახო, ქვაზე შესდეგ,
რომ კვიცმაც არ დაგძლიოსო.

გადააბრუნებდე ქვასა,
ყორანი რო დაინახო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუგუზალი მოუქნიე,
თუ რო ღამე მავნე ნახო“.

ტიმომ გულში ჩაიბეჭდა
დედაბრისა ნათქვამიო,
მთელი კვირა გზას იარა,
ვერ უწია მანძილიო.

ტიმო ძილში იმას ფიქრობს,
როდის ნახავს ნეტა ღმერთსა,
გუდაშიც პური დაობდა,
ნიორიც კი ბევრი ძევსა.

5

მეცხრე ღამეს მთას ავიდა,
ტყის სიგრილით მიდიოდა,
დაქანცულსა დაეძინა,
სიო ტყისა დასდიოდა.

სიზმრად ნახა, მომკვდარიყო,
კიბე დგას და ცამდე ადის,
ანგელოზნი მწკრივად დგანან,
კიბის თავში თვით ღმერთი ზის.

ტიმოც ადის კიბეზედა...
აქეთ-იქით ჩოჩქოლია,
სამოთხეში არ მიიღეს,
მწერალის რიგი შეშლია.

ჯოჯოხეთშიც ასე უთხრეს:
„შენ ვინა ხარ, არ გიცნობთო,
დავთრებშიაც არ წერიხარ,
თორემ არკი დაგინდობთო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუქურ ანგელოზმა უთხრა:
„ჯერ იწექი მიწაშიო,
მოგივა დრო, მოგიკითხვენ,
ახლა გვმართებს ბოდიშიო“.

ტიმოს სული შეუწუხდა,
ჭირის ოფლში იწურება,
არც სამოთხეს, არც ჯოჯოხეთს
ადგილი არ ეშოება!

სამარესთან ქვასა თხრიდნენ,
ლომი დაჰკრეს, არ აჰყვაო,
ლაღმი მისცეს, ამოაგდეს,
ტიმოც ქვასა ამოჰყვაო.

6

ტიმომ თვალი გაახილა,
დილა მეტად გრილი იყო,
გამოერკვა... ღმერთს მადლიო,
რომ ყველაი სიზმრად იყო...

გაიკვირვა! რა ადგილას,
რა ქვეყანას მომხდარიყო,
მთა და ბარი ზურმუხტისა,
წყაროებით სავსე იყო.

მინდორ-ველი მოქარგული,
ყანებიცა მაძღარ იყო,
ია-ვარდის სურნელებით
იადონი დამთვრალიყო.

მაღალ გორის ტყის ნაპირი
ხშირ ბუჩქნარით მორთულიყო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდი ვაზით ჩახლართული,
ხეობაცა ჭრელი იყო.

ლაჟვარდი ცა კრიალებდა,
შველი წყალზე ჩასულიყო,
ათასგვარი ფრინველთ სტვენა
ოქროს ხოხბით სავსე იყო.

ამისთანა შემკულობა,
არ ენახა ტიმოთესა,
იფიქრა, რო აწ მეშველა,
ველირსევი სამოთხესა.

პური წყაროში ჩაალბო,
შეექცევა საუზმესა,
ჩიტი, გვრიტი, იადონი,
უგალობენ მზის სხივებსა.

ტიმომ სერზე დაინახა
თეთრ რაშზედა წვერჭალარა,
ტანსა ეცვა თეთრი ჯუბა,
სამკაულიც მთლად ჯავარა.

ტიმოთეი ჯერ თუ შეკრთა,
მერე სერი აირბინა,
„ბედს ვეწიე, ველირსევი,
ღმერთი თვითონ მომევლინა“.

დაუჩოქა ცხენოსანსა,
ძირს გაერთხო მუდარითა,
ცალი ხელი ოქროს იკრა,
დააბნია სიჩქარითა.

„აგერ, ღმერთო, ასი ოქრო,
სოფელმა რო შემოგწირა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გთხოვეს წვიმა გამოგზავნო,
შიმშილობამ მთლად გაგვწირა.

ნუ დაგვსაჯავ, შენსა მადლსა,
ბალღი წივის შიმშილითა,
ცოდო თუმცა ბევრი გვადევს,
შეგვინდევი სულგრძნობითა".

მონადირე მთლად გაოცდა,
ქორ-მეძებრებს დაუსტვინა,
ცხენს დეზი ჰკრა, უწრუწუნა,
ქორი ხოხობს გაუყენა.

ტიმო მაინც არ ეშვება...
„ნუ ინებებ დაღუპვასო,
სიცოტავე გვაპატიე,
საღმთოსა ვიქთ კიდევ სხვასო".

მონადირე მაშინ მიხვდა,
ტიმო იყო მოხისელი;
ასი ოქრო ჯიბეს იკრა,
თანხმობისა მისცა ხელი.

„წადი, წვიმას გამოვგზავნი,
მოგშორდებათ გორახ-მტვერი,
გაცოცხლდება მთა და ბარი,
ჭირნახულსა მიჰყეთ ხელი".

7

ვიდრე ტიმო შინ მივიდა,
დიდი წვიმა მოსულიყო,
სოფელი მთლად გაახარა,
რუც წყალითა გავსილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ელიამ ეტლი მომართა,
დღე და ღამე გრიალებდა,
ელვა, ჭექა-ქუხილითა
ღრუბელთ გროვა ტრიალებდა.

წვიმა სოფელს შეეჩვია...
ზედიზედა მოდიოდა,
თვეზე მეტი თავსხმა არი,
ხალხი ბედსა უჩიოდა.

ორჯერ მეხი ჩამოვარდა,
ხარი მოჰკლა მინდორშია,
ამაყ მუხას თავში დაჰკრა,
ჩახლიჩა შიგ ტოტებშია.

ვენახიც სეტყვამ დარეგვა,
ჩამოყარა ისვრიმია,
მღვრიე წყალმა თევზს უმატა
გუბეებში ყიყინითა.

8

სოფლად ხალხი შეიკრიბა,
აყვედრიან ერთმანეთსა, —
რად ვგზავნიდით იმდენ ფულსა,
ვაკმარებდით ას მანეთსა.

„ძველისძველად ნაქებია,
პური, ღვინო გვალვისაო,
რას ვაქნევდით ამდენ წვიმას,
ყანებია ღვარძლისაო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვრივ-ოხერმაც ღმერთი დაჰგმო,
„რით ვარჩინო ობლებიო,
დაგექცა ეგ სამართალი,
ჩამოგენგრეს ეგ ტახტიო“.

სხვებმაც თქვეს, რო მართალია,
ბარე მეტიც მოგვივიდა:..
ვინ იცოდა თუ ას ოქროდ
შვიდ კვირამდის იწვიმებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა შ. ძიძიგურისა 5

ბუნება და ცხოვრება

ნაწილი პირველი 17

მოგზაურთა განთიადი

ნაწილი მეორე 35

ტაბაწყურის ტბა

ნაწილი მესამე 67

ერთი კუთხე ჯავახეთისა

ნაწილი მეოთხე 77

თრიალეთის მთა და ცხვარი

ნაწილი მეხუთე 90

წალკა და რეხა

მტკვრის სათავეებთან 113

უწინდელი ზემოქართლი და მტკვრის სათავე

ჯავახური ლეგენდები 187

სამშობლოს სიყვარული 189

ღვთის გაჩენილს ადამიანს ეშმაკობა რად დაჰყვაო . . . 200

ხალხის სიბრძნე 205

როგორ გაჩნდა ღვინო 210

გვალვა 216

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Алхазишвили Илья Соломонович

Джавахетские легенды
Очерки

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
Руставели 42
Тбилиси 1978 г.

ИБ 251
რედაქტორი გრ. ჯულუხიძე
მხატვარი ი. ენაგელი
მხატვრული რედაქტორი ა. თოდრია
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი გ. წერეთელი
გამომშვები გ. მინდიკაური

ჩაბარდა წარმოებას 28.03.78. ხელმოწერილია საბეჭდად 13.10.78. უე 00420. ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 2. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 10,06. ტირაჟი 5000 ეგზ. შეკვეთა № 1215.

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“. რუსთაველის 42
თბილისი, 1978 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

3789
ეროვნული
ბიბლიოთეკა